

თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90 -
იანი წლებიდან

სარჩევნო

შესავალი.....	3
ისტორიოგრაფია.....	7
თავი I – თურქული სახელმწიფოს გეოგრაფიულ-გეოპოლიტიკური მდებარეობა და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემა.	
§–1. გეოგრაფიულ-გეოპოლიტიკური მდებარეობა.....	29
§–2. სახელმწიფოს წყობა.....	39
§–3. თანამედროვე თურქეთის პარტიების საგარეო და საშინაო პოლიტიკური კონცეფცია.....	62
თავი II – თურქეთის გეოპოლიტიკური კონცეფციების ევოლუცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ	
§–1. გეოპოლიტიკის ტრადიციული საფუძვლები და თანამედროვეობა.....	70
§–2. თურქეთის გეოპოლიტიკური ვექტორები XXს-ის მეორე ნახევრიდან.....	88
§–3. ისლამის პოლიტიკური ფაქტორი თურქულ გეოპოლიტიკურ სტრატეგიაში.....	106
თავი III – თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკა სსრკ-ს დეზინტეგრაციის შემდეგ.	
§–1. ხმელთაშუაზღვისპირული გეოპოლიტიკა.....	115
§–2. ქურთების პრობლემა და თურქეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური უსაფრთხოება.....	132
§–3. თურქეთის გეოპოლიტიკა XXს-ის ბოლოსა და XXIს-ის დასაწყისში.....	157
§–4. ახალი თურქული გეოპოლიტიკის რუსული ვექტორი.....	196
§–5. თურქული გეოპოლიტიკის სამხრეთ კავკასიური მიმართულება.....	213
დასკვნა.....	233
დანართი.....	242
ბიბლიოგრაფია.....	246

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ეტაპზე – XXI საუკუნის პირველ ათწლეულში მსოფლიო ბევრად უფრო დინამიური გახდა, ვიდრე იგი მთელი ომის შემდგომი პერიოდის მანძილზე იყო. XX საუკუნის მეორე ნახევარი საერთაშორისო პოლიტიკაში ორი სისტემის ე. წ. კაპიტალისტურის და სოციალისტურის შეურიგებელი კონფრონტაციის ნიშნით იყო აღბეჭდილი ყველა სფეროში.

„ცივი ომის“ დასასრულმა, რაც მსოფლიო პოლიტიკის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი განვითარების ლოგიკური შედეგი იყო, სათავე დაუდო ახალ მოვლენებს და პირველ რიგში სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში გაერთიანებული სახელმწიფოების გადაჯგუფების პროცესს. XX საუკუნის ბოლოდან გაძლიერდა ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების საყოველთაო ტალღა, რომელმაც ყველა პოსტსოციალისტური ქვეყანა მოიცვა, სსრ კავშირის დეზინტეგრაციამ ახალი სუვერენული სახელმწიფოების ჩამოყალიბება განაპირობა, რამაც კიდევ ერთხელ და უკვე მერამდენედ შეცვალა მსოფლიოს პოლიტიკური რუკა. გაჩნდა ახალი პრობლემები, ახალი მიდგომები და შესაბამისად ბევრი ადრინდელი პრობლემის ახლებური რაკურსით წარმოჩენის და დანახვის ობიექტური აუცილებლობა.

აღსანიშნავია თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რასაც გლობალიზაციის პროცესი ჰქვია. იგი ახალი პოლიტიკური ფენომენია, რომელიც დასავლური ლიბერალური ღირებულებების სისტემაში წარმოიშვა და მსოფლიოს მასშტაბით დამკვიდრების ტენდენციებს ავლენს. ბუნებრივია, იგი გარკვეულ გავლენას ახდენს სახელმწიფოთაშორის

ურთიერთობებზეც, განსაკუთრებით სამხედრო ასპექტებზე. სამხედრო შეიარაღებისა და ტექნოლოგიების გაუჯობესება მთელ მსოფლიოს ერთიან სტრატეგიულ სფეროდ აქცევს. დედამიწაზე არ არსებობს სამხედრო-შეტევითი შეიარაღებისთვის მიუწვდომელი ადგილები. ასეთ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა გეოპოლიტიკას ენიჭება, რომელიც არაა ერთხელ და საუდამოდ მოცემული უცვლელი ფენომენი, იგი სხვადასხვა, პირველ რიგში, გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ხდება უფრო მომგებიანი, ან უფრო წამგებიანი.

საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური ბლოკური სისტემის დაშლის შედეგად, რაც ბიპოლარული მსოფლიოს დასასრულს წარმოადგენდა, წინა პლანზე წამოვიდა ახალი რეგიონული სახელწიფოები, რომლებიც დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარებას ცდილობენ.

ბიპოლარული* მსოფლიოს დაშლის შემდგომ, ძნელია იმის თქმა, რომ სამყარო ერთპოლუსიანი გახდა, რადგანაც არსებობს სერიოზული კონტრარგუმენტები და გამოწვევები. არც იმის თქმა შეიძლება, რომ სტაბილურად მრავალპოლუსიანი სამყარო გვაქვს, არამედ უფრო მიზანშეწონილია ვილაპარაკოთ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ საერთაშორისო პოლიტიკაზე, რომელიც ძალთა ბალანსისაკენ მიმართულ ტენდენციებს ავლენს და ერთპიროვნულ მონოპოლისტურ ჰეგემონიას ძნელად ეგუება.

ახალ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რეგიონალური სახელმწიფოების გეოპოლიტიკური ინტერესების განვითარებას და რეგიონალური ქვესისტემების ჩამოყალიბებას. მითუმეტეს, როცა ეს პროცესი მსოფლიო გლობალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და საერთაშორისო ინტერესების მქონე დიდი სახელმწიფოების ყურადღებას იქცევს. ამ მხრივ გამორჩეული

* ბიპოლარული - ორპოლუსიანი

გეოპოლიტიკური სივრცე უდავოდ არის სამხრეთ კავკასია, რომელიც ოდითგანვე იყო მსოფლიოს დიდი სახელწიფოების ინტერესთა დაპირისპირების ობიექტი.

სსრკ დეზინტეგრაციის* შემდეგ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელწიფოები გაჩნდა, რომელთათვის ახალი პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება გარდაუვალი რეალობა გახდა და ბუნებრივია, ეს დიდი წინააღმდეგობების გარეშე არ ხდება. სამხრეთ კავკასიაში თავისი ინტერესები ყოველთვის ჰქონდა რეგიონის ერთ-ერთ წამყვან სახელწიფოს – თურქეთის რესპუბლიკას, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემი მსოფლიო ბლოკური სისტემის დაშლის შემდეგ გახდა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. დავუთოღლუ ბლოკური სისტემის დროინდელ საერთაშორისო ურთიერთობებს და საერთაშორისო სისტემას, რომელიც „ცივი ომის“ გამოკვეთილი ნიშნით იყო აღბეჭდილი, ახასიათებს, როგორც სტატიკური ხასიათის მქონეს, როცა ან ერთ ბლოკში უნდა ყოფილიყო სახელწიფო გაერთიანებული ან მეორეში. ბლოკური სისტემის დაშლამ საერთაშორისო ურთიერთობებს, მისი მართებული შენიშვნით „დინამიური ხასიათი“ შესძინა, რაც უფრო მოქნილი პოლიტიკის გატარების საჭიროებას წარმოშობს. ამ გარემოებამ მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცვლილებები გამოიწვია თურქეთის სახელწიფოს მიდგომებში, ბევრი საერთაშორისო თუ რეგიონული პრობლემის მიმართ. აქედან გამომდინარე, აუცილებელი და აქტუალურია თურქეთის გეოპოლიტიკის და მისი მიმართულებების შესწავლა მსოფლიოში „ცივი ომის“ შემდგომ ხანაში, რადგან იგი ნათელს ჰფენს სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის ბევრ ასპექტს და იძლევა მომავალი განვითარების ტენდენციების რამდენადმე პროგნოზირების საშუალებას.

* დეზინტეგრაცია – მთელის დაშლა, დანაწევრება შემადგენელ ნაწილებად

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის საგანი არის თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან და XXI-ის პირველ ათწლეულამდე, ანუ ის პერიოდი, როცა სსრკ დეზინტეგრაციის და „ცივი ომის“ დასრულების შედეგად წარმოქმნილ პოსტსაბჭოურ ქვეყნებს პოლიტიკური თვითიდენტიფიკაციის აუცილებლობა ჩამოუყალიბდათ. პოლიტიკური თვითდამკვიდრებისათვის ბრძოლა დაკავშირებულია უშუალოდ იმ პროცესებთან, რომელიც თურქეთის რესპუბლიკის ტრადიციული გეოპოლიტიკური ვექტორების ახალი შინაარსით დატვირთვამ გამოიწვია.

გამოკვლევის კონკრეტული ამოცანები ფოკუსირებულია ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების გაშუქებაზე თურქეთის გეოპოლიტიკურ კონცეფციებში, როგორცაა:

- სახელწიფოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა და მნიშვნელობა საერთაშორისო და რეგიონალურ პოლიტიკაში;
- პარტიულ-პოლიტიკური სისტემა და საგარეო პოლიტიკის ფორმირება;
- დემოგრაფიული მახასიათებლები (სოციალურ-ეთნიკური სტრუქტურა) და მისი როლი გეოპოლიტიკის ფორმირებაში;
- ქვეყნის გეოპოლიტიკური ვექტორები XX საუკუნის II ნახევრიდან;
- თურქული გეოპოლიტიკური მიმართულებები ხმელთაშუაზღვისპირა რეგიონში;
- თურქული გეოეთნოპოლიტიკა ქურთთა მიმართ;
- თურქული გეოპოლიტიკა სსრკ-ს დაშლის შემდეგ;
- თურქული გეოპოლიტიკის რუსული ვექტორი
- თურქეთის გეოპოლიტიკის სამხრეთ კავკასიური მიმართულებები

ისტორიობრაზია

საკვლევი თემის პრობლემატიკის გარშემო მრავალფეროვანი პოლიტიკური და ისტორიული ხასიათის ლიტერატურის საფუძვლიანად დამუშავებამ დიდი სამსახური გაგვიწია. მართალია, ქართულ ენაზე ჯერჯერობით არ მოიპოვება ისეთი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც კომპლექსურად გააშუქებს სადისერტაციო თემის საკვლევ საკითხებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, არის ისტორიული და პოლიტიკურ-თეორიული ხასიათის ლიტერატურა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული საკითხების კვლევისას სწორი მეთოდოლოგიური მიდგომის შემუშავებისათვის და მასალის სისტემატიზაციისათვის.

ამ კატეგორიის ლიტერატურიდან უნდა აღინიშნოს საერთოდ გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერებისადმი მიძღვნილი ნაშრომები, როგორცაა ა. გეგეშიძის „გეოპოლიტიკა“, აღ. დუგინის „გეოპოლიტიკის საფუძვლები“, ნ. ჩიხლაძის „გეოპოლიტიკა“ და სხვ. ეს ნაშრომები, გარდა იმისა, რომ გვიქმნიან კვლევის ზოგად თეორიულ საფუძველს, საშუალებას გვაძლევენ მოვახდინოთ ემპირული ფაქტებისა და მასალის სისტემატიზაცია ამა თუ იმ კონცეპტუალური მიდგომის მიხედვით.

დისერტაციაზე მუშაობისას გამოვიყენეთ შემდეგი წყაროები და დოკუმენტები: ყარსის ხელშეკრულება „Договор о дружбе между Армянской ССР, Азербайджанской ССР и Грузинской ССР, с одной стороны, и Турцией - с другой, Заключенный при участии РСФСР в Карсе.“; Ататюрк М. К. Избранные речи и выступления.; ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ;

დეკლარაცია საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის თანამშრომლობისა და სოლიდარობის შესახებ; შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის სამხედრო წვრთნის, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროში; შეთანხმება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ; 1982 წლის თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია (თარგმ.); Türkiye Cumhuriyeti Hükümeti ve Gürcistan Cumhuriyeti Hükümeti arasında eğitim, Bilim, Kültür ve spor Alanlarında İşbirliği Anlaşması; Būgūnkū Türkiye 1980-2003 (თურქეთის თანამედროვე ისტორია 1980-2003წწ და დოკუმენტების კრებული)

ქართული მონოგრაფიებიდან, თურქეთის რესპუბლიკის ისტორიასთან დაკავშირებით, უპირველესად, გამორჩევით გვინდა აღვნიშნოთ, მიხეილ სვანიძის ნაშრომი „თურქეთის ისტორია“, რომელიც მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის ამ დიდი ქვეყნისა და მისი წინამორბედი სახელმწიფოების (სელჩუკთა და ოსმალთა იმპერიების) განვლილი ისტორიული გზების შესახებ, დაარსებიდან ოცდამეერთე საუკუნის დამდეგამდე. ნაშრომში საფუძვლიანად არის წარმოდგენილი როგორც ძველი, ისე თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. აღნიშნული მონოგრაფია შედგება სამი ნაწილისაგან და საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის დადგენილებით ავტორს მინიჭებული აქვს აკად. გიორგი წერეთლის სახელობის პრემია.

გეოპოლიტიკაზე, როგორც შედარებით ახალი მეცნიერების დარგზე, რომელიც უდიდეს როლს თამაშობს თანამედროვე სახელმწიფოების საერთაშორისო ურთიერთობებზე, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს არჩილ გეგეშიძის ნაშრომი „გეოპოლიტიკა“, სახელმძღვანელოში ავტორი ცდილობს დახმარება გაუწიოს

მკვლევარებსა და საკითხით დაინტერესებულ პირთ გლობალური პროცესებისა და მათი სახელმწიფო პოლიტიკაზე გავლენის შესახებ სწორი წარმოდგენის შექმნაში. ასევე ელემენტარული ინფორმაციის სისტემატიზაციასა და დამოუკიდებელი პოლიტიკური ანალიზის უნარის გამომუშავებაში.

აღნიშნულ გამოკვლევაში შემჭიდროებული სახითაა განხილული მსოფლიო პოლიტიკური რუკის ფორმირების, გეოპოლიტიკის თეორიის, ეროვნული უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საკითხები. აგრეთვე დახასიათებულია განიარაღების, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სასურსათო, ადამიანთა უფლებების დაცვის გლობალური პრობლემები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ მსოფლიო და სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაზე.

სახელმძღვანელო ორიგინალური ხასიათისაა, მასში გამოყენებულია როგორც უცხოური ლიტერატურა, ასევე რუსული-ქართული გამოცემები და პრესის მასალები, საინტერესოა ისიც, რომ დანართის სახით მოყვანილია საცნობარო ხასიათის ინფორმაცია ცხრილებისა და მცირე განმარტებითი ლექსიკონის სახით.

თურქეთის რესპუბლიკის ისტორიის მკვლევარი პრფ. ემზარ მაკარაძე სამეცნიერო ნაშრომში „თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები XX საუკუნის 90-იან წლებში“ ყურადღებას ამახვილებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში თურქეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკურ პრობლემებზე. ავტორი საუბრობს ლაიციზმის შესახებ თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკაში, ასევე „თურანიზმის“ საკითხზე და ანკარის საგარეო პოლიტიკურ კურსზე ყოფილ საბჭოთა მუსლიმანურ რესპუბლიკებთან მიმართებაში.

ხსენებულ მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებს და ქვეყნებს შორის 1992

წლის 30 ივლისს გაფორმებულ მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

ე. მაკარაძე როგორც აღნიშნულ ნაშრომში, ასევე თავის მეორე მონოგრაფიაში „კვიპროსის საკითხი აღმოსავლურ პოლიტიკაში XX საუკუნის 60–80-იან წლებში“ მ. გოგიტიძესთან ერთად განიხილავს კუნძულ კვიპროსის პრობლემას თურქეთის პოლიტიკაში.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთი რეგიონი, შესაბამისი სახელმწიფო ურთიერთობებით, სისტემებითა და სხვადასხვა დაჯგუფებებით, ყოველთვის წარმოადგენდა პრობლემათა რთულ კვანძს. დღეს ეს პრობლემები კიდევ უფრო დაამძიმა წარსულში სამხედრო ან ეთნო-კონფლიქტების საშიშმა შედეგებმა.

სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს კვიპროსის პრობლემა, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა უშუალოდ ბერძნებსა და თურქებს შორის ისტორიულად არსებული წინააღმდეგობების საფუძველზე. იგი მნიშვნელოვნად განპირობებული იყო აგრეთვე წინარე ეპოქაში შექმნილი საერთაშორისო-პოლიტიკური ვითარებით, როგორც ორი ქვეყნის, თურქეთისა და საბერძნეთის, ისე აშშ-ს, ყოფილი სსრკ-სა და ევროპის სხვა სახელმწიფოების ინტერესებით. ყოველივე ეს, ერთად აღებული, არა ერთ წინააღმდეგობას ქმნიდა და დღემდე შეინარჩუნა თავისი პრობლემური ხასიათი.

აღნიშნული ნაშრომი ავტორებმა სწორედ ამ პრობლემების გამოკვლევას მიუძღვნეს და საფუძველიანად განიხილეს კვიპროსის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მეტად მნიშვნელოვანი საკითხები.

ბოლო ხანებში გამოცემულ ქართულ ნაშრომთაგან ჩვენთვის საინტერესოა რ. გაჩეჩილაძის წიგნი „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა.“ აღნიშნულ ნაშრომში ავტორს კარგად აქვს ნაჩვენები ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ძირითადი პრობლემები,

რის შედეგადაც იგი ამტკიცებს, რომ ამ რეგიონის პოლიტიკურ-გეოგრაფიული სტაბილურობა მოხვენებითია. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლავთ მონოგრაფიის მეთორმეტე თავი, სადაც რ. გაჩეილაძე საუბრობს თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკაზე და გვაჩვენებს როგორ შეძლო ანკარამ გეოპოლიტიკური ძვრიდან რეგიონული ლიდერის როლისაკენ დაძრულიყო. ამავე თავში ის ვრცლად განიხილავს თურქეთის რესპუბლიკის ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორცაა ანკარისათვის ქურთები რეგიონულ გეოპოლიტიკაში და ორად გახლეჩილი კუნძული კვიპროსი. ავტორი ასევე საუბრობს, თუ როგორ უარყოფითად იმოქმედა, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით შექმნილი, კოალიციის მიერ ერაყში წამოწყებულმა სამხედრო კამპანიამ რეგიონში, რაც უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო გეოპოლიტიკასა და საკუთრივ რეგიონის პოლიტიკურ გეოგრაფიაზე.

სწორედ ცვლილებათა ეს სპექტრი მოითხოვს მთლინად რეგიონის ახლებურ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ გააზრებას, რისი ცდაც მოცემული აქვს ავტორს აღნიშნულ ნაშრომში.

დისერტაციაზე მუშაობისას ასევე დიდი დახმარება გაგვიწია ისეთმა ნაშრომებმა, როგორცაა: ზ. ბატიაშვილის „თურქეთის შეიარაღებული ძალები“, ტ. ლებანიძის „თურქეთის შიდა პოლიტიკა 1945-80 წლებში და პოლიტიკური პარტიები“, ელ. მაჩიტაძის „თურგუთ ოზალის ეკონომიკური პოლიტიკა“, გ. ანთელავას „თანამედროვე ევროპა და თურქული მიგრაცია (1960-1990-იანი წლები)“ და ა. შ.

ჩვენს თემასთან დაკავშირებით აუცილებლად მივიჩნიეთ გეოპოლიტიკის ცნობილი მკვლევარის ალ. დუგინის სამეცნიერო ნაშრომების შესწავლა. მისი თვასაწიერი ფართო და მრავალფეროვანია. რუსი გეოპოლიტიკოსის წიგნში „გეოპოლიტიკის

საფუძვლები” (ქართულად ითარგმნა და გამოიცა 1999 წელს) დაწვრილებით არის გაანალიზებული გეოპოლიტიკის, როგორც მეცნიერების, საფუძვლები, მისი ისტორია, გეოპოლიტიკური თეორიები. ასევე წარმოდგენილია გეოპოლიტიკურ სკოლათა და შეხედულებათა ფართო სპექტრი და საბოლოოდ კარგად არის ჩამოყალიბებული რუსეთის ფედერაციის გეოპოლიტიკური დოქტრინა. აღსანიშნავია, რომ აღ. დუგინი „ველიკოდერჟავული“ პოლიტიკისაკენ, რუსეთის ფედერაციას „ცივი ომის“ დასრულებისთანავე მოუწოდებდა. ავტორს წიგნში განსაკუთრებით ვრცლად აქვს განხილული რუსეთის ფედერაციის გეოპოლიტიკური მომავლის საკითხები, მისი დამოკიდებულება სამხრეთ კავკასიის ეთნოსებთან და სახელმწიფოებთან, სამხრეთის, სამხრეთ-დასავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებთან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსი გეოპოლიტიკოსი აღნიშნულ ნაშრომში, მისი ბოლოდროინდელი წიგნებისაგან განსხვავებით, საკმაოდ აკნინებს თურქეთის სახელმწიფოს როლსა და შესაძლებლობებს, ჰქონდეს მას რაიმე დამოუკიდებელი გავლენა, როგორც მსოფლიო, ისე რეგიონალურ პოლიტიკაში, რადგან ავტორი იმ პერიოდისათვის თურქეთის რესპუბლიკას ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტად და უშუალოდ მისი პოლიტიკის გამტარებლად მიიჩნევდა.

აღ. დუგინის წიგნში გამოთქმული შეხედულება და აზრი ჩვენთვის არა მხოლოდ საკამათო, არამედ აშკარად მიუღებელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მით უფრო აუცილებელია ღრმად და საფუძვლიანად გავეცნოთ ყველა არსებულ თუ მომზადების პროცესში მყოფ დოქტრინასა თუ იდეოლოგიას, რომელიც ჩვენს ინტერესებს უშუალოდ ეხება.

ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია დუგინის შედარებით თანამედროვე წიგნები და სტატიები, რომლებშიც ის უკვე ძალიან

დამთბარია თურქეთის მიმართ და უფრო მეტიც, ევრაზიის ძლიერი იმპერიის შექმნისათვის იგი რუსეთის ხელისუფლებას თურქეთის რესპუბლიკასთან აუცილებელი კავშირებისაკენ მოუწოდებს.

რუსი გეოპოლიტიკოსის ბოლო ნაშრომებიდან, რომლებიც ჩვენს მიერ იქნა გამოყენებული განსაკუთრებით საინტერესოა: „Основы Евразийства” (М. 2008), „Проект Евразия” (М. 2008) და „Четвертая политическая теория” (М. 2009).

აღნიშნულ წიგნებში დუგინის აზრით, რუსეთის ფედერაციამ და ხმელეთის სხვა სახელმწიფოებმა თვითგადარჩენის მიზნით აუცილებლად უნდა შექმნან ძლიერი ევრაზიული სახელმწიფო, რომელიც შეძლებს საბოლოოდ დაამარცხოს ზღვის სახელმწიფოები. აღნიშნული ახალი იმპერიის ლიდერი, ავტორის აზრით, რა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაცია უნდა გახდეს. ნაშრომებში კარგად ჩანს, რომ ევრაზიულობის პროექტში სხვა ევროპის ძლიერ სახელმწიფოებთან, თურქეთის რესპუბლიკამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა. ავტორი ამასთანავე ამტკიცებს, რომ ახალგაზრდა თურქეთის რესპუბლიკის ფესვები „ჰარტლანდშია” და რომ რესპუბლიკის სულის ჩამდგმელი მუსტაფა ქემალ ათათურქი ხმელეთის სახელმწიფოებს ყოველთვის თავის მოკავშირეებად მიიჩნევდა, ხოლო ზღვისას პირიქით (ამ შემთხვევაში მას საუბარი აქვს დიდ ბრიტანეთზე). ჩვენთვის ასევე განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღ. დუგინი თურქებს სრულებით ამართლებს, ქურთული პრობლემის ძალისმიერი გზით მოგვარების საკითხში და თანახმაა, რომ ანკარამ არანაირი ანგარიში არ გაუწიოს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ 12 მილიონზე მეტ ქურთულ ეთნოსს, ეს მაშინ, როდესაც ის პარალელურად მხარს უჭერს სეპარატიზმს საქართველოს რეგიონებში, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, სადაც დღეს არაქართველი მოსახლეობის რაოდენობა ერთად აღებული დაახლოებით 150 ათასიც კი არ იქნება. არადა

რეალურად ალ. დუგინისაგან უფრო მართებული იქნებოდა, რომ თურქები გაემართლებინა არა ქურთებთან მიმართებაში, არამედ კუნძულ კვიპროსის წინააღმდეგ მიმართულ აგრესიაში, რადგან ამაზე მეტ დაუნდობლობას იჩენს მისი სახელმწიფო დღეს საქართველოსთან მიმართებაში, იმ დროს, როდესაც ჩვენს ქვეყანას მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უნდა, რუსეთი საოკუპაციო ჯარებს აგზავნის და ომს უწყებს ისეთ პატარა სახელმწიფოს, როგორც საქართველოა.

ამრიგად, ალ. დუგინის ყველა ნაშრომი, რომელიც ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახლდათ, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოსა და თურქეთის პროგრესული ძალებისათვის, ისე მსოფლიო თანამეგობრობისათვის, რადგან დუგინი გახლავთ კრემლის იდეოლოგი, მისი სურვილების ხმამაღლა განმცხადებელი და გეოპოლიტიკოსი, რომლის მთავარი მიზანი რუსეთის უძლეველი იმპერიის აღორძინებაა. აქვე იმასაც დავძენთ, რომ თავის დროზე ა. ჰიტლერი და მისი პოლიტიკური გუნდი, სწორედ ცნობილი გეოპოლიტიკოსების აზრის გამოვალისწინებელი გახლდნენ, რაც, როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიოში ყველაზე დიდი ომის დაწყებით დასრულდა.

გამორჩევით გვინდა აღვნიშნოთ პოლონელ-ამერიკელი (დაიბადა ქ. ვარშავაში 1928წ.) პოლიტოლოგისა და სახელმწიფო მოღვაწის ზბიგნევ ბუჟინსკის წიგნი „The Grand Chessboard” (New York 1997.) „დიდი საჭადრაკო დაფა”. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი საუბრობს იმის შესახებ, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, არაევრაზიულმა სახელმწიფომ, როგორ შეძლო გამხდარიყო ერთპიროვნული ლიდერი ევრაზიულ სახელმწიფოებს შორის. მაგრამ მიუხედავად ამ გამარჯვებისა, ავტორის აზრით, ფარული ბრძოლა ზღვისა და ხმელეთის სახელმწიფოებს შორის კვლავ გრძელდება, რადგან

ევრაზია მაინც ინარჩუნებს თავის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, როგორც მისი დასავლეთი ნაწილი ევროპის სახით, ისე აღმოსავლეთი ნაწილიც, აზიის სახით, რადგან ბოლო პერიოდისათვის ეს უკანასკნელი გახდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ეკონომიკური სიძლიერის მფლობელი. ყოველივე ამის შემდეგ ზ. ბუჟინსკის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატები იძულებულია იბრძოდეს იმისათვის, რომ ევრაზიაში შექმნას თანასწორუფლებიანი სახელმწიფოები, რადგან შეძლოს შეინარჩუნოს თავისი პოლიტიკური ჰეგემონია, განახორციელოს თავისი საბოლოო პოლიტიკური მიზანი და შექმნას ისეთი მსოფლიო წესრიგი, სადაც განსაკუთრებით დიდი როლი დაეთმობა კაცობრიობის ინტერესების გათვალისწინებას. აქვე ავტორი მკაფიოდ და დაბეჯითებით ურჩევს ამერიკის სპეცსამსახურებს, რომ არ დაუშვან შეერთებული შტატების გეოსტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის ხელისშემშლელი რაიმე გაერთიანების, კერძოდ „ევრაზიული იმპერიის“ შექმნა, რუსეთის ხელმძღვანელობით, რადგან ზ. ბუჟინსკის აზრით, ევრაზიულ გაერთიანებას ყოველთვის შეუძლია ხელი შეუშალოს ამერიკას თავისი გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელებაში. სწორედ ამიტომ ავტორის მიზანია გამოკვეთოს თვალსაზრისი, რომ მისი ქვეყნისათვის აუცილებელია, სახელმწიფოს მმართველმა წრეებმა სწორად ჩამოაყალიბონ და განიხილონ თანამედროვე ევრაზიული გეოპოლიტიკა.

ამავე ნაშრომში ბუჟინსკის ძალიან კარგად აქვს ნაჩვენები თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკური როლი ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის რეგიონებში. ავტორის აზრით, რაც ჩვენთვისაც მისაღებია, მიუხედავად რიგი პრობლემებისა, თურქეთი ირანთან ერთად აღნიშნულ რეგიონში ითვლება მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცენტრად, რადან იგი ასტაბილიზებს შავი ზღვის

რეგიონს, აკონტროლებს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს და აწონასწორებს რუსეთს სამხრეთ კავკასიაში.

დღეისათვის თურქეთის რესპუბლიკა გახლავთ ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ერთადერთი მუსლიმური სახელმწიფო, რომელიც ოფიციალურად წინააღმდეგია ისლამური ფუნდამენტალიზმის და გახლავთ „ნატო“-ს სამხრეთი ფლანგის უშუალო დამცველი. ამრიგად, ბუეზინსკის აზრით დესტაბილიზაცია თურქეთის რესპუბლიკაში გამოიწვევს დესტაბილიზაციას მთელს რეგიონში და ხელს შეუწყობს „რუსეთის იმპერიას“, სამხრეთ კავკასიის კვლავ თავისი გავლენის ქვეშ მოქცევაში.

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის პერიოდში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ თანამედროვე თურქი პოლიტიკოსებისა და მეცნიერების უკანასკნელი 5-10 წლის მანძილზე გამოქვეყნებული მონოგრაფიები და გამოკვლევები თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკასა და გეოსტრატეგიაზე, ქვეყნის როლზე საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში, ანკარის, როგორც მიმდინარე, ისე მომავალ საგარეო და საშინაო პოლიტიკურ კურსზე, თურქული სახელმწიფოს ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორც არის ქურთების სეპარატისტული ბრძოლა თავისუფლებისათვის, პრობლემები ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით და მწვავე ურთიერთობები საბერძნეთთან შუაზე გახლეჩილი კუნძული კვიპროსითურთ.

აღნიშნული ნაშრომებიდან უპირველესად გვინდა გამოვყოთ ბ. თანორის (B. Tanör), ქ. ბორატავისა (K. Boratav) და ს. აქშინის (S. Akşin) ნაშრომი „Büyükü Türkiye 1980-2003“ (დღევანდელი თურქეთი 1980-2003), რომელშიც ავტორებს დაწვრილებით აქვთ აღწერილი თანამედროვე თურქეთის ისტორია და საშინაო და საგარეო პოლიტიკა 1980 წლიდან 2003 წლამდე.

წიგნში კარგად არის განხილული, როგორც რესპუბლიკაში 1980 წელს მომხდარი სამხედრო აჯანყება, ასევე მისი დასრულების შემდეგ არსებული სამხედრო რეჟიმი და 1982 წელს მიღებული ქვეყნის მოქმედი კონსტიტუცია. მონოგრაფიაში დაწვრილებით არის საუბარი ქვეყანაში 1980-2003 წლებში ჩატარებული ყველა არჩევნებისა და მასში გამარჯვებული პარტიების ისტორია, მათი შიდა და საგარეო პოლიტიკური საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნაშრომის ავტორების აზრით, თურქეთის რესპუბლიკის წარმატებული მომავალი აუცილებლად დაკავშირებულია ევროკავშირში გაწევრიანებასა და საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობების კიდევ უფრო გააქტიურებასთან.

ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია ნაშრომის ის ნაწილი, რომელშიც მოცემულია დოკუმენტები: ზემოთ აღნიშნულ პერიოდში „Resmi Gazet“-ში გამოქვეყნებული თურქეთის პარლამენტის მიერ მიღებული კანონების გარკვეული ნაწილი და თურქეთის უმაღლესი საარჩევნო კომიტეტის გადაწყვეტილებები 1983-87 წლებში.

დისერტაციაზე მუშაობისას მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია ა. ალკანის (A. Alkan) ნაშრომმა „Karadeniz güvenliği“ („შავი ზღვის უსაფრთხოება“). აღნიშნულ მონოგრაფიაში ავტორი განიხილავს თუ რა როლი უკავია თურქეთის რესპუბლიკას შავი ზღვის ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. იგი თავის სამშობლოს წარმოაჩენს როგორც ძლიერ, განვითარებულ, რეგიონალურ სახელმწიფოს, დაწვრილებით განიხილავს ანკარის გეოპოლიტიკას შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფოებისადმი და ნათლად ასახავს თურქეთის იმ პოლიტიკურ ქმედებებს, რომლებიც მიმართული გახლავთ შავი ზღვის აკვატორიის უსაფრთხოებისათვის. ა. ალკანი დაწვრილებით ეხება როგორც რუსეთის ფედერაციის და თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ ინტერესებს აღნიშნულ

რეგიონში, ისე ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ მიზნებს შავი ზღვის აკვატორიის სახელმწიფოების მიმართ. ნაშრომში ასევე დაწვრილებითაა განხილული სამხრეთ კავკასიის განვითარებადი რეგიონი, მისი აქტიური პრობლემები და თურქეთის რესპუბლიკის ურთიერთობა აღნიშნული რეგიონის სახელმწიფოებთან.

თურქი პოლიტიკოსებიდან და მეცნიერებიდან ჩვენთვის ასევე საყურადღებოა თ. თოფური (T Topur). იგი საერთაშორისო დიპლომატი გახლავთ, მოღვაწეობდა თურქეთის რესპუბლიკის ელჩად ამერიკის შეერთებულ შტატებში, კვიპროსში, ბრიუსელში, იყო ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში თურქეთის წარმომადგენელი და ა.შ.

საგარეო ურთიერთობებში ორმოცი წლის მოღვაწეობის შემდეგ თ. თოფურმა საქმიანობა განაგრძო „Yeditepe“-სა და „Kadir Has“-ის უნივერსიტეტებში, სადაც აქტიური პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა დაიწყო. ავტორის მიერ გამოცემული ნაშრომებიდან ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „küreselleşme jeopolitika ve milli güvenlik“ (გლობალიზაცია, გეოპოლიტიკა და ნაციონალური უსაფრთხოება), რადგან აღნიშნულ წიგნში კარგად არის განხილული „ცივი ომის“ შემდგომი მდგომარეობა მსოფლიოში და თურქეთის როლი საერთაშორისო უსაფრთხოებაში. ავტორი ასევე საუბრობს ახალ გეოპოლიტიკურ ხედვებზე, რომელიც განსაკუთრებით მკვეთრად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოჩნდა, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონიასა და თურქეთის რესპუბლიკის ნაციონალურ უსაფრთხოებაზე. მას მიაჩნია, რომ დასავლეთი: ჩრდილო ატლანტიკური გაერთიანება და ევროკავშირი არიან ის დემოკრატიული ძალები, რომელთანაც თურქეთის წარმატებული მომავალი არის დაკავშირებული. თ. თოფური მონოგრაფიაში საუბრობს იმაზეც, რომ ევროკავშირმა

აუცილებლად უნდა მიიღოს თურქეთი თავის ოჯახში, ხოლო თუ ანკარამ მომავალში თავისი საგარეო კურსი შეცვალა, ავტორი ფიქრობს, რომ ეს სტრატეგიული შეცდომა იქნება არა თურქების ბრალი, არამედ იმ ევროპელი მმართველებისა, რომლებიც უარს ამბობენ მისი ქვეყნის მათ ორგანიზაციაში მიღებაზე.

თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებს ეხება აგრეთვე რ. ოლსონის (R. Olson) ნაშრომი „Trkiye'nin Suriye, Israel ve Rusya ile ilişkileri: 1979-2001” (თურქეთის ურთიერთობები სირიასთან, ისრაელთან და რუსეთთან) მონოგრაფიაში ავტორს დაწვრილებით აქვს განხილული ზემოთ აღნიშნულ წლებში თურქეთის ურთიერთობა სირიასთან, ისრაელთან და რუსეთთან.

რ. ოლსონი წიგნის პირველ ნაწილში საუბრობს ანკარის სირიასთან ურთიერთობაზე, განსაკუთრებით დიდი ადგილი აქვს დაკავებული ამ სახელმწიფოებს შორის 1998 წლის სექტემბერ-ოქტომბერში არსებულ კრიზისს, რომელიც კინაღამ საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდა. აღნიშნული კრიზისის მთავარი მიზეზი გახლდათ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებული „ქურთისტანის მუშათა პარტიის” ლიდერი ა. ოჯალანი, რომელიც სირიაში მნიშვნელოვან ინფორმაცია პოლიტიკური დევნილის სტატუსით იმყოფებოდა.

ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა თურქეთ-ისრაელ-ამერიკის პოლიტიკურ ურთიერთობებსა და თანამშრომლობებს სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში.

ხოლო მესამე ნაწილში კი ავტორი ვრცლად საუბრობს სსრკ-ს დაშლის შემდეგ ანკარისა და მოსკოვის ურთიერთობების გადრმაგებასა და თანამშრომლობაზე. პარალელურად იგი საუბრობს თუ რა თანადგომას უწევდნენ რუსები ქურთებს საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში და თურქები ჩეჩნებს, რუსულ-ჩეჩნური ომების

დროს. ავტორი ასევე მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს აღნიშნული სახელმწიფოების ახალ გეოპოლიტიკურ სტრატეგიებს, სადაც ძალიან შორეულ პერსპექტივაში განიხილავს მსოფლიოში მოვლენების ისეთ განვითარებას, რომ შესაძლო გახდეს თურქეთის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის გეოპოლიტიკური მოკავშირეობა.

თურქეთის რესპუბლიკის ქურთულ პრობლემასთან დაკავშირებით საინტერესო მონოგრაფია აქვთ დაწერილი მ. ქინაქს (M. Kaynak) და ო. მეტეს (Ö. Mete). წიგნის სახელწოდებაა „Derin PKK Büyük oyun’un gizli kodları” („ქურთისტანის მუშათა პარტიის სიღრმეში დიდი თამაშების საიდუმლო კოდები“). აღნიშნულ ნაშრომში ავტორები ამხილებენ „ქურთისტანის მუშათა პარტიას“, როგორც ტერორისტულ ორგანიზაციას, მათ დაწვრილებით დოკუმენტების სახით აქვთ გადმოცემული ქურთების აჯანყებები, ასევე განიხილავენ, ამბოხებული ქურთები პოლიტიკური მოთხოვნებიდან თუ როგორ გადავიდნენ ტერორზე, რა ტერაქტები მოაწყო ა. ოჯალანის „ქურთისტანის მუშათა პარტიაში“ თურქული მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ და რა როლს თამაშობენ „თითქოსდა თავისუფლებისთვის მებრძოლი ტერორისტები“ თურქული და ქურთული ეთნოსების ერთმანეთთან დაპირისპირების საქმეში.

პარალელურად, ავტორები განიხილავენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში და მათ აშკარა თანადგომას ერაყში მცხოვრებ ქურთულ მოსახლეობასთან მიმართებაში. ნაშრომში ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის თავი, სადაც მ. ქინაქი და ო. მეტე თამამად აყენებენ იმ მოსაზრებას, რომ დღეისათვის თურქეთისათვის შეიძლება უფრო მომგებიანი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა და მასთან სერიოზული სამხედრო და პოლიტიკური კავშირების დამყარება

იყოს, რადგან მათ მიაჩნით, რომ ამერიკა პირადი გეოპოლიტიკური მიზნების გამო უკვე აშკარად დალატობს თავის ძველ სტრატეგიულ მოკავშირეს და ამ მოსაზრების დასტურად მოაქვთ ის, რომ ვაშინგტონი, ანკარის მტრების მიმართ აშკარად მეგობრულადაა განწყობილი.

ჩვენი ყურადღება მიიქცია აგრეთვე თ. ქორქმაზის (თ. ორქმაზ) წიგნმა „Ankara vashington hattı” („ანკარა ვაშინგტონის ხაზი“) რომელშიც ავტორი საუბრობს შეერთებული შტატებისა და თურქეთის რესპუბლიკის ურთიერთობებზე XX საუკუნის მეორე ნახევრიდან XXI საუკუნის საწყის ეტაპამდე. იგი კარგად აღწერს თუ რა წვლილი მიუძღვის აშშ-ს თურქეთის რესპუბლიკაში 1960 წლის 27 მაისისა და 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედროების მიერ მოწყობილ აჯანყებებში. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი სადაც ავტორი დაწვრილებით საუბრობს თუ რატომ გაჩნდა ბზარი ამერიკისა და თურქეთის ურთიერთობებში 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტის გამო ვაშინგტონის მიერ ახლო აღმოსავლეთში წამოწყებული სამხედრო კამპანიების შემდეგ.

თ. ქორქმაზი ასევე ეხება ქურთების პრობლემას და ამერიკელების ქურთებისადმი საკმაოდ კეთილგანწყობილებაზე საუბრობს. საინტერესოა ასევე ავტორის აზრი იმის შესახებ, თუ რა როლს თამაშობდა თურქეთის რესპუბლიკა 90-იანი წლების შემდეგ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობებში და იყო თუ არა მართლა ანკარა ამ პერიოდში ვაშინგტონის სატელიტი და რეგიონში მისი სურვილების გამხმოვანებელი და შემსრულებელი.

თ. ქორქმაზის აზრით, XXI საუკუნის დასაწყისისათვის თურქეთმა ნელ-ნელა მოიპოვა თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რაც მსოფლიოს თუნდაც იმით დაანახა, რომ ერაყის ომის დროს ამერიკის შეერთებული შტატების არმიას უფლება არ მისცა, ესარგებლა მისი ტერიტორიით. საბოლოოდ

ავტორი თვლის, რომ უკვე ანკარა კიდევ უფრო მეტად დამოუკიდებელი გახდეს და რეგიონში დაიწყოს, ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება, როგორც თურქეთის სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის, ისე მთელი რეგიონის დემოკრატიზაციისა და განვითარებისათვის.

თურქეთის ისტორიისა და გეოპოლიტიკის თანამედროვე მკვლევართა შორის ანგარიშგასაწევია ა. ჩეჩენის (A. Çeçen) მეცნიერული შეხედულებები თურქეთის გეოპოლიტიკაზე. პროდასავლური პოლიტიკოსებისა და მეცნიერებისაგან განსხვავებით, მისი აზრით, ქვეყნის მომავალი და ძლიერება მხოლოდ და მხოლოდ ევრაზიულობაშია. თავის ნაშრომში „Türkiye ve Avrasya” („თურქეთი და ევრაზია“) ა. ჩეჩენი საუბრობს იმის შესახებ, რომ დედამიწაზე არსებულ იმპერიებთან შედარებით ყველაზე ფართო იმპერია, საბჭოთა კავშირი, 73 წლის არსებობის შემდეგ, როგორც კი დაიშალა, მსოფლიო ახალ გეოპოლიტიკურ პერიოდში შევიდა. ავტორის აზრით, როდესაც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან მთელი ქვეყანა ორ პოლიტიკურ პოლუსად გაიყო. თურქეთის რესპუბლიკა თვითგადარჩენის მიზნით იძულებით წავიდა დასავლეთისკენ, შეუერთდა ზღვის სახელმწიფოებს და გახდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი.

დასრულდა თუ არა „ცივი ომი“, ანკარისათვის მოიხსნა საბჭოეთიდან წამოსული ინტერვენციის საფრთხე. სწორედ ამის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკას მიეცა ახალი შესაძლებლობების გამოხატვის საშუალება და დასავლეთის მხარდაჭერით დაიწყო თამამი ურთიერთობა, როგორც რუსეთის ფედერაციასთან, ისე საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგად წარმოქმნილ ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებთან, რის გამოც თანდათან მოიპოვა რეგიონში როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური სიძლიერე. აქედან გამომდინარე, ავტორი ფიქრობს, რომ მის სამშობლოს დღეს,

XXI საუკუნის დასაწყისში უკვე საკმაოდ გაძლიერებულს, ყველაზე დიდი შანსი ეძლევა მოსცილდეს დასავლეთს და დაუბრუნდეს თავის ევრაზიულ ფესვებს, სწორედ ევრაზია მიაჩნია ა. ჩეჩენს ისეთ ძლიერ ძალად, რომელსაც შეუძლია დაამხოს მსოფლიოში ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ავტორი რუსი გეოპოლიტიკოსებიდან განსხვავებით, ნაშრომში იმასაც ამტკიცებს, რომ თურქეთის რესპუბლიკა არის ევრაზიის ცენტრი და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, დღეს მას უფრო სჭირდება თურქეთის სახელმწიფო, ვიდრე თავად ანკარას ევრაზია, რადგან იგი გახლავთ ერთ-ერთი დამაკავშირებელი ხიდი ევროპასა და აზიას შორის, ასევე მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ როლს თამაშობს როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე ბალკანეთსა და კავკასიაში. საბოლოოდ ავტორი იშველიებს რა მუსტაფა ქემალ ათათურქის მისწრაფებებს ევრაზიისაკენ, თურქეთის რესპუბლიკის გაბრწყინებულ მომავალს მხოლოდ ევრაზიასთან ერთად ხედავს და ამტკიცებს, რომ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებს თურქი ხალხი მიაღწიოს სრულ, პოლიტიკურად დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფოს შექმნას.

ევრაზიულობის მომხრეობასთან ერთად ა. ჩეჩენი „Türkiye ve Avrasya“-ში აჩენს თავის იმპერიალისტურ ზრახვებს და ამტკიცებს, რომ დასავლეთ თრაკია (ჩრდილო-აღმოსავლეთ საბერძნეთი) და ბულგარეთი თურქთა ქვეყნის შემადგენელი ნაწილია.

რაც შეეხება რუსეთს, ავტორი მომავალში არ გამორიცხავს თურქეთისა და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობას, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მკაცრად აკრიტიკებს მოსკოვს ჩეჩნებთან მიმართებაში.

მიუხედავად ძლიერი გეოპოლიტიკური ხედვებისა, ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ა. ჩეჩენს, რადგან მისი თეორიები გვერდს

უელის დემოკრატის და საკუთარი ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას. უარყოფს მუსტაფა ქემალ ათათურქის აზრს თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებთან დაკავშირებით და თამამად იჭრება სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებსა და გეოპოლიტიკურ სივრცეში.

დისერტაციაზე მუშაობისას დიდი დახმარება გაგვიწია სამეცნიერო სტატიების კრებულმა „Türkiye'nin jeoekonomisi ve jeopolitikasi, Türkiye geleceğın neresinde?“ („თურქეთის გეოეკონომიკა და გეოპოლიტიკა; თურქეთის მომავალი სად არის?“) წიგნის გამომცემლები არიან ნ. დოდანი (N. Doğan), ფ. ქულა (F. Kula), და მ. ოჯალი (M. Öcal).

აღნიშნული ნაშრომი გახლავთ თურქეთის რესპუბლიკის მაშტაბით წამყვანი პროფესორების სამეცნიერო კვლევების კრებული ქვეყნის გეოეკონომიკასა და გეოპოლიტიკაზე. კრებულით ავტორები ცდილობენ გაარკვიონ თუ სად და ვის გვერდით შეიძლება იყოს მათი სამშობლოს მომავალი. წიგნის პირველ ნაწილში სხვადასხვა მეცნიერები საუბრობენ როგორც თურქეთის რესპუბლიკის შიდა ეკონომიკაზე და მის პრიორიტეტებზე, ისე თურქეთის სახელმწიფოს როლზე გლობალურ გეოეკონომიკაში. ნაშრომებში ასევე კარგად არის განხილული ევროკავშირისა და ანკარის ეკონომიკური ურთიერთობები.

კრებულის მეორე ნაწილი ჩვენთვის საინტერესო თემას გეოპოლიტიკას ეთმობა:

მეჰმეთ ოჯალი (M. Ojal) თავის ნაშრომში „შეცვლილი სფეროსებული უსაფრთხოების შუაში თურქეთის ახალი უსაფრთხოების პოლიტიკა“ საუბრობს როგორც თურქეთის რესპუბლიკის თანამედროვე უსაფრთხოების პოლიტიკაზე და სტრატეგიაზე, ასევე მის მომავალ გეოპოლიტიკაზე, რიგი მეცნიერებისაგან განსხვავებით, მ. ოჯალი თურქეთის მომავალს

კვლავ ამერიკასთან განსაკუთრებით მჭიდრო სამხედრო კავშირში ხედავს, მაგრამ მიუხედავად ამისა ის მაინც არ ერიდება აშშ-ს გაკრიტიკებას მისი ქურთებთან მეგობრული პოლიტიკის გამო.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ელიფ შიმშეკის (E. Şimşek) ნაშრომი „1991 წლიდან დღემდე სამხრეთ კავკასიისა და თურქეთის საგარეო პოლიტიკა“, სადაც ავტორი თამამად ამტკიცებს, რომ სამხრეთ კავკასიას რეგიონში მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული ადგილი უჭირავს და ეთანხმება თურქეთის რესპუბლიკის საგარეო კურსს ამ მიმართულებით, რაც ძირითადად გამომდინარეობს ანკარის ეკონომიკური და პოლიტიკური მხარდაჭერით აზერბაიჯანსა და საქართველოსთან მიმართებაში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ე. შიმშეკი თურქეთის მმართველ წრეებსა და საერთშორისო თანამეგობრობას მოუწოდებს მეტი ყურადღება დაუთმონ აღნიშნულ სახელმწიფოებს, რათა ისინი არ გახდნენ მორიგი პროვოკაციის მსხვერპლი ყარაბახის, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო სტატია ავტორს 2007 წელს აქვს დაბეჭდილი და ფაქტიურად, ნაწინასწარმეტყველები აქვს საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკული მოვლენები.

აღნიშნული კრებულიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია ასევე ჯ. დურას (C. Dura) ნაშრომმა „ევროკავშირი და თურქეთი“, სადაც ავტორი თურქეთის მომავალს ევროპასთან ინტეგრირებაში ხედავს და ამტკიცებს იმას, რომ მათი ევროკავშირში გაწევრიანება ზარალს კი არ მიაყენებს ევროპის ეკონომიკას, არამედ პირიქით.

ამასთან ერთად ავტორი საუბრობს ანკარის იმ ალტერნატიულ გზებზე, რომლითაც მომავალში განსაკუთრებით ევროკავშირი დაზარალდება. ჯ. დურა ასეთ გზად რუსეთის ფედერაციას მიიჩნევს და ამტკიცებს, რომ მოსკოვისა და ანკარის სტრატეგიული

მოკავშირეობის მიღწევის შედეგად ევროპისათვის ალტერნატიული ენერგო გზები საბოლოოდ ჩაიკეტება.

მოცემულ კრებულში ჩვენთვის ასევე საინტერესო სამეცნიერო ნაშრომები აქვთ: ჰ. თურშუჯუსა (H. Turşuc) და ო. კირლის (Ö. Kirli) „რესპუბლიკელობა, დემოკრატია და თურქეთი“, მ. ოჯალს (M. Öcal) „შეცვლილი მსოფლიო უსაფრთხოება და თურქეთის ახალი უსაფრთხოების პოლიტიკა“, მ. ნაკიპს (M. Nakip) „თურქეთის პერსპექტივები კირკუკში, ერაყი და თურქმენები“, ნ. დოღანს (N. Doğan) „გლობალური მშვიდობის პროექტი დემოკრატია: თეორიული დიკუსია და შუა აღმოსავლეთის მომავალი“ და ა.შ.

ასევე მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია რ. ინანჩისა (R. Ynanç) და ჰ. თაშდემირის (H. Taşdemir) რედაქტორობით გამოცემულმა სამეცნიერო კრებულმა „Uluslararası güvenlik soruları ve Türkiye“ (საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხები და თურქეთი). აღნიშნული წიგნი გახლავთ „ankara Universitesi“-ს, „Gazi Universitesi“-სა და „Istanbul universitesi“-ს წამყვანი პროფესორების სამეცნიერო ნაშრომების კრებული, რომელთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა:

ჩ. ერქანის (Ç. Erkan) „ცივი ომის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ახალი უსაფრთხოების აღქმა“, სადაც ავტორს კარგად აქვს განხილული, თუ როგორ პოლიტიკას ატარებდა შტატები „ცივი ომის მსვლელობაში“ და როგორ შეიმუშავა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახალი გეოპოლიტიკური სტრატეგია.

მნიშვნელოვანია თ. ილმაზის (T. Ilmaz) ნაშრომი „შუა აღმოსავლეთის უსაფრთხოების საკითხები და თურქეთი“. სადაც ავტორი მოგვითხრობს რეგიონში „ცივი ომის“ შემდეგ არსებულ წონოსწორობაზე და უშუალოდ თურქეთის რესპუბლიკის როლსა და ურთიერთობაზე მეზობელ აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან

საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. ასევე ავტორს საუბარი აქვს 90-იანი წლების შემდგომ თურქეთისა და ისრაელის ურთიერთთანამშრომლობაზე, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ, ისე სამხედრო სფეროში.

ასევე საინტერესოა ზ. დაღის (Z. Dagi) გამოკვლევა „რუსეთის უსაფრთხოების პოლიტიკა და თურქეთი“. ავტორი საუბრობს საერთაშორისო უსაფრთხოებასა და თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე, ასევე 2000 წელს გამოქვეყნებულ სამხედრო დოქტრინაზე, იმის ავტორი კარგად ხსნის თუ რატომ დიზიანდება კრემლი „ნატო“-ს საზღვრების გაფართოებაზე.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ნაშრომის ის ნაწილი, სადაც ზ. დაღი საუბრობს რუსეთისა და თურქეთის ერთობლივი უსაფრთხოების საკითხებზე და უშუალოდ ანკარისა და მოსკოვის ურთიერთთანამშრომლობის სისწორეზე.

ჰ. თაშდემირის (H. Taşdemir) სტატია „კავკასიის უსაფრთხოების საკითხები“ იმ მხრივ არის ჩვენთვის საინტერესო, რომ პირველ რიგში საუბარია ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების შესახებ, გარდა ამისა ავტორი მსჯელობს თუ რა როლს ასრულებს თანამედროვე ეტაპზე თურქეთის რესპუბლიკა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

ფ. ი. ჩაკარი (F.I. Çakar) ნაშრომში „თურქეთის ტრადიციული უსაფრთხოების საკითხები: კვიპროსი“ საუბრობს კუნძულ კვიპროსის გეოგრაფიასა და მის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე, თურქეთის რესპუბლიკის მიერ კვიპროსის თურქული მოსახლეობის თანადგომაზე და იმის შესახებ, რომ კვიპროსის პრობლემა ბერძნების აგრესიული პოლიტიკის შედეგად წარმოიშვა. ავტორი ასევე განიხილავს ევროპელთა უარყოფით როლს პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით, რადგან იგი თვლის, რომ ევროპელები ბერძნების სასარგებლოდ საკმაოდ დიდ

ტენდენციურობას იხევენ, რაც თუნდაც იმაში გამოჩნდა რომ კვიპროსის ბექნული ნაწილი სრულიად უპრობლემოდ გახდა ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი.

თაზი - I

თურქეთის სახელმწიფოს გეობრაფიულ-გეოპოლიტიკური მდებარეობა, ისტორიული წარსული და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემა.

§ – 1. გეობრაფიულ-გეოპოლიტიკური მდებარეობა

თურქეთის რესპუბლიკა ევრაზიული სახელმწიფოა, რომელიც მდებარეობს ანატოლიის ნახევარკუნძულზე, დასავლეთ აზიასა და თრაკიაში, (რუმელია) სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის, ბალკანეთის რეგიონში.

ცნობილია, რომ ორ კონტინენტზე სტრატეგიული მდებარეობის გამო თურქეთის კულტურა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ტრადიციათა უნიკალური ნაზავია. იდეალური გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო თურქეთს სახელმწიფომ ბოლო საუკუნეებში განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა.

თურქეთის დედაქალაქია ანკარა. ადმინისტრაციულად სახელმწიფოს ტერიტორია დაყოფილია ოთხმოცდაერთ პროვინციად რასაც თურქულად „ილი“ ეწოდება (იხ. დანართი№1}. პროვინციები თავის მხრივ გაერთიანებულია შვიდ რეგიონში ცენზისთვის, თუმცა მათ ადმინისტრაციული დათვირთვა არა აქვს. ყოველი პროვინცია დაყოფილია რაიონებად, რაც საერთო ჯამში 923 რაიონს შეადგენს. [118]*

თანამედროვე თურქეთს ესაზღვრება რვა ქვეყანა: ბულგარეთი, საბერძნეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი (ნახიჩევანი), ირანი, ერაყი და სირია. სამხრეთით თურქეთს ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვა, დასავლეთით ეგეოსის ზღვა. ანატოლიას თრაკიისაგან აშორებს მარმარილოს ზღვა და თურქეთის სრუტეები

* 118 – გამოყენებული ინტერნეტ რესურსის ნუმერაცია, აქ და სხვაგან ტექსტში

(ბოსფორი და დარდანელი), რომლებსაც აზიასა და ევროპას შორის საზღვრად მიიჩნევენ, რის გამოც თურქეთის რესპუბლიკა ტრასკონტინენტური ქვეყანაა.

ანატოლიას თრაკიისაგან აშორებს მარმარილოს ზღვა და თურქეთის სრუტეები: ბოსფორი და დარდანელი, რომლებსაც აზიისა და ევროპის საზღვრად მიიჩნევენ, რის გამოც, როგორც მოგეხსენებათ, თურქეთი ტრანსკონტინენტური ქვეყანაა [118].

იგი მდებარეობს აღმოსავლეთ ნახევარსფეროში, აღმოსავლეთ გრძედის 25 49' და 44 48' და ჩრდილოეთ განედის 35 51' და 42 06' შორის. მისი ფართობია 814 578 კმ². ტერიტორიის ძირითადი ნაწილი – დაახლოებით 97% (790 200 კმ²) – მდებარეობს აზიაში, ხოლო 3% (24 378 კმ²) - ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (აღმოსავლეთ თრაკია).

აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ სახელმწიფოს გეოპოლიტიკური მდებარეობის შეფასებისას უდიდესი ყურადღება ექცევა მის გეოგრაფიულ ფაქტორს, რადგან ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები სახელმწიფოს ძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. სწორედ ჩვენს მიერ ქვემოთ აღნიშნული გეოგრაფიული მდებარეობაა, იმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა, რომ თურქთა სახელმწიფო დღესდღეობით, მთელი მსოფლიოს მაშტაბით, გეოპოლიტიკურად ძლიერი და ანგარიშგასაწევი ქვეყანა გახლავთ.

წიგნში „გეოპოლიტიკა“ პოლიტოლოგი ა. გეგეშიძე მიუთითებს, რომ გეოპოლიტიკური მდებარეობის ქვეშ, ჩვეულებრივ, ქვეყნის სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებების, ეკონომიკური ტრასებისა და განსხვავებული ეთნო-კულტურული ტრადიციების მქონე სახელმწიფოების მდებარეობა იგულისხმება. ვინაიდან მსოფლიო პოლიტიკა და ეკონომიკა უაღრესად დინამიური

პროცესების ერთობლიობაა, გეოპოლიტიკური მდებარეობაც ძალზე ცვალებადია სახელმწიფოებისათვის სივრცესა და დროში.

თურქეთის რესპუბლიკის აზიური მხარე მოიცავს მცირე აზიის (ანატოლიის) ნახევარკუნძულს, აღმოსავლეთ ანატოლიის ზეგანს და სირია-მესოპოტამიის ზეგანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს.

თურქეთის ტერიტორიის მაქსიმალური სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთით 1565 კმ-ია, ხოლო ჩრდილოეთიდან სამხრეთით 550 კმ. თურქეთს ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება საქართველო (საზღვრის სიგრძე 288 კმ), აღმოსავლეთით – სომხეთი (312 კმ), აზერბაიჯანი (10 კმ) და ირანი (454 კმ). სამხრეთ-აღმოსავლეთით – ერაყი (331 კმ) და სირია (877 კმ), ჩრდილო-დასავლეთით – საბერძნეთი (212 კმ) და ბულგარეთი (269 კმ). მთლიანად სახმელეთო საზღვრის სიგრძეა 2753 კმ. [26-4]

თურქეთის რესპუბლიკა გამოირჩევა დანაწევრებული რელიეფით, რომლის ტერიტორიის საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს 1132 მეტრს. ანატოლიის უმეტეს ნაწილს მოიცავს მცირე აზიის მთიანეთი, რომლის რიგებშიც შედიან მაღალი, ხეობებით დანაწევრებული მთათა ქედები და ფართო მშრალი ზეგნები. დაბლობები ქვეყანაში ცოტაა, ისინი განლაგებული არიან საზღვაო სანაპიროს ცალკეულ მონაკვეთებზე, ძირითადად მდინარეების შესართავებთან.

თურქეთის აზიური ტერიტორიის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში განლაგებულია მთათა რკალები, რომელთა განშტოებები ზღვისკენ ციცაბოდ ეშვება. მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, დაახლოებით 1000–1200 კმ-ზე, გადაჭიმულია ჩრდილოეთ ანატოლიის მთები („კონტოს მთები“, საშუალო სიმაღლე 2500 მეტრი). აღმოსავლეთით ისინი აღწევენ ჩვენი ქვეყნის, საქართველოს საზღვრამდე, დასავლეთით მდინარე საქარიას ხეობამდე. თურქეთს სახელმწიფოს აღმოსავლეთ ნაწილში

მთათა ქედების მაქსიმალური სიმაღლეა 3932 მეტრი (მთა ქაჩქარი), დასავლეთით პონტოს ქედები დაბლდება 1000-1500 მეტრამდე (მაქსიმალური სიმაღლე მთა იარალიგიოზი – 2019 მეტრი) [118].

თურქეთის სამხრეთით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ირან-თურქეთის საზღვრამდე გადაჭიმულია მეორე რთული მთათა სისტემა – თავრი* იგი არ წარმოადგენს ერთ მთლიან ჯაჭვს და იყოფა სამ ნაწილად: დასავლეთი – „ლიკიის“, ცენტრალური – „კილიკიის“ და აღმოსავლეთი – „დიდი სომხეთის“ თავრი.

დასავლეთ თავრის მთათა სისტემა რკალად შემოევლება ანტალიის ყურეს და დაბლობს. მთათა ჯაჭვი დაყოფილია ღრმა ვაკეებით და დანაწევრებულია კანიონებით. მაქსიმალური სიმაღლეებია – მთა აქდალი (სიმაღლე 3014 მ) და მთა ელმალი (სიმაღლე 2490 მ).

ცენტრალური თავრი გამოირჩევა რელიეფის ალპური ტიპით. მრავალი მწვერვალის სიმაღლე აღემატება 3000 მეტრს (მთა მედეთსიზი – 3524 მ; მთა აიდოსი – 3480 მ). კილიკიის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში ცენტრალური თავრის მთათა სისტემა უახლოვდება ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს. სანაპიროს ზოგიერთ მონაკვეთში არის ალუვიური ვაკის ზოლები (აღანის, ანამურის, მანავგათის, სილიფქიეს რაიონები). სილიფქიედან მთები მკვეთრად უხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით და ქმნის თურქეთში ყველაზე დიდ ალუვიურ ვაკეს – აღანის ვაკეს.

ცენტრალური თავრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გაგრძელებაა ბინბოგისა და ბეიდალის მთათა ჯაჭვების, რომლებიც ასევე ცნობილია ანტითავრის სახელით. ეს ქედები თანდათანობით დაბლდება და უერთდება უზუნიალის ზეგანს, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ-ანატოლიის ოროგრაფიულ რაიონში. ცენტრალური

* თავრი - ე.წ. „ტოროსის მთები“

თავრი ქმნის ცნობილ ხეობას – კილიკის კარებს, რომელზეც გადის მცირე აზიის აღმოსავლეთთან დამაკავშირებელი რკინიგზა და ავტომაგისტრალი.

აღმოსავლეთ („დიდი სომხეთის“) თავრი გადაჭიმულია სამხრეთით მდ. მურათიდან (ევფრატის შენაკადი) და ვანის ტბიდან ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვრებამდე. მისი აღმოსავლეთი ნაწილი (ჰაქქარის რაიონი) ყველაზე ამაღლებულია, რიგი მწვერვალებისა ცილდება 4000 მეტრს (მთა ბულუზი – 4116 მ). აღმოსავლეთ თავრის სამხრეთით მდებარეობს დიარბაქირის ქვაბული, რომელიც სამხრეთით დაბლდება.

ჩრდილოეთ ანატოლიისა და სამხრეთ ანატოლიის მთათა შორის განლაგებული ანატოლიის ზეგანი იყოფა სამ ოროგრაფიულ რაიონად: დასავლეთი, შიდა და აღმოსავლეთ ანატოლია.

დასავლეთ ანატოლიის ოროგრაფიული რაიონი მოიცავს ეგეოსისა და მარმარილოს ზღვების სანაპირო რაიონებს. ზღვების ნაპირებიდან წამოსული ქედები მდინარეების ხეობებთან მონაცვლეობენ. მთები უმეტეს შემთხვევაში საშუალო სიმაღლისაა. მაქსიმალური სიმაღლე 2543 მეტრი (მთა ულუდალი).

თურქეთის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი – აღმოსავლეთ თრაკია წარმოადგენს ქვაბულს (მდ. მარიცის მარცხენა შენაკადის – მდ. ერგენეს ხეობა), რომელსაც სამხრეთ-აღმოსავლეთით თექირდაღის მთები (მაქსიმალური სიმაღლე მთა განოსი, 924 მ), ხოლო ჩრდილოეთით ბალკანეთის მთების განშტოება ისტრანჯას მთები (მაქსიმალური სიმაღლე მთა მაჰია, 1031 მ) აკრავს.

შიდა ანატოლია წარმოადგენს ანატოლიის ზეგანის ყველაზე ამაღლებულ ნაწილს. იგი შედგება ქვაბულებისაგან, რომელთა შორისაც გამოირჩევიან დაბალი სიმაღლის ქედები. სიმაღლე მატულობს დასავლეთიდან აღმოსავლეთით – 800-1200 მეტრიდან 1500 მეტრამდე. ერთ-ერთ ასეთ პლატოზე, 850 მეტრის სიმაღლეზე

განლაგებულია ქ. ანკარა. ზეგანის სამხრეთ ნაწილში აღმართულია რიგი ჩამქრალი ვულკანები. [26-37]

აღმოსავლეთ ანატოლიის ზეგანს, რომელზეც განლაგებულია მაღალი მთები (1500 მ-დან 2500 მ-მდე), ჩრდილოეთით აკრავს პონტოს მთები, ხოლო სამხრეთით აღმოსავლეთ თავრი. აქ მაღალი ქედები ერწყმის ღრმა ქვაბულებს. სომხეთის საზღვრის მახლობლად აღმართულია თურქეთის ყველაზე მაღალი მთა – დიდი არარატი, სიმაღლე 5165 მეტრი. გვერდით აღმართულია მცირე არარატის კონუსი – 3896 მეტრი [118].

რაც შეეხება თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკურ მდებარეობას, მასში იგულისხმება ჩვეულებრივ ქვეყნის სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებების, ეკონომიკური ტრასებისა და განსხვავებული ეთნო-კულტურული ტრადიციების მქონე სახელმწიფოების მდებარეობა [17-195]. ვინაიდან მსოფლიო პოლიტიკა და ეკონომიკა უაღრესად დინამიური პროცესების ერთობლიობაა, გეოპოლიტიკური მდებარეობაც ძალზე ცვალებადია სახელმწიფოებისათვის სივრცესა და დროში. პოლიტიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ამა თუ იმ ქვეყნის მდებარეობის შეფასება სამ სივრცით მასშტაბში ხდება. ესენია მაკრო, მეზო და მიკრო დონეები.

მაკრომდებარეობა მსოფლიო მნიშვნელობის სამხედრო და პოლიტიკური ცენტრების მიმართ მდებარეობას ნიშნავს. ამ კვანძებთან სიახლოვე მნიშვნელოვნად განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყნის გეოპოლიტიკურ კურსს, მის მონაწილეობას სხვადასხვა სამხედრო ბლოკებში, ან პოლიტიკურ კავშირებში [17–196]. მაკრომდებარეობის შეფასებისას მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ქვეყნის მდებარეობას მსოფლიო ეკონომიკური ცენტრებისა და სატრანსპორტო მაგისტრალების, ხალხის, საქონლის, კაპიტალისა და ინფორმაციის გადაადგილების არხების მიმართ.

სამხედრო პოლიტიკური თვალსაზრისით თურქეთის რესპუბლიკას მისი მდებარეობის გამო აქვს დიდი პოტენციალი იყოს* და მომავალშიც გაწევრიანდეს, მსოფლიოსათვის უდიდეს სამხედრო გაერთიანებებში.

ეკონომიკური თვალსაზრისით თურქეთის რესპუბლიკის შეფასება ხდება, როგორც მისი ადგილობრივი წარმოების რესურსებით, ასევე სატრანსპორტო კომუნიკაციების სახეობების მიხედვით. თურქეთი საზღვაო ქვეყანაა, იგი ნახევარკუნძულია, რომლის ირგვლივაც ოთხი ზღვაა განლაგებული. თურქები აკონტროლებენ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს, რისი მნიშვნელობითაც მათ (შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში) ნებისმიერ დროს შეუძლიათ შავი ზღვის ტბად გადაქცევა. ყოველივე აქედან გამომდინარე მსოფლიოში იმ სახელმწიფოთა შორის, რომელთა მაკრომდებარეობა იდეალურია, როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, ერთ-ერთი თურქეთის რესპუბლიკაც გახლავთ.

მეზომდებარეობა რეგიონში მდებარეობას ნიშნავს, მაგალითად თურქეთის რესპუბლიკის ანატოლიაში მდებარეობა, საქართველოს სამხრეთ კავკასიაში და შავი ზღვის რეგიონში მდებარეობა და ა.შ. [17–197]. მეზომდებარეობის ელემენტია ასევე მსოფლიოს „ცხელი წერტილების“ მიმართ მდებარეობა. აღნიშნულ წერტილებთან სიახლოვე ან დაშორება განაპირობებს ამა თუ იმ ქვეყნის დადებით ან უარყოფით მეზომდებარეობას.

თურქეთის რესპუბლიკა განეკუთვნება მახლობელ აღმოსავლეთს, რომელიც, როგორც ცნობილია მეზომდებარეობით და შესაბამისი მიმართებებით დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი

* 1952 წლიდან თურქეთის რესპუბლიკა გახლავთ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის (NATO) სრულუფლებიანი წევრი.

ურთულესი რეგიონი გახლავთ კონფლიქტების სფეროში. ამას ემატება უშუალოდ ანკარის პრობლემები მის ევროპელ მეზობელ საბერძნეთის სახელმწიფოსთან, რომელთანაც მას უთანხმოება და პრეტენზიები გააჩნია როგორც გარკვეულ ტერიტორიებთან, ასევე ორად გახლეჩილ კუნძულ კვიპროსთან დაკავშირებით, ამასთანავე თურქეთს უდიდეს პრობლემას უქმნის 2003 წლის ამერიკა-ერაყის ომის შემდეგ, ახალი ერაყის სახელმწიფოში არსებული ქურთების ავტონომიური ელემენტი, რომელიც აძლიერებს და მხარს უჭერს ქურთულ სეპარატიზმს, თავად თურქთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე. [75–253]. ყოველივე ამასთან ერთად თურქული ნაციონალური სახელმწიფო გახლავთ, მუდამ მშფოთვარე კავკასიის მეზობელი სადაც, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის ბოლოდან, ძველი, დაკონსერვებული კონფლიქტები მუდმივ მიმდინარეობაშია.

სახელმწიფოს განვითარების საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მეზობელი ქვეყნების სახელმწიფო წყობა, (მსგავსი ან განსხვავებული), ეკონომიკის განვითარების დონე, არის თუ არა მდიდარი ეს ქვეყანა ბუნებრივი რესურსებით, აქვს თუ არა მსგავსი სამხედრო ორიენტაცია, არის თუ არა დაპირისპირებული მის მოკავშირეებთან და ა. შ.

ამ მხრივ ის რეგიონი, რომელშიც თურქეთის რესპუბლიკა იმყოფება, მეტად არეული და არასტაბილური გახლავთ, რადგან მისი მეზობელი სახელმწიფოების უმეტესობა, როგორც ცნობილია, ნებისთ თუ უნებლიედ, ჩათრეული არიან მრავალგვარი სახის კონფლიქტებში, რაც პრობლემას უქმნით მათ განვითარებაში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონი საკმაოდ მდიდარია რესურსებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მაგალითად, თავად ახლო აღმოსავლეთი უმდიდრესია ნავთობის რესურსებით, უკრაინა მდიდარია რკინით, ქვანახშირით, ხორბლით, შუა აზია გაზით,

ნავთობით. რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა თითქმის ყველა სახის რესურსით. რუსეთით მდიდარი არა, მაგრამ თურქეთის რესპუბლიკაშიც მეტ-ნაკლებად მოიპოვება თითქმის ყველა სახის რესურსები. (იხ. დანართი №–2).

ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით რეგიონი განვითარებადი ქვეყნების ღონეზე იმყოფება. ყველაზე განვითარებული ეკონომიკა აქვს საბერძნეთს, თავად თურქეთის რესპუბლიკას, ასევე ისრაელს, რუსეთსა და ირანს. დიდი ეკონომიკური პოტენციალი აქვს ერაყს, უკრაინას, აზერბაიჯანს და ა. შ.

სამხედრო-პოლიტიკური ორიენტაციის მხრივ რეგიონის სახელმწიფოებს შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ერთდროულად თანაარსებობენ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის, ნატოს წევრი რამდენიმე ქვეყანა და ყოველივე ამერიკულისა და დასავლეთის მოძულე რუსეთის ფედერაცია და ირანის რესპუბლიკა.

რეგიონის ქვეყნებში სახელმწიფო წყობის ტიპებიც ძალზე განსხვავებულია: თურქეთის რესპუბლიკა პროდასავლური დემოკრატიული რესპუბლიკაა, რუსეთის ფედერაცია თითქოსდა დემოკრატიული ღირებულებების მქონე, მაგრამ რეალურად იმპერიული სახელმწიფოა, ირანი ისლამური რესპუბლიკაა სპარსეთის ყურის ქვეყნების უმრავლესობა აბსოლუტური მონარქიებია და ა. შ.

რელიგიური კუთხით თუ შევხედავთ, აღნიშნული რეგიონი, უმეტესწილად ქრისტიანულ–მუსულმანურია. მხოლოდ ებრაელთა სახელმწიფო, ისრაელი გახლავთ ერთადერთი ქვეყანა, სადაც ოფიციალური სახელმწიფო რელიგია იუდაიზმი გახლავთ.

მიკრომდებარეობა გულისხმობს ქვეყნის საზღვრების სხვადასხვა მონაკვეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო–სტრატეგიული თვალსაზრისით შეფასებას [17–198]. ასე

მაგალითად, თურქეთის რესპუბლიკაში არსებული ცენტრალური თავრის რელიეფი, გამოირჩევა ალპური ტიპით და იგი არახელსაყრელია ეკონომიკური კავშირებისათვის. აქ ძნელია მაგისტრალების, სარკინიგზო გზების გაყვანა და სხვა კომუნიკაციების სისტემების ამოქმედება. მაგრამ არსებული ქედები და მთები, ამ მხრივ რეალურად ქვეყნის მაკრომდებარეობაზე ვერანაირ უარყოფით გავლენას ვერ ახდენენ, რადგან იგი ნახევარკუნძულოვანი გახლავთ და ამასთანავე ძალიან დიდი და გაშლილი სივრცის ბატონ-პატრონია. რეალურად თურქეთის ირგვლივ მდებარე ზღვები მის მაკრომდებარეობას ხელს უწყობს, როგორც ეკონომიკურ, ისე თავდაცვის სფეროში.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ განხილული რეგიონი გახლავთ სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორია, მაგრამ ამასთანავე იგი მეტად მშფოთვარე და არასტაბილურია. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე ისტორიისათვის ცნობილია აღნიშნულ ტერიტორიაზე მომხდარი, თუ მიმდინარე კონფლიქტების შესახებ.

§ – 2. სახელმწიფო წყობა

„ცივი ომის“ დასრულებამ და მსოფლიოს მეორე ზესახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის საბოლოო დაშლამ, რეგიონში პოლიტიკური კავშირებისა და კონფრონტაციის გეომეტრია შეცვალა, [16-14] ძლიერი ისტორიული გავლენით სივრცეში: ევროპას, ცენტრალურ აზიას, რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთს შორის, თურქეთის რესპუბლიკამ XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებული გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა.

თურქთა თანამედროვე სახელმწიფო დემოკრატიული, სეკულარული და უნიტარული რესპუბლიკაა, რომლის პოლიტიკური სისტემა ჩამოყალიბდა, მუსტაფა ქემალ ათათურქის* მეთაურობით, რომელიც მთავრობაში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიის დაცემისა და რევოლუციის შედეგად მოვიდა.

1922 წელს მუსტაფა ქემალის თაოსნობით თურქეთში გაუქმდა სასულთნო, 1923 წლის სექტემბერში დაფუძნდა სახალხო რესპუბლიკური პარტია, რომლის მთავარი დებულებები გახლდათ:

* მუსტაფა ქემალ ათათურქი – დაიბადა 1881 წელს ქ. სალონიკში (ახლანდელი თესალონიკე) იგი გახლდათ ოსმალეთის არმიის ოფიცერი და რევოლუციონერი სახელმწიფო მოღვაწე, თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი და მისი პირველი პრეზიდენტი. მუსტაფა ქემალმა მყისვე დაიმკვიდრა თავი, როგორც წარმატებულმა სამხედრო მეთაურმა გალიპოლის ბრძოლაში დივიზიონის მეთაურად მსახურობის განმავლობაში. ოსმანთა იმპერიის მოკავშირეთა მიერ დამარცხების შემდეგ, რასაც თურქეთის დანაწილების გეგმა მოჰყვა თან, ქემალი წინ გაუძღვა თურქების ნაციონალურ მოძრაობას, რასაც შემდგომში თურქების დამოუკიდებლობისათვის ომი დაერქვა.

რესპუბლიკურობა, ნაციონალიზმი, ხალხურობა, ეტატიზმი,* ლაიციზმი* და რევოლუციურობა. აღნიშნული დებულებები შეტანილი იქნა ახლად შექმნილი პარტიის პირველ პროგრამაში.

1923 წლის 29 ოქტომბერს სახალხო რესპუბლიკურმა პარტიამ თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა. იმავე დღეს თურქთა გამარჯვების სულისჩამდგემელი მუსტაფა ქემალი პირველ პრეზიდენტად აირჩიეს. ნაკლებად კონსოლიდირებული ხელისუფლების პირობებში რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა თავის მომხრეებთან ერთად ისლამური ქვეყნებისათვის უპრეცედენტო სეკულარული რეფორმები დაიწყო: 1924 წლის მარტში მან გააუქმა სახალიფო, ხოლო 1928 წელს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ კონსტიტუციიდან ამოიღო ის ფრაზა, სადაც ეწერა: „თურქეთის სახელმწიფო რელიგია ისლამია“ [29-433], ამით ქემალმა რელიგია საბოლოოდ გამოყო სახელმწიფოს. ამავე პერიოდისათვის შეიქმნა ახალი სამოქალაქო კოდექსი, გაუქმდა ისლამური კალენდარი, თურქეთი ევროპულ გრიგორიანულ კალენდარზე გადავიდა. აიკრძალა მრავალცოლიანობა, დაკანონდა განქორწინება, ქალები უფლებებრივად გაუთანაბრდნენ მამაკაცებს და მიენიჭათ საარჩევნო უფლებები. დაიდო ზღვარი რელიგიასა და სახელმწიფოს შორის, დაკანონდა საერო განათლება, აუცილებელი გახდა ევროპული ყაიდის სამოსის ტარება, შეიზღუდა ულემების

* ეტატიზმი – გახლავთ სახელმწიფოს ჩარევა საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, სამეცნიერო და სხვა საქმიანობაში. ეტატიზმი საზოგადოების პოლიტიზაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა, როდესაც პოლიტიკა რაციონალური ურთიერთქმედების ზღვარს სცდება და ცდილობს განსაზღვროს ცხოვრების თითოეული სფეროს ფუნქციონირება, რის შედეგადაც ზღუდავს და აფერხებს მას. აქვე დაემენტ იმასაც, რომ ჩვენი აზრით იმ პერიოდის თურქეთისათვის ეტატიზმი აუცილებელი იყო.

* ლაიციზმი – გულისხმობს რელიგიის გამოყოფას სახელმწიფოებისაგან

(სასულიერო მოძღვრების) გაკლენა სასწავლო პროცესზე და მართმსაჯულებაზე, გაუქმდა პირველი უღემის თანამდებობა და შარიათის სამონასტრო სასწავლებლები, მათ შორის რელიგიური სკოლები, განათლების სამინისტროს დაექვემდებარა.

1928 წლის 1 ნოემბერს ქემალის თაოსნობით დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი, რომლის მეშვეობითაც არაბული ანბანიდან თურქული დამწერლობა გადმოვიდა ლათინურ ალფაბიტზე, რათა მოსახლეობას წერა-კითხვის ათვისება გაადვილებოდა [29-434], მოგახსენებთ, რომ ნაციონალისტურ რევოლუციამდე, თურქეთში მოსახლეობის მხოლოდ ოთხი პროცენტი იყო წერა-კითხვის მცოდნე.

1934 წელს მიღებული იქნა კანონი გვარების შესახებ, რითიც მოსახლეობა იძულებული შეიქმნა სახელთან და მამის სახელთან ერთად საკუთარი გვარი შეეძინა და ეტარებინა, ამ კანონით გაუქმდა ასევე ტიტულები და მიმართვის ძველი ფორმები [29-436]. ამავე წელს, ამ კანონთან დაკავშირებით, მუსტაფა ქემალს დიდმა ეროვნულმა კრებამ მიანიჭა ათათურქის ანუ თურქთა მამის გვარი [15–21].

მუსტაფა ქემალმა აღნიშნული რეფორმების მეშვეობით თურქეთი ჩამორჩენილ მუსულმანურ სახელმწიფოებს დააცილა და თანამედროვე ევროპულ ქვეყნებს დაუახლოვა, მან საბოლოოდ მრავალეროვნული ისლამური, იმპერიული სტრუქტურის ნაცვლად, შექმნა ახალი რესპუბლიკური სახელმწიფო ნაციონალური წყობით. იგი რეფორმების გატარებისას თავის გამოსვლებში თამამად მოუწოდებდა თურქ ხალხს: „ჩვენ ცივილიზაციის გზას დავადექით და მას აღარ გადავუხვევთ. ვინც ჩამოგვრჩება, ცივილიზაციის ბობოქარ ნაკადში დაიხრჩობა. ცივილიზაცია ისეთი ძლიერი ცეცხლია, რომ ვინც მას ეწინააღმდეგება, უეჭველად დაიწვეება" [11-57].

ქემალ ათათურქი 1938 წლის 10 ნოემბერს ქ. სტამბოლში გარდაიცვალა, იგი დაკრძალეს ქ. ანკარაში, სპეციალურად აგებულ

მაგზოლეუმში [23–60], რომელსაც თურქულად „ANIT KABIR” ეწოდება.

თურქეთის რესპუბლიკა გახლდათ აღმოსავლეთის პირველი სახელმწიფო, რომელმაც კავშირი გააწვიტა თავის ძველ სულიერ, რელიგიურ და გეოპოლიტიკურ ტრადიციებთან, რომელშიც პირველ რიგში იგულისხმება ოსმალეთის იმპერიის აგრესიული, დაპყრობითი და პროისლამური პოლიტიკა.

მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ სწორი პოლიტიკის გატარების შედეგად შექმნილმა ახალმა თურქულმა ნაციონალურმა სახელმწიფომ გაუძლო ოსმალეთის იმპერიის სხვა ერების ზეწოლას და თავისი, საკუთარი ისტორიის ათვლა დაიწყო. გავიდა ათეული წლები, თითქმის მთელი საუკუნე და ნაციონალურ თურქეთს, აქამდე ახსოვს მისი შემქმნელი მუსტაფა ქემალ ათათურქი თავისი ნაციონალური იდეებით, რომლებიც დღესაც თანამედროვე თურქეთის სახელმწიფოს დერძს წარმოადგენენ. ქვეყნის პოლიტიკურ სპექტრში და საზოგადოებაში არიან: მემარჯვენეები, მემარცხენეები, რესპუბლიკელები, მუსლიმანები და ა.შ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველი თანამედროვე თურქი მოქალაქისათვის ნაციონალური სახელმწიფო უმაღლესი განძია.

1987 წლის 14 აპრილს თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრმა თურგუთ ოზალმა ევროკავშირში შეიტანა ოფიციალური განცხადება [29-540], რომლითაც იგი თურქეთის ევროპულ ოჯახში სრულუფლებიან წევრად მიღებას ითხოვდა. რამდენიმე წლის შემდეგ, იყო რა ევროპის ეკონომიკური საბჭოს ასოცირებული წევრი 1963 წლიდან და საბაჟო კავშირის წევრი 1995 წლიდან, ასევე მთელი რიგი პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების გამო, 1999 წლის ოქტომბერში, ჰელსინკის ევროკავშირის სამიტის გადაწყვეტილებით, თურქეთის რესპუბლიკა ევროპის კავშირში გაწევრიანებისათვის ოფიციალურ კანდიდატ ქვეყნად დასახელდა [29-544].

მიუხედავად ყოველივე ამისა, ანკარა რიგი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემებისა და მოთხოვნების გამო დღემდე ვერ გახდა ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი, რა მიზეზითაც ოფიციალურად კვლავაც გრძელდება მოლაპარაკებები ევროპასა და თურქეთს შორის.

დღეისათვის თურქეთის რესპუბლიკა არაოფიციალურად გახლავთ მუსლიმანური სახელმწიფო, რომელსაც კვლავ ევროპეიზაცია და ევროპასთან შერწყმა სურს, მაგრამ იგი როგორც მეტწილად მაჰმადიანური ქვეყანა, პარალელურად აგრძელებს ახლო კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინდუსტრიულ ურთიერთობებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიასთან.

ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კლასიფიკაციით თურქეთის რესპუბლიკა განვითარებული ქვეყანაა, ხოლო მსოფლიოს საერთაშორისო ექსპერტების, პოლიტიკური მეცნიერებისა და ეკონომისტების დიდი ნაწილის შეფასებით ის რეგიონული სახელმწიფოა.*

რესპუბლიკაში დღეისათვის მოქმედებს 1982 წლის კონსტიტუცია ცვილებებითა და დამატებებით, რომელიც შედგება პრეამბულისაგან და 7 ნაწილისაგან. კონსტიტუციის პრეამბულაში და მის პირველ ნაწილში (1-11 მუხლები) განსაზღვრულია ქვეყნის სახელმწიფო წყობის ძირითადი პრინციპები: მმართველობის რესპუბლიკური წყობა, რესპუბლიკის აღიარება დემოკრატიულ, საერო (ლაიცისტურ), სოციალურ-სამართლებლივ სახელმწიფოდ; ქვეყნისა და ერის განუყოფლობა; კონსტიტუციის უზენაესობა; საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების

* რეგიონული სახელმწიფო - ეწოდება ისეთ ქვეყნებს, რომელთა გავლენის სფერო: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა, სცილდება მეზობელ სახელმწიფოებს და ვრცელდება მთელს რეგიონზე.

ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობა. მეორე თავი (12-74 მუხლები) ეძღვნება მოქალაქეთა პირად, სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს, ასევე ამ უფლებების გარანტიებს. მესამე ნაწილში (75-160 მუხლები) რეგლამენტირებულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების კომპეტენციები; განსაზღვრულია ხელისუფლების ორგანოთა – პარლამენტის, პრეზიდენტის და მინისტრთა კაბინეტის არჩევის წესები; ჩამოყალიბებულია საგანგებო, სააღყო და საომარი მდგომარეობის გამოცხადების ნორმები და წესები, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ფორმირების წესები. მეოთხე ნაწილში (161-173 მუხლები) ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობაა განხილული. მეხუთე ნაწილში (მუხლი 174) ჩამოთვლილია „რევოლუციური კანონები“, რომლებიც სახელმწიფოს საერო ხასიათის გამყარებისათვის, მიღებულ იქნა 1924-34 წლებში. მეექვსე ნაწილში დაფიქსირებულია 16 დროებითი დადგენილება, რომლითაც დადგენილ იქნა დროებითი საომარი რეჟიმიდან წარმომადგენლობით დემოკრატიაზე გადასვლის წესები. მეშვიდე ნაწილი (175-177 მუხლები) წარმოადგენს დასკვნით მუხლებს, რომლებიც ადგენენ კონსტიტუციის ცვლილების წესებს [60-82], ასევე ძირითადი კანონის ძალაში შესვლის პირობებს.

კონსტიტუციის შესაბამისად თურქეთში საკანონმდებლო ფუნქცია ეკისრება ერთ პალატიან პარლამენტს (მეჯლისს) – თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას (Türkiye Büyük Milli Meclisi), რომელიც 550 დეპუტატისაგან შედგება. დეპუტატები აირჩევიან საყოველთაო, პირდაპირი არჩევნების მეშვეობით 5 წლის ვადით. არჩევნები ტარდება ფარული წესით. თურქეთის მოქალაქეებს, რომელთაც შეუსრულდათ 19 წელი, უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებსა და რეფერენდუმებში. საყოველთაო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ ვადიანი სამხედრო

სამსახურის რიგითებსა და უნტერ-ოფიცრებს, სამხედრო სასწავლებლების კურსანტებსა და მსმენელებს, ასევე მსჯავრდებულებს, რომლებიც იხდიან სასჯელს [29–519].

დეპუტატობის კანდიდატებისათვის ასაკობრივი ცენზი უფრო მაღალია – კანდიდატს უნდა შეუსრულდეს 30 წელი (თუმცა 59-ე მთავრობის პროგრამაში გათვალისწინებულია აღნიშნული ასაკობრივი ცენზის 25 წლამდე დაწვევა). დეპუტატობის კანდიდატები ძირითადად რეგისტრირდებიან პარტიული სიებით ან დამოუკიდებლად. პარლამენტში არ შეიძლება არჩეულ იქნას პირი, რომელსაც არ აქვს დაწყებითი განათლება, არ აქვს მოხდილი სავალდებულო სამხედრო სამსახური, ნასამართლევია განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის. ასევე არ შეუძლიათ საკუთარი კანდიდატურის წარდგენა მოსამართლეებსა და პროკურორებს, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს, სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციებისა და საწარმოების თანამშრომლებს, თუ დადგენილ ვადებში არ განთავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობებიდან [64-34]. საამომრჩევლო ცენზთან ერთად არსებობს სხვა შეზღუდვებიც, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მოქალაქის დეპუტატობის მანდატისაგან ჩამოშორება. კერძოდ, ზემოთ აღნიშნული კატეგორიის პირებს არ აქვთ უფლება იყვნენ რომელიმე პარტიის წევრი, რაც გამორიცხავს მათ ჩართვას პარტიულ სიებში.

თურქეთში არჩევნები ტარდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის საერთო ხელმძღვანელობითა და კონტროლით. იგი შედგება შვიდი ძირითადი და ოთხი სარეზერვო წევრისაგან. კომისიის ექვსი წევრი აირჩევა უმაღლესი საკასაციო სასამართლოს კოლეგიის მიერ, ხოლო ხუთი სახელმწიფო საბჭოს კოლეგიაზე აღნიშნული სასამართლოების შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრის მეშვეობით. ცენტრალური საარჩევნო კომისიის

გადაწყვეტილება არჩევნებთან დაკავშირებული სარჩელებისა და პროტესტების შესახებ საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ყველა ამომრჩეველი შეიტანება ადმინისტრაციული ოლქების მიხედვით შედგენილ სიებში, რომლებიც მუდმივმოქმედია და ყოველწლიურად ხდება მათი გადახედვა, დადგენა და დამატება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ. საარჩევნო პოსტზე კანდიდატის წარდგენა ხდება პარტიების მიერ, რომელთა ხელმძღვანელობაც ამზადებს კანდიდატთა სიებს. დეპუტატობის „დამოუკიდებელ კანდიდატებს“ პრაქტიკულად მცირე შანსი აქვთ. მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობით თურქეთში გამოიყენება პროპორციული სისტემა, რომლის მიხედვითაც პარტიამ დეპუტატების მანდატების მოსაპოვებლად უნდა გადალახოს 10%-იანი ბარიერი.

თურქეთის საკონსტიტუციო-სამართლებრივი დოქტრინა არ ცნობს იმპერატიულ მანდატს* და დეპუტატების გამოთხოვნის უფლებას. ისინი ითვლებიან მთელი ერის წარმომადგენლებად და არა ოლქებისა და იმ მოქალაქეებისა, რომლებმაც მათ მისცეს ხმა. სხვა ქვეყნების მსგავსად დეპუტატებს კონსტიტუციით აქვთ მინიჭებული ხელშეუხებლობის იმუნიტეტი, რომლითაც მათ მაღალი ანაზღაურება (უტოლდება მინისტრების ანაზღაურებას) განესაზღვრებათ.

კონსტიტუციით დეპუტატს ეკრძალება საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციებში, პროფესიულ კავშირებსა და საქველმოქმედო ფონდებში, ვაქიფებში* პოსტების შეთავსება. ამ

* იმპერატიული მანდატი – ამომრჩეველთა განაწესი, რომლის აუცილებლად შესრულება ევალება ამომრჩეულ პირს ან ორგანოს.

* vakif - (თურქ) ფონდი

წესის გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დეპუტატი მინისტრის პოსტზე დაინიშნება.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების სესია ყოველწლიურად, პირველ ოქტომბერს სპეციალური მოწვევის გარეშე იხსნება. სესიის სხდომებს შორის შესვენებები და საპარლამენტო არდადეგები საერთო ჯამში სამ თვეს არ აჭარბებს. საგანგებო სხდომის მოწვევა შეუძლიათ ქვეყნის პრეზიდენტს თავისი ან მინისტრთა კაბინეტის მოთხოვნით, ასევე მეჯლისის თავმჯდომარეს ან დეპუტატებს [118], 1/5 ნაწილის ინიციატივის საფუძველზე. მეჯლისის სხდომა იხსნება ქვორუმის (დეპუტატების 1/3 რაოდენობა) არსებობის შემთხვევაში, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება დეპუტატების საერთო რიცხოვნობის 1/4-ით. დეპუტატს, რომელიც 1 თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გააცდენს 5 სხდომას, შესაძლოა, მანდატი ჩამოერთვას. პარლამენტის პლენარული სხდომები ძირითადად ღია ხასიათისაა და დეპუტატების გამოსვლები მეჯლისის ოფიციალურ მაცნეში იბეჭდება, ასევე ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე. დახურული სხდომის მასალების გამოქვეყნება შესაძლებელია მხოლოდ მეჯლისის შესაბამისი ნებართვით.

ახალი მოწვევის პარლამენტის პირველ სესიაზე იქმნება თურქეთის დიდი ეროვნული კრების ორგანოები და დაწესებულებები, ირჩევა მეჯლისის პრეზიდიუმი, რომელიც შედგება თავმჯდომარისაგან, მისი მოადგილეებისაგან, მდივნებისა და საქმეთა მწარმოებლებისაგან. ხდება პალატის მუდმივმოქმედი კომისიების დაკომპლექტება, პარტიული ფრაქციების ფორმირება. პარტიული ჯგუფები პარლამენტის ორგანოებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ, ასევე ახდენენ ზეგავლენას მათ ყოველდღიურ მუშაობაზე და საკანონმდებლო ორგანოს საერთო მოქმედებებზე.

დეპუტატები, რომლებიც ძირითადად პარტიული სიებით ირჩევიან, ვალდებულნი არიან პარტიული ლიდერის განკარგულებებს დაექვემდებარონ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მათ მანდატი დაკარგონ, რადგანაც პარტიიდან გარიცხვა საფრთხეს უქმნის დეპუტატის მიერ მანდატის შენარჩუნებას.

მეჯლისის კომპეტენციის ძირითადი ნაწილია საკანონმდებლო მოღვაწეობა. მხოლოდ თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას შეუძლია მიიღოს, შეცვალოს ან გააუქმოს კანონები. მეჯლისის ნორმატიულ აქტებს, სხვა ორგანოების აქტებთან კოლიზიის შემთხვევაში გადამწყვეტი იურიდიული ძალა გააჩნიათ. პარლამენტის კომპეტენციაში შედის: მთავრობისა და ცალკეული მინისტრების მომქმედებათა კონტროლი, მინისტრთა კაბინეტისათვის „კანონის ძალის მქონე“ დადგენილების მიღების უფლების მინიჭება (დელეგირებული კანონმდებლობა); სახელმწიფო ბიუჯეტისა და გადასახადების შესახებ კანონის განხილვა და მიღება, ომის გამოცხადებისა და მშვიდობის დამყარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება, დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირება. მას ევალება, მიიღოს გადაწყვეტილება საყოველთაო და ნაწილობრივი ამინისტის შესახებ (იმ პირების გამოკლებით, რომელთაც ჩადენილი აქვთ განსაკუთრებით მძიმე სახელმწიფო დანაშაული). ასევე პარლამენტის უფლებამოსილებაში შედის ქვეყნის პრეზიდენტის არჩევა.

საკანონმდებლო ინიციატივა ეკუთვნის დეპუტატებსა და მინისტრთა კაბინეტს. მთავრობის მიერ შემოტანილი კანონპროექტები და დეპუტატების საკანონმდებლო წინადადებები საბოლოო დამუშავებისათვის გადაეცემა პალატის შესაბამის კომისიას, რომელიც მას საკუთარი რეკომენდაციებითა და კომენტარებით მეჯლისს წარუდგენს. მეჯლისის მიერ მიღებული კანონპროექტი გადაეგზავნება პრეზიდენტს, რომელიც კანონს ხელ აწერს და

პრომულგირებას უკეთებს 15 დღის განმავლობაში ან საკუთარი შენიშვნებით აბრუნებს (ბიუჯეტის შესახებ კანონის გარდა) პარლამენტში ხელახალი განხილვისათვის (გადასავადებელი ვეტო) [29–521]. იმ შემთხვევაში თუ თურქეთის დიდი ეროვნული კრება ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით ერთხელ კიდევ მიიღებს კანონპროექტს, პრეზიდენტი ვალდებულია, დაამტკიცოს იგი. თუ პრეზიდენტს გადაეგზავნება კანონპროექტი (მთავრობის კანონის ძალის მქონე დადგენილება ან მეჯლისის შიდა წესდება), რომლის ცალკეული მუხლები, მისი აზრით, არ შეესაბამება კონსტიტუციას, ხოლო მეჯლისი, ხელმეორე კენჭისყრის შედეგად, კვლავ მოითხოვს მის მიღებას, მაშინ აღნიშნულ კანონპროექტს პრეზიდენტი აგზავნის საკონსტიტუციო სასამართლოში, რომელსაც საბოლოო გადაწყვეტილება 60 დღის ვადაში გამოაქვს [118].

თურქეთის მთავრობის მიერ, რესპუბლიკის სახელით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები ექვემდებარება მეჯლისის მიერ რატიფიკაციას. სავაჭრო-ეკონომიკური ხასიათის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმებები, რომელთა მოქმედების ვადაც არ აღემატება 1 წელს, თუ ისინი სახელმწიფო ბიუჯეტს არ აკისრებს ფინანსურ ვალდებულებას და არ ეხება თურქთა ქონებას უცხოეთში, მოქმედებაში შედის მისი ხელის მოწერისა და ოფიციალურ მაცნეში – „Resmi Gazete“-ში გამოქვეყნების მომენტიდან. ასეთი ხელშეკრულებების შესახებ მთავრობა მეჯლისის წევრებს აცნობებს ორი თვის განმავლობაში. ოფიციალური ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებიც დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ, წესების დაცვით შევლენ მოქმედებებში, იძენენ კანონის ძალას. ამის შემდეგ იკრძალება საკონსტიტუციო სასამართლოში მისი კანონიერების გასაჩივრება.

* „Resmi Gazete (თურქ) - „სურათებიანი გაზეთი“ ოფიციალური გაზეთის სახელწოდება თურქეთში

ქვეყნის ძირითად კანონში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კანონის ძალის მქონე მთავრობის დადგენილებები არ შეიძლება ეხებოდეს მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებს, გარდა იმ ადგილებისა, სადაც სააღყო ან საგანგებო მდგომარეობაა გამოცხადებული.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოღვაწეობის მნიშვნელოვანი სფეროა – სახელმწიფო ბიუჯეტის, ასევე საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავება და მიღება. ბიუჯეტის კანონპროექტი მთავრობის მიერ საგეგმო-საბიუჯეტო კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობით მზადდება და ფინანსური წლის დაწყებამდე (მარტი) 75 დღით ადრე გააქვს მეჯლისში განსახილველად. კომისიის შემადგენლობაში შედის 40 დეპუტატი და კომპლექტდება მეჯლისში პარტიების წარმომადგენლობის პროპორციულად. აქედან არანაკლებ 25 ადგილი გამოყოფილია მმართველი პარტიისათვის, რომლის წევრებისაგან დაკომპლექტებულ მთავრობასაც ზეგავლენა აქვს მომზადების, განხილვის, მიღებისა და შესრულების პროცედურებზე [188].

ძალაუფლების გაყოფის პრინციპის შესაბამისად საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები დამოუკიდებელი არიან. მიუხედავად პრეზიდენტის და მთავრობის ფართო უფლებებისა, პარლამენტს შესწევს უნარი ზემოქმედება მოახდინოს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. პრეზიდენტის მიერ წარდგენილმა პრემიერ-მინისტრმა, მინისტრთა კაბინეტმა და ახალი მთავრობის პროგრამამ უნდა მიიღონ მეჯლისის ნდობის ვოტუმი.*

* ვოტუმი – ინგლისურენოვან პოლიტიკურ ლიტერატურაში ზოგადად კენჭისყრის აღსანიშნავად გამოიყენება. ქართულ პოლიტიკურ პრაქტიკაში იგი დამკვიდრდა უფრო ვიწრო მნიშვნელობით, რაც გულისხმობს მთავრობის ან მისი რომელიმე წევრის პოლიტიკისადმი უნდობლობის გამოცხადებას კენჭისყრის საშუალებით. უნდობლობის ვ-ის გამოტანას მთავრობის გადადგომა მოსდევს. კენჭისყრა შეიძლება განხორციელდეს ხელის აწევით ან ელექტრონული საშუალების გამოყენებით.

პარლამენტს ხელისუფლებაზე ზემოქმედებისათვის აქვს მრავალი სხვა მექანიზმი. მათგან ძირითადი საკითხები პირდაპირ არის ნაჩვენები კონსტიტუციაში: პრემიერ-მინისტრის და მინისტრებისათვის ზეპირი და წერილობითი კითხვების დასმა, მთავრობის მოქმედებისა და მოღვაწეობის შესწავლა და შემოწმება, სახელმწიფოსა და საზოგადოების უმთავრესი პრობლემების მეჯლისის პლენარულ სხდომებზე განხილვა და სხვ. მინისტრთა კაბინეტი კოლექტიურად არის პასუხისმგებელი მეჯლისის წინაშე, რომელსაც შეუძლია თანამდებობა დაატოვებინოს როგორც ცალკეულ მინისტრს, ასევე მთელ მთავრობას. ძირითადად ნდობის გამოცხადება ხდება პრემიერ-მინისტრისათვის. მეჯლისის მიერ პრემიერ-მინისტრისათვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების, პრემიერ-მინისტრის მიერ თანამდებობის დატოვების ან მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში მთელი მთავრობის მოქმედების უფლებამოსილება შეწყდება. მთავრობის პასუხისმგებლობის შესახებ ინტერპელაცია შესაძლებელია მოდიოდეს პარტიული ფრაქციიდან, რისთვისაც საჭიროა 20 დეპუტატის ხელმოწერა [188].

ინტერპელაციის შესახებ წინადადება, მისი სპიკერატში შეტანიდან სამი დღის ვადაში დაბეჭდილი სახით ურიგდება დეპუტატებს და 10 დღის ვადაში მიიღება გადაწყვეტილება მისი დღის წესრიგში ჩართვის შესახებ. ნდობის ვოტუმის თაობაზე განხილვები შესაძლოა დაიწყოს არანაკლებ 2 დღის შემდეგ და არაუგვიანეს შვიდი დღისა, ხოლო ინტერპელაციის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. დათვლის დროს ყურადღება ექცევა მხოლოდ იმ ხმებს, რომლებიც ემხრობა მთავრობის გადადგომას. ამრიგად, მთავრობას არ აქვს იმის რისკი, რომ შესაძლოა, გადაყენებულ იქნას ხმათა უბრალო

პროცედურის კონკრეტული სახე დამოკიდებულია ქვეყნის საპარლამენტო ტრადიციასა და რეგლამენტზე.

უმრავლესობით. იმ შემთხვევაში, თუ საყოველთაო არჩევნების შემდეგ შემდგარი მთავრობა ან მთავრობა, რომელიც შედგება წინა მინისტრთა კაბინეტის გადადგომის შემდეგ 45 დღის ვადაში ვერ მიიღებს მეჯლისის ნდობის ვოტუმს, პრეზიდენტს მეჯლისის თავმჯდომარესთან კონსულტაციების შემდეგ, შეუძლია, დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ახალი საყოველთაო არჩევნები.

განსხვავებით იმ სახელმწიფოებისაგან, სადაც მკვეთრად გამოხატული საპარლამენტო რეჟიმია, თურქეთის დიდ ეროვნულ კრებას არ შეუძლია, პრეტენზია გამოაცხადოს ხელისუფლების ორგანოებს შორის წამყვან როლზე. პრეზიდენტის ჰიპერტროფირებული უფლებები და აღმასრულებელი ხელისუფლების ფართო შესაძლებლობები ამცირებს ეროვნული წარმომადგენლობითი ორგანოს მნიშვნელობას. ამასთან გარკვეული კონსტიტუციური უფლებების არსებობის გამო, პარლამენტს აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს მნიშვნელოვანი ზეგავლენა საქმეთა მდგომარეობაზე და ქვეყნის პოლიტიკურ კონიუქტურაზე.

სახელმწიფო მექანიზმში წამყვანი ადგილი რესპუბლიკის პრეზიდენტს უკავია. იგი სახელმწიფოს მეთაურია და კონსტიტუციის თანახმად წარმოადგენს სახელმწიფოსა და ერის განუყოფლობის სიმბოლოს. პრეზიდენტს გააჩნია ფართო უფლებები აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების სფეროებში. იგი აირჩევა პარლამენტის მიერ 7 წლის ვადით [23–8]. პრეზიდენტს არ აქვს უფლება, არჩეულ იქნეს ხელმეორედ. კონსტიტუციით დადგენილია საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების ვადები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 30 დღეს.

რესპუბლიკის პრეზიდენტად შესაძლოა, არჩეულ იქნას თურქეთის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 40 წელი, აქვს უმაღლესი განათლება და გააჩნია ყველა პირადი და პოლიტიკური უფლება, რომლებიც საჭიროა დეპუტატობის კანდიდატობისათვის.

პრეზიდენტობის კანდიდატმა პირველ ან მეორე ტურში უნდა მოაგროვოს ხმათა 2/3, ხოლო მესამე ტურის გამართვის შემთხვევაში იგი აირჩევა ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით. თუ მესამე ტურშიც არ მოხერხდება პრეზიდენტის არჩევა, ინიშნება მეოთხე ტური. აღნიშნული ტურის წარუმატებლობით დასრულების შემთხვევაში ხდება მეჯლისის დათხოვნა და გადაუდებლად იმართება საპარლამენტო არჩევნები.

კონსტიტუციით დაშვებულია პრეზიდენტის კანდიდატად პირის წამოყენება, რომელიც არ არის დეპუტატი. ეს შესაძლებლობა შეიძლება განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ დეპუტატთა 1/5 პარლამენტის სპიკერატში მის კანდიდატურას წარადგენს წერილობით. კონსტიტუციის თანახმად პრეზიდენტი უნდა იყოს უპარტიო და ნეიტრალური პარლამენტში არსებულ პარტიული შემადგენლობის მიმართ. ამიტომ პრეზიდენტად არჩეული დეპუტატი წყვეტს კავშირს მის პარტიასთან. თურქეთში არ არსებობს ვიცე-პრეზიდენტის პოსტი. მისი ავადმყოფობის, საზღვარგარეთ ვიზიტის ან სიკვდილის შემთხვევაში პრეზიდენტის მოვალეობებს მეჯლისის თავმჯდომარე ასრულებს.

პრეზიდენტი არ ატარებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების გამო. ყველა მის დადგენილებას, რომელიც ეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, ხელს აწერს პრემიერ-მინისტრი ან შესაბამისი მინისტრი, რის გამოც ისინი იღებენ პერსონალურ პასუხისმგებლობას. პრეზიდენტის ვადაზე აღრე გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში – სამშობლოს დაღატისათვის. მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხის დაყენება ხდება მეჯლისის დეპუტატთა 1/3-ის მოთხოვნით, ხოლო სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება პარლამენტართა 3/4 ხმების მოგროვების შემთხვევაში.

ამასთან, ფაქტიურად პარლამენტის წინაშე პასუხისმგებლობის არმქონე პრეზიდენტი დიდ როლს თამაშობს სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში. კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს უფლება აქვს გამოვიდეს საპროგრამო სიტყვით მეჯლისის სესიის ყოველწლიურად გახსნის დღეს – 1 ოქტომბერს [188]. მას აქვს უფლება მოიწვიოს საგანგებო სხდომა. დაითხოვოს მეჯლისი და დანიშნოს ახალი საყოველთაო არჩევნები, დაამტკიცოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი და გამოაქვეყნოს ისინი; მას აქვს უფლება ხელახლი განხილვისათვის დაუბრუნოს პარლამენტს მიღებული კანონპროექტი; საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია რეფერენდუმზე გაიტანოს კანონპროექტები, რომლებიც ეხება საკონსტიტუციო ცვლილებებს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, გადახედოს კანონებს და კანონის ძალის მქონე დადგენილებებს, პარლამენტის შიდა წესდებას ან მათ ნაწილებს, თუ მისი აზრით, ისინი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას.

აღმასრულებელი ხელისუფლების თვალსაზრისით პრეზიდენტს გააჩნია შემდეგი უფლებები: ნიშნავს პრემიერ-მინისტრსა და მისგან იღებს გადადგომის შესახებ მოთხოვნას, ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან მინისტრებს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, შეუძლია, მოიწვიოს მინისტრთა კაბინეტის სხდომა თავისი თავმჯდომარეობით, უცხო სახელმწიფოებში აგზავნის ოფიციალურ დიპლომატიურ პირებს და იღებს სხვა სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლებს, რომლებიც აკრედიტირებულნი არიან თურქეთში; ამტკიცებს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს; შეუძლია საკუთარ თავზე აიღოს თურქეთის უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქცია და იმოქმედოს თურქეთის დიდი ეროვნული კრების სახელით; იწვევს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომებს და თავმჯდომარეობს მას; შეუძლია, ქვეყანაში გამოაცხადოს სააღყო და საგანგებო მდგომარეობა და მიიღოს

კანონის ძალის მქონე დადგენილება. ამტკიცებს მთავრობის გადაწყვეტილებებს; უფლება აქვს შეუმსუბუქოს ან მოუხსნას სასჯელი პატიმრებს მათი ხანგრძლივი ავადმყოფობის, ინვალიდობის ან ასაკის მიზეზით; ნიშნავს სახელმწიფო კონტროლის საბჭოს თავმჯდომარესა და წევრებს; ირჩევს უმაღლესი სასწავლებლებისა და უნივერსიტეტების საბჭოს წევრებს.

სასამართლო სფეროში პრეზიდენტს უფლება აქვს: დანიშნოს სახელმწიფო საბჭოს, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების 1/4, რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისი მოადგილე, სამხედრო-საკასაციო სასამართლოს წევრები, უმაღლესი სამხედრო-ადმინისტრაციული სასამართლოს წევრები, მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლესი საბჭოს წევრები.

აღსანიშნავია, რომ 60-იანი წლების დასაწყისიდან თურქეთის პრეზიდენტის პოსტები ხშირად ეკავათ არა არჩევნების გზით, არამედ სახელმწიფო გადატრიალებების (1960, 1971, 1980) ან პარლამენტზე და პოლიტიკურ პარტიებზე სამხედროების უშუალო ზემოქმედების შედეგად მოსულ პირებს. თურქეთის გენერალიტეტი ახერხებდა პრეზიდენტის პოსტზე მოყვანა საკუთარი წარმომადგენელი, რითაც უზრუნველყოფდა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსა და ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიულ აპარატს შორის უწყვეტ კავშირს [18–17].

აღნიშნული ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის კონსტიტუციაში გათვალისწინებულ იქნა პრეზიდენტთან, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან, ასევე ამომრჩევლებისაგან ფაქტიურად დამოუკიდებელი ორგანოების: ეროვნული უშიშროების საბჭოსა და სახელმწიფო კონტროლის საბჭოს შექმნა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში თანამდებობრივად შედიან: პრეზიდენტი (თავმჯდომარე), პრემიერ-

მინისტრი, გენ.შტაბის უფროსი, ეროვნული თავდაცვის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრები, სახმელეთო ძალების, სამხედრო-საჰაერო ძალების, სამხედრო-საზღვაო ძალებისა და ჟანდარმერიის მეთაურები [23–10]. საბჭოს 10 წევრისაგან 5 სამოქალაქო და 5 სამხედრო პირია. საბჭოს შეკრებაში მის წევრთა გარდა დღის წესრიგის თავისებურებიდან გამომდინარე შეიძლება მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა მინისტრებმა და პიროვნებებმა. საბჭოს მუშაობაში ხმის უფლების გარეშე მონაწილეობს ეროვნული უშიშროების საბჭოს გენერალური მდივანი. პრეზიდენტი პრემიერისა და გენერალური შტაბის უფროსის წინადადებების გათვალისწინებით ადგენს დღის წესრიგს.

საბჭო იკრიბება მინიმუმში თვეში ერთხელ. ამასთან მისი მოიწვევა ხდება პრემიერ-მინისტრისა და გენერალური შტაბის უფროსების წინადადებების შესაბამისად პრეზიდენტის მიერ.

ეროვნულ უშიშროების საბჭოში გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმ მხარეს, რომელსაც თავმჯდომარე დაუჭერს მხარს.

საბჭოს მოვალეობებია: სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრის, დამტკიცებისა და გამოყენებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება და საჭირო კოორდინაციის გაწევა; სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განმამტკიცებელი ეროვნული მიზნებისა და მოსამზადებელი ეროვნული გეგმებისა და პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული ზომების განსაზღვრა; სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკაზე გავლენის მქონე, ქვეყნის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, კულტურული და ტექნოლოგიური სიტუაციისა და მოვლენების განვითარების მუდმივი თვალყურის დევნება და შეფასება; სახელმწიფოს

არსებობის, დამოუკიდებლობის, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის და ერთობის, საზოგადოებრივი სიმშვიდისა და უსაფრთხოების დაცვისათვის საჭირო ზომების მიღება; ეროვნული მიზნების განსახორციელებლად კონსტიტუციური წყობისა და ეროვნული ერთობის დამცველი, ქემალისტური და ეროვნული იდეების გარშემო თურქი ერის გამაერთიანებელი საჭირო ზომების განსაზღვრა; საშინაო და საგარეო საფრთხისაგან თავდაცვის სტრატეგიის შემუშავებისა და გამოყენების საკითხებისათვის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარება; საგანგებო, სააღყო, სამობილიზაციო ან საომარი მდგომარეობების გამოცხადების შესახებ რეკომენდაციების მომზადება; ჩვეულებრივ საომარ, ომისათვის მოსამზადებელ ან ომისშემდგომ სიტუაციებში სახელმწიფო, თუ კერძო დაწესებულებებისა და მოქალაქეების დაცვა, საყოველთაო მობილიზაციის და სხვა საკითხების ორგანიზაცია და გეგმების მომზადება; სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად საკითხებში, თავდაცვისთვის საჭირო ფინანსური, სოციალ-ეკონომიკური, კულტურული და სხვა ზომების მიღება და ეროვნული უსაფრთხოების სფეროში შემავალი ხელმოწერილი ან ხელმოსაწერი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ თვალსაზრისის გამოთქმა და დამტკიცება [23–11].

კონსტიტუციის შესაბამის მუხლებში ნაჩვენებია იმის იურიდიული მექანიზმი, თუ როგორ ხორციელდება ეროვნული უშიშროების საბჭოს შეხედულებებისა და გადაწყვეტილებების მიწოდება მინისტრთა საბჭოსადმი.

სახელმწიფო კონტროლის საბჭო იქმნება პრეზიდენტთან, კონსტიტუციის საფუძველზე და მისი საქმიანობა რეგულირდება სპეციალური კანონით. სახელმწიფო კონტროლის საბჭოს წევრები შეირჩევა და ინიშნება პრეზიდენტის მიერ. სახელმწიფოს მეთაური აღნიშნულ ორგანოს იყენებს სახელმწიფო აპარატის მნიშვნელოვანი

რგოლების კონტროლისათვის. პრეზიდენტის დაავლებით სახელმწიფო კონტროლის საბჭო ახორციელებს ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და შერეული კაპიტალის, სახელმწიფო ან კერძო საწარმოების, პროფესიული კავშირების, სოციალური მნიშვნელობის ვაჭუფების კონტროლისათვის.

პრეზიდენტის ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის მასთან იქმნება გენერალური კანცელარია, რომელიც აწარმოებს მიმოწერას, ყველა სახის დოკუმენტაციის შედგენას და ა.შ. პრეზიდენტს კანცელარიის აპარატის მეშვეობით მუდმივი კავშირი აქვს ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური ორგანოების ხელმძღვანელებთან, პრესასთან და სხვა უწყებებთან.

აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს მინისტრთა კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. ჩამოყალიბებული ტრადიციის მიხედვით, ქვეყნის პრეზიდენტი პრემიერ-მინისტრად ნიშნავს არჩევნებში გამარჯვებული პარტიის თავმჯდომარეს, ხოლო მისი რეკომენდაციის შედეგად მინისტრებს. მინისტრთა კაბინეტის კომპეტენციის ფორმირება ხდება მისი ფუნქციონირების პერიოდში. აღსანიშნავია, რომ თურქეთის კონსტიტუცია მინისტრთა კაბინეტს უფლებას არ აძლევს დამოუკიდებლად მიიღოს ნორმატიული აქტები. ქვეყნის ძირითადი კანონის თანახმად, მინისტრთა კაბინეტი კანონებისა და წესდებების შესრულებასთან დაკავშირებით მიიღებს მხოლოდ ინსტრუქციებს. მაგრამ მინისტრთა კაბინეტის ნორმატიული უფლებების შეზღუდვა მხოლოდ ფორმალურია. სინამდვილეში მინისტრთა კაბინეტი თვითონ ახდენს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებული მრავალი დადგენილების გამოცემის ინიცირებას, რომლებსაც ხელს აწერენ პრეზიდენტი და შესაბამისი მინისტრები და ქვეყნდება ოფიციალურ მაცნეში – „Resmi Gazete“-ში. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების პოლიტიკური

უფლებამოსილება ფართოა და ხორციელდება პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და მინისტრების მიერ.

სამინისტროების რაოდენობა და სტრუქტურა დროდადრო იცვლებოდა. 1983 წელს ჩამოყალიბებულ მთავრობაში 14 სამინისტრო შედიოდა. სახელმწიფოს მოღვაწეობის სფეროს გაფართოებასთან ერთად გაიზარდა სამინისტროების რიცხვიც, ასევე შეიცვალა მათი მოქმედების მიმართულებები. 2003 წელს ფორმირებულ 59-ე მთავრობის შემადგენლობაში შედიან: პრემიერ-მინისტრი; 3 ვიცე-პრემიერი, რომელთაგან ერთი მათგანი ამავედროულად საგარეო საქმეთა მინისტრია, ხოლო 2 – სახელმწიფო მინისტრი; ამასთან დამატებით კიდევ 5 სახელმწიფო მინისტრი; იუსტიციის მინისტრი; ეროვნული თავდაცვის მინისტრი; შინაგან საქმეთა მინისტრი; ფინანსთა მინისტრი; ეროვნული განათლების მინისტრი; ურბანიზაციის, მშენებლობისა და განსახლების მინისტრი; ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი; ტრანსპორტის მინისტრი; სოფლის მეურნეობის მინისტრი; შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი; მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი; ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი; კულტურისა და ტურიზმის მინისტრი; გარემოს დაცვისა და სატყეო მეურნეობის მინისტრი.

სამინისტროების გარდა მთავრობასთან მოქმედებს 15 სახელმწიფო კომიტეტი და უმაღლესი საკოორდინაციო საბჭო (სახელმწიფო დაგეგმარების ორგანიზაცია, უმაღლესი სამხედრო საბჭო, მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლესი საბჭო, სამთავრობო კონტროლის უმაღლესი საბჭო, უმაღლესი საარბიტრაჟო საბჭო და სხვა.), ასევე 17 დამოუკიდებელი სამმართველო და ინსტიტუტი (ათათურქის სახ. სამეცნიერო ცენტრი, რელიგიის საქმეთა სამმართველო, სტატისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტი, ატომური ენერჯის სამმართველო, მეტროლოგიის მთავარი სამმართველო, ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის მთავარი სამმართველო,

სახელმწიფო სტანდარტის ინსტიტუტი, სახელმწიფო კადრების სამმართველო, სამეცნიერო-ტექნიკური კვლევების საბჭო და ა.შ.), რომლებიც ფუნქციონირებენ პრემიერ-მინისტრის ან სახელმწიფო მინისტრების ხელმძღვანელობით და განაგებენ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის, სახალხო მეურნეობისა და საშინაო ცხოვრების სხვადასხვა მნიშვნელოვან სფეროებს.

მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტის თავმჯდომარეობით, ეროვნული უშიშროების საბჭოს მხარდაჭერის შედეგად, ეპიდემიის, ეკონომიკური კრიზისის, მასიური დაუმორჩილებლობის აშკარა ნიშნების არსებობის და სამოქალაქო ომის, რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყების ან სახელმწიფოსა და ერის განუყოფლობის პრინციპის აშკარა საფრთხის შემთხვევაში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში 6 თვის ვადით შეუძლია გამოაცხადოს საგანგებო, საომარი მდგომარეობა, ან მობილიზაცია. მთავრობის გადაწყვეტილება საგანგებო სიტუაციის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება „Resmi Gazete“-ში და იგზავნება მეჯლისში დასამტკიცებლად. ზემოთ აღნიშნული 6 თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ მეჯლისს შეუძლია 4 თვის ვადით რამდენჯერმე კიდევ გააგრძელოს საგანგებო მდგომარეობა. ტერიტორიაზე, სადაც გამოცხადდება საგანგებო და სალყო მდგომარეობა, მოქმედებაში შედის კანონის ძალის მქონე მთავრობის დადგენილება. მის შესაბამისად სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები გადადიან სამხედრო ხელმძღვანელობის კონტრლის ქვეშ, ხოლო სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლოები შესაძლოა, გადაკეთდნენ საგანგებო მდგომარეობის სამხედრო სასამართლოებად. ასეთ შემთხვევაში სამხედრო ნაწილებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ სამხედრო-ადმინისტრაციული და სასამართლო-პოლიციური ძალდატანების ხერხები (ეჭვმიტანილთა პრევენტული დაკავება, სახლების ჩხრეკა და მოქალაქეთა

გადასახლება, მასმედიაზე ცენზურის დაწესება, გაფიცვების, შეკრებების, მიტინგებისა და დემონსტრაციების აკრძალვა, მოსახლეობის მობილიზაცია იძულებით სამუშაოზე).

**§ – 3. თანამედროვე თურქეთის პარტიების საბარეო და
საშინაო
პოლიტიკური კონცეფცია**

თურქეთის რესპუბლიკაში დღეისათვის არსებობს მრავალპარტიული სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა XX საუკუნის 50-70-იან წლებში. თუმცა მისი ფუნქციონირება 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალების შედეგად დროებით შეჩერებულ იქნა.

გადატრიალების შემდეგ, 1982 წელს, ქვეყანაში მიღებული იქნა ახალი კონსტიტუცია, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავდა პოლიტიკური პარტიების შესაძლებლობებს და მიმართული იყო იქითკენ, რომ მსხვილ პარტიებს მაქსიმალური შესაძლებლობა მისცემოდა, რათა საბოლოოდ ერთპარტიული მთავრობის ჩამოყალიბება მოხერხებულიყო.

1983 წელს სამხედრო რეჟიმის მოქმედების დასრულების შემდეგ დაიწყო პარტიების ბრძოლა მათი მოღვაწეობის პირობებისა და მთლიანად პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაციისათვის. მხოლოდ 1995 წელს მოხერხდა 1982 წლის კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, მათ შორის პოლიტიკურ პარტიებისადმი მიძღვნილ დებულებებში. ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა პოლიტიკური პარტიების პროგრამების აკრძალვათა ჩამონათვალი. ასაკობრივი ცენზი პარტიაში გაწვევრიანებაზე 21 წლიდან დაიწია 18 წლამდე, გაუქმდა დებულებები, რომლებიც კრძალავდნენ პარტიებთან ქალთა, ახალგაზრდულ და სხვ. სახის ორგანიზაციების შექმნას, ასევე აკრძალვები პოლიტიკური პარტიების კოოპერატივებთან, პროფესიულ კავშირებთან და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობაზე. გაუქმდა დებულება, რომელიც კრძალავდა პროფესორების, ლექტორებისა და

სტუდენტების რომელიმე პარტიის წევრობას, მაგრამ განსაზღვრულია, რომ აღნიშნული სახის წევრობა რეგულირდება სპეციალური კანონით, რომელიც აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს 115-102]. პარტიაში გაწევრიანება ეკრძალებათ მოსამართლეებს, სახელმწიფო მოხელეებს და იმ მოსწავლეებს, რომლებიც არ სწავლობენ უნივერსიტეტებში (ლიცეუმი, კოლეჯი და სხვა სახის საწავლებლები).

1982 წლის კონსტიტუციით, აკრძალული პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებს ეკრძალებათ ახალი პარტიის შექმნა, თუ მისი წევრების უმრავლესობას შეადგენენ გაუქმებული პარტიის წევრები. ცვლილებაში განსაზღვრული იყო, რომ პარტიის ხელმძღვანელებს და წევრებს, რომელთა მოღვაწეობაც, გახდა პარტიის გაუქმების მიზეზი, პოლიტიკური მოღვაწეობა 5 წლით ეკრძალებათ.

ქვემოთ მოყვანილია თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის მსხვილი პოლიტიკური პარტიები და მათი პრიორიტეტების მოკლე დახასიათება, რომლებიც პოლიტიკურ ბრძოლაზე რეალურად ზემოქმედებენ და გარკვეულწილად ქვეყნის მართვაში მონაწილეობენ.

ADALET VE KALKINMA PARTISI (AKP) (სამართლიანობისა და განვითარების პარტია). დაფუძნდა 2001 წლის 14 აგვისტოს. გენერალური თავმჯდომარე რეჯეფ თაიფ ერდოღანი. ფაქტიურად წარმოადგენს „სათნოების პარტიის“ სამართალმემკვიდრეს, რომელიც აკრძალულ იქნა. პარტია 2002 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, დღემდე ქვეყნის მმართველი ძალა გახლავთ. AKP-მ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, თურქეთის რესპუბლიკაში პირველად შეძლო ერთპარტიული მთავრობის ჩამოყალიბება.

პარტიის ძირითადი პროგრამა გახლავთ ეკონომიკური ზოგადი პრინციპები: მაკროეკონომიკის სტაბილიზაცია; მიკროეკონომიკის ლიბერალიზაცია და საგარეო ინვესტიციების მოზიდვა.

პარტიისათვის ეკონომიკის მთავარი პრიორიტეტებია: ეკონომიკის რეაბილიტაციის პროცესის დასრულება; ეკონომიკის ზრდის პროცესის ხელახლა დაწყება; სიღარიბისა და უმუშევრობის დონის შემცირება; ბიუროკრატის შემცირება; კორუფციასთან ბრძოლა; ევროკავშირში გაწევრიანებისათვის საჭირო ეკონომიკური რეფორმების გატარება; თურქეთის რეგიონალურ ეკონომიკურ ძალად და ფინანსურ ცენტრად გადაქცევისათვის საჭირო გარემოს მომზადება.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის საგარეო პოლიტიკა გახლავთ შემდეგი: თურქეთი წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთისა და კავკასია-ცენტრალური აზიის რეგიონის სტაბილურობის ერთ-ერთ გარანტს. ამ თვისებიდან გამომდინარე ვაღიარებულა მეტი ინიციატივა აიღოს რეგიონში არსებული კრიზისების დარეგულირების პროცესში. მიუხედავად ერაყის გარშემო შექმნილი დაძაბულობისა, აშშ რჩება თურქეთის მთავარ მოკავშირე ქვეყნად. ევროკავშირში გაწევრიანება მიიჩნევა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად და მთავრობამ და პარლამენტმა უნდა გადადგან ევროპელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქმედითი ნაბიჯები, რაც ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარებაში უნდა აისახოს [92-487]. ნატო-ს ეგიდით განხორციელებულ ღონისძიებებში მონაწილეობის პარალელურად თურქეთმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ეუთო-სთან. ასევე ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა ნატო-ს და გაერო-ს ეგიდით მონაწილეობა უნდა მიიღონ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში. თურქეთმა ქვეყნის ინტერესების შელახვის გარეშე უნდა უზრუნველყოს რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების

განმტკიცება. ასევე მნიშვნელოვანია კულტურულად ახლო ცენტრალური აზიისა და კავკასიის სახელმწიფოებთან ურთიერთთანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობების გაგრძელება. საბერძნეთი არ უნდა აღიქმებოდეს როგორც მოწინააღმდეგე და მტერი, არამედ ურთიერთობები უნდა იყოს ორი ხალხისათვის სარგებლობის მომტანი. საბერძნეთთან ორმხრივი ურთიერთობები უნდა ემყარებოდეს ეკონომიკურ მიზნებს, რისთვისაც მნიშვნელოვანია არსებული პოლიტიკური დაპირისპირების აღმოფხვრისათვის საფუძვლის მომზადება.

აუცილებლად უნდა მოგვარდეს კვიპროსის პრობლემა და დარეგულირების მეთოდი საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს კუნძულზე მცხოვრები თურქების ინტერესებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისლამურ სამყაროსთან ურთიერთობას. ერთის მხრივ ამ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობი უნდა განვითარდეს, ხოლო, მეორეს მხრივ, საჭიროა ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის როლი და პატივისცემა გაიზარდოს საერთაშორისო არენაზე.

ერდოღანის პარტიისათვის ახალგაზრდობისა და მთლიანად ერის განათლება წარმოადგენს ყველა დარგის განვითარების ძირითად ხელშემწყობ პირობას. განათლების ხარისხის გაზრდა, განათლების მიღების შესაძლებლობის თანასწორობის უზრუნველყოფა და განათლების სისტემის იდეოლოგიური ბრძოლის არენისაგან ჩამოშორება მათი ძირითადი პრიორიტეტია.

რაც შეეხება ჯანდაცვას, პარტიის ლიდერების აზრით, ჯანმრთელი თაობის აღზრდის მიზნით, ჯანდაცვის სფერო ყველა სოციალური ფენისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რისთვისაც შესაბამისი რეფორმების გატარებაა საჭირო.

CUMHURIYET HALK PARTISI (CHP) (სახალხო რესპუბლიკური პარტია). დაფუძნდა 1923 წლის 11 სექტემბერს. პირველი გენერალური თავმჯდომარე იყო თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი მუსტაფა

ქემალ ათათურქი [32–45]. ამჟამად გენერალური თავმჯდომარეა დენიზ ბაიქალი. 2002 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად წარმოადგენს ერთადერთ ოპოზიციურ პარტიას თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში. (პარლამენტში)

CHP მემარცხენე-ცენტრისტული ორიენტაციის პარტიაა. მას გააჩნია „ექვსი ისრის პრინციპი“, რაც ქემალიზმის და თურქეთის სახელმწიფოს იდეოლოგიური საფუძველიცაა. ესენია: რესპუბლიკანიზმი, ეროვნულობა, ხალხურობა, ეტატიზმი, ლაიციზმი (რელიგიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან) და რევოლუციონიზმი.

პარტიის საგარეო პოლიტიკის კურსი მიმართულია ქვეყნის ევროპეიზაციისაკენ, ამასთანავე, მათი აზრით, საგარეო პოლიტიკა განუყოფელია თავდაცვითი პოლიტიკისაგან. რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირები ნდობის ფაქტორს უნდა ეფუძნებოდეს.

საშინაო პოლიტიკაში პარტიის ძირითადი პროგრამა გახლავთ: ტრადიციული სახელმწიფო მონოპოლიების გარდა ყურადღება უნდა მიექცეს მძიმე მრეწველობასა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს; ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიხედვით უნდა განისაზღვროს ნებისმიერი პიროვნების უფლება; მუშებს აქვთ გაფიცვის და პროფესიული კავშირების შექმნის ხელშეუხებელი უფლება; გადასახადები სახელმწიფოსათვის არა მარტო შემოსავლის წყაროა, დაგეგმილი სამუშაოების, წარმოების და მოწესრიგებული ურბანიზაციის განხორციელების საშუალებაცაა; ტექნოლოგიის განვითარებით პროდუქციის რაოდენობის ზრდა და ამ მიზნით წვრილი და საშუალო გლეხობის წახალისება; ასევე თავისუფლად უნდა განვითარდეს ნებისმიერი პიროვნების ნიჭი და შესაძლებლობები. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბებასა და ეროვნული ერთობის გრძნობის გაძლიერებას.

ANAVATAN PARTISI (ANAP) (დედასამშობლოს პარტია) – დაფუძნდა 1983 წლის 20 მაისს. პირველი გენერალური თავმჯდომარე იყო თურგუთ ოზალი. ამჟამინდელი გენერალური თავმჯდომარეა მესუთ ილმაზი. ANAP-ის მემარჯვენე-ცენტრისტული მიმართულების პარტიაა [12-192]. პარტიას საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტად მიაჩნია მჭიდრო კავშირი ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან, მაგრამ ისინი ამასთანავე აუცილებლად თვლიან ახლო აღმოსავლეთის მუსლიმანურ ქვეყნებთან, მეგობრული ურთიერთობების განვითარებასა და გაღრმავებას.

საშინაო პოლიტიკის პრიორიტეტებია: პრივატიზაცია, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, ინფლაციის შეჩერება, საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო კონტროლის გაუქმება; ნებისმიერი პიროვნების უფლებებისა და თავისუფლების ხელშეუხებლობა; გადასახადები უნდა იყოს მცირე, ადვილი გასაგებად და გადასახდელად. სოფლის მეურნეობაში აუცილებელია ახალი ტექნოლოგიის განვითარება და რეფორმების გატარება; ადამიანებს უნდა მიეცეთ კავშირების დაფუძნების და გაფიცვის უფლებები; აუცილებლად უნდა შეეწყოს ხელი უცხოური კაპიტალის მოზიდვას.

რაც შეეხება განათლების სფეროს, მათი აზრით, განათლების მთავარი მოვალეობაა ათათურქის პრინციპების ერთგული, თანამედროვე თურქეთის იდეალის, ეროვნული და მორალური ფასეულობების გათავისებული ადამიანის გაზრდა. სახელმწიფო განათლებასთან ერთად შესაძლებელი უნდა იყოს კერძო განათლების მიღებაც.

DOGRU YOL PARTISI (DYP) (ჭეშმარიტი გზის პარტია) დაფუძნდა 1983 წლის 23 ივნისს. პარტიის გენერალური თავმჯდომარეა მეჰმედ აღარი. აღნიშნული პარტიის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის თურქეთის უახლესი ისტორიის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწეს სულეიმან დემირელს [29-532].

DYP მემარჯვენე-ცენტრისტული მიმართულების ორგანიზაციაა. ითვლება „სამართლიანობის პარტიის“ (მოქმედებდა 1961-1980 წლებში) მემკვიდრედ.

საგარეო პოლიტიკაში პარტიის ძირითადი პროგრამა გახლავთ; ქვეყნის უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნება. ასეთი პოლიტიკა გაერო-ს ძირითად პრინციპებს უნდა ემორჩილებოდეს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ურთიერთობები ახლო მეზობლებთან; საჭიროა უცხოური კაპიტალის წახალისება, რადგან იგი მარტო იმით კი არ არის მომგებიანი, რომ ქვეყანაში ვალუტა შემოდის, არამედ იმითაც, რომ ვითარდება საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სრულყოფილი სახელმწიფოსათვის.

საშინაო პოლიტიკაში „ჭეშმარიტი გზის პარტიის“ წარმომადგენლები თვლიან, რომ: ეკონომიკური წყობა თავისუფალ და დემოკრატიულ რეჟიმს უნდა აძლიერებდეს; ყველას აქვს პროფესიული კავშირების შექმნის უფლება. ანაზღაურების რაოდენობაზე სამუშაოს მიმცემი და შემსრულებელი თვითონ უნდა შეთანხმდნენ; საგადასახადო სისტემა მოქალაქის ფინანსურ შესაძლებლობებს უნდა პასუხობდეს და, რაც მთავარია, უნდა იყოს სამართლიანი; ხელი უნდა შეეწყოს სოფლის მეურნეობის აღორძინებას. ამ მხრივ თურქეთი უნდა გაუთანაბრდეს ევროკავშირის ქვეყნებს; განათლების მთავარი მიზანია თავისუფალი, ეროვნული საკითხებით დაინტერესებული, იდეალისტი, ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი, ეროვნულ ტრადიციებზე დამოკიდებული, მორწმუნე თაობის აღზრდა.

ILLYETCI HAREKET PARTISI (MHP) (ნაციონალური მოძრაობის პარტია) დაფუძნდა 1969 წელს. პარტიის გენერალური თავმჯდომარეა დევლეთ ბაჰჩელი.

პარტიის მიზანია „ახალი სახელმწიფო წესრიგის“ დამყარება. ეს წესრიგი ვერ განხორციელდება ვერც კაპიტალიზმით და ვერც კომუნიზმით. ამისათვის საჭიროა მესამე „იდეალური გზა“.

MHP-ს გააჩნია 9 პრინციპი, რომელიც „ცხრა სხივის“ სახელწოდებით არის ცნობილი [29-534], ესენია: ნაციონალიზმი, იდეალიზმი, ზნეობრიობა, ცოდნა, საზოგადოებრიობა, გლეხობა, თავისუფლება და ინდივიდუალიზმი, პროგრესულობა და ხალხოსნობა, ინდუსტრიალიზაცია და ტექნიკურობა.

MHP-ს ძირითადი პრინციპი ნაციონალიზმი და ისლამია, რაც სშირად ულტრანაციონალიზმსა და ულტრაკონსერვატიზმში მოიაზრება.

DEMOKRATIK SOL PARTISI (DSP) (მემარცხენე-დემოკრატიული პარტია) დაფუძნდა 1985 წლის 14 ნოემბერს. პარტიის გენერალური თავმჯდომარეა ბიულენთ ეჯევიტი.

DSP მემარცხენე-ცენტრისტული მიმართულების ორგანიზაციაა. მხარს უჭერს სოციალიზმის შვედურ მოდელს.

ამრიგად დღეისათვის დაახლოებით ასე გამოიყურება თურქეთის რესპუბლიკის წამყვანი პარტიები და მათი ხედვები საგარეო და საშინაო პოლიტიკაში.

თავი II

თურქეთის გეოპოლიტიკური კონცეფციების ევოლუცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

§ – 1. გეოპოლიტიკის ტრადიციული საფუძვლები და თანამედროვეობა

ტრადიციული გაგებით გეოპოლიტიკა გახლავთ ხელისუფლების მსოფლმხედველობა, მეცნიერება ხელისუფლების შესახებ და ხელისუფლებისათვის. იგი მხოლოდ მაშინ ამჟღავნებს თავის მნიშვნელობას, აზრს, სარგებლიანობას, როცა ადამიანი მიუახლოვდება გარკვეულ სოციალურ სიმაღლეს, მანამდე კი აბსტრაქციად აღიქმება. გეოპოლიტიკა პოლიტიკური ელიტების დისციპლინაა. მთელი მისი ისტორია დამაჯერებლად ადასტურებს, რომ მასზე მუშაობდნენ სწორედ ის პიროვნებები, რომლებიც ან აქტიურად მონაწილეობდნენ ქვეყნებისა და ერების მართვის პროცესში, ან ამ როლისათვის ემზადებოდნენ.

გეოპოლიტიკა არის მეცნიერება მართვის შესახებ, რომელიც შეისწავლის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში გეოგრაფიული ფაქტორის როლს და მის გავლენას ქვეყნის ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბებაზე. გეოპოლიტიკის, როგორც საგარეო პოლიტიკური პრაქტიკის, მთავარი მიზანია სახელმწიფოს გეოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ე. ი. გეოპოლიტიკის არსი მდგომარეობს ნებისმიერი ქვეყნის გეოსტრატეგიის შემუშავებაში [31-26].

გეოპოლიტიკა არ აცხადებს პრეტენზიას მეცნიერულ სიზუსტეზე და თვითონ განსაზღვრავს, თუ რა არის მისთვის ღირებული და რა არაა. კუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებს იშველიებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი

გეოპოლიტიკური მეთოდების ძირითად პრინციპებს არ ეწინააღმდეგებიან. გეოპოლიტიკა გარკვეულწილად, თვითონ ირჩევს მისთვის სასარგებლო მეცნიერებებსა და სამეცნიერო მიმდინარეობებს, ხოლო დანარჩენს ყურადღების გარეშე ტოვებს. თანამედროვე მსოფლიოში იგი წარმოადგენს „მოკლე ცნობარს მბრძანებლისათვის“ [40-39], ხელისუფლების სახელმძღვანელოს, სადაც მოცემულია დასკვნები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ გლობალური ან საბედისწერო გადაწყვეტილებების დროს, ისეთების მაგალითად როგორიცაა: ომების დაწყება, კავშირების შექმნა, მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება, საზოგადოების სტრუქტურული გარდაქმნა, მასშტაბური ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციების შემოღება და ა. შ.

გეოპოლიტიკური მიდგომის სინთეზური შესწავლა გულისხმობს ნებისმიერი ქვეყნის ან რეგიონის გეოგრაფიულ, სოციალურ-პოლიტიკურ, სამხედრო, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და ქვეყნის სხვა სიმძლიერის განმსაზღვრელ ფაქტორთა კომბინირებულ შესწავლასა და შეფასებას.

„გეოპოლიტიკის“, როგორც ტერმინის, მნიშვნელობას ხშირად გააფართოებენ ხოლმე იმგვარად, რომ იგი შეიძლება მოიცავდეს დამატებით სხვა სოციალურ და ზოგადკულტურულ ასპექტებსაც, მაგრამ თუ ამ ტერმინის საკუთრივი საზრისის შენარჩუნება გვსურს, ყოველთვის უნდა ვიგულისხმოთ, რომ გეოპოლიტიკა არის გეოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორების იმგვარი კომბინაცია, რომელიც ზეგავლენას იქონიებს ქვეყანასა თუ რეგიონზე.

ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის შეფასებისას უდიდესი ყურადღება ექცევა, როგორც გეოგრაფიულ ფაქტორს, ასევე ეკონომიკურ და სტრატეგიულ პოზიციებს, ქვეყნის წარსულს, მის ურთიერთობას მეზობლებთან ან მსოფლიოს ნებისმიერ

სახელმწიფოებთან, ასევე რეგიონში არსებულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებას.

აღსანიშნავია, რომ ყველა სახელმწიფოს გააჩნია თავისი გეოპოლიტიკური კოდები, რომლებიც ცალკეული ქვეყნის მიერ მსოფლიოს ხედვას გულისხმობს და მსოფლიოს ცალმხრივ ტენდენციურ სურათს იძლევა. ჩვენს რეალობაში არსებობს სამი დონის გეოპოლიტიკური კოდი: ლოკალური, რეგიონალური და გლობალური [17-82].

ლოკალური კოდი მოსაზღვრე ქვეყნების შეფასებას გულისხმობს. ნებისმიერ ქვეყანას, პატარასა თუ დიდს, ძლიერსა თუ სუსტს, აუცილებლად უნდა ჰქონდეს ასეთი კოდი.

რეგიონალური კოდები გააჩნიათ ისეთ სახელმწიფოებს, რომელთა გავლენის სფერო: პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა სცილდება მეზობელ ქვეყნებს. არსებული და პოტენციური რეგიონალური მნიშვნელობის სახელმწიფოებისათვის საჭიროებას მოითხოვს ასეთი კოდების შემუშავება.

გლობალურ გეოპოლიტიკურ კოდებს დღევანდელ მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო ფლობს, რადგან მარტო ამ ქვეყნებს შეუძლიათ აწარმოონ გლობალური პოლიტიკა და მხოლოდ მათ ხელშია მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრის გასაღებები.

მეოცე საუკუნის ისტორიამ უდიდესი გავლენა იქონია არაერთი დიდი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის განვითარების თავისებურებაზე. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც რუსეთის სახელმწიფო და მისი „რეგალიების“ ცვლა საუკუნეთა მანძილზე. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ასევე დასავლეთ ევროპისა და აღმოსავლური (მაგ: თურქეთის) ქვეყნების გეოპოლიტიკური ფაქტორების განვითარების თავისებურებებში [124].

ნებისმიერი ქვეყნის, იქნება იგი თურქეთის რესპუბლიკა, ამერიკის შეერთებული შტატები თუ საქართველო, გეოპოლიტიკური სიმძლავრეების ძირითადი კრიტერიუმებია: ტერიტორიის ზედაპირი; საზღვრების ბუნება; ზღვაზე გასასვლელი; მოსახლეობის რაოდენობა; ბუნებრივი რესურსები; ფინანსური სიძლიერე; ეკონომიკისა და ტექნიკის განვითარების დონე; ეთნიკური ერთგვაროვნება; სოციალური ინტეგრაციის დონე; პოლიტიკური სტაბილურობა და ეროვნული სული.

როგორც ზემოთ ითქვა, ტერმინი „გეოპოლიტიკა“ ეხება მსოფლიო პოლიტიკურ რუკას და გეოგრაფიულ ფაქტორებს, ასევე ცვლილებებს პოლიტიკურ დაგეგმარებაში. იგი ძველია როგორც ისტორია. ტერმინის უშუალო ჩამოყალიბებამდე უამრავი ინელექტუალი აღნიშნავდა გეოგრაფიის გავლენას პოლიტიკური სტრატეგიის რეგულირებაში. ანტიკური ხანის ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე იყო პირველი, ვინც ყურადღება გაამახვილა გეოგრაფიისა და პოლიტიკის კავშირზე. იგი გვთავაზობს რა იდეალური სახელმწიფოს მოდელს, თვლის, რომ უნდა იყოს საკმარისად ძლიერი, რათა შეინარჩუნოს ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ყურადღებას აქცევს მოცემული ტერიტორიის გეოგრაფიულ მდებარეობას უცხოური აგრესიისაგან თავდაცვის საწარმოებლად. ხაზს უსვამს ტოპოგრაფიული ფაქტორების პოლიტიკურ და სტრატეგიულ ღირებულებას და გვთავაზობს, რომ ადგილი უნდა იყოს ხელსაყრელი მტერზე თავდასხმისათვის, უნდა შეუქმნას წინაღობა პოტენციურ დამპყრობელს, როგორცაა ბუნებრივი სიმაღლეები, მთები და გადაულახავი მდინარეები. ამასთანავე ტერიტორია იოლად მისაწვდომი უნდა გახლდეს ტრანსპორტაციისათვის ზღვიდან და მიწიდან [40–39], სწორედ ასეთი გეოგრაფიული მდებარეობაა მისთვის ღირებული იდეალურად განლაგებული ქვეყნისათვის.

თანამედროვე რუსი გეოპოლიტიკოსი ალექსანდრე დუგინი ასეთ პარადელს ავლენს: მარქსიზმი და ლიბერალიზმი თანაბრად თავსდება ადამიანის არსებობის ეკონომიკურ მხარეში, მაგრამ „ეკონომიკური იდეოლოგიისაგან“ გეოპოლიტიკა ემყარება თეზისს - „გეოგრაფიული რელიეფი როგორც ბედი“ [43-27]. გეოგრაფია და სივრცე გეოპოლიტიკაში ასრულებენ ისეთივე ფუნქციას, როგორც ფულისა და წარმოების ურთიერთობა მარქსიზმსა და ლიბერალიზმში, მათთანაა დაკავშირებული ადამიანის არსებობის უმთავრესი ასპექტები, ისინი წარსულის ინტერპრეტაციის ძირითად მეთოდს წარმოადგენენ, ასევე წარმოადგენენ ადამიანური ყოფის უმთავრეს ფაქტორს, რომლებიც თავის ირგვლივ აჯგუფებს არსებობის სხვადასხვა საკითხებს.

ერთ-ერთი წამყვანი ამერიკელი გეოპოლიტიკოსი ზბიგნევ ბჟეზინსკი (Zbigniew Brzezinski) აღნიშნავს, რომ გეოპოლიტიკა, ეს გახლავთ პოზიციური თამაშის თეორია "მსოფლიოს საჭადრაკო დაფაზე" [52-7]. ბჟეზინსკი არის პოლონელ-ამერიკელი პოლიტოლოგი, სოციოლოგი და სახელმწიფო მოღვაწე. დიდი ხნის განმავლობაში იგი ამერიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი იდეოლოგი იყო, ამასთან ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის სტრატეგიული და საერთაშორისო მართვის ცენტრის მრჩეველი და წევრიც გახლდათ.

გეოპოლიტიკის კონცეფცია წარმოიქმნა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, თუმცა მეცნიერები ჯერ კიდევ ადრეულ შრომებში გამოიყენებდნენ, როგორც ტერმინს „პოლიტიკური გეოგრაფია“.

თვითონ სიტყვა-ცნება „გეოპოლიტიკა“ თანამედროვე ლიტერატურაში სამი სხვადასხვა გაგებით იხმარება:

პირველი გაგებით, ტერმინი „გეოპოლიტიკა“ გახლავთ რეაქციული პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც არახელსაყრელი გეოგრაფიული პირობების გაუმჯობესების მიზნით ამართლებს და

ასაბუთებს ექსპანსიურ პოლიტიკასა და ტერიტორიულ დაპყრობებს, ხელსაყრელი, ე. წ. „სასიცოცხლო სივრცის“ შექმნის აუცილებლობას სხვა სუსტი და „არასრულფასოვანი“ ქვეყნების ტერიტორიების ხარჯზე [161]. ასეთი გაგებით გეოპოლიტიკა გაიგივებულია იმ ოფიციალურ პოლიტიკურ იდეოლოგიასა და პრაქტიკასთან, რასაც მაგალითად ახორციელებდა ნაცისტური გერმანია და რაც ამჯერად საყოველთაოდაა უარყოფილი.

მეორე გაგებით, გეოპოლიტიკა არის ისეთი მოძღვრება, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებსა და სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ ქცევას საფუძვლად უდებს, უკვე ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილ ისეთ გეოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორცაა: გეოგრაფიული მდებარეობა, ტერიტორიისა და მოსახლეობის სიდიდე, კლიმატი, რელიეფი და ა.შ. ასეთ შემთხვევაში გეოპოლიტიკის გაგება ყალიბდება როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება.

მესამე გაგებით, ტერმინს იყენებენ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხდება სახელმწიფოთა კონკრეტული საგარეო-პოლიტიკური ქმედებანი თავიანთი როლისა და გავლენის გაძლიერებისათვის სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონში.

ხმელეთი და ზღვა გეოპოლიტიკის საწყისი ცნებაა. სწორედ ეს ორი სტიქია, მიწა და წყალი უდევს საფუძვლად ადამიანის მითოლოგიურ წარმოდგენას დედამიწის სირცის შესახებ. ხმელეთისა და ზღვის, მიწისა და სტიქიების გააზრების დროს ადამიანი ურთიერთობაში შედის თავისი არსებობის განმაპირობებელ ძირითად ასპექტებთან. ხმელეთი ეს არის სტაბილური, მჭიდრო, მდგრადი სივრცე. წყალი კი მოძრაობა, მოქნილობა, დინამიკა, დრო.

ეს ორი სტიქია სამყაროს საგნობრივი ბუნების არსის ყველაზე ძველი და ნათელი გამოვლინებაა. ისინი ადამიანის გარეთ

არსებობენ, ეს არის ყველაფერი, რაც მდგრადი და თხევადია, ისინი თვითონ ადამიანშიც სუფევენ, ეს არის სისხლი და ხორცი.

ისტორიულად წყალი ანუ თალასოკრატია დასავლეთთან და ატლანტიკის ოკეანესთანაა დაკავშირებული, ხოლო ხმელეთი ანუ თელულოკრატია აღმოსავლეთთან ანუ ევრაზიის კონტინენტთანაა გაიგივებული.

დედამიწაზე ყველა გეოპოლიტიკოსის მიერ გაზიარებულ საერთო მეთოდოლოგიურ ფორმულას წარმოადგენს ფუნდამენტური ისტორიული დუალიზმის მტკიცება, ერთი მხრივ ხმელეთი, თელულოკრატია, მიწა „ნომოსი“, ევრაზია, ჰარტლანდი, „შუამდებარე მიწა“, იდეოკრატიული ცივილიზაცია, „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი“ და მეორე მხრივ, ზღვა, თალასოკრატია, „საზღვაო ძალაუფლება“, „ზღვის ნომოსი“, ატლანტიკა, ანგლოსაქსური მსოფლიო, სავაჭრო ცივილიზაცია, „გარე ანუ კუნძულოვანი ნახევარმთვარე“. გეოპოლიტიკოსთა ხედვებით სწორედ ამ ორ მხარეს შორის მიმდინარეობს გეოპოლიტიკური დაპირისპირება, რომელიც არ დასრულდება მანამ, სანამ ერთ-ერთი სრულ გამარჯვებას არ მიაღწევს.

პირველი და მეორე მსოფლიო ომები, ასევე „ცივი ომი“, სხვა არაფერი იყო, თუ არა ბრძოლა ჰარტლანდისათვის, 1917 წელს მეფის რუსეთში მომხდარმა რევოლუციამ ძირეულად შეცვალა ძალთა ბალანსი, ინდუსტრიალიზაციამ და კომუნიკაციების სწრაფი ტემპით განვითარებამ რუსეთს საშუალება მისცა საბჭოთა კავშირად გარდაქმნილიყო და ჰარტლანდის გულის კონტროლიდან გამომდინარე მსოფლიოზე ბატონობის პრეტენზია გამოეთქვა, საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, მხოლოდ საბჭოთა კავშირს არ ჰქონდა მსგავსი პრეტენზია და რესურსები მის განსახორციელებლად, იგი ამ დაპირისპირებაში მესამე რაიხის პირისპირ აღმოჩნდა. დასავლეთისათვის არ არსებობდა იმაზე

საშინელი კოშმარი, ვიდრე გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შეთანხმება აღმოსავლეთ ევროპის გაყოფაზე. 1939 წლის რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტით ისინი ფაქტიურად თანხმდებოდნენ ერთობლივ კონტროლზე, გავლენის სფეროების დაყოფასა და მსოფლიო ბატონობაზე, მაგრამ, აღნიშნული შეთანხმება ხანგძლივი არ აღმოჩნდა.

მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ აღმოსავლეთ ევროპაზე საბჭოთა კავშირის ამბიციები და გავლენა განუზომლად გაზარდა, აუცილებელი გახდა მისი იზოლაცია და ამ გზით ნეიტრალიზაცია, საჭიროებამ მიწოდება განაპირობა და ჰარტლანდის თეორიას გაგრძელებაც მოეძებნა. არსებული სინამდვილიდან გამომდინარე, ჰარტლანდის გაკონტროლების პერსპექტივა არარეალური ჩანდა, საჭირო იყო მისი განეიტრალება და ამის ერთადერთ საშუალებად განხილული იქნა ჰარტლანდის გარშემო არსებული რკალის (ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია) – ანუ რიმლანდის კონტროლი და დასავლეთის მიერ ამ გზით საბჭოთა შეტევების ექსპანსია. სწორედ ზუსტად ამ პერიოდისათვის მიექცა უდიდესი მნიშვნელობა, ზღვის სახელმწიფოების მიერ, თურქეთის რესპუბლიკის გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ ფაქტორს, რაც საბოლოოდ ანკარის ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებით დასრულდა. ჰარტლანდის ნეიტრალიზაცია მხოლოდ მეცნიერების მიერ წამოჭრილი თეორია არ გახლდათ, სწორედ ამ საქმეს ემსახურებოდა მსოფლიოს უდიდესი მოვლენა „ცივი ომი“, რომელიც ყველასათვის ნათელია, რომ საბოლოოდ საბჭოთა კავშირის დაშლით დამთავრდა, ამასთანავე, იმ პერიოდისათვის დამთავრდა ჰარტლანდისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი ეტაპიც – აღმოსავლეთ ევროპა საბოლოოდ ჩამოსცილდა რუსულ ორბიტას და დასავლეთსა და რუსეთს შორის საიმედო იზოლატორის როლი დაეკისრა, სწორედ ამან განაპირობა ამ ქვეყნების სწრაფი

ინტეგრაცია დასავლურ სტრუქტურებსა და უპირველეს ყოვლისა ნატოში, თუ გავიხსენებთ იმავე ვერსალის 1919 წლის ხელშეკრულებას, ეს სახელმწიფოები სწორედ ამ მიზნით შეიქმნა თავის დროზე, ამ აზრს ისიც განამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი ანტისარაკეტო სისტემები სწორედ ჩხეთსა და პოლონეთში განათავსა, ნატო კი წარმატებით უზრუნველყოფს ბალტიისპირეთის საჰაერო სივრცის კონტროლს.

ბერლინი – კორეა – ახლო აღმოსავლეთი – ვიეტნამი – ავღანეთი ჩვენს უახლოეს წარსულში დასავლეთსა და აღმოსავლეთს, თალასოკრატისა* და თელუროკრატის* შორის რიმლანდისათვის დაპირისპირების გამოხატულებაა, ეს დაპირისპირება დღესაც გრძელდება და რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, რეალობაა, ჩვენი ქვეყნისა და ქართველი ხალხისათვის ზემოთ მოყვანილ ცხელ წერტილებთან ერთად, დღეს უკვე „ზღვისა და მიწის ნომოსების“ დაპირისპირების ერთ-ერთი პოლიგონი კავკასიაცაა. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ თურქეთის რესპუბლიკა, თუ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მყარად იდგა ზღვის სახელმწიფოების მხარეზე და გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე, XXI საუკუნის დასაწყისისათვის ის, როგორც სახელმწიფო, ისე გაძლიერდა, რომ ნელ-ნელა იწყებს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას [146], ამასთანავე ქვეყანაში საკმაოდ მომრავლდნენ ისეთი პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ევრაზიულობის პროექტს აქტიურად უჭერენ მხარს. რა თქმა უნდა, გეოპოლიტიკურად ძლიერი, თურქეთის სახელმწიფოს თანადგომა და მის მიერ წარმოებული პოლიტიკა

* თალასოკრატია – (ბერძნ.) „საზღვაო ძღვევამოსილება“, განვითარებული საზღვაო სახელმწიფოების დასახელება

* თელუროკრატია – (ბერძნ.) „სახმელეთო ძღვევამოსილება“, ძლიერი, სახმელეთო გეოპოლიტიკური ორიენტაციის მქონე სახელმწიფოების დახასიათება.

განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია როგორც დაპირისპირებული მხარეებისათვის, ისე კავკასიის რეგიონისათვისაც.

გეოპოლიტიკური ტერმინებით თუ ვისარგებლებთ და დასავლელ პოლიტოლოგებსა და ექსპერტებს დაუფუჯერებთ, დღეს რუსეთის ფედერაციამ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ კვლავ გამოაცხადა გეოპოლიტიკური ომი თელულოკრატებსა და თალასოკრატებს შორის. უდიდეს ამერიკელ პოლიტოლოგსა და სოვეტოლოგს, ჰენრი კისინჯერს ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთ „ვაშინგტონ პოსტ“-ში გამოქვეყნებული აქვს წერილი, სადაც ამბობს, რომ თელულოკრატებისა და თალასოკრატების დაპირისპირებაში თუ თელულოკრატებმა გამარჯვების მოპოვება შეძლეს, მსოფლიო სრულ ქაოსში და ახალ გლობალურ ომში გადავარდება. მაშინ, თუ ეს უკანასკნელნი სასაუბრო ენას გამონახავენ და საერთო ინტერესებს იპოვიან, ეს უკვე ახალი მსოფლიო წესრიგი იქნება.

ამერიკული გეოპოლიტიკური სკოლის წარმომადგენლების აზრით, ჰარტლანდის ნეიტრალიზაციის ერთადერთი საშუალება გახლდათ მის გარშემო არსებული რკალის – ე. წ. შიდა ნახევარმთვარის, ანუ რიმლანდის (დასავლეთ ევროპა, ახლო აღმოსავლეთი, სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია) კონტროლი ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის სხვა ქვეყნების მიერ, რაც თავის მხრივ, უზრუნველყოფდა საბჭოთა, ანუ კომუნისტური საფრთხის ექსპანსიის შეჩერებას (შეკავების პოლიტიკა).

ჰარტლანდ–რიმლანდის თეორია იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის კონცეპტუალური ბაზა, ხოლო მისი პრაქტიკული განხორციელების იარაღს წარმოადგენდა ნატოს, სენტოს და სეატოს სამხედრო პოლიტიკური ბლოკების შექმნა.

ამერიკული გეოპოლიტიკური თეორიებიდან აღსანიშნავია ს. კოენის გეოსტრატეგიული არეალებისა და გეოპოლიტიკური რეგიონების თეორია, რომლის შესაბამისადაც მსოფლიო ბატონობა დაყოფილია ორ გეოსტრატეგიულ სამყაროს შორის:

I. ვაჭრობაზე დამყარებული სანაოსნო ზონა (ამერიკა, დასავლეთ ევროპა, აფრიკა, ავსტრალია).

II. ევრაზიული კონტინენტური ზონა (ყოფილი საბჭოთა კავშირი, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და მონღოლეთის ჩათვლით) [188].

როგორც ცნობილია, ბოლო ორი-სამი ათწლეულის განმავლობაში სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში დასავლეთისათვის არასასურველი სცენარით წარიმართა. განსაკუთრებული ზიანი მიაყენა ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების გეოპოლიტიკურ ინტერესებს პალესტინა ისრაელის კონფლიქტმა, ირანის ფუნდამენტალიზმისაკენ შემობრუნებამ და ავღანეთში, შემდგომ კი ერაყში, დამკვიდრებულმა არასტაბილურობამ და ომებმა.

პერსპექტივაში არასათანადო პარტნიორობად აღიქმებიან რეგიონის არაბულენოვანი ქვეყნებიც. როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო აღმოსავლეთ აფრიკისა და აზიის ისლამური სახელმწიფოები ე.წ. გამყოფ ქამარს ქმნიან. ეს ფაქტიურად ევროპას აზიაში (ჰართლანდისაგან ანუ რუსეთისაგან) დამოუკიდებელ გასასვლელს უკეტავს.

ამ მხრივ ასევე აღსანიშნავია ი. გალტუნგის „პანრეგიონებისა და ზესახელმწიფოების თეორია“, სადაც ავტორს კარგად აქვს ახსნილი მსოფლიო გეოპოლიტიკაში რა როლი აკისრიათ ზღვის ზესახელმწიფოებს და რა როლს თამაშობენ რეგიონალური ქვეყნები. ასევე საინტერესოა ს. ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა შეჯახების თეორია“ და სხვ.

ალტერნატიულ გეოპოლიტიკურ თეორიებს მიეკუთვნება საფრანგეთის განმანათავისუფლებელი გმირისა და პრეზიდენტის შარლ დე გოლის გაერთიანებული ევროპის თეზისი და ინდოეთის პრემიერმინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს მიუმხრობლობის მოძრაობის თეზისი.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა ლიბერალიზაციას მსოფლიო პოლიტიკაზე სამხედრო ფაქტორის განმსაზღვრელი როლის შედარებით შესუსტება მოჰყვა და წინა პლანზე წამოიწია ეკონომიკური კეთილდღეობისა და სახელმწიფოთა კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების ფაქტორებმა. ამიტომ ზოგიერთი მკვლევარი დაასკვნის, რომ გეოპოლიტიკა იცვლება გეოეკონომიკით* და გეოინფორმაციით. თუმცა კომპოზიტის დასაწყისი ნაწილი „გეო“ მიგვანიშნებს, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, გეოგრაფიულ ფაქტორს კვლავ დიდი როლი აკისრია.

პოლიტიკური გეოგრაფიისა და გეოპოლიტიკის წარმოშობა მე-19 საუკუნის მიწურულში ძირითადად აიხსნება იმ დროს მიმდინარე ისტორიული პროცესებით. იქამდე მეტ-ნაკლებად სტაბილურ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე უკვე ისახებოდა მნიშვნელოვანი

* გეოეკონომიკა – ერთი მნიშვნელობით არის ქვეყნის ქვეყნის გეოგრაფიული და ეკონომიკური ურთიერთკავშირი და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს „ქცევა“, რაც განსაზღვრავს მისი წარმოებისა და ვაჭრობის დონეს და საქონლისა და მომსახურების მოხმარების მოცულობას. მეორე მნიშვნელობით, გ. განისაზღვრება როგორც გეოპოლიტიკის განსაკუთრებული ვერსია, რომელიც პრიორიტეტულად მიიჩნევს არა გეოგრაფიულ, კულტურულ, ეთნიკურ და ა.შ. ფაქტორებს, არამედ სივრცესთან დაკავშირებულ წმინდა ეკონომიკურ რეალობებს. გ. მსოფლიო განვითარების საფუძველს ხედავს იმაში, თუ სად იქნება განლაგებული მსოფლიო ბირჟების ცენტრები, სასარგებლო წიაღისეული, საინფორმაციო ცენტრები, მსხვილი საწარმოები და სხვ. გ.-ის კონცეფციის ავტორი ჟ. ატალი თვლის, რომ „ცივი ომის“ შემდეგ გეოპოლიტიკა გ.-ით შეიცვალა და იგი თანამედროვე საერთაშორისო სისტემის მთავარი მოდელია

ცვლილებები. ბევრი მეცნიერი გრძნობდა, რომ ევროპასა და მსოფლიოში ინგრევა ის „გეოპოლიტიკური წესრიგი“, რომელიც ნაპოლეონის ომების და მისი დამარცხების შედეგად ჩამოყალიბდა და მოდიფიკაციებით, ანუ ბალკანეთში ახალი სახელმწიფოების შექმნით, გერმანიისა და იტალიის გაერთიანებითა და კოლონიური დაყრობების წარმოებებით მთელი საუკუნე იარსება. საბოლოოდ სწორედ ეს მოდიფიკაციები გახდა საბაბი მსოფლიოში ძალთა ბალანსის დარღვევისა. ამ საქმეში მოწინავე გახლდათ გერმანიის იმპერია, რომელიც მისწრაფოდა მსოფლიო ჰეგემონთა რიგში დიდი ბრიტანეთის იმპერიის ხარჯზე შეჭრილიყო. ამ სწრაფვის ფინალმა საერთაშორისო საზოგადოება მიიყვანა ხალხთა გამანადგურებელ, პირველ და მეორე მსოფლიო ომებამდე, რასაც, თავის მხრივ, მოყვა მკვეთრი გეოპოლიტიკური ძვრები მსოფლიოში.

„ცივი ომის“ დროს გეოპოლიტიკის განსაზღვრა თავშეკავების სტრატეგიის ჩარჩოებში ამერიკის ტაქტიკა იყო, როგორც სამხრეთისაკენ საბჭოთა ექსპანსიის შემაჩერებელი ინსტრუმენტი. ამრიგად, სანამ „ცივი ომს“ გეოპოლიტიკურ კონფლიქტად შევრაცხავთ, ამერიკა – საბჭოთა კავშირის მეტოქეობის დომინანტური თავისებურებებით იდეოლოგიური და ეკონომიკური, ასევე ტერიტორიული, საზღვაო-სანაოსნო და საჰაერო გავლენის მოსაპოვებლად, ტერმინი „გეოპოლიტიკა“ გახდა ძირითადი ელემენტი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობის განსაზღვრად.

თანამედროვე მსოფლიო წყობაში „ცივი ომის“ შემდგომი ურთიერთობის სპეციფიკა გეოგრაფიას, ძალაუფლებასა და მსოფლიო წყობას შორის მნიშვნელოვნად განსხვავდება, რადგანაც გეოპოლიტიკური ხედვები წინააღმდეგობაში მოდიან ახალი გეოპოლიტიკის საზღვრების დასადგენად. ერთის მხრივ „ცივი ომის“ დასასრულმა გამოამჟღავნა ახალი გეოპოლიტიკური წყობა გეო-

ეკონომიკური საკითხებით. მსოფლიო, სადაც ეკონომიკური საქმიანობის გლობალიზაცია, ვაჭრობის გლობალური ნაკადი, ინვესტიციები და საქონელი ცვლის როგორც სახელმწიფოს სუვერენიტეტს, ასევე პლანეტის გეოპოლიტიკურ სტრუქტურას. მეორეს მხრივ, ახალი გეოპოლიტიკა განმარტავს მსოფლიოს, სადაც ადგილი აღარ აქვს ტერიტორიულ დაძაბულობას ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის, მაგრამ ხაზს უსვამს ტრანსნაციონალურ პრობლემებს, როგორცაა ტერორიზმი, ბირთვული ზრდა და ცივილიზაციათა ჭიდილი. სხვა მხრივ კი პოლიტიკისა და სამყაროს ურთიერთობა ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან სახელმწიფო და ხალხი იბრძვის, რათა თავი გაართვან გარემო დეგრადაციას, ბუნებრივი რესურსების ამოწურვას, ტრანსნაციონალურ დაბინძურებასა და გლობალურ დათბობას.

გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ინტელექტუალებისა და უმაღლესი პოლიტიკური წრეებისათვის ახალი გეოპოლიტიკა არის არა ეკო-ეკონომიკა, არამედ ეკოლოგიური პოლიტიკა ანუ ეკოპოლიტიკა.

სტრატეგები დაობენ, რომ „ნეო-გეოპოლიტიკა“ - ერებს შორის ფსიქოლოგიური და კულტურული დინამიკის აქტივაცია - წარმოშობს გრძნობას, აღქმასა და სწრაფვას, რომელიც ეხება ჯგუფის იდენტიფიკაციასა და ცხოვრების სტილს, ისევე როგორც ერთაშორისი და კულტურათაშორისი ექსპერიმენტი. ამ კონტექსტში გეოპოლიტიკის განსაზღვრა მოითხოვს ტერმინის სხვადასხვაგვარი განმარტებისა და განზომილების მხედველობაში მიღებას. ცნების დინამიკისა და მზარდი ბუნების გამო, ანალიზის გაკეთების დროს ზოგმა შეიძლება იყოყმანოს იმ ანალოგიური პარამეტრების გამოყენებისას, რომლებიც გეოპოლიტიკასთანაა დაკავშირებული.

მიუხედავად ახალი გეოპოლიტიკური რეალობისა, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რიგი მეცნიერები XXI საუკუნის დასაწყისში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე სამართლიანად თვლიან, რომ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის დაპირისპირება შესაძლოა, კვლავ განახლდეს [113], რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მიწა და წყალი ერთმანეთთან ყოველთვის დაპირისპირებაში იქნება. ამასთანავე დღეს უკვე ნათლად ჩანს რუსეთის ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობის აგრესიული, იპერიალისტური საგარეო და საშინაო პოლიტიკა.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ 90-იან წლებში რუსეთის მთავრობამ სიტყვიერი მზადყოფნა გამოხატა გაეთვალისწინებინა დასავლეთის მიერ მიწოდებული პრინციპები, მაგრამ მხოლოდ სიტყვიერი და ნაწილობრივი, ანუ „საშინაო სარგებლობისთვის“ და ძირითადად ჩეხნეთთან მიმართებაში.

იმ დროისათვის რუსეთი ათვიცნობიერებდა, რომ იგი ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით ჯერ კიდევ არ იყო მზად ხელახლა გამხდარიყო სუპერსახელმწიფო და ამისათვის გარდამავალ პერიოდს საჭიროებდა.

ამდენად მაშინ, როდესაც რუსეთი ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებისა და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, სიტყვით ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორ ქვეყნად გვევლინებოდა, სინამდვილეში მისი მიზანი ამ ახალი პრინციპებისა და ლოზუნგების სათავისოდ გამოყენებაში მდგომარეობდა, თავდაპირველად ჩეხნეთში და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების სხვა ტერიტორიებზე, შემდეგ კი ახლომდებარე რეგიონებშიც.

კრემლის დღევანდელი რევანშისტული და იპერიალისტური მიზნები კარგად აქვს გახმოვანებული ვლადიმერ პუტინის ახლო მეგობარსა და ცნობილ რუს გეოპოლიტიკოს, ალექსანდრე დუგინს

ნაშრომში „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ (თბ.1999წ.), რომელიც რუსეთში ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90 იან წლებში გამოიცა.

„გეოპოლიტიკის საფუძვლებში“ გახმოვანებული გეგმებისა და იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ალექსანდრ დუგინის არსის და მისივე მსოლმხედველობის მქონე მრჩეველების იდეები დაემთხვეოდა „კგბ“-ს ოფიცრისა და რუსეთის მომავალი პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის (რომელსაც პირადად მრავალჯერ გაუხმოვანებია და ღიად განუცხადებია ის გამოთქმა, რომ „ყოფილი ჩეკისტები არ არსებობენ“) იდეებსა და საქმეებს, სრულიად დაბეჯითებით შეიძლება იმის პროგნოზირება, რომ თანამედროვე რუსეთის ფედერაცია ყველაფერს გააკეთებდა, რათა აღედგინა „სუპერსახელმწიფოს“ სტატუსი და რევანში აეღო „ცივ ომში“ დროებით დამარცხებისათვის (რაც თავისთავად ლოგიკური სურვილია). ამისათვის პირველ რიგში ქვეყანაში, ტრადიციულად, საჭირო გახდებოდა „მტკიცე ხელის“ მეშვეობით წესრიგის დამყარება [21–48], რაც შეუძლებელია მმართველობის ყველა სათავეების ე. წ. „ძალოვნების“ მიერ ხელში ჩაგდებისა, პრესისა და ტელევიზიის გაკონტროლებისა და სხვა დემოკრატიული პროცესების შეზღუდვის გარეშე.

საგარეო პოლიტიკაში ა. დუგინის მოთხოვნით გამოყენებული უნდა იქნას როგორც ტრადიციული მეთოდები: წინააღმდეგობის გაღვივება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპას შორის, ბირთვული და ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებაზე დამყარებული შანტაჟი, დასავლეთის წინააღმდეგ აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან (ჩინეთი, ინდოეთი, ირანი და მთლიანად ისლამური სამყარო) ალიანსების შეკვრა; ისე ახლო აღმოსავლეთში ამგვარი პოლიტიკის შედეგად ახლად წარმოქმნილი ეკონომიკური საშუალებები, მაგალითად, ფასების არნახული ზრდა ენერგომატარებლებზე და ენერგეტიკული პოლიტიკის ბერკეტები.

სწორედ პოლიტიკის ამ მიმართულებით სვლამ XXI საუკუნეში რუსეთის ფედერაცია კვლავ დაუბრუნა მმართველობის ტრადიციულ, ძალაზე დამყარებულ ავტორიტარულ რეჟიმს, რის გამოც დასავლეთში გამოჩნდნენ „სპეციალისტები“, რომლებმაც იმ აზრის კულტივირება დაიწყეს, რომ „ჩინეთსა და რუსეთს შეუძლიათ შექმნან ეკონომიკურად განვითარებული, მაგრამ არადემოკრატიული ახალი მსოფლიო“ [113], რაც თავისთავად, როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებლად გამოიწვევს მორიგ დაპირისპირებას „ხმელეთსა და წყალს“ შორის.

„ცივი ომის“ დამთავრებასთან, მოწინააღმდეგე მხარეების შერიგებასთან და ახალ გეოპოლიტიკურ რეალობასთან დაკავშირებით, საინტერესოა ცნობილი ინგლისელი მწერლის რედიარდ კიპლინგის აზრი, იგი წერს: „აღმოსავლეთი აღმოსავლეთია, დასავლეთი დასავლეთი და ისინი ერთმანეთს არასოდეს არ შეხვდებიან“ [178]. აღნიშნული სიტყვებიდან კარგად ჩანს, რომ „ცივი ომის“ დასრულება ვერ გადაწყვეტდა იმ დიდ პრობლემას, რასაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაპირისპირება ჰქვია.

ამრიგად, გეოპოლიტიკაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია ქვეყნის გეოგრაფია, რომელიც ერთი შეხედვით, უცვლელი ფაქტორია, მაგრამ სპეციფიკურ ტერიტორიაზე დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს საერთაშორისო ძალების ბალანსის ცვლილების, ტექნოლოგიური განვითარებისა და ეკონომიკური ფაქტორების გამო. მაშასადამე, არგუმენტი ადასტურებს, რომ არსებობს პერმანენტული-განგრძობითი და გარდამავალი-ცვალებადი გეოპოლიტიკური სივრცე მოცემული ქვეყნისა. მაშინ, როცა პერმანენტული მახასიათებელი წარმოიქმნება ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილებითა და თავად ტერიტორიის მდიდარი მემკვიდრეობით, ხოლო დროებითი მახასიათებელი გახლავთ მოკლევადიანი. მაგალითად “თურქეთი

არის ხიდი ევროპასა და აზიას შორის” არის პერმანენტული არგუმენტი, მაშინ, როდესაც გამოთქმა “თურქეთი ბარიერია სამხრეთში საბჭოთა ექსპანსიისათვის”, დროებითია.

ერთი შეხედვით, „გეოპოლიტიკა” „გეოგრაფიისა” და „პოლიტიკისაგან” წარმოებული ტერმინია და ბევრს შეცდომით პოლიტიკური გეოგრაფიის სინონიმი ჰგონია. სინამდვილეში მათ შორის რეალური განსხვავებაა. პოლიტიკური გეოგრაფია, ჩვეულებრივ, სწავლობს პოლიტიკურ ძალთა განლაგებას ამა თუ იმ გეოგრაფიული სივრცის შიგნით. ეს სივრცე შეიძლება იყოს ქვეყანა, მხარე, რაიონი, შტატი, საარჩევნო უბანი და სხვ. გეოპოლიტიკა გულისხმობს ურთიერთობებს ისეთ სივრცულ-გეოგრაფიულ ერთეულებს შორის, როგორებიცაა ქვეყნები, რეგიონები და კონტინენტები [37-11].

გეოპოლიტიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შინაარსით. იგი სახელმწიფოთაშორისი საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობების მთელ სპექტრს მოიცავს, რადგანაც ყოველ პოლიტიკურ გადაწყვეტილებას სივრცული გამოხატულება გააჩნია.

ამრიგად, თანამედროვე ხედვით, გეოპოლიტიკა წარმოადგენს სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ახლებურად გაგებული თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობას, რომელიც გეოგრაფიული ფაქტორის, ეროვნული ინტერესების, პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების, პოლიტიკური პროცესებისა და საერთაშორისო კრიზისების რეგულირების კომბინირებულ ანალიზს ეფუძნება.

§ – 2. თურქეთის გეოპოლიტიკის ვექტორები XX საუკუნისის მეორე ნახევრიდან: ტრადიცია და ცვლილებები

თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკაზე სერიოზული ზეგავლენა იქონია მეორე მსოფლიო ომმა. მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო დაპირისპირებული მხარეები ცდილობდნენ თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ თურქეთის სახმელეთო თუ საზღვაო პრივილეგიები. თურქ დიპლომატებს ომის დაწყებიდან მის დასრულებამდე, უდიდესი ძალისხმევა დასჭირდათ იმისათვის, რომ მათი ქვეყანა საბედისწერო ბრძოლაში არ ჩათრეულიყო და ამით სამუდამოდ არ დაღუპულიყო იგი.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მათი ლიდერი, მუსტაფა ქემალ ათათურქი თურქებს აფრთხილებდა მსოფლიოში მოსალოდნელი არეულობის შესახებ, მას მიაჩნდა, რომ ჰიტლერი და მუსოლინი აუცილებლად დაიწყებდნენ ახალ ომს თავიანთი ამბიციების დასაკმაყოფილებლად და მოუწოდებდა თურქთა მმართველ წრეებს, რომ არასდიდებით არ აყოლოდნენ ნაცისტების პროვოკაციებს. მუსტაფა ქემალის გარდაცვალების შემდეგ, მალევე, 1939 წლის აპრილში თურქეთში, უშუალოდ ფიურერის დავალებით ჩამოვიდა გერმანიის ელჩი ფონ პაპენი, მისი მთავარი მიზანი გახლდათ თურქეთის რესპუბლიკის გერმანიის, იტალიისა და იაპონიის კავშირში ჩათრევა. გერმანელი გენერალი თურქებს მოკავშირეობის სანაცვლოდ იტალიის მფლობელობაში მყოფ დოდეკანოზის კუნძულებიდან ოთხი პატარა კუნძულის გადაცემას დაჰპირდა [29-462], საბოლოოდ მოლაპარაკება არ შედგა, რადგან მუსოლინმა და მისმა გუნდმა თურქეთის იტალიის ტერიტორიების გადაცემაზე უარი განაცხადეს.

გერმანიის მცდელობა თურქეთის გადაბირებისათვის ინგლისისა და საფრანგეთისათვის უყურადღებოდ არ დარჩენილა, რადგან მათთვისაც ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ თურქეთის სამხედრო სტრატეგიული მდებარეობა და რესურსები.

თურქთა მმართველი წრეები, ამ დროისათვის ორად იყვნენ გაყოფილი. ნაწილი გერმანელთა მხარეს იხრებოდა, ნაწილი კი ინგლისთან და საფრანგეთთან თანამშრომლობას მოითხოვდა. საბოლოოდ გათვალისწინებული იქნა ქემალის ანდერძი და უპირატესობა ინგლისის ბლოკს მიენიჭა. 1939 წლის 12 მაისს დიდმა ბრიტანეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს წინასწარ შეთანხმებას, რომლითაც ისინი აცხადებდნენ, რომ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში აქტიურად და ეფექტურად ითანამშრომლებდნენ და ერთმანეთს ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენდნენ. ინგლის-თურქეთის შეთანხმება არ იქნებოდა ეფექტური და ნაყოფიერი ხმელთაშუა ზღვის რეგიონში საფრანგეთის მონაწილეობის გარეშე [29-462]. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდისათვის ჰათაის პროვინციასთან დაკავშირებით საფრანგეთსა და თურქეთს ერთმანეთთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, მაგრამ ბრიტანელების ჩარევის შედეგად ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები დანორმალიზდა და უკვე 1939 წლის 19 ოქტომბერს ანკარაში თურქეთმა ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც ისინი ვაღდებულებას იღებდნენ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში აგრესიის შემთხვევაში ერთმანეთისათვის მნიშვნელოვანი დახმარება აღმოეჩინათ. ამ გადაწყვეტილებას ასევე მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ის ფაქტი, რომ 1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის მოსკოვში დაიდო ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტი, რომელიც ისტორიაში რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის სახელით არის ცნობილი.

აღნიშნული ხელშეკრულებით საბჭოთა კავშირი და გერმანია იყოფდნენ აღმოსავლეთ ევროპას, ამასთანავე სტალინის ბრძანებით, რუსები ნაცისტებს უყენებდნენ საკითხს ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ბაზების შექმნის შესახებ. ამ ინფორმაციამ როგორღაც მიაღწია ანკარის ყურამდე, რის გამოც სახელმწიფოს ხელმძღვანელობამ დააჩქარა თავისი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა.

აღსანიშნავია, რომ თურქებს 1939 წლის გაზაფხულის ბოლოსათვის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების მოთხოვნით საბჭოთა კავშირმაც მიმართა, მაისში ანკარას ეწვია საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე ვ. პოტიომკინი. თურქთა მთავრობამ საბჭოებს ამ მოთხოვნაზე დროულად გარკვეული პასუხი არ მისცა. მალე 1939 წლის 1 სექტემბერს ნაცისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, რაც საბოლოოდ გახდა მეორე მსოფლიო ომის დაწყების საბაბი.

1939 წლის სექტემბრის ბოლოს უკვე თურქებმა სცადეს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების დადება. ამ მიზნით მოსკოვში გაგზავნილ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრი სარაჯოღლუ, მან რუსებს შესთავაზა ურთიერთდახმარების პაქტის დადება, რომელიც გავრცელდებოდა სრუტეებსა და ბალკანეთზე. საბჭოთა კავშირმა უარყო თურქთა საგარეო საქმეთა მინისტრის წინადადება, რადგან მათთვის ცნობილი გახლდათ ის ფაქტი, რომ ასეთივე ხელშეკრულებას დებდნენ თურქები ინგლისსა და საფრანგეთთან [29-463]. სტალინმა და მისმა თანამოაზრეებმა კარგად იცოდნენ, რომ ამ ყველაფერს შეიძლება საბჭოთა კავშირის გერმანიასთან ომში ჩათრევა მოჰყოლოდა.

1940 წლიდან მეორე მსოფლიო ომი გავრცელდა უკვე ხმელთაშუაზღვისპირეთში. ამავე წლის აპრილსა და ივნისში გერმანიამ დაიპყრო დანია და ნორვეგია, რის შემდეგაც ფაშისტები

შეიჭრენ ბელგიასა და ჰოლანდიაში, გაარღვიეს საფრანგეთის თავდაცვითი ხაზი და გეზი პარიზისაკენ აიღეს. ამავდროულად გერმანიის მოკავშირემ, იტალიამ 1940 წლის 10 ივნისს ომი გამოუცხადა საფრანგეთს. თურქეთი, როგორც ინგლისისა და საფრანგეთის მოკავშირე, ვალდებული იყო მეგობარი ქვეყნებისათვის სამხედრო დახმარება აღმოეჩინა, მაგრამ მუსტაფა ქემალის მემკვიდრეებმა ცბიერი პოლიტიკის შედეგად ომში ჩაბმისაგან თავის აცილება მოახერხეს. თურქეთის რესპუბლიკის მთავრობამ განაცხადა, რომ მოკავშირეებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად, ისინი სარგებლობდნენ „არამეომარი სახელმწიფოს“ სტატუსით [29-484].

თურქეთის სახელმწიფო მიუხედავად ინგლისსა და საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულებებისა, ყოველთვის ცდილობდა გერმანიასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას. ამის უტყუარ მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ მას, მიუხედავად მოკავშირეებთან დაახლოებისა, არასოდეს არ შეუწყვეტია გერმანელებთან სავაჭრო ეკონომიკური თანამშრომლობა. ხოლო, რაც უფრო მეტ წარმატებას აღწევდნენ ღერძის სახელმწიფოები, თურქებიც მით უფრო მეტად იხრებოდნენ გერმანელებისაკენ, რადგან ანკარის ხემძღვანელობა მაქსიმალურად ცდილობდა ქვეყნისათვის თავიდან აეცილებინა გამანადგურებელ ომში ჩათრევა.

1941 წლის იანვარში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა, თურქეთის პრეზიდენტს, ისმეთ ინონიუს გაუგზავნა წერილი, რომლითაც ის ითხოვდა, თურქებს ინგლისელებისათვის მიეცათ უფლება მათ ტერიტორიაზე აეშენებინათ საზღვაო და საჰაერო, სამხედრო ბაზები, რაზეც ბრიტანელებმა კატეგორიული უარი მიიღეს [29-465].

პარალელურად, თურქეთში გერმანელთა ინტერვენციის საფრთხე თანდათან უფრო იზრდებოდა. ვერმახტის

ხელმძღვანელობიდან, თურქეთის წინააღმდეგ ლაშქრობის დაწყების ერთ-ერთი ძლიერი მხარდამჭერი გახლდათ. მესამე რაიხის მნიშვნელოვანი ელიტა მოითხოვდა, რომ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ქვეყნების დაპყრობის შემდეგ აუცილებელი იყო თურქეთის რესპუბლიკის ოკუპაცია.

საბოლოოდ, გერმანელებმა აფრიკაში უფრო მნიშვნელოვანი საქმის მოგვარების მიზნით დროებით უარი თქვეს თურქეთის ტერიტორიების იძულებით დაკავებაზე, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადოლფ ჰიტლერს აღნიშნული ქვეყნის ოკუპაციაზე საბოლოო უარი არ განუცხადებია, ის დარწმუნებული გახლდათ, რომ საბჭოთა კავშირის განადგურების შემდეგ აუცილებლად დაუთმობდა მნიშვნელოვან ყურადღებას თურქთა სახელმწიფოსაც [29-466], მაგრამ სანამ ვერმახტი საბჭოების წინააღმდეგ ბრძოლით იქნებოდა დაკავებული, მათთვის ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა თურქთა ნეიტრალური პოზიცია. ამ მიზნით 1941 წლის 18 ივნისს, საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმამდე ოთხი დღით ადრე ქალაქ ანკარაში ხელი მოეწერა გერმანიასა და თურქეთს შორის ხელშეკრულებას „ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და მეგობრობის შესახებ“ [16–361]. აღნიშნული ხელშეკრულებით ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა თავი შეეკავებინა ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლო კამპანიების ჩატარებისაგან და სახელმწიფოებს შორის თბილი მეგობრული ურთიერთობები შეენარჩუნებინათ.

1941 წლის 25 ივნისს თურქეთის სახელმწიფომ ოფიციალურად გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, მაგრამ რეალურად ის ხელს უწყობდა ფაშისტურ გერმანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან დაარღვია მონტრეს კონვენცია შავი ზღვის სრუტეების შესახებ, რადგან გერმანელთა და იტალიელთა სამხედრო გემებს უფლება მისცა შავ ზღვაში შემოსულიყვნენ. ასევე დიდი არაპირდაპირი

სამსახური გაუწიეს თურქებმა გერმანელებს იმით, რომ მობილიზებული ჰყავდათ თავისი მილიონიანი არმია, რომელთა დიდი ნაწილი განლაგებული იყო სამხრეთ კავკასიის საზღვრებთან, რის გამოც საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა ჯარის გარკვეული ნაწილი აღნიშნულ ტერიტორიაზე განეღებინა თურქთა შესაძლო ინტერვენციის მოსაგერიებლად.

1941 წლის ზაფხულიდან მეგობრობის ხელშეკრულების დადების შემდეგ თურქეთსა და გერმანიას შორის გაფორმდა რამდენიმე ეკონომიკური ხელშეკრულება, რომელთა ძალითაც ორივე მხარე მნიშვნელოვან სარგებელს პოულობდა, მაგრამ გერმანიის სამხედრო მდგომარეობის გაუარესების შემდეგ, თურქეთმა გერმანელებთან ყოველგვარ ეკონომიკურ საქმიანობაზე უარი განაცხადა. მიუხედავად ამ განცხადებისა ისინი მაინც ცდილობდნენ, რომ ფაშისტებთან მეგობრული დამოკიდებულება ჯერ კიდევ შეენარჩუნებინათ.

თურქეთის სახელმწიფოს ომის მსველობის დროს მნიშვნელოვან როლს ანიჭებდა ორივე მებრძოლი მხარე, ინგლისის პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის აზრით, მეორე ფრონტი გერმანელთა წინააღმდეგ უნდა გახსნილიყო არა საფრანგეთში, არამედ ბალკანეთში. ამ მიზნით აუცილებელი ხდებოდა თურქეთის ომში ჩაბმა. ჩერჩილის ამ გეგმას მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ფრანკლინ რუზველტმა. ინგლისისა და შტატების ხელმძღვანელობა თვლიდა, რომ თურქეთის ომში ჩაბმა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მომხდარიყო, ამ მიზნით მათ 1943 წლიდან დაიწყეს ამ უკანასკნელის საბრძოლო იარაღით მომარაგება [29-468].

1943 წლის ნოემბერ-დეკემბერში თეირანში ჩატარდა კონფერენცია, სადაც მოხდა სამი წამყვანი სახელმწიფოს მეთაურების სტალინის, ჩერჩილის და რუზველტის შეხვედრა.

კონფერენციაზე მოლაპარაკებების დროს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა საკითხს, რომელიც დაკავშირებული გახლდათ თურქეთის სახელმწიფოსთან. საბოლოოდ გადაწყდა, რომ მეორე ფრონტი გაიხსნებოდა დასავლეთ ევროპაში, ხოლო თურქეთს შესთავაზებდნენ წინადადებას, რომ არა უგვიანეს 1944 წლის თხუთმეტი თებერვლისა, ჩაბმულიყო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ.

თეირანის კონფერენციის შემდეგ ამერიკისა და ინგლისის სახელმწიფოს ხელმძღვანელები კაიროში შეხვდნენ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ისმეთ ინენიუს, რომელსაც შეახსენეს მისი ქვეყნის ვალდებულებები. თავის მხრივ, თურქეთის პრეზიდენტმა ბრძოლის დაწყებისათვის მოითხოვა შეიარაღების ისეთი რაოდენობა, რომელის მიწოდებაც მცირე დროში თითქმის შეუძლებელი გახლდათ. მიუხედავად ამისა, ინგლის-ამერიკა განაგრძობდა თურქეთა შეიარაღებას, ინგლისელი სამხედრო სპეციალისტები კი უწვრთნიდნენ არმიას [29-469].

თურქეთის პრეზიდენტი და მთავრობა ცდილობდა ფრთხილი პოლიტიკით გამოსულიყვენ ამ რთული მდგომარეობიდან და მათი ქვეყანა არც ერთი მხარის სასარგებლოდ არ ჩაეთრიათ გამანადგურებელ ომში. ეს გახლდათ თურქეთის დიპლომატიის უდიდესი წარმატება, ომის მსვლელობაში შეძლეს ინგლისთან მოკავშირეობისა და გერმანიასთან მეგობრობის პირობებში მათ შეძლეს ფაქტობრივი ნეიტრალიტეტის შენარჩუნება. მხოლოდ 1945 წლის 23 თებერვალს სიმბოლურად გამოუცხადეს ომი გერმანიასა და იაპონიას. რეალურად მეორე მსოფლიო ომში არც ერთი თურქული ქვეყნის არ გავარდნილა, მაგრამ გერმანელთა წინააღმდეგ ომის გამოცხადებამ თურქეთი მოახვედრა ანტიჰიტლერულ კოალიციაში, რის შემდეგაც მან მოიპოვა მოწვევა 1945 წელს სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე და შესაბამისად გაეროს წევრის სტატუსი.

საგარეო პოლიტიკაში წარმატებების მიუხედავად, ისმეთ ინონიუს მთავრობამ ვერ შეძლო ასეთივე წარჩინებით გაერთოთ თავი საშინაო პოლიტიკას. მთელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში თურქთა ხელმძღვანელობა იძულებული გახლდათ სრულ მზადყოფნაში ჰყოლოდათ ჯარი, ომის პერიოდში სამხედრო ხარჯები ომამდელთან შედარებით დაახლოებით ხუთჯერ იქნა გაზრდილი. მილიონიანი არმიის შენახვას მთავრობა მთელ ძალისხმევას ანდომებდა. ქვეყნის ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა ძირითადად ჯარის შენახვა-გამოკვებაზე იქნა გადაყვანილი, რაც საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკის განადგურების მთავარი მიზეზი გახდა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, საერთაშორისო სისტემაში ძალთა განაწილების ახალი ხასიათი შეიქმნა [28-116] და გამოჩნდა სრულიად სხვა გეოპოლიტიკური რეალობა: ჩამოყალიბდა ე. წ. სოციალისტური ბანაკი, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობები და ნელ-ნელა დაიძაბა ურთიერთობები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ასეთ რთულ საერთაშორისო ვითარებაში თურქეთის ხელისუფლებას სამოქმედო გზა აღარ ჰქონდა, როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაშიც, რადგან ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური კრიზისი იდგა. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში იყო სოფლის მეურნეობა და გლეხობა, რადგან მიწების უდიდესი ნაწილი მემამულეების ხელში იყო. ხელმძღვანელობამ მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაატარა რიგი რეფორმები, მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია. საერთო უკმაყოფილებამ მმართველ, სახალხო-რესპუბლიკურ პარტიაზედაც იმოქმედა, იგი აქამდე ქვეყანას ერთპიროვნულად, მონოპოლიურად მართავდა.

თურქეთის პროგრესული ძალები პარტიისაგან მოითხოვდნენ ანტიხალხური კანონების გაუქმებასა და ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების ჩატარებას. ცვლილებების გატარების მომხრეები

სახალხო-რესპუბლიკურ პარტიაშიც გამოჩნდნენ. 1945 წლის 7 ივნისს პარტიის რამდენიმე წევრმა (ჯედალ ბაიარი, ადნან მენდერესი, ფუად ქოფრულუ, რეფიკ ქორალთანი) პარლამენტში შეიტანა პაკეტი დემოკრატიული ცვლილებების შესახებ [29-472], აღნიშნული პაკეტის განხილვაზე მეჯლისმა უარი განაცხადა, რასაც დემოკრატიული რეფორმების გატარების მომხრეებიდან მოყვა სერიოზული პროტესტი და კრიტიკა მმართველი პარტიის მიმართ. საპასუხოდ ხელისუფლებამ პარტიიდან გარიცხა ცნობილი ოპოზიციონერი ლიდერები, რომლებმაც თავის მხრივ ახალი პოლიტიკური პარტიის შესაქმნელად მზადება დაიწყეს.

ასეთ მძიმე ვითარებაში სახალხო-რესპუბლიკური პარტია იძულებული გახდა სხვა პოლიტიკური პარტიების დაარსების ნებართვა გაეცა. 1946 წლიდან ქვეყანაში დაიწყო პოლიტიკური პარტიების დაარსება [29-472]. ნელ-ნელა იზრდებოდა ოპოზიციური პარტიების რეიტინგი, რის გამოც მმართველი პარტია იძულებული გახდა ვადამდელი არჩევნები ჩაეტარებინა.

1946 წლის ივლისში ჩატარდა არჩევნები, სადაც გამარჯვება კვლავ სახალხო რესპუბლიკურმა პარტიამ მოიპოვა. მიუხედავად დამარცხებისა, მეჯლისში მაინც მოხვდნენ ოპოზიციური ძალები, რომლებმაც ჯამში 74 მანდატი მოიპოვეს. მმართველმა პარტიამ ქვეყნის პრეზიდენტად კვლავ ისმეთ ინონიუ აირჩია, მთავრობის პრემიერ-მინისტრი გახდა რეჯებ ფეკერი, მეჯლისის თავჯდომარე კი გენერალი ქიაზიმ ქარაბეჩირი. განახლებული ხელმძღვანელობა ახალი ენერგიით შეეცადა ქვეყნისათვის სასიკეთო რეფორმების გატარებას. პირველ რიგში მათ მოახდინეს ლირას დევალვაცია და დოლართან ეროვნული ფულის კურსი ორჯერ შეამცირეს [29-473].

თურქეთის მთავრობას საგარეო პოლიტიკაშიც მძიმე ვითარება ჰქონდა. ისეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფო როგორც გახლდათ საბჭოთა კავშირი, თურქეთთან მოსალოდნელი კონფლიქტისათვის

ემზადებოდა. სტალინს სამამულო ომის საწყის პერიოდში, იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი გერმანიასთან მარცხს განიცდიდა, მუდამ ჰქონდა შიში იმისა, რომ თურქები შეიძლება ომში ღერძის სახელმწიფოების მხარეზე ჩართულიყვნენ და კავკასიის მხრიდან გამანადგურებელ შეტევაზე გადმოსულიყვნენ.

მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კი საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი გავლენის სფეროები ევროპასა და აზიაში. მის ომამდელ სამფლობელოებს დასავლეთში დაემატა კენიგსბერგი და ფინეთის ტერიტორიის ნაწილი. აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირმა მიიტაცა კურილიის კუნძულები და პორტ-არტური კვლავ რუსული სამხედრო-საზღვაო ბაზა გახადა.

მოსკოვის გავლენის სფეროში მოხვდა მანჯურია, ჩრდილოეთ კორეა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, იუგოსლავია. რუსული ტანკები იდგნენ ელბაზე და იქედან არსად არ აპირებდნენ წასვლას. ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ საბჭოთა კავშირის გავლენა ირანის ჩრდილოეთ რაიონებსა და ავსტრიაში. იქ საბჭოთა ჯარები დაბანაკდნენ.

ომით დასუსტებულ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, დანარჩენ ევროპულ ქვეყნებთან ერთად, არ შეეძლოთ კომუნისტური ექსპანსიისათვის წინააღმდეგობა გაეწიათ. იმის შესახებ, რომ იგი თურქეთის მიმართ რეალურად მზადდებოდა, მრავალრიცხოვანი ფაქტები მოწმობს. მაგალითად: პოტსდამის კონფერენციაზე იოსებ სტალინი მოითხოვდა, საბჭოთა კავშირსა და თურქეთს ერთობლივად გაეკონტროლებინათ შავი ზღვის სანაპიროები და სრუტეები, რაზეც მან ევროპელებისა და ამერიკელების მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. ამის შემდეგ, საბჭოთა ბელადმა გამოთქვა მოსაზრება, რომ თურქეთის აღმოსავლეთ რაიონები უნდა მიერთებოდა სომხეთს, ხოლო ირანულ აზერბაიჯანისა და ქურთებით დასახლებულ ტერიტორიებზე საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით შექმნილიყო ავტონომიები, რადგან

ეს უკანასკნელნი უარს ამბობდნენ თეირანისა და ანკარის ხელისუფლების მორჩილებაზე. ამ პერიოდისათვის საბჭოთა ჯარები უკვე კარგად იყვნენ გამაგრებულნი მანჯურის ტერიტორიაზე და არსად არ ფიქრობდენ იქიდან წასვლას, ამასთანავე აღნიშნული ტერიტორია აქტიურად გამოიყენებოდა ჩინეთის წითელი არმიის ბაზებადაც.

უკვე 1945 წლის ბოლოდან საბჭოთა კავშირი თურქეთთან მიმართებაში ცვლის თავის გეოპოლიტიკის მიმართულებას და თავდაცვითი პოლიტიკიდან აქტიურ, შეტევით პოლიტიკაზე გადადის. 1945 წლის 19 მარტს კრემლმა ცალმხრივად გააუქმა 1925 წლის 17 დეკემბერის თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ დადებული ხელშეკრულება თურქეთთან. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამავე წლის 7 ივნისს წამოჭრა 1921 წლის მოსკოვის შეთანხმებით თურქეთისათვის გადაცემული ქართული ტერიტორიების, ყარსის, ართვინის და არტაანის უკან დაბრუნებისა და შავი ზღვის სრუტეებში საბჭოთა სამხედრო ბაზების შექმნის საკითხები. სრუტეებში საბჭოთა სამხედრო ბაზების დაარსების მოთხოვნა საბჭოთა ხელმძღვანელობამ ძალიან კატეგორიულად, თითქმის ულტიმატუმის ფორმით დააყენა 1946 წლის 7 აგვისტოს ნოტაში [29-478].

ჯერ კიდევ 1945 წლის ბოლოდან საბჭოთა მთავრობის ბრძანებით დაიწყო საზოგადოების შემზადება თურქეთთან მოსალოდნელი კონფლიქტისათვის. აღნიშნული საკითხით განსაკუთრებით დაინტერესდნენ საქართველოსა და სომხეთში, ქართული ინტელიგენცია დიდი სიხარულით გამოეხმაურა მოსკოვის სურვილს სამშობლოსათვის ძირძველი მიწების დაბრუნების შესახებ.

თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობისათვის ნათელი იყო, რომ მათი ქვეყანა მარტო ვერ შეძლებდა საბჭოთა კავშირიდან

წამოსული აგრესიისაგან თავი დაეცვა, ამიტომ დახმარება სთხოვეს დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ინგლისი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საკმაოდ დასუსტებული გახლდათ, რის გამოც მან ვერ შეძლო თურქეთისათვის პირდაპირი დახმარება აღმოეჩინა. სამაგიეროდ, ლონდონმა აქტიური როლი ითამაშა ამერიკის შეერთებული შტატების დარწმუნებაში, თურქეთისათვის დახმარების გაწევის აუცილებლობაში, რადგან ამერიკელებს თავდაპირველად მიაჩნდათ, რომ საბჭოთა კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას პირადი სადაო საკითხები პირისპირ, მხოლოდ ერთმანეთთან მოლაპარაკებებით უნდა გადაეწყვიტათ.

ამერიკელებს, ინგლისელებთან ერთად გადაწყვეტილების მიღებისაკენ ახალმა გეოპოლიტიკურმა რეალობამ უბიძგა. 1945 წლიდან გეოპოლიტიკური სიტუაცია მსოფლიოში ძალზე ცვალებადი და არამყარი იყო. „დიდი სამეულის“ წევრებს ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პრიორიტეტები და მიზნები ჰქონდათ.

ამერიკის შეერთებულ შტატებს მკაფიოდ გამოხატული ეკონომიკური გათვლები ჰქონდა: მისი მიზანი იყო ბიზნესისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შეექმნა მის ტერიტორიასა და მთელს მსოფლიოში, ბრიტანეთის პრიორიტეტები პოლიტიკური ხასიათისა იყო. მას სურდა დარჩენილიყო ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ. მიუხედავად იმისა, რომ გადარჩენის მიზნით ბრიტანეთს ამერიკისაგან დიდი სესხის აღება მოუხდა, იგი მაინც რჩებოდა მსოფლიო ისტორიაში უდიდეს იმპერიად, საბჭოთა კავშირის პრიორიტეტი დასავლეთ ფლანგის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მდგომარეობდა, რაც აღმოსავლეთ ევროპაში ბუფერის შექმნას და ასევე მსოფლიოში კომუნიზმის გავრცელებას გულისხმობდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პრეზიდენტს ჰარი ტრუმენს საერთაშორისო ურთიერთობების გარდამტეხ, უპრეცედენტო ეტაპზე მოუწია ეტვირთა ზესახელმწიფოს მეთაურობა და შესაბამისად მთელი დასავლური სამყაროს ლიდერობა. როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომი, არა მხოლოდ მასშტაბებით აღემატებოდა ყველა უწინდელს, არამედ მასთვისობრივად განსხვავებული განზომილებებიც ახლდა, რომლებმაც შემდგომში შედეგების დროსაც იჩინა თავი და საერთაშორისო სისტემაში არსებითი ცვლილებები მოიტანა. თუ ომით გამოწვეულმა სახელმწიფოებრივი ინტერესების თანხვედრამ ერთ ბანაკში მოაქცია კომუნისტურ-ტოტალური საბჭოთა კავშირი და ლიბერალურ-დემოკრატიული ანგლო-საქსური სამყარო, ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის სახით,* ფაშისტურ (აგრეთვე ტოტალიტარული) ექსპანსიონისტური ღერძის: ბერლინი-რომი-ტოკიო, განადგურების შემდეგ, ანტიჰიტლერული კოალიციის სამმა „მძიმეწონოსანმა“ საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფასა და მიზნების განხორციელებას მიჰყო ხელი. გამომდინარე იქიდან, რომ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მედროშე საბჭოთა კავშირი, თავისი „ისტორიული მატერიალიზმით“, კლასთა ბრძოლის თეორიით და უკვე მოპოვებული გამარჯვებების სტიმულით, შეერთებული შტატებისა და ასევე, დიდი ბრიტანეთისთვის ომის დროინდელი მოკავშირე სახელმწიფო კი აღარ იყო, რომელთან უთიერთობასაც რუზველტი ასე თუ ისე წარმატებით ართმევდა თავს, არამედ „კაპიტალისტური სამყაროს“ უკომპრომისო ანტაგონისტი, რომლის ბუნებასა და ზრახვებზე ხიროსიმასა და ნაგასაკის ატომურმა დაბომბვებმაც კი ვერ მოახდინა მოსალოდნელი ეფექტი და

* რომანული საფრანგეთი, როგორც ვიცით, გარკვეულ მომენტამდე ორად გაიხლიჩება თავის ორიენტაციაში

ამიტომაც, ტრუმენი დიდ ხანს ვერ დარჩებოდა რუზველტის კურსის მექანიკურ გამგრძელებლად. შეერთებული შტატების მორიგი პრეზიდენტის მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ მას საერთაშორისო პოლიტიკის სიბრტყეზე ორი გიგანტური ფიგურა, ი. სტალინი და უ. ჩერჩილი „ეთამაშებოდა“. მართალია, ეს უკანასკნელი მაღე ოფიციალურად „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდა, მაგრამ დიდი ბრიტანეთის ინტერესები პრემიერის გადარჩევასთან ერთად არ შეცვლილა და ერთ საკითხში მაინც, კომუნიზმის შემდგომი გავრცელების აღკვეთის აუცილებლობაში, ამერიკულ-ბრიტანულ ურთიერთობას ბზარი არ გასჩენია. პირიქით, სწორედ პრემიერობას ჩამოცილებულმა ჩერჩილმა შემოჰკრა „ცივი ომის“ ზარს ფულტონში, 1946 წელს, მის ცნობილ გამოსვლაში, რომელსაც თავად „მშვიდობის კუნთები“ დაარქვა [27-291]. აღსანიშნავია, რომ ამ გამოსვლას ამერიკის პრეზიდენტი ჰარი ტრუმენიც ესწრებოდა.

საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბება ყოველთვის რთული და მტკივნეული პროცესია. XX საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევრისა და 50-იანი წლების დასაწყისის გეოპოლიტიკური ტრანზიცია* ამ მხრივაც განსაკუთრებული აღმოჩნდა. ტრუმენმა „მემკვიდრეობით მიიღო საერთაშორისო ვითარება, სადაც სადემარკაციო ხაზებს აღმოსავლეთსა და დასავლეთიდან მოსული არმიების ერთმანეთზე მიბჯენილი ავანპოსტები განსაზღვრავდა“ [60-231]. ტრუმენის თავდაპირველი, ინსტიტუტური სწრაფვა იყო შეთანხმებოდა სტალინს. საბჭოეთთან უთანხმოებას ტრუმენი ხსნიდა არა საპირისპირო გეოპოლიტიკური ინტერესებით, არამედ მათი „პოლიტიკური უმწიფარობით, თავდაჭერის ქცევის წესების არასაკმარისი ჩვევებით“, ხოლო როდესაც ცნო, რომ შეერთებულ

* ტრანზიცია – გულისხმობს „წინ“ მოძრაობას ერთი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილებიდან მეორისაკენ. პოლიტიკურ გარემოში ტრანზიცია განისაზღვრა, როგორც ცვლილება ერთი სახელმწიფო წყობილებიდან მეორისაკენ.

შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის დაძაბულობა რაიმე გაუგებრობის მიზეზი კი არ არის, არამედ თანდაყოლილი ხასიათისაა, მაშინ „ცივი ომის“ ისტორიაც დაიწყო, სადაც თურქეთის რესპუბლიკა უდიდეს სახელმწიფოებთან ერთად, თვითგადარჩენის მიზნით, დასავლეთის ბანაკის მხარეს აღმოჩნდა ჩათრეული.

1946 წლიდან ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყო თურქეთის რესპუბლიკის აშკარა ლობირება და ნათლად აგრძნობინა საბჭოთა კავშირს რომ, სამხრეთისაკენ მის ექსპანსიას არ დაუშვებდა.

ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთისათვის უდიდესი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მქონე მოვლენა გახლდათ „ტრუმენის დოქტრინა“. საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთისადმი წაყენებული მოთხოვნებისა და საბერძნეთში კომუნისტების აჯანყების შედეგად წარმოქმნილი სირთულეების გამო 1947 წლის 12 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა კონგრესის საგანგებო გაერთიანებულ სხდომაზე გააკეთა მოხსენება, რომლითაც ის ჰპირდებოდა სრულ პოლიტიკურ და სამხედრო დახმარებას იმ ქვეყნებს, რომლებსაც საგარეო საფრთხე ემუქრებოდათ, ამ დროისათვის კი საბჭოთა კავშირის მხრიდან ექსპანსიის საფრთხის წინაშე აშკარად იდგა თურქეთის რესპუბლიკას და საბერძნეთი. სწორედ ამიტომ, დოქტრინა ხაზს უსვამდა ამერიკის მიერ თურქეთისა და საბერძნეთის უსაფრთხოების გარანტიის დაცვას. ტრუმენის დოქტრინის შესაბამისად ამერიკამ აღნიშნული ქვეყნებისათვის დიდი სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური დახმარებების გაწევა დაიწყო.

1949 წელს თურქეთის რესპუბლიკა მიიღეს ევროსაბჭოს წევრად, რაც მისი საგარეო პოლიტიკისათვის უთუოდ დიდი წარმატება გახლდათ. ამავე წლის 4 აპრილს მოხდა უდიდესი მსოფლიო პოლიტიკური მოვლენა, ორმა ამერიკულმა (ამერიკის

შეერთებული შტატები, კანადა) და ათმა ევროპულმა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბენილუქსი,* იტალია, დანია, ისლანდია, ნორვეგია, პორტუგალია.) სახელმწიფომ შეკრა სამხედრო ალიანსი, „ჩრდილო ატლანტიკური კავშირი“ – ნატო. აღნიშნული ორგანიზაცია უზრუნველყოფდა კოლექტიურ თავდაცვას და საგარეო საფრთხის შემთხვევაში მასში გაწევრიანებული ქვეყნების ერთიან ბრძოლას სამხედრო მტრის წინააღმდეგ.

იაპონიის კაპიტულაციის შემდეგ მისი ყოფილი კოლონია – კორეა ორად გაიყო. 1948 წელს ჩრდილოეთ კორეა „სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გამოცხადდა. ხელისუფლების სათავეში კომუნისტები მოვიდნენ. სამხრეთს კი საპრეზიდენტო რეჟიმი მართავდა. 1950 წლის ივნისში ჩრდილოეთ კორეამ, საბჭოთა კავშირის აშკარა მხარდაჭერით, წამოიწყო ლაშქრობა სამხრეთის წინააღმდეგ, მისი ხელმძღვანელობისაგან გათავისუფლებისა და ქვეყნის მთლიანობის აღდგენის მოტივით. ბუნებრივია, კორეის ერთიანი სახელმწიფო კომუნისტური უნდა გამხდარიყო, რაც თავისთავად დასავლეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. გაერო-მ ჩრდილოეთ კორეას საომარი მოქმედებების შეწყვეტა და დაკავებული ტერიტორიების გათავისუფლება მოსთხოვა, რასაც აგრესორი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაემორჩილა. მაშინ გაერომ სამხრეთ კორეისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით იქ საერთაშორისო ძალები გაგზავნა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის მიმართ თავისი მადლიერების გამოსახატავად თურქეთმა აქტიური მონაწილეობა მიიღო კორეის ომში. ანკარის ხელმძღვანელობამ, 1950 წელს მეჯლისის თანხმობის გარეშე თავისი სამხედრო დანაყოფები ამერიკელთა და მათი მოკავშირეების დასახმარებლად გაგზავნა. თურქი სამხედროები ჩრდილოეთ კორეიდან წამოწყებული აგრესიის

* ბენილუქსი – ბელგია, ნიდერლანდები, და ლუქსენბურგი

წინააღმდეგ ამერიკელთა გვერდით იბრძოდნენ და დიდი ბრძოლისუნარიანობაც გამოამჟღავნეს [16–364].

სწორედ აღნიშნულ ომში წარმატებით ჩართვა გახდა სხვა გეოპოლიტიკურ მოვლენებთან ერთად, ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი 1952 წელს თურქთა ნატოში გაწევრიანებისა, რის შედეგადაც დასავლური სამხედრო გაერთიანების ფლანგი უშუალოდ საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვართან გადაადგილდა. ნატოში გაწევრიანება თურქეთისათვის საგარეო საფრთხის აცილებისა გარანტი გახდა. ალიანსში გაწევრიანების შემდეგ ანკარამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ყველა იმ აქციაში, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოებმა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ მოაწვეეს. 1956 წლის ივლისში თურქეთმა გაილაშქრა ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელისა და ეგვიპტის ომს. 1958 წელს ანკარამ ღია თანადგომა გამოუცხადა ინგლისსა და ამერიკას, როდესაც ამ უკანასკნელებმა ლიბანისა და იორდანის წინააღმდეგ ინტერვენცია მოახდინეს [29-492]. პარალელურად მას შემდეგ რაც თურქეთი ნატოს წევრი გახდა შეერთებულმა შტატებმა ანკარას დახმარების პაკეტი კიდევ უფრო გაუზარდა. ვაშინგტონმა ახალ მოკავშირეს გაუგზავნა სხვადასხვა სამხედრო და სამოქალაქო მისიები, მრჩევლები და ექსპერტები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამხედრო ბაზების მშენებლობებსა და თურქეთის არმიის შეიარაღებას. 1959 წლის მარტში ანკარასა და ვაშინგტონს შორის დაიდო ორმხრივი სამხედრო შეთანხმება, რომლის მიზანი იყო, გადაექცია თურქეთი მთავარ ატომურ-რაკეტულ ბაზად საბჭოთა კავშირის საზღვრებთან [29-493]. სწორედ ამ მიზნით, აღნიშნულ ტერიტორიაზე განლაგდა ამერიკული სამხედრო ბაზები, სადაც ტექნიკასთან ერთად ამერიკელებმა შეიტანეს ბირთვული იარაღიც, რომელიც 1963 წლამდე თურქეთის ტერიტორიაზე ინახებოდა.

რაც შეეხება უშუალოდ საბჭოთა კავშირის პრეტენზიებს ანკარის მიმართ, 1953 წელს გარდაიცვალა ქვეყნის ხელმძღვანელი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი. მისი გარდაცვალებიდან 3 თვეში ახალმა მთავრობამ უარი თქვა თავის ტერიტორიულ პრეტენზიებზე თურქეთის მიმართ, სრუტეებში სამხედრო ბაზების შექმნისა და მისი რეჟიმის გადასინჯვის მოთხოვნებზე, რითაც საბოლოოდ დადასტურდა, რომ თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ წარმოებულ აგრესიულ პოლიტიკას უშუალოდ იოსებ სტალინი ედგა სათავეში [30-72].

ამრიგად, თურქეთის საგარეო პოლიტიკაში 1945-52 წლებში შეიცვალა დაინტერესება პოლიტიკური სივრცის მიმართ, რასაც მოჰყვა მისი გეოპოლიტიკური ძვრა ანუ გეოპოლიტიკური ბრუნი და დიდხნიანი ფაქტობრივი ნეიტრალიტეტის მკვეთრად პროდასავლური ვექტორით შეცვლა.

§ – 3. ისლამის ისლამის პოლიტიკური ფაქტორი თურქულ გეოპოლიტიკურ სტრატეგიაში

თანამედროვე თურქეთის გეოპოლიტიკურ კონცეფციაში რელიგიას განსაკუთრებული როლი უჭირავს. ქვეყანაში გავრცელებულ სხვა რელიგიათა შორის უმთავრესი გახლავთ ისლამი, სუნიტური მიმდევრობით.

ისლამი არაბული სიტყვაა და ერთგულებას ნიშნავს, მას მსოფლიოში დაახლოებით 1,3 მილიარდი მიმდევარი ჰყავს. ყველა მუსლიმი, მიუხედავად მისი ეთნიკური და რასობრივი წარმოშობისა, ან მოქალაქეობრივი კუთვნილებისა, მათივე რელიგიის მიხედვით, თეორიულად ერთ თემს ეკუთვნის. მუსლიმებს საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური ერთიანობაც ახასიათებთ. დღეისათვის არსებობს 1971 წელს შექმნილი ორგანიზაცია „ისლამური კონფერენცია“, რომელშიც ისეთი სეკულარული ქვეყნებიც კი შევიდნენ, როგორცაა თურქეთის რესპუბლიკა, აზერბაიჯანი და ალბანეთი, მაგრამ რეალურად მსოფლიო საერთაშორისო პოლიტიკაში ამ ორგანიზაციის რეიტინგი ძალზე უმნიშვნელოა.

ისლამი მსოფლიო რელიგიათა შორის ყველაზე ახალგაზრდაა [16–183]. იგი მეშვიდე საუკუნეში არაბეთის ნახევარკუნძულზე წარმოიშვა, ფუძემდებელია მუჰამედი, რომელიც ისლამური სწავლების მიხედვით ღმერთის უკანასკნელი წინასწარმეტყველი იყო. დღეს ისლამი გავრცელებულია მთელს მსოფლიოში, კერძოდ ახლო აღმოსავლეთში, ჩრდილოეთ აფრიკაში, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

თავდაპირველი ცნობები მუჰამედის შესახებ ეყრდნობა იბნ-ისაკის მიერ VIII საუკუნეში დაწერილ ჰაგიოგრაფიულ თხზულებას [16–184], რომელიც გახლავთ ისლამის ფუძემდებლის ბიოგრაფია. ნაწარმოების მიხედვით, როდესაც მუჰამედი ორმოცი წლის

შესრულდა, მას დაეწყო ხილვები, რომელთა ძალითაც ერთდმერთიანობის ქადაგება დაიწყო. მისი მოწოდებით არაბებს უარი უნდა ეთქვათ მრავალდმერთიანობაზე და ერთი ღმერთის, ალაჰის უნდა ერწმუნათ. ისლამი მიიხნევს, რომ წმინდა წიგნი „ყურანი“ მარადიულად არსებობდა და მუჰამედს ეუწყა მისი ტექსტი, რომელსაც იგი ზეპირად გადასცემდა თავის მიმდევრებს. ქალაქ მექას მცხოვრებლებმა ახალი რელიგია არ მიიღეს და მუსლიმთა ლიდერი იძულებული გახდა, სხვა არაბულ ქალაქში მედინაში გაქცეულიყო. იქ მას ბევრი თანამზრახველი გამოუჩნდა და 630 წელს გამარჯვებული მუჰამედი მექაში დაბრუნდა, რის შემდეგაც ირწმუნეს მისი.

ძალიან მალე მუჰამედის გარშემო შემოკრებილმა არაბობამ ალაჰის ერთგულ მორწმუნეთა სახელმწიფო შექმნა (ხალიფატი), რომელიც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დიდ იმპერიად იქცა. მუჰამედის სიკვდილის შემდეგ არაბთა სახელმწიფოს მისი შემცველები, ხალიფები მართავდნენ [66–43].

ისლამი წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკის ძირითად რელიგიას, მაგრამ დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალ ათათურქის თაოსნობით, 1924 წელს გააუქმა სახალიფო [23-21] და 1928 წელს ქვეყნის კონსტიტუციიდან ამოიღო თავი, რომელიც ისლამს განსაზღვრავდა სახელმწიფო რელიგიად.

ამრიგად, პირველად მუსლიმურ ქვეყანაში დამკვიდრდა რელიგიური თავისუფლების დემოკრატიული პრინციპი. მოქმედი კონსტიტუციის მე-2 მუხლით განსაზღვრულია, რომ თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენს დემოკრატიულ, საერო და სოციალურ-სამართლებლივ სახელმწიფოს. აღნიშნული პრინციპების გამყარება წარმოადგენდა ქემალისტური დემოკრატიული რეფორმების შედეგს, რის შემდეგაც თურქეთში ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება გააჩნდეს თავისი რელიგია ან იყოს ათეისტი. აღნიშნული

პრინციპები გამორიცხავს თურქეთის რესპუბლიკაში ლეგალურად შარიათის* აღდგენას.

უნდა აღინიშნოს, რომ შარიათის ხელახლა დამკვიდრებისაკენ მიმართული ნებისმიერი მოწოდება კვალიფიცირდება, როგორც საერო ხელისუფლების ძალისმიერი ხელყოფის ფაქტი. თურქეთის კონსტიტუციის მე-14 მუხლში ჩამოთვლილი ანტიკონსტიტუციური ქმედებები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს ერთიანობის, ქვეყნისა და ერის წინააღმდეგ, საფრთხეს უქმნის თურქეთის სახელმწიფოებრიობას და რესპუბლიკას, ასევე ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს [130]. ზემოთ აღნიშნული ქმედებები მოიცავს ხალხის დაყოფას ენის, რასის, რელიგიისა და აღმსარებლობის ნიშნის მიხედვით. ასევე ისეთი სახელმწიფო წყობილების შექმნას, რომელიც ეფუძნება აღნიშნულ კონცეფციებს და შეხედულებებს.

თურქეთის კანონმდებლობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ კონსტიტუციური ჩარჩოებით და დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებდა სისხლის სამართლის კოდექსის 163-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ხანგრძლივი ვადით, მორწმუნის რელიგიური გრძნობების ექსპლუატაციისათვის, რელიგიის გამოყენებისათვის რომელიმე პირის ან ორგანიზაციის მიერ პოლიტიკური თუ პირადი მიზნებისათვის.

მიუხედავად ასეთი მკაცრი კანონებისა, ისლამს მაინც მყარი საფუძველი აქვს, რესპუბლიკური თურქეთის პოლიტიკურ ისტორიაში. ქვეყანაში ათათურქის მიერ ჩატარებული რეფორმების შემდეგ, 50-იანი წლებიდან რელიგიური პოტენციალის გამოღვიძება კვლავ დაიწყო, რაც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორში გადაიზარდა. გაძლიერდნენ პროისლამისტური პარტიები. 1960 წლის მაისში

* შარიათი (არაბ.) - მუსლიმთა სამართალი, რელიგიური და იურიდიული ნორმების კრებული, რომელიც დაფუძნებულია ყურანზე

სამხედროების მიერ მოწოდებული ამბოხებისა და ადნან მენდერესის ხელისუფლების დამხობის შემდეგ, თურქეთში აიკრძალა ისეთი პარტიების დაფუძნება, რომლებიც რელიგიურ მოძღვრებებს ეყრდნობოდა და გამოდიოდა სახალიფოს აღდგენისათვის, მაგრამ მიუხედავად ამ აკრძალვისა, თურქეთში რელიგიური პროგრამების მქონე პოლიტიკური პარტიები რეალობად იქცა.

ამ მიმართულებით ერთ-ერთ პირველ მცდელობას ადგილი ჰქონდა 1967 წელს, როდესაც ჩამოყალიბებულ იქნა „განთავისუფლების პარტია.“ მისმა ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ე. ოზკანმა განაცხადა: „ჩვენი მიზანია, შეიქმნას სახელმწიფო, რომელიც დაეყრდნობა ისლამის კონცეფციებს. დღემდე არსებული კაპიტალისტური რეჟიმები გამოიცადა, თუმცა ამ რეჟიმებმა ვერცერთ სახელმწიფოში ვერ მოიპოვა სტაბილურობა. ჩვენ მივისწრაფით იმისკენ, რომ შევქმნათ ოსმალთა იმპერიის მსგავსი სახელმწიფო“ [184]. აღნიშნული პარტიის წევრებმა გაავრცელეს თურქეთის კონსტიტუციის პროექტი, რომლის მიხედვითაც, შემოთავაზებული იყო ქვეყანაში თეოკრატიული* რეჟიმის დამყარება. ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა მმართველი პარტიის („ხსნის პარტია“) სასტიკი წინააღმდეგობის გამო.

1970 წლიდან თურქეთში გამოჩნდა ახალი პროისლამური პარტია სახელწოდებით: „ეროვნული წესრიგის პარტია“. მისი ხელმძღვანელი გახლდათ ნეჯმეთინ ერბაქანი [29-529], რომელიც მოითხოვდა ქვეყანაში რელიგიისა და რელიგიური სწავლების თავისუფლებას, ისლამის მორალური ფასეულობების წინ წამოწევას საზოგადოებაში დასავლური კულტურის საპირისპიროდ და

* თეოლოკრატია – სახელმწიფოს მმართველობის ფორმა, რომლის დროს უმაღლესი ხელისუფლება არის სამღვდელთა, ან ითვლება ღმერთის მიერ ლეგიტიმირებულად ან ხელდასმულად, ხოლო მმართველობა ხორციელდება რელიგიური პრინციპების მიხედვით.

პოლიტიკური კურსის პრიორიტეტად მუსლიმურ ქვეყნებთან ურთიერთობის გამოცხადებას.

1971 წლის მაისში, ქემალისეული ღირებულებების უარყოფისა და ლაიციზმის პრინციპის დარღვევის გამო, უმაღლესი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით „ეროვნული წესრიგის პარტია“ აიკრძალა, მაგრამ მალევე 1972 წელს მან განაახლა თავისი მოღვაწეობა ამჯერად „ეროვნული ხსნის პარტიის“ სახელწოდებით [185]. პროისლამური პარტია პოლიტიკური საქმიანობის დაწყებისთანავე აქტიურად გამოვიდა უცხოური ძალმომრეობის წინააღმდეგ. მან მოკლე დროში მოახერხა, საკმაოდ გაეფართოვებინა გავლენა და 1973 წლის შემოდგომაზე, ქვეყნის რელიგიურ წრეებზე დაყრდნობით, წარმატებით მიედო მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში.

„ეროვნული წესრიგის პარტია“ დასავლეთს ისლამის ფასეულობებს უპირისპირებდა და ქვეყანას რეისლამიზაციისაკენ მოუწოდებდა, რასაც შედეგად 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალება და რეპრესიები მოჰყვა. ამბოხებულებმა დაითხოვეს მთავრობა და პარლამენტი, რის შემდეგაც ხელისუფლება გადავიდა ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელში, რომელიც თავად სამხედროებმა ჩამოაყალიბეს. მათივე ხელმძღვანელობით შემუშავდა ახალი კონსტიტუცია, რომელიც 1982 წელს საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე მიიღეს. მასში ხაზგასმით აღინიშნა, პოლიტიკაში რელიგიის ჩარევის აკრძალვის თაობაზე [3].

90-იანი წლებიდან თურქეთში კვლავ იზრდება ისლამისტური ორგანიზაციების რიცხვი, რადგან 1991 წელს გაუქმდა სისხლის სამართლის კოდექსის 163 მუხლი [29-532]. ამასთანავე ისლამისტების პოპულარობას ხელს უწყობდა ქვეყანაში არსებული მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი, უმუშევრობის ზრდა, ინფლაციის მაღალი დონე და სხვ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ

ქმალისტები მხილებული იყვნენ კორუფციაში და გარკვეულწილად ამითაც იყო განპირობებული მათი ოპოზიციის რეიტინგის ზრდა.

1995 წლის დეკემბერში თურქეთის რესპუბლიკაში ჩატარდა მორიგი არჩევნები, რომელშიც „კეთილდღეობის პარტიამ“ პარლამენტში ყველაზე მეტი ადგილი მოაგროვა. 1996 წელს აღნიშნული პარტიის ლიდერი ნ. ერბაქანი დაინიშნა პრემიერ-მინისტრად. მან თანამდებობის დაკავებისთანავე პარტიასთან ერთად დაიწყო აქტიური მოწოდებები: ევროკავშირში „ჭეშმარიტ დემოკრატიაზე“ გადასვლისა და „დემოკრატიული საგარეო პოლიტიკის“ გატარების აუცილებლობაზე [29-533]. აღნიშნულ მოთხოვნებში პირველ რიგში იგულისხმებოდა ისლამურ სახელმწიფოებთან დაახლოება, რწმენის თავისუფლების აღიარება, სკოლებში და სახელმწიფო დაწესებულებებში ჩადრის ტარების თავისუფლება, დღეში ხუთჯერ ლოცვა, რელიგიური სკოლების თავისუფალი საქმიანობა, ლოცვაში არაბული ენის გამოყენება და სხვა [29-533]. იგი ასევე თამამად და ღიად აკრიტიკებდა თურქეთის სწრაფვას ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით.

ხელუსუფლების სათავეში თექვსმეტოვანი ყოფნის მანძილზე „კეთილდღეობის პარტიამ“ შეძლო ისლამისტების მოყვანა ყველა ძირითად პოსტზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი ხელშეწყობით 1997 წელს შეიქმნა „მუსლიმანური რვიანი“, რომელშიც შევიდნენ თურქეთი, ეგვიპტე, ირანი, პაკისტანი, ბანგლადეში, ინდონეზია, მალაიზია და ნიგერია.

ისლამიზაციის წინაშე სამოქალაქო ძალების უმწეობის დანახვის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში კვლავ ჩაერია სამხედრო ელიტა. მათ მთავრობას შესთავაზეს ანტიისლამური ღონისძიებების სია, რომელიც თვრამეტი პუნქტისაგან შედგებოდა. აქედან ძირითადი უფლებები ეხებოდა ისლამური პოლიტიკური პარტიების შეზღუდვას, ყურანის შემსწავლელი კურსების დახურვას

და სხვ. სწორედ ამის შედეგი გახლდათ ნ. ერბაქანის პარტიის აკძალვა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. თუმცა მალევე მისმა ყოფილმა წევრებმა შექმნეს „სათნოების პარტია“, რომელიც აიკრძალა იმავე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2001 წელს „ისლამიზაციის მცდელობის“ გამო [12-1289].

ამავე 2001 წლის ზაფხულის დასასრულს, პარტიის ზომიერი ფრთის მომხრეებმა შექმნეს ახალი „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“, რომელსაც მეთაურობდა ხალხში მეტად პოპულარული სტამბოლის ყოფილი მერი რეჯეფ თაიფ ერდოღანი* (1994-1998წწ.). წინა პროისლამისტური პარტიებისაგან განსხვავებით აღნიშნული პარტია პროევროპული ორიენტაციის გახლდათ.

2002 წლის საპარლამენტო არჩევნებში, თურქეთში პოლიტიკური ექსპერტების უმრავლესობა წინასწარმეტყველებდა „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ გამარჯვებას, მაგრამ არავინ ელოდა, რომ ეს გამარჯვება ამდენად შთამბეჭდავი იქნებოდა. არჩევნების შედეგებმა ყურადღება იმით მიიქცია, რომ წინა ხელისუფლებაში მყოფი პარტიებიდან ვერცერთმა ვერ გაიმარჯვა, რაც ისეთმა ფაქტორებმა განაპირობა, როგორც არის ეკონომიკური კრიზი, უმუშევრობის ზრდა, საგარეო ვალების დაგროვება, სამთავრობო წრეებში არსებული კორუფცია და ა.შ.

ხელისუფლებაში მოსული ახალი ძალებისათვის დამახასიათებელი გახლდათ ლიბერალიზმი და დასავლეთთან დაახლოების ტენდენცია. გამარჯვებული პარტიის ლიდერმა სიებში არ შეიყვანა რადიკალი კანდიდატები და არჩევნების შემდეგ

* რეჯეფ თაიფ ერდოღანი – (2003 წლიდან დღემდე თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი) დაიბადა ქ. სტანბოლში, 1954 წლის 26 თებერვალს, იგი გახლავთ ქართველი ემიგრანტების შთამომავალი, მისი წინაპრები გადასახლებული არიან ქ. ბათუმიდან ქ. რიზეში. ერდოღანმა ადრეული ბავშვობა გაატარა რიზეში და 13 წლის ასაკში დაბრუნდა სტანბოლში.

განაცხადა, რომ მისი პოლიტიკა არ ეფუძნება რელიგიას და ქვეყნის საგარეო პრიორიტეტად კვლავ ევროკავშირში გაწევრიანებას მიიჩნევს.

რ. ედოღანის დამსახურებაა ასევე ის ფაქტი, რომ ქვეყანაში ამოქმედდა 1982 წლის კონსტიტუციის ის დებულება, რომელშიც საუბარი გახლავთ რელიგიის პოლიტიკური და პირადი მიზნებისათვის გამოყენების აკრძალვაზე, რის შემდეგაც თურქეთის რესპუბლიკაში კვლავ აიკრძალა მოქმედი რადიკალი ისლამისტური პარტიები. აღნიშნული პოლიტიკით რ. ერდოღანმა და მისმა თანამოაზრეებმა შეძლეს და ზომიერებით დაარეგულირეს ისლამის მომხრეებსა და ნაციონალისტებს შორის ურთიერთობა.

ამრიგად, როგორც თურქეთის ახალგაზრდა რესპუბლიკის უახლესი ისტორიიდან ჩანს, მიუხედავად სეკულარული მოწყობისა, სახელმწიფოში რადიკალი ისლამისტები ყოველთვის ცდილობდნენ ქვეყნის რეისლამიზაციას. აღსანიშნავია, რომ თურქულ სახელმწიფოს რადიკალებისაგან შეიძლება მომავალშიც შეექმნას იგივე პრობლემები. მაგალითად დღეს, აღნიშნული საკითხი სასიცოცხლოდ არის დაკავშირებული ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციასთან, რადგან თუ ანკარა ევროპელებმა საბოლოოდ უარით გამოისტუმრეს, მაშინ იგი იძულებული გახდება, თავადაც უარი თქვას პროდასავლურ პოლიტიკაზე და ახალი ეკონომიკური და პოლიტიკური მოკავშირეები ეძებოს.

ყოველივე ამის შემდეგ, სავარაუდოდ, მოსახლეობაში კვლავ გაძლიერდება ფუნდამენტალისტური იდეების გავრცელება და შეიზღუდება დემოკრატიული ინსტიტუტები. შედეგად თურქეთის რესპუბლიკა ან სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივა, ან ირანის მსგავსად, ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმდევარი გახდება, რაც კიდევ ერთ „ცხელ წერტილს“ და თავსატეხს გაუჩენს როგორც რეგიონს, ისე მთელს მსოფლიოს.

၈၂၈၀ IV

თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკა 90-იანი წლების შემდეგ.

§ – 1. ხმელთაშუაზღვისპირული გეოპოლიტიკა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თითქმის კაცობრიობის ისტორიის დასაბამიდან ხმელთაშუაზღვის აღმოსავლეთ რეგიონი ყოველთვის წარმოადგენს ცხელი წერტილებისა და კონფლიქტების კერას. ეს ტრადიცია გაგრძელდა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებშიც, რისი ერთ-ერთი ნათელი მაგალითია კვიპროსის სახელმწიფოს საკითხი, რომელიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში განვითარდა.

კვიპროსი გახლავთ კუნძულოვანი ქვეყანა, იგი მდებარეობს ხმელთაშუაზღვაში, მისი ფართობი შეადგენს 9.251 კმ-ს. სახელწოდება მომდინარეობს სპილენძის ლათინური სახელიდან „კუპრუმ“, რადგან ეს ქვეყანა უხსოვარი დროიდან სპილენძის საბადოებითაა ცნობილი.

დღეისათვის კუნძული ორად არის გაყოფილი. მისი ტერიტორიის 63% უკავია კვიპროსის ბერძნულ სახელმწიფოს, რომელსაც მართავს პრეზიდენტი და ოთხმოცი კაცი საგან შემდგარი ერთპალატიანი პარლამენტი. ქვეყნის მოქმედი ხელმძღვანელი გახლავთ ტასოს პაპანდოპულოსი, კუნძულის დანარჩენი ტერიტორია, 37% უკავია კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას, რომელსაც მართავს ასევე პრეზიდენტი და ორმოცდაათი კაცი საგან შემდგარი ერთპალატიანი პარლამენტი. ვიკიპედიას ელექტრონული ენციკლოპედიის ვერსიის თანახმად, 2005 წლის მონაცემებით, კუნძულის მოსახლეობა შეადგენს 780 000 ადამიანს, ამათგან 85 პროცენტი ეროვნებით ბერძენია, 12 პროცენტი თურქი, ხოლო დანარჩენი 3 პროცენტი სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები არიან [24-17].

შუაზე გახლეჩილ კუნძულზე სასაუბროდ მიღებულია ორი ენა: ბერძნული და თურქული. კუნძულ კვიპროსის მსგავსად, ქვეყნის დედაქალაქი ნიქოზიაც გაყოფილია ორ ნაწილად, რომლის ჩრდილოეთი მხარე თურქეთული ნაწილის დედაქალაქია, დანარჩენი ნაწილი კი ბერძნული მხარის მფლობელობაშია და მათთვისაც დედაქალაქის ფუნქციას ასრულებს.

კუნძული კვიპროსი 1878 წლიდან დიდი ბრიტანეთის კოლონია იყო. ინგლისის მმართველობის პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე ყოველთვის არსებობდა ეთნოკოფლიქტები, ბერძნებსა და თურქებს შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ ბერძნული თემი დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით ეთნო დაპირისპირებასთან ერთად დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგაც ანტიკოლონიალისტურ ბრძოლას აწარმოებდა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლისაგან დასუსტებულმა ინგლისმა შეძლო დარჩენილიყო მსოფლიოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახელმწიფოდ, კოლონიები ვეღარ შეინარჩუნა და მისმა დაკავებულმა სახელმწიფოებმა თანდათან დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით საბერძნეთთან ერთად დიდ ინტერესს გამოხატავდა თურქეთის რესპუბლიკა, რაც საბოლოოდ გახდა კიდევ საბაბი ხმელთაშუაზღვის ამ ორი დიდი სახელმწიფოსა და ისტორიული მტრების კვლავ დაპირისპირებისა.

1959 წელს თებერვალში ციურიხსა და ლონდონში გაფორმდა ხელშეკრულებები, რომელთა ძალითაც კვიპროსმა მოიპოვა დამოუკიდებლად არსებობის უფლება, რის გარანტიაც გამოდიოდნენ დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი და თურქეთი.

დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ ოფიციალურ ცერემონიაზე უკანასკნელმა ბრიტანელმა მმართველმა ჰუჯი ფუტმა გადასცა ძალაუფლება ახლად შექმნილი რესპუბლიკის არქიეპისკოპოსს

მაკარიოს III, რომელიც ამავე წელს არჩეული იქნა ახლად შექმნილი რესპუბლიკის პრეზიდენტად.

ციურის-ლონდონის შეთანხმებისა და კვიპროსის რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე დაარსდა ორი – ბერძნული და თურქული თემთა პალატა. პალატებში წყვეტდნენ ამ ორ თემთან დაკავშირებულ ყველა კულტურულ, რელიგიურ თუ საგანმანათლებლო საკითხებს. 31 ივლისს, კოლონიური კანონმდებლობის საფუძველზე ჩატარდა პირველი საპარლამენტო არჩევნები, 7 აგვისტოს კი თემთა პალატის არჩევნები. წარმომადგენელთა საერთო რაოდენობა შეადგენდა ორმოცდაათს, აქედან სამოცდაათი პროცენტი (35 წევრი) ბერძნული თემის მიერ იყო არჩეული, ოცდაათი პროცენტი (15 წევრი) კი თურქებმა აირჩიეს [81-52].

1960 წელს ახლად შექმნილი სახელმწიფო საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევით გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი. ეს ფაქტი თითქოსდა უნდა ყოფილიყო ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი, მაგრამ, სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კვიპროსის რესპუბლიკაში განვითარებულმა მოვლენებმა და პოლიტიკურმა ამბებმა, თავის მხრივ, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მთელი რიგი ცვლილებები გამოიწვიეს, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა საბერძნეთსა და თურქეთს შორის დაპირისპირება და კუნძულზე მოსახლე თურქულ და ბერძნულ თემებს შორის ეთნიკური უთანხმოება. ყოველივე ამას პირადი ინტერესებისათვის, ფარულად თუ აშკარად ხელს უწყობდნენ მეზობელი სახელმწიფოების სპეციალური ორგანოების თანამშრომლები. ამასთანავე ბერძნული

მოსახლეობის უმრავლესობა მომხრე იყო კვიპროსის ენოსისისა* [80-172].

საბოლოოდ ამ დაპირისპირებამ მხარეები მიიყვანა 1964 წლის კრიზისამდე. ამავე წლის 4 მარტს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა დაპირისპირებულ მხარეებს თავშეკავებისა და წესრიგისაკენ. მშვიდობის დასამყარებლად კვიპროსზე გაიგზავნა გაეროს ჯარები, რომლებიც სიტუაციის გასანეიტრალებლად დღემდე იქ რჩებიან.

აღნიშნული კონფლიქტი დიდ პრობლემას უქმნიდა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსსაც [47-59], რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არ გახლდათ მხოლოდ თემთა დაპირისპირება, მასში უკვე ერთმანეთის წინააღმდეგ გამოდიოდნენ საბერძნეთი და თურქეთი, რომლებიც ორივე ნატოს წევრი ქვეყნები იყვნენ და მათი დაპირისპირება აუცილებლად შიდა არეულობას გამოიწვევდა დასავლურ სამხედრო ალიანსში.

სიტუაცია კუნძულზე კიდევ უფრო დაიძაბა 1967 წლის აპრილის შემდეგ, რადგან ამ დროს საბერძნეთში მოხდა არეულობა, გადატრიალების საფუძველზე ხელისუფლებაში მოვიდა სამხედრო ხუნტა. აღნიშნული რევოლუცია ისტორიაში „შავი პოლკოვნიკების“ დიქტატურით არის ცნობილი [94-89]. მათი ზეწოლით კვიპროსზე გვარდიის მეთაურად დაინიშნა გენერალი გრივასი. მას ხელმძღვანელობიდან მიეცა დავალება სასწრაფოდ გაეთავისუფლებინა კუნძული თურქული ელემენტებისაგან და დაეწყო ზრუნვა კვიპროსის საბერძნეთთან შეერთებისათვის [94-89].

1967 წლის ნოემბერში გენერალ გრივასის ხელშეწყობით კუნძულზე მოხდა სისხლიანი შეტაკებები, რის გამოც თურქეთის

* ენოსისისი – ასე უწოდებდნენ ბერძნები და კუნძულ კვიპროსის ბერძნული თემის წარმომადგენლები მათი სახელმწიფოს საბერძნეთთან გაერთიანებას.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, ულტიმატუმის სახით ათენს მემბოხე განერლისა და მისი საბრძოლო დივიზიების უკან საბერძნეთში გაწვევა მოსთხოვა. ბერძნები იძულებული გახდნენ დათმობებზე წასულიყვნენ, მათ გამოაცხადეს მზადყოფნა მოლაპარაკებების დაწყებისათვის, ამასთანავე განაცხადეს, რომ მზად იყვნენ შეტაკებების დროს თურქული სოფლებისათვის მათ მიერ მიყენებული ზარალი აენაზღაურებინათ.

თემთაშორის დაწყებული მოლაპარაკებები დიდხანს არ გაგრძელებულა. 70-იანი წლებისათვის კვლავ წამოიწია კუნძულის საბერძნეთთან შეერთების საკითხმა, რამაც, როგორც მოსალოდნელი იყო, თურქული მხარის უკმაყოფილება გამოიწვია.

1974 წლის 15 ივლისს ეროვნულმა გვარდიამ კვიპროსში ამბოხება დაიწყო. მათი მთავარი მიზანი გახლდათ მთელი კუნძულის საბერძნეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში შეყვანა. „შავ პოლკოვნიკებთან“ შეთანხმებით, მათ შეძლეს და გადააყენეს კვიპროსის რესპუბლიკის კანონიერი პრეზიდენტი, არქიეპისკოპოსი მაკარიოსი, რის შემდეგაც, აქტიურად შეუდგნენ მთელი კვიპროსის საბერძნეთთან ენოსისისათვის მზადებას.

პროგრესული ხელისუფლების დამხობის შემდეგ რეაქციულმა ძალებმა ქვეყნის პრეზიდენტად გამოაცხადეს ნიკოლას სამპსონი, რომელმაც მოვალეობის შესრულების შედგომისთანავე, კვიპროსის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ბერძნების წინააღმდეგ მკაცრი ანგარიშსწორება დაიწყო. პარალელურად თურქთა მასობრივი განადგურება მიმდინარეობდა.

რასაკვირველია, როგორც მოსალოდნელი იყო, ამას არ დაუშვებდა თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და მალევე, უკვე 1974 წლის 20 ივლისს, თურქი მოსახლეობის ბერძნული აგრესიიდან თავდაცვის მიზნით კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში

გადასხა დესანტი [24–40], რომელიც 40 ათასი ჯარისკაცისაგან შედგებოდა.

თურქეთის მიერ კვიპროსის ტერიტორიაზე ჯარების შეყვანა საერთაშორისო საზოგადოებამ ინტერვენციად შეაფასა. ამავე დღეს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვდა საომარი მოქმედებების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, კვიპროსიდან გარეშე ძალების, ანუ თურქი სამხედროების გაყვანასა და კონსტიტუციური მთავრობის დაუყოვნებლივ აღდგენას. უკვე 22 ივლისს საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად, უშუალოდ თურქეთმა და საბერძნეთმა მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას, საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ. 24 ივლისს ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილების გამო, ნიკოლას სამპსონი იძულებული გახდა პრეზიდენტობაზე უარი განეცხადებინა და ნებაყოფლობით გადაამდგარიყო. პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებლად მის მაგივრად დაინიშნა კლირიდისი.

1974 წლის ივლისის ბოლოს კვიპროსის საკითხთან დაკავშირებით დაიწყო მოლაპარაკება დიდ ბრიტანეთს, საბერძნეთსა და თურქეთს შორის. მოლაპარაკებას აწარმოებდნენ აღნიშნული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები. მიუხედავად ინგლისელთა დიდი მონდომებისა, ისეთკომპრომისს მაინც ვერ მიაღწიეს, რომ კონფლიქტის ორივე მხარე კმაყოფილი დარჩენილიყო, რის გამოც მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა.

1974 წლის 16 აგვისტოს თურქეთმა განაახლა საბრძოლო მოქმედებები, რის შედეგადაც დაიკავა და გამაგრდა კუნძულის ტერიტორიის 37 პროცენტზე. ჩრდილოეთ ნაწილის სრული ოკუპაციის შემდეგ თურქთა ჯარებმა დაიწყეს დაკავებული ტერიტორიებიდან ბექენი მოსახლეობის აყრა და გაძევება, რის გამოც ბერძნულმა მხარემ მიიღო 200 ათასამდე ლტოლვილი, თავის

მსრივ სამხრეთიდანაც საბერძნეთის მიერ გამოძევებულ იქნენ თურქები, დაახლოებით 40 ათასი ადამიანი.

თურქეთის რესპუბლიკას ენოსისის იდეის მსგავსად ჩაფიქრებული ჰქონდა კუნძულის ოკუპირებული ტერიტორიის მის მფლობელობაში შეყვანა, მაგრამ პოლიტიკური ვითარების შედეგად, ნათლად გამოჩნდა, რომ ამ იდეას უკვე არაფრით არ დაუშვებდა როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, ისე მთელი მსოფლიოს საერთაშორისო საზოგადოება [82-189]. თურქეთი იძულებული გახდა უკან დაეხია და კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილის შეერთების მაგივრად, მისი ფედერალურად მოწყობა მოითხოვა.

1975 წლის 13 თებერვალს თურქული თემის ხელმძღვანელობამ, მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შექმნეს განცალკევებული სახელმწიფო წარმონაქმნი „კვიპროსის თურქული ფედერაციული სახელმწიფო“, რომლის პრეზიდენტადაც დაინიშნა რაუფ დენქთაში. კუნძულ კვიპროსთან ერთად გაყოფილი იქნა მისი დადაქალაქი ნიქოზიაც, იმ ნაწილს რომელიც თურქების მხარეს დარჩა, ეწოდა თურქული სახელი „ლეფკოშა“ (Lefkoşa).

ახლად შექმნილი ფედერაციული სახელმწიფო მსოფლიო საზოგადოებამ არ ცნო. უფრო მეტიც, გაერომ დაიწყო მასზე სანქციების დაწესება. თურქეთის რესპუბლიკა მოუწოდებდა გაეროს, არ ჩარეულიყო თემთა შორის მოლაპარაკებებში, მაგრამ უშედეგოდ.

უკვე 1983 წლის 15 ნოემბერს კუნძულის თურქული თემის ხელმძღვანელობამ თურქეთის რესპუბლიკის მმართველთა კარნახითა და მხარდაჭერით გამოაცხადა „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“, რომლის პრეზიდენტადაც რაუფ დენქთაში დარჩა [79-103]. ამის შემდეგ ანკარამ დაიწყო ზრუნვა იმისათვის, რომ ახლად შექმნილი სახელმწიფო მსოფლიოს ეღიარებინა, მაგრამ უშედეგოდ, იგი დღემდე მხოლოდ ანკარის მიერ არის აღიარებული. ამასთანავე თურქთა მაშინდელმა მმართველობამ ტერიტორიის კარგად

ათვისებისათვის გაატარა მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკა, 100 ათასზე მეტი მოქალაქე ჩაასახლა კუნძულზე და დააკავებინა მათ ბერძნების მიერ იძულებით დატოვებული სახლები. ამის შედეგად კვიპროსზე ეთნიკური თურქების რაოდენობა ორჯერ და მეტად გაიზარდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ასეთმა აგრესიულმა პოლიტიკამ კიდევ უფრო გაამრუდა ვითარების გამოსწორების გზა.

საბერძნეთისა და ბერძნული მხარის კვიპროსის დაუინებელი მოთხოვნის შედეგად, კვიპროსის თურქული რესპუბლიკის წინააღმდეგ ევროკავშირმა ეკონომიკური ემბარგო შემოიღო, რაც ამ უკანასკნელისათვის ძალიან მძიმე დარტყმა გამოდგა.

90-იანი წლების დასაწყისში საბერძნეთმა მოითხოვა კუნძულის სამხრეთ ნაწილის ევროგაერთიანებაში გაწევრიანება, რაც კიდევ ერთხელ გახდა საბაბი, იმ პერიოდში ბერძნულ-თურქული ურთიერთობების დაძაბვისა.

თანამედროვე ეტაპზე თურქეთის ურთიერთობები საბერძნეთთან და კვიპროსის პრობლემის დარეგულირება ევროკავშირის ჭრილში განიხილება. როგორც ცნობილია, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში არსებულ უთანხმოებას შუაზე გახლეჩილ კვიპროსის პრობლემასთან ერთად, საფუძვლად უდევს ბერძნული კუნძულების სტატუსის საკითხის დაურეგულირებლობა, მხარეთა პრეტენზიები კონტინენტალურ შელფზე, ეგეოსის ზღვის აკვატორიასა და საჰაერო სივრცეზე.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ, თურქეთის რესპუბლიკაში არსებული მთავრობები საგარეო ურთიერთობებში თავიდანვე პრიორიტეტს ანიჭებდნენ ევროკავშირში გაწევრიანებას, მათ სურთ, გახდნენ ევროგაერთიანების აზიური გაგრძელება, რისთვისაც მზად არიან ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად სახელმწიფოში რეფორმები გაატარონ [100-69]. თურქეთის

მმართველობისათვის კარგად არის ცნობილი თუ როგორ წარმატებას მოუტანს თურქულ ეკონომიკას ევროკავშირის გაერთიანებაში შესვლა.

თუმცა თურქთა რესპუბლიკის აღნიშნული მისწრაფება ჯერჯერობით განუხორციელებელ მცდელობად რჩება. ევროპულ ქვეყნებს მისი ევროკავშირში მიღების მიმართ უკანასკნელ პერიოდამდე გააჩნდათ და გააჩნიათ სერიოზული პრობლემები, რაც გამოიხატება შემდეგ ფაქტებში: თურქეთის მოსახლეობა შეადგენს 70 მილიონამდე მცხოვრებს და ჰყავს მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალები, ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ თურქული მოსახლეობა მზარდი დინამიკით გამოირჩევა, რაც ევროკავშირში შესვლის შემთხვევაში, თურქეთს გერმანიის და საფრანგეთის მსგავსად, რომლებიც დღემდე ახდენენ ზეგავლენას მნიშვნელოვანი განხილვების მსვლელობისას და იწვევენ განხეთქილებას ევროგაერთიანების ბიუროკრატიულ სტრუქტურებში, გადაწყვეტილებების მიღების დროს მნიშვნელოვანი სიტყვის თქმის საშუალებას მისცემს; ადამიანის უფლებებს ოფიციალური ანკარა აღიარებს მხოლოდ მისთვის ხელსაყრელ ხარისხში, რაც არ აკმაყოფილებს ევროკავშირს. აღნიშნულიდან პირდაპირ გამომდინარეობს არაეთგვაროვანი დამოკიდებულება ქვეყნის აღმოსავლეთში მცხოვრები ქურთების საკითხთან; ქვეყნის პოლიტიკის ერთ-ერთი წარმმართველი, შეიარაღებული ძალების გენერალიტეტი ევროპის მიმართ საკმაოდ ნეგატიურად არის განწყობილი; სახელმწიფო წყობის ევროპული მოდელის და მზარდი ეკონომიკის მიუხედავად, ისლამური ტრადიციების გამო თურქეთი აღმოსავლეთს მიეკუთვნება, რასაც ევროპული საერთაშორისო ორგანიზაციები დაუფარავად აცხადებენ და თურქეთს ევროპის ნაწილად ვერ მოიაზრებენ. თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პროექტშია ამერიკული ლობის საშუალებით შეიძლება

განხორციელებულიყო, თუმცა ანტიამერიკულად განწყობილი ევროპა ყველა საშუალებით ცდილობს, არ მიიახლოვოს თურქეთი.

მიუხედავად ამისა უკანასკნელ პერიოდში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროპის წამყვანი სახელმწიფოების პოზიციამ თითქოსდა მკვეთრი ცვლილება განიცადა. მათ მიერ გაკეთებული განცხადებებიდან აშკარად გამოჩნდა, რომ ევროპა თავადაც მოწადინებული იყო თურქეთის თავის ოჯახში მიღებისათვის. რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ევროსტრუქტურები დადებითად აფასებდნენ ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში მიმდინარე რეფორმებს და აკეთებდნენ განცხადებებს თურქეთისათვის მაქსიმალურ მხარდაჭერაზე დასახული მიზნის მიღწევაში.

მართლაც აღნიშნული სახელმწიფოს ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს რეგიონის ახლიდან მოწყობის ძირითად ფაქტორს, რაც მნიშვნელოვანია კონტინენტის ამ ნაწილში სტაბილურობის შენარჩუნებისათვის.

დასახელებული პრობლემები ასე თუ ისე მოგვარებადია, მაგრამ ორივე მხარისათვის რჩება ერთი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა - კუნძული კვიპროსი. კვიპროსის საკითხის დროულად გადაჭრა პირდაპირ კავშირშია თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციასთან.

თურქეთის მხრიდან ამ პრობლემის მოგვარების მცდელობად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის პრეზიდენტმა რაუფ დენქთაშმა, კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტთან ტასოს პაპანდოპულოსთან ერთად მიაღწია მნიშვნელოვან შეთანხმებას, რომლის თანახმადაც მხარეები მზად იყვნენ ჯერ კიდევ 2004 წლისათვის გაემართათ მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები და მიეღოთ იმუამინდელი გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ 2003 წელს მომზადებული გეგმა, კვიპროსის გაერთიანების შესახებ, რომელიც, მისივე თქმით,

საშუალებას მისცემდა ორივე მხარეს, მისი განხორციელების შემთხვევაში, მოგებული დარჩენილიყო [179].

მას შემდეგ, რაც კვიპროსი ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გახდა, დღის წესრიგში დადგა შექმნილიყო პირობები ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობის თანაცხოვრების უზრუნველსაყოფად. კოფი ანანის გეგმის მიხედვით, სახელმწიფოს მოწყობისა და ქვეყნის სიმბოლოების შექმნა ნაწილობრივ გადაჭრილი იყო. გაერთიანებული ქვეყნის ახალ დროშაზე ლურჯი ფერი საბერძნეთის წარმომადგენლობის სიმბოლო გახდებოდა, წითელი – თურქეთის, შუაში მოქცეული სპილენძისფერი კი გაერთიანებულ კვიპროსს გამოხატავდა.

უპრეცედენტო სურათი იქმნებოდა იმ მხრივ, რომ მუსლიმებს დასვენება ქრისტიანულ დღესასწაულებზე მოუწევდათ, ხოლო ქრისტიანებს – მუსლიმურ უქმე დღეებზე. ამავე კოფი ანანის გეგმით, გაერთიანებული კვიპროსი ევროკავშირში წარსდგებოდა ორი ლიდერით. ქვეყნის მართვა უნდა განეხორციელებინა პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს, რომელთაგან ერთი ბერძენი იქნებოდა, მეორე კი თურქი. მათი პოსტზე მონაცვლეობა კი ყოველ ოც თვეში განხორციელდებოდა.

გაეროს წინანდელი დოკუმენტებისაგან განსხვავებით აღნიშნული გეგმით რეგიონში მხოლოდ იმ რაოდენობის ბერძენი უნდა დაბრუნებულიყო, რაც თურქი მოსახლეობის მხოლოდ თერამეტ პროცენტს შეადგენდა, განსხვავებით მანამდე დაფიქსირებული ოცდაერთი პროცენტისა. თურქულ საჯარისო ნაწილებს საშუალება ეძლეოდათ, სამუდამოდ დარჩენილიყვნენ კვიპროსის ტერიტორიაზე სადემარკაციო ხაზის გასწვრივ, მაგრამ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ, მათი რაოდენობა 40 ათასიდან 6500მდე უნდა შემცირებულიყო. ბერძნულ-თურქული შერეული მმართველობა და

გარდამავალი პერიოდი გაეროს გაანგარიშებით ექვს წელიწადს გაგრძელდებოდა [182].

გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის გეგმის ძირითადი პრინციპები გახლდათ შექმნილიყო: ორი თანაბარუფლებიანი სუბიექტის „განუყოფელი“ კავშირით საერთო სახელმწიფო; საერთო მოქალაქეობა; ორი მხარის მოსახლეობის პროპორციულად არჩეული ექვსწევრიანი მმართველი საბჭო, თავჯდომარეობის ათთვიანი როტაციის საფუძველზე; გარდამავალი მთავრობა სამი წლის მანძილზე; ორპალატიანი პარლამენტი, თითოეულ პალატაში 48 წევრით; საბერძნეთსა და თურქეთს უფლება ეძლეოდათ შეენარჩუნებინათ კუნძულზე 6000 კაციანი სამხედრო კონტინენტი

კოფი ანანის გეგმით ძირითადად უკმაყოფილო ბერძნული მხარე აღმოჩნდა. მათ მიაჩნდათ, რომ გენერალური მდივანი აშკარად თურქებს ლობირებდა. ბერძნები თვლიდნენ, რომ გეგმით აუცილებლად გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო 1974 წლის თურქული ინტერვენციის შედეგად დაზარალებული ყველა ლტოლვილის სახლში დაბრუნება და მათი კომპენსირება. მათი აზრით, ასევე ყოვლად დაუშვებელი იყო თურქული სამხედრო კონტიგენტის განუსაზღვრელი დროით კუნძულზე დარჩენა.

2004 წლის აპრილში, კუნძულ კვიპროსის ორივე ნაწილში, გაეროს გენერალური მდივნის გეგმის თანახმად, ჩატარდა რეფერენდუმი მის გაერთიანებასთან დაკავშირებით.

თურქულ მხარეში გაერთიანების სურვილი გამოთქვა მოსახლეობის 64,90 პროცენტმა, ხოლო ბერძნულ მხარეში თანხმობა განაცხადა მოსახლეობის მხოლოდ 24,17 პროცენტმა, რაც ადასტურებს იმას, რომ ბერძნული მხარე ბოლომდე უკმაყოფილო გახლდათ ევროპელების მიერ შემოთავაზებული სამშვიდობო გეგმისა.

გაეროს გენერალური მდივნის გეგმის ჩაშლის შემდეგ, კვიპროსის ბერძნული მხარე ევროპული ქვეყნების დახმარების შედეგად გახდა ევროკავშირის წევრი, რაც თურქეთის მხარისათვის კიდევ უფრო გამაღიზიანებელი აღმოჩნდა, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპული ოჯახის წევრობა, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, აღნიშნულის მისაღწევად კი ისინი უკვე ათეული წლებია ისწრაფიან, მაგრამ სამწუხაროდ, დღემდე შედეგს ვერ მიღწიეს.

ბერძნული ნაწილის ევროპასთან გაერთიანების შედეგად მისი ეკონომიკა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა. გაყოფილი კუნძულის მხარეები, დღეისათვის თითქმის ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც თავის დროზე გერმანიის დემოკრატიული და ფედერაციული რესპუბლიკები განსხვავდებოდნენ [183].

უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ პერიოდში თურქეთისა და საბერძნეთის ხელმძღვანელობა, სამხედრო საკითხების გადაწყვეტის საქმეში, გარკვეულწილად ცდილობდა მხარეთა პოზიციების გათვალისწინებას. აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1997 წლიდან პერიოდულად ხდება თურქეთის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ ეგეოსის ზღვასა და კვიპროსის კუნძულებთან დაგეგმილი წვრთნების გადადება [134]. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია 2003 წლის ოქტომბერში, თურქეთის ქ. ანტალიაში, საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრ გიორგო პაპანდრეუსა და თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ აბდულაჰ გიულს შორის მიღწეული შეთანხმება, რომლის ძალითაც, ათენში ჩასატარებული ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების მიზნით, უნდა გადადებულიყო სამხედრო სწავლებები, რის შედეგადაც თურქეთის მხარემ გადადო წვრთნები სახელწოდებებით – „თოროსი“ და

„ბარბაროსი“, ხოლო თავის მხრივ, საბერძნეთმა გადადო სამხედრო სწავლებები სახელწოდებებით – „თოქსადისი“ და „ფოტოროსი“.

მიუხედავად რიგი მცდელობებისა, სამწუხაროდ, მხარეებმა საბოლოო შეთანხმებას ჯერჯერობით მაინც ვერ მიაღწიეს, რის გამოც ჩიხში შევიდა მოლაპარაკებები ევროკავშირთანაც. ეს უკანასკნელი კატეგორიულად ითხოვს თურქეთის მიერ კვიპროსის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებას, რაც თურქეთის დღემდე მიუღებელი და მტკივნეული საკითხია.

2008 წლის აპრილიდან თითქოსდა კვლავ გაჩნდა კვიპროსის ორ თემს შორის ურთიერთობათა დათბობის ნიშნები, როდესაც მოლაპარაკების შედეგად გაიხსნა ადრე ბლოკირებული გასასვლელი კუნძულის დედაქალაქ ნიქოზიაში და დაპირისპირებულ მხარეებს კვლავ მიეცათ საშუალება ნორმალური ურთიერთობის აღდგენის დაეწყებისა.

მიუხედავად დადებითი ძვრებისა, კვიპროსის კონფლიქტის რეგულირების პროცესში, ჯერ-ჯერობით ნაადრევია კონფლიქტის საბოლოოდ აღმოფხვრაზე საუბარი, რადგანაც მხარეებს შორის მოლაპარაკებები ადრეც მისულა მოცემულ წერტილამდე, რასაც შემდგომი გაგრძელება არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ წინა მოლაპარაკებების დროს თურქეთი არ იყო კუნძულის საკითხის დარეგულირებაში დაინტერესებული იმ ხარისხით, რა ხარისხითაც დღეს არის.

მართალია, თურქეთის რესპუბლიკის წარმომადგენლობა ცდილობს საერთაშორისო საზოგადოების თვალში შეამციროს კუნძულის პრობლემები და მხოლოდ თემთაშორის მოურიგებლობად აჩვენოს, მაგრამ რეალურად კვიპროსის საკითხი თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობების ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემაა, რომელიც, სამწუხაროდ, დღესაც გადაუჭრელი რჩება. აღნიშნული პრობლემა უკვე დიდი ხანია გასცდა საკუთრივ

კვიპროსის საზღვრებს. მან დიდი გართულება გამოიწვია ორ სახელმწიფოს საბერძნეთსა და თურქეთს შორის.

ისეთი გლობალური სახელმწიფოები, როგორებიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები და ყოფილი საბჭოთა კავშირი თავისი მოკავშირეებითურთ, ყოველთვის ცდილობდნენ კუნძულ კვიპროსზე დატრიალებული ტრაგედია თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოეყენებინათ. რაც, რა თქმა უნდა ყოველთვის აშორებდა დაპირისპირებულ მხარეებს კონფლიქტის საბოლოო მოგვარებისაგან. ფაქტობრივად, კვიპროსის რესპუბლიკა მსხვერპლად შექნა ჯერ ორი სახელმწიფოს და შემდეგ ზემოთ ნახსენები ორი სამხედრო პოლიტიკური ბანაკის გეოპოლიტიკურ ინტერესებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ასე ახლოს მდებარეობდა შფოთიან და ნავთობის რესურსებით მდიდარ არაბულ აღმოსავლეთთან.

აშკარაა, რომ კუნძულ კვიპროსის პრობლემას მრავალმხრივი განხილვა სჭირდება, ვინაიდან იგი დაკავშირებულია თემთაშორის დამოკიდებულებასთან, თურქეთისა და საბერძნეთის ისტორიულ მეტოქეობასა და ასევე ევროპის დიდი ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკასთან.

ამრიგად, კუნძულ კვიპროსის საკითხი დღევანდელამდე რჩებოდა და მომავალში კვლავ დარჩება თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკური ხედვის არეში, რის გამოც მას დიდი პრობლემები ექმნება როგორც ევროკავშირთან, ისე მის უშუალო მეზობელ საბერძნეთთან ურთიერთობაში. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ მკვლევარებსა და ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ დღევანდელი თურქეთის ხელმძღვანელობა კვლავ დიდი მონდომებით გააგრძელებს კონფლიქტის მოგვარების ისეთი ხერხის ძებნას, რომელშიც პირველ რიგში გათვალისწინებული იქნება როგორც კუნძულზე მცხოვრები თურქების, ისევე ანკარის გეოპოლიტიკური ინტერესები, თუნდაც

ამან დააზიანოს თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ევროპასთან მიმართებაში.

ამასთანავე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თავის მხრივ დღეს უკვე ევროპის უმეტესი წამყვანი ქვეყნების ხელმძღვანელობა ყურადღებას ამახვილებს თურქეთის რესპუბლიკის გეოსტრატეგიულ, გეოეკონომიკურ მდებარეობასა და მის მნიშვნელობაზე, სწორედ აღნიშნული მიზეზების გამო ევროკომისია მიესალმება ანკარის ხელმძღვანელობის სამშვიდობო მცდელობებს როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე კავკასიის რთულ რეგიონში.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან თურქეთის რესპუბლიკისადმი ევროპელების ასეთი ინტერესი განაპირობა რუსეთის ფედერაციის იმპერიალისტურ პოლიტიკაზე გადასვლამ, კრემლის ამბიციებმა და იპერიის აღდგენის მცდელობებმა, რასაც შედეგად მოჰყვა: რუსეთ–უკრაინის დაპირისპირება, 2008 წლის აგვისტოში ომი საქართველოსთან, სეპარატისტული და საერთაშორისო საზოგადოების მიერ არაღიარებული, თვითმარქვია რეჟიმების დამოუკიდებლობის ცნობა, 2008 წლის ზამთარში მთელი ევროპისათვის გაზის მიწოდების შეწყვეტა, შეფერხება და ა.შ.

ამასთანავე, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ თურქეთის სახელმწიფო დღეისათვის უკვე საკმაოდ გაძლიერდა და ცდილობს თავისი პოლიტიკა უკვე პირადად, მარტომ განკარგოს. ასევე თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ თურქი ერი საკმაოდ ამბიციური ბრძანდება, თავის სახელმწიფოებრიობასთან მიმართებაში, არ იქნება გასაკვირი, რომ XXI საუკუნის დასაწყისიდან უკვე მან შეაქციოს ევროპა-ამერიკას ზურგი და ახალი სტრატეგიული პარტნიორების ძებნა დაიწყოს. მით უმეტეს, რომ თურქეთის მაღალი წრეებიდან, (როგორც პოლიტიკური, ისე მეცნიერული) უკვე მკაფიოდ ისმის ისეთი განცხადებები, როგორცაა მაგალითად ერთ-ერთი უმსხვილესი თურქული

დეველოპერული კომპანიის ხელმძღვანელთა წარმომადგენლის ჰასან არატის განცხადება: ჩვენ თურქები ამაყი ხალხი ვართ და არ გვინდა იმ სახელში შესვლა, სადაც ჯერ დაგვპატიუეს, მაგრამ შემდეგ ყოველ ჯერზე მასპინძელი ცხვირწინ კარს გვიკეტავს” [182].

2009 წლის 21 ოქტომბერს სტამბულში მოეწყო დიდი შეხვედრა, სადაც მეზობელ სახელმწიფოებთან თურქეთის რესპუბლიკის ურთიერთობების საკითხებს განიხილავდნენ. ფლორიდის დემოკრატმა კონგრესმენმა, წარმომადგენლობითი პალატის წევრმა და კონგრესში ევროპის საკითხების ქვეკომიტეტის თავჯდომარე რობერტ უექსლერმა შეხვედრისას წევრებს მიმართა: „თქვენ კითხულობთ, რატომ დაინტერესდა თურქეთი სხვა მიმართულებით? ევროპა, დააკვირდი საკუთარ ქმედებებს და საკუთარ მოსაზრებებს” [182].

ყოველივე ამის შემდეგ, დღეს ევროპა უკვე კარგად ხედავს, რომ თურქეთი დასავლეთისათვის თავისი გეოსტრატეგიულობით აუცილებელი პარტნიორია. ამასთანავე ევროპული სახელმწიფოებისათვის უკვე ნათელია, რომ 2008-09 წლის ზამთარში განვითარებული, ყველასათვის კარგად ნაცნობი მოვლენების გამო, ენერგეტიკის სფეროში მხოლოდ რუსეთზე დამოკიდებულება არ შეიძლება, რადგან ნათლად ჩანს, რომ იგი არასტაბილური პარტნიორია და ენერგო რესურსებს მისი ამბიციური მიზნებისათვის იყენებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ალტერნატიული მომარაგების წყაროს პოვნა, რომლის როლის შესრულება მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მხოლოდ თურქეთს შეუძლია.

§ – 2. ქურთების პრობლემა და თურქეთის სახელმწიფოებრივ - პოლიტიკური უსაფრთხოება

ახლო აღმოსავლეთში მცხოვრებ იმ ეთნოსთა შორის, რომელთაც თავისი სახელმწიფო არ გააჩნიათ, ყველაზე მრავალრიცხოვანი და უძველესი ნაცია გახლავთ ქურთები. ეს არის ერი, რომელიც მიეკუთვნება ინდოევროპული ოჯახის ინდოირანულ ენობრივ ჯგუფს. ისტორიულად ისინი ძირითადად ქურთისტანის ტერიტორიაზე სახლობდნენ.

ქურთისტანს უკავია ახლო აღმოსავლეთის რეგიონის შიდა ნაწილში მდებარე მთიანი მხარე, რომელიც დაახლოებით 350 ათას კვ. კილომეტრს მოიცავს. აღმოსავლეთიდან მას ემიჯნება ურმიის ტბა (ირანში), სამხრეთიდან აღ-ჯაზირა (სირიასა და ერაყში) და მარდინის დაბლამთიანეთი (თურქეთში). დასავლეთიდან ქურთისტანს ესაზღვრება აღმოსავლეთ ტავროსის ქედი (თურქეთში), ჩრდილოეთით მისი გეოგრაფიული საზღვარი ძნელად დასადგენია, რადგან ამ მხრიდან იგი აღმოსავლეთ ანატოლიაში მდებარეობს.

აღნიშნულ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მცხოვრები ქურთები მეოცე საუკუნემდე ოსმალეთის იმპერიის ერზერუმის, ერზიჯანის, ვანის, მუშის ვილაიეთებში თურქებთან და სომხებთან შერეულად ცხოვრობდნენ. მათი მოსახლეობის დიდი ნაწილი სუნიტური მიმდევრობის მუსლიმი გახლავთ, თუმცა მათ შორის არიან ორთოდოქსი შიიტები, იეზიდები და სექტა აჰლი ჰაკის მიმდევრებიც.

ქურთები ძირითადად საუბრობენ სამ დიალექტზე. ესენია: ქურმანჯი, ზაზა და სურანი. ბოლო პერიოდისათვის ტომთა შორის მოხდა შეთანხმება, რის მიხედვითაც ქურმანჯი აღიარებული იქნა, როგორც ქურთული ლიტერატურული ენის საფუძვლი.

მიუხედავად იმისა, რომ „ქურთისტანი“ მდგრადი გეოგრაფიული ტერმინია და თვითონ ქურთი ერი, როგორც ეთნოსი, ისტორიაში უძველესი დროიდან მოიხსენიება, მათ არასოდეს არ შეუქმნიათ რაიმე უმაღლესი პოლიტიკური ერთეული. ქურთთა წრიდან ყოველთვის გამოდიოდნენ სახელგანთქმული და ძლიერი ადამიანები, მაგალითად მარტო მუსლიმთათვის სამაგალითო გმირი, სალაჰ ადდინიც გვეყოფა. კაცი, რომელმაც გააერთიანა ეგვიპტის სამეფო და იერუსალიმი ჯვაროსნებისაგან გაანთავისუფლა, მაგრამ რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, მას არც კი უფიქრია შეექმნა ერთიანი ქურთული სახელმწიფო.

ქურთთა ასეთი ინფანტილობა საკუთარი დამოუკიდებელი ქვეყნის შექმნის შესახებ განპირობებულია იმით, რომ მათ გარშემო ყოველთვის არსებობდა ურთიერთდაპირისპირებული ძლიერი იმპერიები: რომი-პართია, ბიზანტია-ირანი, ბიზანტია-სახალიფო და ოსმალეთ-ირანი. ამ უძლიერესი სახელმწიფოების ინტერესები ხშირად სწორედ ქურთისტანის ტერიტორიაზე იკვეთებოდა, რაც თავისთავად აღნიშნული ტერიტორიის ომის ქარცეცხლში გახვევას და დასახლებების განადგურებას მოასწავებდა. ქურთთა სახელმწიფოს არ შექმნის მიზეზია ასევე ენდოგენური ფაქტორიც, მათ შორის არ გამოკვეთილა ისეთი პიროვნება, რომელსაც ქურთისტანის დამოუკიდებლობაზე ეზრუნა, ძველი ტომთა ბელადები და შეიხები მაქსიმუმის მიღწევად თვლიდნენ ხალიფას, შაჰის ან სულთნის ნომინალური ვასალობის მოპოვებას. ასევე დიდ პრობლემას უქმნიდათ ქურთებს გაუტანლობა და შური, რომელიც თანამედროვე ეპოქაშიც კი იგრძნობოდა, როდესაც პარტიათა ლიდერებს შეეძლოთ ერთმანეთის ჯიბრზე მოსისხლე მტრისათვის დაეჭირათ მხარი, დამდგარიყვნენ ხან ირანის, ხან ერაყის, ხან თურქეთის ოფიციალური ხელისუფლების მხარეს და მეტოქე ქურთული პარტიის განადგურებასათვის შეეწყოთ ხელი.

ბოლო პერიოდის ურბანიზაციამ, ქურთული ინტელიგენციის წარმოშობამ, რასაც უმეტესწილად დასავლეთში სწავლა-განათლების მიღებამ შეუწყო ხელი, შექმნა უკეთესი პირობები ეროვნული თვითშეგნებისა და ნაციონალიზმის განვითარებისათვის, რაც მათში პარალელურად სეპარატიზმის განვითარებასაც უწყობს ხელს. დღესდღეობით დამოუკიდებელი ქურთისტანის შექმნის იდეა რეალურად არსებობს და მოქმედების დიდ სტიმულს აძლევს ქურთულ მოსახლეობას.

ქურთთა რაოდენობა დღევანდელ მსოფლიოში 45 მილიონამდე აღწევს. აქედან მათი უმეტესობა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაახლოებით 30 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს თურქეთში, ერაყში, ირანსა და სირიაში [71–72]. ქურთული მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის დადგენა ძალიან რთულია, რადგან ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა ოფიციალური სტატისტიკა საერთოდ გვერდს უვლის ეთნიკური ჯგუფების, განსაკუთრებით კი ქურთების არსებობის ფაქტს.

აღნიშნულ ქვეყნებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში, ქურთული თემები დღემდე სერიოზულ პრობლემებს უქმნიან. განსაკუთრებით მძიმეა მდგომარეობა თურქეთის რესპუბლიკასთან მიმართებაში, სადაც ეთნიკურად ქურთული მოსახლეობის რაოდენობის რიცხვი დაახლოებით 12 მილიონს სცილდება [119].

პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გამარჯვებულმა დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა 1920 წელს სევრის ხელშეკრულებაში* შეიტანეს ქურთისტანის სახელმწიფოს შექმნა,

* სევრის ხელშეკრულება – იყო სამშვიდობო ხელშეკრულება დადებული 1920 წლის 10 აგვისტოს ოსმალეთის იმპერიასა და მოკავშირეებს შორის პირველი მსოფლიო ომის დასასრულებლად. იგი გაუქმებული იქნა თურქეთის დამოუკიდებლობის ომის მსვლელობისას, ხოლო მხარეებმა მის შემცვლელ შეთანხმებას 1923 წელს მოაწერეს ხელი (ლოზანის ხელშეკრულება)

მაგრამ თურქეთის 1923 წლის რევოლუციის გამარჯვებისა და მუსტაფა ქემალ ათათურქის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ ეს პირობა გადაისინჯა და ქურთისტანის საკითხი დავიწყებას მიეცა. ამ ფაქტს, როგორც მოსალოდნელი იყო, მოჰყვა ქურთთა უკმაყოფილება, რომელიც საბოლოოდ აჯანყებაში გადაიზარდა. ქვეყანაში ამბოხება მიმდინარეობდა მუსტაფა ქემალისა და მისი ხელისუფლების მიერ გატარებული ეროვნული და ნაციონალური რეფორმების წინააღმდეგ რელიგიური რეაქციის დროშის ქვეშ, ამიტომ ქურთთა ამ გამოსვლებისათვის ევროპელებს ყურადღება არ მიუქცევიათ.

1925 წელს თურქეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების ბრძანებით აღმოსავლეთ ანატოლიაში ქურთთა ამბოხება სასტიკად იქნა ჩახშობილი. ამის შემდეგ ქურთებმა რამდენჯერმე სცადეს აჯანყება, მაგრამ თურქი სამხედროები მათ ყოველთვის სასტიკად უსწორდებოდნენ.

მეოცე საუკუნის ბოლოს, კერძოდ 1984 წლიდან თურქეთის რესპუბლიკაში დაიწყო სერიოზული ქურთული სეპარატისტული კამპანია „ქურთული მუშათა პარტიის“ ხელმძღვანელობით. აღნიშნული პარტია 1978 წელს ჩამოაყალიბდა [56-49]. მისი ლიდერი გახლდათ ქურთისტანის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აბდულა ოჯალანი.* რომელიც დღეს უკვე საერთაშორისო

* აბდულა ოჯალანი – დაიბადა 1949 წლის 4 აპრილს თურქეთში, სოფელ ომრელში. 1971–1974 წლებში ოჯალანი სწავლობდა ანკარის უნივერსიტეტში პოლიტოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ მისი დამთავრება ვერ მოახერხა. 1974 წელს, ჯერ კიდევ სტუდენტმა, შექმნა ეროვნულ საწყისებზე დაფუძნებული მათისტური პოლიტიკური მოძრაობა, რომელსაც 1978 წელს „ქურთული მუშათა პარტიის“ სახელწოდება მიენიჭა. 1980 წელს თურქეთის რესპუბლიკაში სამხედრო გადატრიალების მოხდენამდე ოჯალანი სირიაში გაიქცა, სადაც მან მიიღო პოლიტიკური თავშესაფარი. სირიაში ჩასვლისთანავე ოჯალანმა ადგილობრივი ხელისუფლების ხელშეწყობით დაიწყო სამხედრო დანაყოფების ორგანიზება, რომელთა მეშვეობითაც 1984 წლიდან ქურთისტანის დამოუკიდებლობის მოთხოვნის საბაბით, აქტიურად დაიწყო სამხედრო ოპერაციები თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ.

საზოგადოების მიერ ტერორისტად არის აღიარებული. თურქეთის რესპუბლიკას საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენეს ქურთმა მებრძოლებმა, საბოლოოდ იმ პერიოდისთვის, მათ შეძლეს აჯანყებულების დამარცხება და ქურთთა დიდი მასების ასიმილაციის მიზნით, მათი ქვეყნის სიღრმეში გადასახლება [57-184].

მიუხედავად დამარცხებისა, აბდულა ოჯალანი სირიის სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ, დამასკოში ცხოვრობდა და შეძლებისდაგვარად თურქეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ კვლავ აქტიურ ბრძოლას განაგრძობდა.

სირიის სახელმწიფოს ხელმძღვანელობას თურქები დაუინებით სთხოვდნენ ამბოხებულთა ლიდერის გადაცემას, საბოლოოდ, ანკარის მკაცრი ულტიმატუმის შემდეგ, სირიის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი იძულებული გახდა, 1998 წლის ოქტომბერში ოჯალანისათვის ქვეყნის დატოვება მოეთხოვა [69–247]. აბდულა ოჯალანი და მისი მომხრეები ბევრს ეცადნენ მოექებნათ ახალი პოლიტიკური თავშესაფარი რუსეთში, იტალიაში, საბერძნეთში და სხვაგან, მაგრამ უშედეგოდ.

1999 წლის 15 თებერვალს კენიაში თურქეთის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისრაელის სპეცსამსახურების მიერ ჩატარდა სპეცოპერაცია, რომლის შედეგადაც დააპატიმრეს საერთაშორისო საზოგადოების მიერ ტერორისტად აღიარებული აბდულა ოჯალანი. პატიმარი გადაეცა თურქეთის სახელმწიფოს, რომლებმაც ის გადაიყვანეს მარმარილოს ზღვის ერთ-ერთ კუნძულ იმრალზე, განთავსებულ მკაცრი რეჟიმის საპატიმროში. თურქულმა სასამართლომ ოჯალანს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, რომელიც შემდეგ მსოფლიო საზოგადოების მოთხოვნით, სამუდამო პატიმრობით შეცვალეს. ამბოხების ლიდერის დაპატიმრების შემდეგ თურქულმა ხელმძღვანელობამ დაიწყო ძალდატანებითი ასიმილაცია,

აიკრძალა აბდულა ოჯალანისა და საერთოდ სიტყვა „ქურთი“-ს გამოყენება მთელს რესპუბლიკაში,

ევროპელთა გულის მოსაგებად თურქებმა ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში საკმაოდ შეარბილეს პოლიტიკა ქურთების მიმართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლიდერის გარეშე დარჩენილი „ქურთების მუშათა პარტია“ კვლავ აგრძელებდა ბრძოლას დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. რეგიონში ვითარება დაიძაბა 2003 წელს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მიერ, ერაყში სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის დამსობის შემდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ერაყში საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე თვლიდა, რომ ბრძოლის პერიოდში აუცილებელი იყო შიდა მოკავშირის პოვნა, ამ თვალსაზრისით ამერიკელებს ერაყელი ქურთების სახით გამოუჩნდათ ბუნებრივი მოკავშირე, რადგან ისინი სისტემატიურად იზარებოდნენ სადამ ჰუსეინის რეჟიმის მიერ, რაც თავისთავად აძლევდათ მათ უფლებას ყველაზე პროამერიკული ყოფილიყვნენ ერაყის ეთნო რელიგიურ თემებს შორის. მაგრამ ქურთების მოკავშირეობა შტატებთან გეოპოლიტიკური თვალსაზრისით არ აღმოჩნდა მარტივი საქმე, რადგან იგი მიუღებელი შეიქნა რეგიონში, ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ძველი მოკავშირის თურქეთისათვის, „ქურთების პრობლემა“ უკვე დიდი ხანია ძალიან მტკივნეული თემაა.

ერაყის ომმა შექმნა ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში როგორც შეერთებული შტატებისათვის, ისე თურქეთის რესპუბლიკისათვისაც. თუ ამერიკელებმა გამოიყენეს ქურთები სადამის წინააღმდეგ და ომის დასრულების შემდეგ ცდილობდნენ მათ გამოყენებას ფორსირებულ დარეგულირებაში ისრაელ-პალესტინის კრიზისისა, განსაკუთრებით სირიის მიმართულებით, ანკარა აღმოჩნდა ისეთი დილემის წინაშე, როგორც

იყო კონფლიქტის ახალი გართულება და შეიარაღებული დაპირისპირება ქურთულ მოძრაობასთან, თურქეთსა და ჩრდილოეთ ერაყში. ყოველივე ამან, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიწვია თურქეთის ურთიერთობების დაძაბვა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის რიგ ქვეყნებთან.

ერაყის ომის მიმდინარეობაში პირველად 80 წლის მანძილზე, ლოზანის ხელშეკრულების შემდეგ თურქეთის რესპუბლიკას მოუწია იმ ფაქტთან შეგუება, რომ ქურთული მოძრაობა ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ფაქტორად, როგორც რეგიონალურ, ასევე საერთაშორისო დონეზე. ერაყელი ქურთები გამოდიოდნენ არა მხოლოდ მოკავშირენი ანტიერაყულ კოალიციაში მოსულისა და კირკუკის განთავისუფლების დროს, არამედ როგორც თანამონაწილენი ომის შემდგომ ერაყის სახელმწიფოს მოწყობისა, ფედერალურ საფუძველზე.

ანკარისათვის ერაყელ ქურთთა ასეთი წარმატების მიღწევა განგაშის სიგნალი იყო, რადგან ეს გახდა პრეცედენტი და სტიმული ბრძოლის კორექტირებისა თურქეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი ქურთებისათვის. ერაყელ თანამოძმეთა მიბაძვით, მათ დაიწყეს იმ მიზნების გამოყენება, რასაც ჯერ კიდევ ამ მოვლენების მოხდენამდე ქადაგებდა „ქურთული მუშათა პარტიისა“ და განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი აბდულა ოჯალანი. მისი კონცეფცია გახლდათ: „უარი სეპარატიზმს და ქურთული სახელმწიფოს ფედერალური მოწყობა, მრავალმხრივ საფუძველზე“ [69-247].

ამგვარად, ქურთისტანი, რომელიც ადრე მიღებული იყო ქურთების კომპაქტურ დასახლებად დასავლეთ აზიაში, ახალ გეოპოლიტიკურ პირობებში ისევ ყალიბდება არა მხოლოდ ეთნიკურ, არამედ სახელმწიფოთა დაპირისპირების კვანძად ახლო აღმოსავლეთში. ამას თან ერთვის ჯერჯერობით მცირე გაციება

ამერიკისა და თურქეთის რესპუბლიკის ურთიერთობებში, ბერძნებისა და თურქების (ნატოს წევრი ქვეყნების) მრავალწლიანი დაპირისპირება. ამასთანავე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ როგორც რუსეთის ფედერაცია თავისი ამბიციური პოლიტიკით და 300 000 ქურთი მოსახლით, ისე დანარჩენი „პოსტ საბჭოთა“ სახელმწიფოები ერთი მილიონი ქურთი ეროვნების მცხოვრებით, რომლებსაც აქვთ არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ სხვა ინტერესებიც მუსულმანურ სამყაროსთან და არ შეუძლიათ ამ რეგიონში არსებული დაძაბული სიტუაციის მიმართ გულგრილნი იყვნენ.

ერაყის კრიზისის ეთნოგრაფიაში თურქეთისა და ქურთისტანის გეოპოლიტიკური კვანძი იძენს გაცილებით მეტ მნიშვნელობას, ვიდრე თალიბთა რეჟიმის დამხობა ავღანეთში, ან ანალოგიური კვანძი პაკისტანელებსა და პუშტუნებს შორის.

ეთნიკური პრობლემების გადაუჭრელობა უქმნის დიდ სირთულეებს დემოკრატიისა და თავისუფლების პირობების შექმნას, იქნება ეს თურქეთში, ისრაელში, პალესტინასა თუ ერაყში.

ბრძოლა, ტერორიზმთან იქნება ის, თუ სეპარატიზმთან, რელიგიური თუ სხვა შეფერილობით, ყოველთვის არ შემოიფარგლება ერთი სახელმწიფოს საზღვრებით და ვერ განისაზღვრება რაიმე დროის ჩარჩოებით, წლებით თუ ათწლეულებით. ასე იყო და არის მაგალითად ავღანეთში. დიდი ხნის მანძილზე გაგრძელდა სპარსეთის ყურის კრიზისი, რომელშიც სრულად აღმოჩნდნენ ჩათრეულნი ის აღმოსავლური სახელმწიფოები, რომლებმაც თავის დროზე მოახერხეს და გაიყვეს ქურთისტანის ისტორიული ტერიტორია, რომელიც, როგორც ითქვა, დღესაც რეგიონში არსებული დაძაბულობისა და არეულობის ერთ-ერთი

მთავარი საბაზია სპარსეთის ყურეში მეორე ომის დაწყებისას,* თურქეთის რესპუბლიკა დიდხანს ეწინააღმდეგებოდა შეერთებულ შტატებს, არ ჩართულიყო „ოპერაცია უდაბნოს ქარიშხალში“, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვაშინგტონმა იგი პოლიტიკური ზეწოლით მაინც აიძულა გაეგზავნა ერაყის საზღვარზე დაახლოებით 40 000 კაციანი სამხედრო კონტიგენტი. ამასთანავე თურქეთმა ნება დართო ამერიკელებს, მნიშვნელოვნად გაეზარდათ საბრძოლო თვითმფრინავთა რაოდენობა საჰაერო სამხედრო ძალების ბაზაზე, ინჯირლიყში [85-94].

მთელი რიგი დათმობების მიუხედავად, ანკარამ თავის სასარგებლოდაც მოახერხა ნაბიჯის გადადგმა, რომელმაც, სამწუხაროდ, საბოლოოდ არ გაამართლა. მთავრობამ პარლამენტისაგან მოიპოვა საკუთარი ჯარის საზღვარგარეთ გაყვანის უფლება, რის შემდეგაც აღარ დააყოვნა, შეიჭრა ერაყის ტერიტორიაზე, გადაკეტა ერაყიდან გამომავალი ორივე ნავთობსადენის ტოტი და შეწყვიტა ყველანაირი ეკონომიკური ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოსთან. აღნიშნული მისია თურქეთმა კრახით დაასრულა, რადგან ვერ შეძლო ერაყის ტერიტორიაზე მოქმედი ქურთული სამხედრო დანაყოფების განადგურება და საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად იძულებული გახდა სამხედროები უკან გამოეწვია [85-107].

დასავლელი და თურქი ექსპერტების დასკვნების მიხედვით საბოლოო ჯამში „ოპერაცია უდაბნოს ქარიშხლის“ შედეგად თურქეთის რესპუბლიკას შეიძინა მილიარდი დოლარის ღირებულების

* „სპარსეთის ყურის მეორე ომი“ - ეწოდება ომს, რომელიც ახლო აღმოსავლეთში 1990 წელს ერაყის მიერ ქუვეითზე თავდასხმით დაიწყო და 1991 წელს 34 ქვეყნის კოალიციის (მეთაური აშშ) მიერ ერაყის დამარცხებით დასრულდა. აშშ-ში ამ სამხედრო ოპერაციებს უწოდებენ „უდაბნოს ფარს“ (ინგლ. "Operation Desert Shield") და „ოპერაცია უდაბნოს ქარიშხალს“ (ინგლ. "Operation Desert Storm").

ზარალი მიადგა. კონპენსაციის სახით მან მოკავშირეებისაგან შეპირებული 4,5 მილიარდის ნაცვლად მიიღო ერთი მილიარდი დოლარი. განსაკუთრებით დიდ სირთულეებს შეეჯახა თურქეთი ერაყიდან მათ ქვეყანაში 500 ათასზე მეტი ქურთი ლტოლვილის მასიური გადასვლისას. ასევე დიდი ზარალი ნახეს ქურთულ საბრძოლო დაჯგუფებებთან მოულოდნელი შეტაკებებით. თურქთა ხელმძღვანელობა საყოველთაოდ ადანაშაულებდა „ქურთისტანის მუშათა პარტიას“ საზღვრის ორივე მხარეს ტერორისტული აქტების მოწყობაში.

ომის მსვლელობის დროს, დასავლელი ექსპერტების აზრით, ანკარის მტიცე პოზიციამ შეასრულა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ამერიკის შეერთებული შტატების დაყოლიებაზე, რათა არ დაესრულებინა ომი სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობით. თურქთა აზრით, ამას შეიძლება ერაყი მიეყვანა სრულ დეზინტეგრაციამდე და შეექმნა პირობა, ჩამოყალიბებულიყო ქვეყნის ჩრდილოეთით ქურთისტანის სახელმწიფო წარმონაქმნი, რაშიც ანკარა ხედავდა „გადამდებ მაგალითს ქურთი სეპარატისტებისათვის თურქეთში“ [83-214]. თუმცა მიუხედავად ამისა თურქეთის რესპუბლიკა ომის დამთავრების შემდეგ წინ ვეღარ აღუდგა ურთიერთობასა და ავიარეისების განხორციელებას ერაყის ტერიტორიაზე არსებულ ქურთთა ავტონომიაში.

ომის დასრულების შემდეგ ანკარამ პოლიტიკა შეცვალა და მჭიდროდ დაუახლოვდა სადამ ჰუსეინის რეჟიმს, რათა ქურთული სეპარატიზმის წინააღმდეგ ერთობლივად ებრძოლათ.

1998 წელს, როდესაც ახალი ანტიერაყული კამპანია დაიწყო და ბილ კლინტონის ადმინისტრაციამ და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელობამ ამავე წლის დეკემბერში, ჩაატარა ოპერაცია „მელა უდაბნოში“, თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ბ. ეჯვეითმა მოუწოდა დასავლელ პარტნიორებს, არ გამოეყენებინათ

ძალა ბაღდადის წინააღმდეგ, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, თურქეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ერაყის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, როცა დადგა საკითხი ავღანეთის შემდგომ, სამხედრო მოქმედებები გავრცელებულიყო ერაყზეც, ბ. ეჯევითმა კვლავ გააკეთა განაცხადი, რომ თურქეთი ეწინააღმდეგებოდა ერაყში დასავლური კოალიციის შეჭრას. მან ასეთი ომი შეაფასა როგორც „აგრესია რომელსაც შეეძლო რეგიონში წონასწორობა სრულ ქაოსამდე მიეყვანა” [85-126]. სწორედ ამ წონასწორობის დარღვევის უკან, პირველ რიგში ქურთული პრობლემების წამოწევას ვარაუდობდა ანკარის ხელმძღვანელობა, ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ერაყში ომის დაწყების რამდენჯერმე ცუდად შეფასების შემდეგ, უკვე 2002 წლის 25 სექტემბერს იგივე ბ. ეჯევითმა განაცხადა: „იმის მიუხედავად, რომ ამბობენ, ჩვენ ქურთულ სახელმწიფოს არ ვქმნითო, დე-ფაქტო ასეთი სახელმწიფო ჩამოყალიბების გზაზეა. თუკი ეს ოფიციალურად განცხადდება, ამას სერიოზული პრობლემები მოჰყვება” [16-418]. ეჯევითის ასეთი მძაფრი რეაქცია იმ პერიოდში მთელი თურქეთის პოლიტიკური ელიტის აზრს გამოხატავდა.

უკვე 2002 წლის 3 ნოემბერს თურქეთის რესპუბლიკაში ჩატარდა ახალი არჩევნები, რომლის შედეგადაც ქვეყნის ხელმძღვანელობაში მოვიდა რ. ერდოღანისა და ა. გულის პროისლამური „სამართლიანობისა და განვითარების” პარტია. ანკარის ახალმა ხელმძღვანელობამ დაიწყო პოლიტიკური ლავირება ამერიკასა და მუსულმანურ ქვეყნებს შორის. შეერთებული შტატებისა და ერაყის კრიზისის გამწვავების პირობებში თურქეთის ახალი ხელმძღვანელობის უმეტესი ნაწილი გამოდიოდა ძალის გამოყენების წინააღმდეგ და გმობდა გაეროს რეზოლუციას ერაყთან მიმართებაში.

ყოველივე ამან მიუხედავად დიდი სიფრთხილისა, მაინც გამოიწვია ურთიერთობების გათულება აშშ-სთან.

თურქეთის ერაყის სამხედრო კამპანიისადმი უარყოფითი დამოკიდებულებას რამდენიმე ობიექტური და სუბიექტური მიზეზი განსაზღვრავდა:

1) კოალიციის მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ, არსებობდა ერაყის დანაწევრებისა და დამოუკიდებელი ან ფართო ავტონომიური უფლებების მქონე ქურთისტანის შექმნის ალბათობა, რაც კიდევ უფრო გაამწვავებდა თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში არსებულ ქურთულ სეპარატისტულ მოძრაობას. ამასთან დამოუკიდებელი ქურთისტანის შემადგენლობაში ნავთობით მდიდარი კირკუკისა და მოსულის რაიონების შესვლა ეწინააღმდეგება თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს.

2) სამხედრო მოქმედებების შედეგად ერაყში წარმოიქმნებოდა ქაოსი, რაც უარყოფით ასახვას ჰპოვებდა თურქეთზე, როგორც მის უშუალო მეზობელ სახელმწიფოზე.

3) 1990 წლიდან სპარსეთის ყურის კრიზისის შედეგად ყველაზე დიდი ეკონომიკური ზარალი, თურქეთმა განიცადა. ახალი სამხედრო კამპანია გამოიწვევდა თურქეთში ტურისტული სეზონის ჩაშლას, რაც მნიშვნელოვნად შეარყევდა, იმ პერიოდისათვის ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ თურქულ ეკონომიკას. სავარაუდო გათვლებით ერაყში, სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ, სამხედრო კამპანიის დაწყების შემთხვევაში, თურქეთის რესპუბლიკა განიცდიდა ყველაზე მცირე, დაახლოებით 17 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობის ზარალს [85-133].

ყოველივე ამის შედეგად, სამხედრო მოქმედებების დროში გაჭიანურების შემთხვევაში არსებობდა ერაყიდან ლტოლვილების დიდი ნაკადის შემოსვლის ალბათობა, რასაც ეწინააღმდეგებოდა

ანკარა, რადგან მათი გათვლებით ლტოლვითა უმეტესობა იქნებოდა ქურთული წარმოშობის.

საბოლოოდ ომის საწყის პერიოდში, ორმაგი პოლიტიკური სტანდარტების პირობებში, მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა არა მხოლოდ ანკარა, არამედ ვაშინგტონიც, რადგან ორივე რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ჩავარდა, ერაყის კრიზისისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ქურთთა პრობლემების გადაჭრის დროს.

ერაყთან ომის მზადებისას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელმძღვანელობა უდიდეს როლს ანიჭებდა ქურთთა შეიარაღებულ დაჯგუფებებს, რომელთა რიცხვი იმ დროისათვის სახალხო რაზმელების ჩაუთვლელად, დაახლოებით 150 ათას კაცს აღწევდა [85-157]. ვაშინგტონი დაჟინებით მოითხოვდა ანკარისაგან დაეთმო ტერიტორიები სამხედრო ოპერაციების ჩასატარებლად და იმავდროულად თურქეთს ჰპირდებოდა, რომ არ მიაღებინებდა მას უშუალო მონაწილეობას სამხედრო მოქმედებებში და თუკი თურქები თავის ტერიტორიაზე განათავსებდნენ 62-ათას კაციან ჯარს, მაშინ ისინი კომპენსაციის სახით მიიღებდნენ 6 მილიონი დოლარის არაპირდაპირ დახმარებებს და 26 მილიარდ დოლარს მიზნობრივი კრედიტის სახით, იმ შემთხვევაში თუ ქვეყნის ეკონომიკა ერაყში საომარი მოქმედებების დროს დაზარალდებოდა. რეალურად ამერიკის შეერთებული შტატების ამ დაპირებების მთავარი მიზანი გახლდათ თურქეთის რესპუბლიკის გამოთიშვა ერაყის ომში პირდაპირი მონაწილეობის მიღებისაგან, რადგან ანკარა არასოდეს არ მაღავდა თავის ძველ განზრახვას, აღედგინა კონტროლი მეზობელი სახელმწიფოს ნავთობით მდიდარ რაიონებზე: კირკუკსა და მოსულზე.

შემდეგში, რადგან თურქეთმა ამერიკელებს თავისი ტერიტორიებით სარგებლობაზე უარი განუცხადა პენტაგონი იძულებული გახდა, კირკუკისა და მოსულის რაიონებზე კონტროლის

დასაწესებლად, ქუვეითიდან, დესანტის სახით გადმოესროლა თავისი სამხედრო ძალები, როგორც მტერზე ამ მხრიდან იერიშის მისატანად, ისე მოკავშირის^{*} ძალების რეგიონში მოსალოდნელი შეჭრის შესახებებლად. საბოლოოდ ამერიკელებმა პოლიტიკური და სამხედრო ზეწოლის შედეგად შეძლეს, შეეჩერებინათ ანკარა, რომ არ შეეყვანა თავისი მსხვილი სამხედრო კონტიგენტი ჩრდილოეთ ერაყში, რათა იქიდან გამოედევნათ ქურთული სამხედრო ფორმირებები. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად თურქთა ჯარების ერაყში შეყვანის წინააღმდეგ გამოდიოდა ნატოსა და ევროპული ქვეყნების უმეტესი ნაწილი.

საყურადღებოა ისიც, რომ ერაყის წინააღმდეგ არსებული ბოლო სამხედრო კონფლიქტის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის ვითარდებოდა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის პირობებში და უკვე თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მიმდინარე, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების ფონზე. ამ ყველაფერს არ შეეძლო მისთვის არ მიეცა ახალი გეოპოლიტიკური განზომილება. ისტორიულ რეტროპერსპექტივაში იგი ითვლება ლოზანის ხელშეკრულების გეოპოლიტიკურ სიცოცხლისუნარიანობის ყველაზე სერიოზულ გამოცდად, რომელმაც განსაზღვრა ოთხმოცი წლის წინ დადგენილი თურქეთის რესპუბლიკის საზღვრები, დასავლეთისაგან თავსმოხვეული ქურთისტანის გაყოფის პირობებით. ამასთანავე კრიზისმა პირდაპირი კონფრონტაციის ახალ ხაზზე, არაბულ ქვეყნებთან ერთად გამოიყვანა არა მარტო ისრაელი, კიდევ უფრო გამწვავებული პალესტინური საკითხით, არამედ ახლო აღმოსავლეთის ირიბ თანამონაწილედ გახადა ნატოს ოჯახის ერთადერთი მუსულმანური სახელმწიფო თურქეთიც, თავისი ქურთულ მოსახლეობასთან არსებული პრობლემებით.

* ამ შემთხვევაში იგულისხმება თურქეთის რესპუბლიკა.

ერაყის კრიზისის მიმდინარეობის ფონზე, რაც უფრო ღრმად ერთვებიან ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში, თურქები და ნატოს სხვა წევრი სახელმწიფოები, ჩნდება შემაშფოთებელი ტენდენციები, ლოკალური კერების რეგიონალური მაშტაბების კონფლიქტურ კვანძში გადაზრდისა, ამ მხრივ სულ უფრო მეტად შეინიშნება ჩრდილო ატლანტიკური ბლოკის წევრებს შორის ფარული განხეთქილების ნიშნები.

ერაყის კრიზისთან, კუნძულ კვიპროსის საკითხთან და ქურთისტანის პრობლემებთან სხვადასხვა მიდგომის გამო, დასავლელი პოლიტოლოგების აზრით, ამ ნიადაგზე აღმოცენებულმა უთანხმოებებმა პირველად მიიყვანეს ნატოს წევრი სახელმწიფოები „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, სერიოზულ კრიზისამდე, რომლის მოგვარება შესაძლებელი გახდა მხოლოდ, უშუალოდ სამხედრო კომიტეტის ჩარევის შემდეგ [47–178].

რაც შეეხება რუს პოლიტიკოსებს, პოლიტოლოგებსა და ექსპერტებს ისინიც გაფაციცებით ადევნებენ თვალს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს და ცდილობენ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ მოკავშირეებს შორის არსებული უთანხმოებები. კრემლის პოლიტიკის აპოლოგეტი,* გეოპოლიტიკოსი ალ. დუგინი, პრესასა და პუბლიცისტიკაში, ასევე სატელევიზიო გამოსვლებით (მეცნიერი, რომელიც თავის წიგნში „გეოპოლიტიკის საფუძვლები“ თურქეთის რესპუბლიკას ოსმალეთის იმპერიის პარადიას უწოდებს), დღეს თამამად აცხადებს, რომ თურქეთი არის რუსეთის პოტენციური მოკავშირე და სრულიად მიესაღმება ანკარის პოლიტიკას, „თუ თურქთა ჯარი ერაყში ქურთთა გასანადგურებლად შეიჭრება“, უფრო მეტიც, ის თურქულ სიტუაციას, რუსეთისა და

* აპოლოგეტი – ადამიანი, რომელიც ვისიმე ან რისამე აპოლოგიით გამოდის, დამცველი, მომხრე.

ჩენეთის სიტუაციას აღარებს, რაც თავისთავად საკითხისადმი არასწორი და მიკერძოებული მიდგომაა, რადგან, მართალია, ჩენეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა მარტო საქართველომ და ავღანეთმა აღიარა, მაგრამ მას ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევი მართავდა, ამასთანავე ყველასთვის ნათელია, რომ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი ჯერ კიდევ 1991 წელს მოუწოდებდა ავტონომიებს, რომ „აეღოთ იმდენი სუვერენიტეტი რამდენიც სურდათ“ [186]. ამის შემდეგ კი რუსმა პოლიტიკოსებმა და სამხედროებმა ჩენეთში მმართველობის აღდგენისათვის ორჯერ გააჩაღეს სამხედრო კამპანიები, რის შედეგადაც ფაქტიურად მიწასთან გაასწორეს მთელი ჩენეთი და ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი განადგურება მოაწვევს. ეს, რა თქმა უნდა განსხვავდება თურქული პოლიტიკისაგან, რადგან ისინი უშუალო ბრძოლას აწარმოებენ მსოფლიო თანამეგობრობის მიერ საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარებულ „ქურთისტანის მუშათა პარტიასთან“.

ომის დასკვნით ეტაპზე არა მხოლოდ თურქეთი და ერაყი, არამედ მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ქურთებიც, ფრონტის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. სიტუაციაში, როცა ერაყელი ქურთები გამოდიოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირეებად ანტიერაყულ ომში, საზღვრის მეორე მხარეს ქურთული მოსახლეობა აწყობდა ომის საწინააღმდეგო მასიურ გამოსვლებს. „ქურთული მუშათა პარტია“, რომელიც 1999 წელს მისი ლიდერის აბდულა ოჯალანის დაპატიმრების შემდეგ საგრძნობლად იყო დასუსტებული, კვლავ გამოჩნდა საბრძოლო ასპარეზზე და თურქთა წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ომი ტერორიზმის მეშვეობით განაახლა.

ერაყის შესაძლო დეზინტეგრაციაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანკარა ხედავს არცთუ მცირე საშიშროებას

თურქეთის რესპუბლიკის უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის. საყურადღებოა ისიც, რომ მსოფლიოში „ცივი ომის“ მსვლელობის დროს მაქსიმალური მიზანი ქურთთა ერთიანი სახელმწიფოს შექმნისა, რეალურ სიბრტყეში არასოდეს არ დასმულა. ბრძოლის სიმძიმის ცენტრი, ქურთული სახელმწიფოებრიობის ან ავტონომიის მიღწევისათვის პერიოდულად ინაცვლებდა ერაყიდან (1943-1945წ.წ.) ირანში (1945-1946წ.წ.) და ისევ (1960-1970წ.წ.) ირანიდან ერაყის ჩრდილოეთში [74-87]. 1980-90-იან წლებში ქურთული მოძრაობა არნახულად გაფართოვდა და მიიღო ორგანიზებული შეიარაღებული გამოსვლებისა და პარტიზანული ბრძოლის სახე უკვე აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში.

მიუხედავად განმათავისუფლებელი ბრძოლისა, ქურთები ერთიანი ძალა მიახლოდნენ არასოდეს ყოფილან, რადგან მათ შორის ყოველთვის იყო შიდასატომო და შიდაპარტიული უთანხმოებები, მეტოქეობა მიმდინარეობდა, როგორც თურქეთის ტერიტორიაზე ა. ოჯალანის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, ასევე ჩრდილოეთ ერაყში მყოფი ქურთი ლიდერების, მ. ბარზანისა და დ. თალაბანის მომხრეებს შორის [73-241]. თუმცადა აღსანიშნავია რომ ერაყელ ქურთებს ერთმანეთთან დაპირისპირება ხელს არ უშლიდა დროდადრო გაეერთიანებინათ ძალები, არა იმდენად საკუთარ ტერიტორიაზე შეჭრილი თურქი მეომრების წინააღმდეგ, არამედ ერაყის ჩრდილოეთ ნაწილში შეღწეული, მათივე თვისტომის ა. ოჯალანის მომხრეებისა და მებრძოლების გასანადგურებლად.

პოლიტიკური განხეთქილებები და უთანხმოებანი, ასევე თემური დაპირისპირებები სხვადასხვა ქურთულ დაჯგუფებებს შორის იყო და იქნება უახლოეს მომავალში ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი თურქეთში ქურთული ნაციონალური მოძრაობის სისუსტისა [65-187]. სწორედ ეს გახდა მთავარი ფაქტორი იმისა, რომ ქურთულმა მოძრაობამ

ქურთისტანის ეთნოგრაფიულ საზღვრებში ფართომაშტაბიანი და საყოველთაო ხასიათი ვერ მიიღო.

ზემოთ მოყვანილ მიზეზთა გამო, ქურთთა მოძრაობამ მიიღო სეპარატისტული ხასიათი, როგორც ამ ქვეყნებს შიგნით, ასევე ერთმანეთის მიმართ, საერთო ქურთული მოძრაობის ჩარჩოებში. წინააღმდეგობები და უთანხმოებები მათ შორის კიდევ უფრო ღვივდება შიდა რეგიონალური და საერთაშორისო ძალების ჩარევის შედეგად. ქურთთა მოძრაობის დაქუცმაცებულობა, კიდევ უფრო ღრმავდება გადაუჭრელი სასაზღვრო კონფლიქტებით და დავებით, როგორც სახელმწიფოთა შორის, ასევე თვითონ ქურთულ თემთა კავშირებს შორის, რომლებიც ცხოვრობენ საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული საზღვრების ორივე მხარეს.

გლობალიზაციის გაძლიერების პირობებში ქურთულმა მოძრაობამ თურქეთში აბდულა ოჯალანის დაპატიმრების შემდეგ, თავდაპირველად უარყო შეიარაღებული მეთოდებით ბრძოლა და დაგმო ტერორისტული მეთოდების გამოყენება. ეს განსაკუთრებით კარგად აისახა ა. ოჯალანის გამოსვლაში ევროპული სასამართლოს წინაშე.

ასევე მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა ერაყის ქურთულმა მოძრაობამაც. თუ მანამდე ქურთი ლიდერები მ. ბარზანი და დ. თალაბანი ერთმანეთთან თავიანთი მომხრეებითურთ მუდმივ დაპირისპირებაში იმყოფებოდნენ, სადამ ჰუსეინის საწინააღმდეგო კამპანიის დაწყების წინ, ორივე მხარე ერთმანეთთან შეჯერდა და გააკეთეს საერთო განცხადება, რომ მზად იყვნენ არა მარტო ურთიერთთანამშრომლობის დასაწყებად, საერთო ანტიერაყული ფრონტის ჩარჩოში, არამედ უარყვეს ყოველგვარი სეპარატისტული მიზნები ერაყიდან გამოყოფის შესახებ და თანასწორუფლებიანი წევრის სტატუსით, ფედერაციულ საფუძველზე მის შემადგენლობაში დარჩენის სურვილი დაადასტურეს. მიზნების დროებით ასეთი სახით

კორექტირება როგორც ჩანს, ატარებდა ტაქტიკურ ხასიათს და ის ნაკარნახევი იყო თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან ფართომაშტაბიანი შეიარაღებული შეჭრის საშიშროებით ერაყულ ქურთისტანში.

ანკარის ახალმა პროისლამისტურმა მმართველმა ძალამ რ. ერდოღანისა ა. გიულის ხელმძღვანელობით, ამერიკელებს შეზღუდული უფლებებით საშუალება მისცა, გამოეყენებინათ თურქული სამხედრო ბაზები. მათ გამოიჩინეს ძალიან დიდი სიფრთხილე, რათა არ დაეშვათ მოვლენების არაკონტროლირებადი და დრამატული განვითარება. იმ შემთხვევაში თუ ერაყში ომი დიდხანს გაგრძელდებოდა, ანკარის ხელმძღვანელობა არ გამორიცხავდა დამოუკიდებლობის მსურველი ქურთების ცალკეულ საპროტესტო გამოსვლებს, რეციდივებს და ტერორისტულ აქტებს.

ამ პერიოდისათვის კი ქურთულმა მოძრაობამ, საპირისპიროდ, დროებით შეცვალა თავისი პოლიტიკა და დაიწყო სწრაფვა მხარდაჭერა მიეღო ანტიერაყული კოალიციისაგან, უმთავრესად შტატებისა და დასავლეთ ევროპის ლიდერი სახელმწიფოებისაგან. ასეთ სიტუაციაში თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მეამბოხეები იძულებულნი გახდნენ, მოჩვენებით თავი შეეკავებინათ სეპარატიზმისაგან, რაც, სახელდობრ, შემდეგში არ გამორიცხავდა შესაძლებლობას, მეზობლად ავტონომიური რაიონის გაჩენის შემთხვევაში, მათ სახეცვლილებას ისეთ სეპარატიზმად, რომლის შემთხვევაშიც მეამბოხეებს ესახებათ მიზანი შეუერთდენ არა თვით ერაყს, არამედ საკუთარ მეზობელ ქურთულ ავტონომიას.

ერაყის ომის შემდგომ ქურთული ნაციონალურ მოძრაობა თვლიდა, რომ უნდა განვითარებულიყო ორი პარალელური ტენდენცია:

პირველი – სეპარატისტული მოძრაობა ტიტულარულ ეროვნებებთან მიმართებაში. მათ გაიყვეს, მაგრამ საბოლოოდ ვერ

მოახერხეს ქურთების სრული ინტეგრირება იმ საზღვრებში, რომლებიც ჩამოყალიბდა ორი მსოფლიო ომის შედეგად. მეორე - ნელ-ნელა ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს მთავარი მიზანი და შეიქმნას ერთიანი ქურთული სახელმწიფო ქურთისტანის გეოგრაფიულ სივრცეში.

ერაყის ომმა კიდევ უფრო მეტი ძალა შთაბერა გლობალიზაციის პროცესს, რომელსაც გაძლიერებასთან ერთად ყოველთვის თან ერთვის ბრძოლა ანტიგლობალიზმის ძალებთან.

გლობალიზმი, როგორც ა. პანარინი წერს: „დამახასიათებელია უთავბოლო შეჯახებების და ეთნოცენტრიზმის სხვა გამოვლინებებით, რომლებიც მიეკუთვნებიან სეპარატიზმსა და ტერორიზმს“ [147]. ერაყის „რეფორმირებების“ დროს გლობალისტები კვლავ აგრძელებენ თამაშს სახელმწიფოთა შორის, ეთნორელიგიურ და შიდაქურთულ წინააღმდეგობებზე.

ანკარის აზრით, წინა საუკუნეში დადგენილი საზღვრების უარყოფა და გეოგრაფიული ქურთისტანის ტერიტორიებისა და რესურსების ხელახალი არათანაბარი გადანაწილება ან აღნიშნულ სივრცეში ნებისმიერი ავტონომიური ერთეულის შექმნა, გამოიწვევს რეგიონში სერიოზულ ძალთა ბალანსის დარღვევასა და დესტაბილიზაციას. ამ საბაბით თურქეთის რესპუბლიკის ხელისუფლება კატეგორიული წინააღმდეგია თავის ტერიტორიაზე რაიმე ავტონომიის შექმნისა ამავედროულად ისინი წინა პლანზე აყენებენ ერაყში მცხოვრები თურქმენებისათვის შეიქმნას დამოუკიდებელი სახელმწიფო. ანკარას სურს, რომ ამ ახალ ქვეყანას მიაკუთვნოს უმეტესი ნაწილი ერაყული ქურთისტანისა, განსაკუთრებით ნავთობით მდიდარი ქალაქი კირკუკი. სწორედ ეს ქალაქი გახლავთ მთავარი სადაო საკითხი თურქეთს, ერაყსა და მის ქურთისტანს შორის, მით უმეტეს, რომ ტრანსქურთული

ნავთობსადენი კირკუკ-ჯეიჰანი უზრუნველყოფს ერაყული ნავთობის გადინებას თურქულ და ხმელთაშუაზღვის მსოფლიო ბაზარზე.

ქალაქი კირკუკი ამ პერიოდისათვის ერაყელი ქურთების მფლობელობაშია, ისინი მას ქურთისტანის „იერუსალიმს“ უწოდებენ. შეერთებული შტატების ღია მხარდაჭერისა და დახმარებების შედეგად ერაყელმა ქურთებმა თავიანთ ავტონომიურ რაიონში შეძლეს აღედგინათ რიგი საწარმოებისა, დაიწყეს რეაბილიტაცია სოციალური და კულტურული პროგრამებისა. ქურთებმა თითქოსდა დაამტკიცეს თავიანთი აღმშენებლობის უნარი, მაგრამ რეალურად ამ რეგიონში მათ უკან დგას შეერთებული შტატები თავისი პოლიტიკური მიზნებითა და გეგმებით. შტატების აღნიშნული მისწრაფებები, როგორც ჩანს, არ ეთანხმება იმ ქვეყნების ინტერესებს, რომლებმაც თავის დროზე გაიყვეს ქურთისტანის ტერიტორია.

დღეისათვის თურქეთსა და ერაყს შორის ურთიერთობა საკმაოდ დაძაბულია. მათ ომის შემდეგ რამდენჯერმე მიაღწიეს შეთანხმებებს ურთიერთანამშრომლობის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით რეგიონში მშვიდობა ვერ დაამყარეს. „ქურთისტანის მუშათა პარტია“ კვლავ განაგრძობს ტერორისტული აქტებით და თურქ სამხედროებზე მოულოდნელი თავდასხმების განხორციელებით ბრძოლას ანკარის წინააღმდეგ, ერდოღანი და მისი მთავრობა იძულებული გახდა სამხედრო მუქარებზე გადასულიყვნენ, ისინი ულტიმატუმებს უყენებენ ერაყის ჩრდილოეთით მდებარე ქურთისტანის რეგიონალურ მთავრობას: შეწყვიტონ ტერორისტებისა და სეპარატისტების მხარდაჭერა და აღარ მისცენ მათ თავშესაფარი საკუთარ ტერიტორიაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში თურქეთის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ ჩაატარებს ფართომაშტაბიან ანტიტერორისტულ ოპერაციას, ერაყული ქურთისტანის ტერიტორიაზე.

თურქეთის რესპუბლიკის მთავრობა და სამხედროები იმედოვნებენ, რომ ძალისმიერი მუქარა და ულტიმატუმი შედეგს გამოიღებს, როგორც ეს ზემოთხსენებულ შემთხვევაში სირიის სახემწიფოსთან 1998 წელს მოხდა. მოგესხენებათ, მაშინ სამხედრო ინტერვენციის მუქარამ დამასკოს მმართველობა აიძულა, შეამზობს ქურთთა ლიდერი ა. ოჯალანი, საკუთარი ქვეყნიდან გაეძევებინა. თუმცა, ამჟამად კი დღევანდელი ვითარება სრულიად განსხვავებულია. იმ დროისათვის სირიას არ ჰყავდა ძლიერი მოკავშირეები, ხოლო დღეისათვის, როდესაც ერაყის ავტონომიური ქურთისტანის რეგიონალურ მთავრობას, რომელიც ჩრდილოეთ ერაყს, ერაყის ცენტრალური ხელისუფლებისაგან სრულიად დამოუკიდებლად აკონტროლებს და მართავს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ძლიერი მფარველები ჰყავს.

ცნობილია, რომ მაჰმუდ ბარზანი 1991 წელს „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ განადგურებაში თურქ სამხედროებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდა. რაც შეეხება მეორე ლიდერ ჯალალ თალაბანის, რომელიც ამჟამად ერაყის პრეზიდენტია, თავის დროზე ისიც ხან იბძოდა „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ წინააღმდეგ, ხან კიდევ თავის კონტროლქვეშ მყოფ „ქურთისტანის პატრიოტული კავშირის“ ტერიტორიაზე თავშესაფარს აძლევდა თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან გამოქცეულ ა. ოჯალანის მებრძოლებს [87-214].

ამჟამად გავლენიან ქურთ ლიდერებს „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ წინააღმდეგ ბრძოლა აღარ სურთ, რადგან მიუხედავად მათი საქმიანობის ხასიათისა უკვე ისინი მათ თავიანთ უმცროს ძმებად აღიქვამენ. ბარზანისათვის თურქეთთან თანამშრომლობაზე უარის თქმას კიდევ ერთი სერიოზული მიზეზი აქვს, კერძოდ, როგორც აღვნიშნეთ, თურქებს არ სურთ ნავთობით მდიდარი ქალაქი კირკუკი ქურთისტანის რეგიონალური მთავრობის კონტროლის ქვეშ

გადავიდეს [89-144]. ბარზანის პოზიციის ფონზე, თურქეთის ხელისუფლებამ საქმე პირდაპირ ერაყის ცენტრალურ მთავრობასთან დაიჭირა, რომელმაც „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ წინააღმდეგ ბრძოლის პირობა დადო, მაგრამ ამ პირობას ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბარზანის მხარდაჭერის გარეშე შესრულება არ უწერია.

„ქურთისტანის მუშათა პარტიასთან“ ბრძოლაში შემაფერხებელი ფაქტორია ამერიკის პოზიცია, რომელიც დიღემის წინაშე დგას. ქურთისტანის რეგიონული მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია ერაყის ერთადერთი რეგიონია, სადაც შტატების მოქალაქეები თავს მშვიდად გრძნობენ, ვაშინგტონში ზოგი მიიჩნევს, რომ ირანზე შესაძლო თავდასხმის შემთხვევაში აღნიშნული ტერიტორია შეიძლება პლაცდარმადაც გადაიქცეს. „ქურთისტანის მუშათა პარტია“, რომლის წევრებიც თავს მარქსისტებად მიიჩნევენ, ზოგჯერ ისლამისტების საპირწონე ძალადაც ითვლება, რაც მათ ვაშინგტონის ზოგიერთ პოლიტიკურ თუ სამხედრო წრეებში ამერიკისათვის სასარგებლო ძალად წარმოაჩენს.

ამერიკის შეერთებული შტატები ანკარის ბოლოდროინდელი პოლიტიკის გამო, თურქეთის მხარდაჭერისაგან გარკვეულწილად თავსაც იკავებს. მაშინ, როცა ვაშინგტონი სირიისა და ირანის საწინააღმდეგო პოლიტიკას აწარმოებს, ამერიკელებისათვის რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ანკარა ამ ქვეყნებთან თანამშრომლობას ზრდის. შტატების განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოიწვია ასევე ირანსა და თურქეთს შორის ენერგეტიკულ სფეროში თანამშრომლობაზე, ურთიერთგაგების მემორანდუმზე ხელისმოწერამ. ამ შეთანხმების ძალით, ირანს საკუთარი ენერგორესურსების ევროპულ ბაზარზე გატანის შესაძლებლობაც კი ეძლევა. ანკარა თავის საქციელს იმით ხსნის,

რომ მას სურს, ყველა მეზობელთან კარგი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ვაშინგტონში „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ ბოლოდროინდელ აგრესიულ ქმედებებს არ ამართლებენ და ბაღდადსა და ერაყის ქურთისტანის რეგიონალურ მთავრობას სასწრაფო, ადეკვატური ნაბიჯებისაკენ მოუწოდებენ, ანკარის ხემძღვანელობა კი ამერიკისაგან სიტყვიერ თანადგომასა და დახმარებაზე მეტს მოითხოვს, რადგან ჩრდილოეთ ერაყში „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ ნეიტრალიზაციის გარეშე, თურქეთი იძულებული იქნება, 2007 წლის 17 ოქტომბერს, მისივე პარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციით ისარგებლოს და ერაყის ტერიტორიაზე საკუთარი სამხედრო ძალა შეიყვანოს. მითუმეტეს, რომ უკვე მსგავსი მოთხოვნა თვითონ თურქული სახელმწიფოს, საზოგადოების მხრიდანაც სულ უფრო და უფრო ინტენსიურად გაისმის.

რაც შეეხება აშშ-ს პოლიტიკას: შესაძლოა, ვაშინგტონი საბოლოოდ აღმოჩნდეს დიღემის წინაშე, როგორ შეინარჩუნოს ერთადერთი მოკავშირე ქურთების სახით ერაყში და არ დააზარალოს თურქეთის რეპუბლიკის სტრატეგიული ინტერესები, რადგან ეს უკანასკნელი არის მისი ერთადერთი ძველი მუსულმანური და სტრატეგიული მოკავშირე ახლო აღმოსავლეთში.

საერთაშორისო ექსპერტთა უმეტესობის აზრით, საბოლოო ჯამში გლობალური გეოპოლიტიკის სამსხვერპლოზე ზვარაკად იქნება მიტანილი ქურთების ეროვნული ინტერესები, მაგრამ რეგიონის ცვალებადი გეოპოლიტიკის ფონზე, სავარაუდოდ, მაინც შესაძლებელია, რომ ქურთებმა გარკვეულ შედეგს მიაღწიონ. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ ამერიკასა და თურქეთს შორის ფარული დაძაბულობა ღია პოლიტიკურ დაპირისპირებაში გადაიზრდება. ყოველივე ეს კი შეიძლება გამოიწვიოს ვაშინგტონის

გეოპოლიტიკამ ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიაში. ანკარის მხრიდან კი რუსეთის სახელმწიფოსთან გადრმავებუღმა ურთიერთობებმა და სომხეთის გენოციდის აღიარება არადიერებასთან დაკავშირებუღმა პოლიტიკამ.

§ – 3. თურქეთის გეოპოლიტიკა XXს-ის ბოლოსა და XXIIს-ის დასაწყისში

„ცივი ომის“ დასრულებისა და უზარმაზარი სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მის ყოფილ ტერიტორიებზე ჩამოყალიბდა „ძალთა ვაკუუმი“, რომლის შევსებასაც, როგორც მოსალოდნელი იყო, იმთავითვე თურქეთის რესპუბლიკა შეეცადა* [104–105].

1990 წლიდან თურქეთში თანდათან ჩნდება ევრაზიულობის გეოპოლიტიკური კონცეფცია, იწყება საუბარი იმის შესახებ, რომ თურქეთი ესაა ევრაზიის გეოგრაფიულად ცენტრალური ქვეყანა, მოწოდებული, რათა ტრანსკონტინენტური გავლენები გაავრცელოს. ამავე პერიოდიდან თურქეთის რესპუბლიკა იწყებს მცდელობას, გამოიყენოს თავისი სტრატეგიული, გეოგრაფიული მდებარეობა და გახდეს „ღერძული ქვეყანა“, ხიდი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მასტაბილიზებელი ძალა თავის საზღვრებთან, რაშიც უპირველესად იგულისხმება კავკასია, ცენტრალური აზია და ახლო აღმოსავლეთი.

აღნიშნული მიზნებისათვის ანკარამ 90-იანი წლებიდან დაიწყო ახალი გეოპოლიტიკური კონცეფციის შემუშავება, რომელიც უშუალოდ დაუკავშირა ცენტრალურ აზიურ და კავკასიურ პოლიტიკას, რასაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა სსრკ-ს სამართალმემკვიდრის, რუსეთის სახელმწიფოში არსებული შიდა არეულობები და მის რეგიონში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა.

ანკარა, თვლიდა რა თავს თურქულენოვანი სახელმწიფოების ლიდერად, სწრაფად გააცნობიერა საკუთარი გეოსტრატეგიული მდგომარეობა და აამოქმედა რეგიონში მცხოვრები თურქული

* ამ შემთხვევაში საუბარია კავკასიასა და ცენტრალურ აზიაზე

წარმოშობის ხალხებისათვის მხარდამჭერი ფონდები, რომლებშიც მნიშვნელოვანი მიზეზების გამო, მრავლად იყვნენ გაერთიანებული თურქეთის სპეცსამსახურების წარმომადგენლები. რეგიონში ანკარის გავლენის გაფართოებას აქტიურად უწყობდნენ ხელს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, ისე დასავლეთის სხვა ძლიერი სახელმწიფოებიც, რადგან ისინი იმედოვნებდნენ, რომ თურქეთს კვლავ გამოიყენებდნენ, როგორც ერთ-ერთ შემაკავებელ ბერკეტს, რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკური თამაშის დროს.

მიუხედავად დიდი მონდომებისა და მცდელობისა, თურქეთმა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშკარად გადაჭარბებით შეაფასა ზოგიერთი თურქულენოვანი ქვეყნის კულტურული სიახლოვე. ეთნობრივი ნათესაობა საკმარისი ფაქტორი არ აღმოჩნდა. ცენტრალური აზიის თურქულენოვანმა ქვეყნებმა მართვის საკუთარი პოლიტიკური სისტემები შეიმუშავეს, რომლებიც, რბილად რომ ითქვას, ევროპული დემოკრატიის მოდელისაგან საკმაოდ შორსაა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქეთის გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში ამ საკითხის მიმართ ინტერესი არ გამქრალა და ისინი, შეძახლებელია, დღევანდელი დემოკრატიული მთავრობის ფარული ხელის შეწყობითაც, დღესაც აქტიურად ცდილობენ, გრძელვადიანი ევრაზიული პოლიტიკის გატარების შედეგად საბოლოოდ მაინც განახორციელონ და შექმნან დიდი ერთიანი თურქულენოვანი სახელმწიფო, რაც, მათი აზრით, იქნება ოსმალეთის იმპერიის მკვდრეთით აღდგენა, ოღონდ უკვე XXI საუკუნეში.

ბოლო პერიოდში მიმდინარეობს თურქეთის რესპუბლიკის მთელი საგარეო პოლიტიკის გადასინჯვა, რომლის მიზანია, შეიქმნას მეგობრული სახელმწიფოების რკალი მისი საზღვრების პერიმეტრზე. ამის მაგალითებია, მიუხედავად მისი ძველი და სტრატეგიული მოკავშირის, ვაშინგტონის განაწყენებისა, ერთგვარი დაახლოება ირანთან, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია პრემიერ-მინისტრის

რ. ერდოღანის ვიზიტი ირანში, რომელიც იმ მომენტს დაემთხვა, როცა ოფიციალური თეირანი გარკვეული პირობებით დათანხმდა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს წინადადებას თავისი ურანი საზღვარგარეთ გაამდიდროს. მიუხედავად ამისა რ. ერდოღანმა ბრალი დასდო დასავლეთს „ორმაგი სტანდარტებით მოქმედებაში“ და ირანის მიმართ უსამართლო დამოკიდებულებაში, ამასთან განაცხადა, რომ „ხმები ირანის სამხედრო ბირთვული პროგრამის შესახებ დაუსაბუთებელია და შესაძლოა სიმართლეს არ შეესაბამებოდეს“ [116]. აღნიშნული პოზიცია თურქეთის მხრიდან მოულოდნელი გახლდათ დასავლეთისათვის, რადგან ერდოღანის ამ გამოსვლით ირანი არა აგრესორ, არამედ პირიქით დაჩაგრული სახელმწიფო გამოდის. თავის მხრივ, თეირანი დღეისათვის ანკარასთან ფართოდ თანამშრომლობს, როგორც სადაზვერვო, ისე სამხედრო დონეზე მის ბრძოლაში „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ წინააღმდეგ.

ყურადღების ღირსია ასევე ის ფაქტი, რომ თურქეთსა და ირანს სამხედროსთან ერთად საკმაოდ კარგი ეკონომიკური ურთიერთობებიც აქვთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2010 წლის დასაწყისში ანკარისა და თეირანის მიერ ხელმოწერილი ხუთწლიანი ძვირადღირებული გარიგება, რომელიც თურქეთის ნავთობისა და ბუნებრივი აირის ინდუსტრიის მოდერნიზებას ითვალისწინებს.

ასევე მნიშვნელოვანია თურქეთის რესპუბლიკის მიერ ურთიერთობათა ნორმალიზაცია არაბულ ქვეყნებთან, უპირველესად სირიასთან, რომელთანაც, სულ რაღაც რამოდენიმე წლის წინ საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა [90-17].

ამრიგად, მიმდინარე პერიოდში ანკარას ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან, გარდა სომხეთისა, აქვს მჭიდრო მეგობრული და ეკონომიკური ურთიერთობა. თურქეთის რესპუბლიკას დღეს უკვე ვეღარ განვიხილავთ, როგორც „ვაშინგტონის ნების შემსრულებელს“

[72-582], რასაც ძალიან ხშირად აბრალებდნენ ზოგიერთი დასავლელი და რუსი ექსპერტები და პოლიტოლოგები.

თურქეთის რესპუბლიკა კეთილმეზობლურ პოლიტიკასთან ერთად, პარალელურად, თავის ახლო აღმოსავლეთელ მეზობლებს მკაფიოდ უჩვენებს „მძლავრ კუნთებს“. ის მონაწილეობდა 1990-91 წლების კოალიციაში ქუვეითიდან ერაყის საოკუპაციო ჯარების გასადევნად. 90-იან წლებში მან რამდენჯერმე შეიყვანა ჩრდილოეთ ერაყში თავისი სამხედრო ნაწილები მეამბოხე „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ ბაზების გასანადგურებლად და მიუხედავად ვაშინგტონის უკმაყოფილებისა, იმავეს აკეთებს 2007 წლიდან [16–370].

მიმდინარე პერიოდისათვის, შესაძლებელია დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკის განუწყვეტელი ისტორიული-პერმანენტული და ცვალებადი-დროებითი მახასიათებლების ნაერთი შემდგენაირად ჩამოვაყალიბოთ:

ათასობით წლის განმავლობაში ხმელთაშუა ზღვის ირგვლივ ყალიბდებოდა ცივილიზაციები, რომლებიც მაშინდელი მაშტაბებით დიდ, მსოფლიო პოლიტიკას ქმნიდნენ. ხმელთაშუაზღვისპირა საზოგადოების პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციალური ურთიერთობები თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების პროტოტიპია. ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხმელთაშუა ზღვა იყო „არამარტო მსოფლიოს ცენტრი, არამედ თავად მსოფლიო, სადაც ჩრდილოეთი და სამხრეთი, სიმდიდრე და სიღარიბე, ახალგაზრდობა და ხანდაზმულობა, სამი მონოთეისტური რელიგია და სამი კონტინენტი იყრიდა თავს“ [108-38].

არისტოტელეს აზრით, ანატოლიელ ხალხს – ანატოლიელ ბერძნებს, ევროპასა და აზიას შორის შუალედური გეოგრაფიული პოზიცია უკავიათ. სწორედ ამიტომ ერთიანდება მათში ორივე კონტინენტის ხალხების პოზიტიური ხასიათი, რის გამოც შეიძლება ვიკამათოთ, რომ ისტორიულად ეს ტერიტორია წარმოადგენს სამი

კონტინენტის კომბინაციას სხვადასხვა, განსხვავებული კულტურებით, ენებით, მითებითა და შეხედულებებით. ამის გათვალისწინებით ანატოლიისათვის მსოფლიოს ცენტრის წოდება არ იქნება ადეკვატური, რადგანაც უნდა ვაღიაროთ, რომ ის ყოველთვის იყო „ПЛАВИЛЬНЫЙ КОТЁЛ” (სადნობი ღუმელი) სხვადასხვა სამყაროს ხალხისა, მისი გარდამავალი გეოგრაფიის წყალობით, კერძოდ, კი მისი ადგილმდებარეობით აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ასევე ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინზე.

თურქეთი მდებარეობს ევრაზიის ცენტრალურ ნაწილში. ის არის როგორც ხიდი, ასევე მუდმივი კავშირის წერტილი ევროპასა და აზიას შორის. ასეთ შემთხვევაში, აუცილებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი არგუმენტი: „ძალა, რომელიც ბატონობს ევრაზიაზე, აკონტროლებს მსოფლიოს ორ უდიდეს ნაწილს, სამ ყველაზე წარმატებულ და ეკონომიკურად პროდუქტიულ რეგიონს..... ევრაზიის კონტროლს ავტომატურად მოჰყვება აფრიკის სუბორდინაცია, რაც მსოფლიოს ცენტრალური კონტინენტისათვის დასავლეთ ნახევარსფეროსა და ოკეანიას გეოპოლიტიკურ პერიფერიად გადააქცევს.... ამრიგად, ევრაზია ჭადრაკის დაფაა, რომელზედაც გლობალური პირველობისათვის ბრძოლა გრძელდება” [52–33].

თურქეთის რესპუბლიკა იძულებულია რეგიონში წამყვანი როლი ითამაშოს, რასაც ზბიგნევ ბჟეზინსკი „გეოპოლიტიკურ საყრდენს” უწოდებს. მისი აზრით, გეოპოლიტიკური საყრდენები არიან სახელმწიფოები, რომელთა მნიშვნელობამაც წინა პლანზე გადაინაცვლა არა მათი ძალიდან და მოტივაციიდან, არამედ მათი მდებარეობიდან და მათი პოტენციურად მტკივნეული ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც გეო-სტრატეგიული მოთამაშეებისათვის მნიშვნელოვანია. უმეტესად გეოპოლიტიკური საყრდენები მათი გეოგრაფიით განისაზღვრებიან, რაც ხშირ შემთხვევაში

მათ განსაკუთრებულ როლს ანიჭებს ან მნიშვნელოვან ტერიტორიებთან დასაკავშირებლად, ან მაღალი რანგის მოთამაშეებისათვის რესურსებზე უარის სათქმელად [52-41].

თურქეთის მდებარეობა ამ შემთხვევაში ორივეს მოიცავს. „ცივი ომის“ დროს თურქეთის როლი საბჭოთა კავშირის შეჩერება იყო და „ცივი ომის“ დასავლეთისათვის წარმატებით დასრულების შემდგომ კი, ეს როლი გადაიზარდა ყოფილი საბჭოთა მიწებისაკენ გზის გახსნის მისიაში, თურქულად მოლაპარაკე მუსულმანური საზოგადოებების შეკვრით. სამწუხაროდ, ეს მისია მტრულად აღიქვა ზოგიერთმა რუსმა პოლიტიკოსმა და თურქეთი შეირაცხა ამერიკის მოკავშირე დესტაბილიზატორად, მთელ ისლამურ სამყაროზე თურქეთის გაბატონების მცდელობისას, ბალკანეთიდან ყირიმამდე და კავკასიამდე, ვოლგისპირეთიდან აზიის ცენტრალურ ნაწილამდე და აღმოსავლეთ ციმბირამდეც კი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქეთის გეოპოლიტიკური სიახლოვე, ისევე როგორც ისტორიული კავშირები ამ რეგიონის მოსახლეობასთან, ყოველთვის აშინებდა რუსეთის სახელმწიფოს, იყო ის მეფის რუსეთი, თუ საბჭოთა კავშირი.

ევრაზიის მდიდარი ენერგორესურსები, რაც ამ რეგიონს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, გახდა ძირითადი ფაქტორი რეგიონალური სახელმწიფოებისა და სხვა ქვეყნების ურთიერთობის მთავარი დინამიკის განსაზღვრისას, მათ შორის თურქეთისაც. რეგიონის მაშტაბით ნავთობის წარმოება დაახლოებით გაანგარიშებით 35 მილიარდიდან 300 მილიარდ ბარელამდე მერყეობს, რომლის მთლიანი ღირებულება 5 ტრილიონი დოლარია. დღიურმა წარმოებამ კი 2020 წლისათვის შესაძლებელია, 6 მილიონ ბარელსაც მიაღწიოს [167]. მაშინ, როცა რეგიონზე დომინირების მცდელობა აქტიურ ფაზაში შევიდა, ახალი დიდი თამაში დაიწყო. რეგიონის ენერჯიაზე დამყარებული ეკონომიკური და პოლიტიკური

მნიშვნელობის შენარჩუნების მრავალრიცხოვანი ამოცანები, კასპიის ზღვის რესურსების გამოყენება, გაზისა და ნავთობის სატრანზიტო მარშრუტების შემუშავება, სადენების უსაფრთხოების დაცვა, ამჟღად რეგიონის ეთნიკურ კონფლიქტებს, სადაც „თურქული“ ფაქტორი აუცილებლად მხედველობაშია მისაღები.

განსაკუთრებულ და მსოფლიო მნიშვნელობის გლობალურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ კასპიის რეგიონიდან გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირების პრობლემა. დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მისია გახდა სისხლძარღვების - მილების დაცვა, რომელიც ტუმბავს სისხლს-ნავთობს, გულიდან-ვერაზიიდან, სხეულის-სამყაროს კარგი და ჯანსაღი ფორმის შესანარჩუნებლად [42-156]. ასეთი რეგიონის მეზობლობამ ანკარას დიდი უპირატესობა მისცა, როგორც კასპიური ნავთობისა და გაზის ტრანსპორტაციის საკითხში, ისე მეზობელი რეგიონალური სახელმწიფოების საერთაშორისო უთანხმოების ფონზე.

ანატოლიის ნახევარკუნძული სატრანზიტო ზონაა, რომელიც ძირითადად ანტიკური დასავლეთ-აღმოსავლეთის სავაჭრო, აბრეშუმის გზებზე მდებარეობს. ალტერნატიული სავაჭრო გზის განვითარებამდე, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღმოჩენების ეპოქაში, ანატოლია იყო ერთადერთი სატრანზიტო მარშრუტი საერთაშორისო ეკონომიკური აქტივობისათვის. ოსმალთა დროიდან იმპერია აკონტროლებდა საზღვაო, სატრანსპორტო მარშრუტებს აზიიდან დასავლეთ ევროპამდე, სპარსეთის ყურის, სუეცის არხისა და ეგვიპტის გავლით. საკუთარი მდებარეობის უპირატესობის გათვალისწინებით ოტომანები გლობალური ძალაუფლების მოპოვების შანსს ხელიდან არ უშვებდნენ. მაგრამ რევოლუციურმა მიღწევებმა, რომელიც სატრანსპორტო სისტემასთან იყო დაკავშირებული, წარმოშვა ახალი კავშირები შორეულ ქვეყნებს

შორის და ანატოლიის გავლით სახმელეთო გადაზიდვებმა დაკარგეს თავიანთი სტრატეგიული მიშენელობა საჰაეროსა და საზღვაო მარშუტებთან შედარებით. ასეთ ვითარებაშიც კი თუკი განვიხილავთ მხოლოდ სახმელეთო გადაზიდვებს, ანატოლიის მარშრუტი ისევ რჩება უიაფეს და უმოკლეს გზად აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები, რომლებიც შავ ზღვას ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვებთან აკავშირებს, ისევ რჩებიან გადამწყვეტი მნიშვნელობის ძირითად გეო-სტრატეგიულ ელემენტად, და რეგიონში სტაბილურობასა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. ეს ორი სრუტე შავიზღვისპირა ქვეყნებისათვის ოკეანეებში გასასვლეს წარმოადგენს და მის მაკონტროლებელ ძალას უნარი შესწევს სრული გავლენა იქონიოს ამ არსების გავლით მიმდინარე კომერციულ და სამხედრო აქტივობებზე.

ოსმალთა იმპერიის მემკვიდრე თურქეთის რესპუბლიკა, ამ მისიას დღესაც წარმატებით ართმევს თავს და ინარჩუნებს სტრატეგიულ პოზიციას, მაგრამ სრუტეების მიშენელობა დიდია არა მარტო თურქებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვისაც. „ცივი ომის“ პერიოდში თურქეთის გეოპოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო საბჭოთა კავშირისათვის ბარიერის შექმნა, მისი ხმელთაშუა ზღვაში შეღწევის საწინააღმდეგოდ. სტრატეგიული თვალთახედვით, თურქეთის პოზიცია გახლდათ არსებითი ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისათვის, რომელიც ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს აკონტროლებდა და ქმნიდა უსაფრთხო ზონებს თურქეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე.

თურქეთის როლი თბილი წყლებისაკენ რუსეთის ექსპანსიის შეჩერების საქმეში არა მარტო „ცივი ომის“ დროინდელი არაჩვეულებრივი მოვლენაა, არამედ ისტორიული ფაქტიც. რუსებთან

ქუჩუკ-კაინარჯის* ხელშეკრულებამდე, ოსმალები იყვნენ აღნიშნული სრუტეების რეჟიმის კონტროლის ერთადერთი ძალა.

მე-19 საუკუნეში ბრწყინვალე პორტამ* ბრიტანეთის დახმარებით აღიდგინა სტატუსი სრუტეების კონტროლის საკითხში. ინგლისელების პრო-ოტომანური განწყობა მნიშვნელოვნად განაპირობა გეოსტრატეგიულმა ფაქტორებმა. ბრიტანეთის იმპერია რუსეთის თბილი წყლებისკენ სწრაფვას წინდახედულად და ფრთხილად ეკიდებოდა. რუსეთი, როგორც ხმელთაშუაზღვისპირეთში ერთ-ერთი პოტენციური ძალა ბრიტანეთის წინააღმდეგ, მის პოლიტიკურ გავლენას თურქეთზე, ახლო აღმოსავლეთზე, ჩრდილო აფრიკასა და შორეულ აღმოსავლეთ აზიაზე სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთისა და ბრიტანეთის ურთიერთობა გაუარესდა ბრწყინვალე პორტის მიერ ბალკანეთის აჯანყების მკაცრი დარბევის გამო XIX საუკუნის ბოლოს ინგლისმა ბერლინის კონგრესზე (13 ივნისი–13 ივლისი 1878წ.) მაინც ოსმალთა იმპერიას დაუჭირა მხარი, რითაც თავიდან აიცილა სრუტეების მიმართ რუსეთის აგრესია.

* ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება – 1774 წლის 10-21 ივლისს სოფელ ქუჩუკ-კაინარჯში დადებული ხელშეკრულებაა, რომლითაც დამთავრდა რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომი. ევროპელი დიპლომატების მტრული პოზიციისა და რთული საშინაო ვითარების მიუხედავად, რუსეთმა მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია: გადაეცა ტერიტორია დნეპრსა და ბუგს შორის, სიმაგრეები შავ ზღვაზე, კინბურნი, ქერჩი და იენიკალე, რუსეთის სავაჭრო ფლოტს შავ ზღვაზე თავისუფალი ნაოსნობისა და სრუტეებში გავლის ნება დართო, კავკასიაში რუსეთის საზღვარი მდინარე ეისა და თერგის ხაზზე გავიდა, ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობა მიენიჭა და განთავისუფლდა ოსმალეთის ბატონობისგან (თუმცა ბატონის შეცვლა თავისუფლებას არ ნიშნავს). ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო ზღვაზე ვაჭრობის განვითარებასა და რუსეთის სამხედრო სტრატეგიული პოზიციების განვითარებას.

* ბრწყინვალე პორტა – ასე უწოდებდნენ ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებას

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ხალხი მიხვდა, რომ ეს არ იყო ომი, რომელიც დაასრულებდა ყველა ომს, 1923 წლის ლოზანის ხელშეკრულებით სრუტეები კვლავ მოექცა საერთაშორისო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში.

საბოლოოდ, 1936 წლის 20 ივნისს მონტრეში ხელი მოეწერა შავი ზღვის სრუტეების კონვენციას, რომლის ძალითაც გაუქმდა სრუტეების საერთაშორისო კომისია და აღდგა თურქეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტი სრუტეებსა და მის სანაპიროებზე [29–450].

ახალმა კონვენციამ თურქეთს მრავალმხრივი უფლება-მოვალეობები მოუტანა და საერთაშორისო კონსესუსის თანახმად, უსაფრთხოების მიზეზების გამო ის საბოლოოდ აღიჭურვა სრუტეების კონტროლის უფლებით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც, როგორც მოგეხსენებათ საბჭოთა კავშირის სახით გამოჩნდა რეალური ძალა, რომელსაც შეეძლო საფრთხე შეექმნა ანკარისათვის, დიდი ბრიტანეთი უკვე აღარ იყო იმ მდგომარეობაში, რომ მისი დაბალანსება შეძლებოდა. თურქეთის ავანპოსტის დაცვა რუსეთის აგრესიისაგან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს გადაეხარა. დასავლური ალიანსის სისტემის წევრის სტატუსის მოპოვების შედეგად თურქეთმა მშვიდობიან პერიოდში უპირატესობა მიანიჭა სრუტეების რეჟიმის განხილვას გლობალურ პოლიტიკურ ჩარჩოებში, ვიდრე იმავე საკითხის განხილვას ცალმრივ, ინდივიდუალურ ბაზისზე.

მონტრეს კონვენციით განსაზღვრულია სრუტეებში სავაჭრო და სამხედრო გემების გავლის პირობები. სავაჭრო გემებისათვის მშვიდობიანობის დროს დადგენილია უმნიშვნელო ფორმალობები, ხოლო საომარი მდგომარეობის დროს გათვალისწინებულია

სხვადასხვა შეზღუდვები და პირობები, ომში მონაწილე მხარეების ტრანსპორტისათვის. სამხედრო გემებისათვის შემოღებულ იქნა შეზღუდვები ტონაჟზე, შეიარაღებაზე, ასევე სრუტეებში ერთდროულად გამავალი გემების საერთო რაოდენობაზე და საერთო ტონაჟზე. შეზღუდვები ძირითადად შეეხებოდა არაშავიზღვისპირა სახელმწიფოებს [187].

ანკარისათვის კონვენციის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ომის დროს სრუტეებში სამხედრო გემების გატარების შეზღუდვა ან აკრძალვა მთლიანად დამოკიდებულია თურქეთზე და ერთნაირად ვრცელდება ყველა სახელმწიფოზე.

კონვენციას საფუძვლად უდევს სავაჭრო გემების გავლის თავისუფლების პრინციპი. მაგრამ არის განსხვავება მათ მიმოსვლაში მშვიდობიანობისა და საომარი მოქმედებების დროს.

მშვიდობიან დროს სავაჭრო გემები სარგებლობენ თავისუფლად ნაოსნობის უფლებით. ამასთან ისინი ვალდებული არიან სრუტეებში შესვლისას შემოწმების გავლის მიზნით, გაჩერდნენ სანიტარულ სადგურთან. ამავდროულად შესაბამის უწყებებს უნდა აცნობონ მონაცემები დროშაზე, ტონაჟზე, მარშრუტზე და ა. შ. აღნიშნული მონაცემების შესაბამისად დგინდება სანიტარული კონტროლის ღირებულება.

კონვენციის მე-5 მუხლით ომის დროს, როცა თურქეთი არ წარმოადგენს რომელიმე მონაწილე მხარეს, სავაჭრო გემები სარგებლობენ ზემოთ მოყვანილი უფლებებით. თუ თურქეთი წარმოადგენს მეომარ მხარეს, მაშინ გემები, რომლებიც არ ეკუთვნიან თურქეთთან დაპირისპირებულ ქვეყანას, სარგებლობენ სრუტეებში ნავიგაციის თავისუფლების უფლებით, იმ პირობით, რომ არავითარ მხარდაჭერას არ აღმოუჩენენ თურქეთის მოწინააღმდეგეს. ამასთან სრუტეებში ისინი შედიან დღისით და სარგებლობენ თურქეთის ხელისუფლების მიერ დადგენილი მარშრუტებით [86-18].

აღნიშნული მუხლის განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მასში გათვალისწინებული პირობები მოქმედებს იმ შემთხვევაშიც თუ თურქეთი არ მონაწილეობს ომში, მაგრამ თვლის, რომ მას უშუალოდ ემუქრება ომის საფრთხე. ამასთან გათვალისწინებულია გემების გაყვანა თურქი ლოცმანის მიერ, მაგრამ მომსახურების ანაზრაურების გარეშე. ამრიგად, თურქეთს მიცემული აქვს უფლება, თავისი შეხედულებით გაატაროს ან არ გაატაროს სრუტეებში სავაჭრო გემები ომის დროს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი არ მონაწილეობს მასში.

მშვიდობიანობის დროს, შავი ზღვის სახელმწიფოების სამხედრო გემებს სრუტეების გავლისას უპირატესობა აქვთ სხვა სახელმწიფოების გემებთან. შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო გემებმა სრუტეში შესვლამდე 8 დღით ადრე უნდა აცნობონ თურქეთის ხელისუფლებას და მიაწოდონ შესაბამისი მონაცემები მათი გემის შესახებ.

არაშავიზღვისპირა სახელმწიფოებისათვის ეს ვადა განისაზღვრება 15 დღით. სრუტეების ტრანზიტულად გავლის დროს სამხედრო გემის კაპიტნები, ზუსტ მონაცემებს გემის შესახებ გაუჩერებლად, სრუტეებში შესვლამდე სადგურებს აცნობებენ.

სამხედრო ფლოტის დამხმარე გემები, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ თხევადი საწვავის გადატანისათვის, არ არიან ვალდებული გააფრთხილონ თურქეთის მთავრობა. აღნიშნული გემების ტონაჟი არ არის განსაზღვრული. სრუტეებს ისინი თითო-თითოდ გადიან. მათ შეიარაღებაში შესაძლებელია იყოს ორი ან ნაკლები ქვემეხი, რომელთა კალიბრიც არ აჭარბებს 105 მმ-ს, და ორი ან ნაკლები ჰაერსაწინააღმდეგარე, რომელთა კალიბრიც არ აჭარბებს 75 მმ-ს.

მშვიდობიან დროს სრუტეებში გამავალი ყველა უცხოური სამხედრო გემის საერთო ტონაჟი არ უნდა სცდებოდეს 15 ათას ტონას, ხოლო გემების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ცხრას.

მხოლოდ შავი ზღვის სახელმწიფოებს აქვთ უფლება გარკვეული პირობებით, ტონაჟის შეზღუდვის გარეშე, სრუტეებში გაიყვანონ სამხედრო გემები, მათ შორის სახაზო გემები (სახაზო გემებად ითვლება გემები, რომელთა წყალზიდვაც აღემატება 10 160 ტ-ს და გააჩნია 203 მმ-ზე მეტი კალიბრის ქვემეხი). ამასთან 8 128 ტ ნაკლები წყალზიდვის გემები, რომელთა ქვემეხის კალიბრიც ასევე აღემატება ნაკლები წყალწვევის გემები, რომელთა ქვემეხის კალიბრი არ აღემატება 155 მმ).203 მმ-ს) [187]. აკრძალულია ავიამზიდების გასვლა. სახაზო გემები სრუტეებს გადიან სათითაოდ ერთი ან ორი ნადმზიდის ესკორტით.

მშვიდობიან პერიოდში, როგორც შავი ზღვის, ასევე სხვა სახელმწიფოების მსუბუქ და მცირე სამხედრო და დამხმარე გემებს აქვთ უფლება თავისუფლად გაიარონ სრუტეები, მაგრამ მათი გასვლა უნდა დაიწყოს დღისით. ისინი ზემოთ აღნიშნულის მსგავსად ვალდებულები არიან გააფრთხილონ თურქეთის ხელისუფლება და მიაწოდონ მას შესაბამისი ინფორმაცია (მსუბუქი სამხედრო გემები – 102 ტ მეტი წყალწვევისა და 10 160 ტ ნაკლები წყალწვევის გემები, რომელთა ქვემეხების კალიბრი არ აღემატება 203 მმ. მცირე სამხედრო გემი – 102 ტ მეტი და 2 032 ტ) [86-48]. (სწორედ აღნიშნული კონვენციით ისარგებლა თურქეთის ხელისუფლებამ და სრუტეში შესვლის უფლება არ მისცა საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომის მსვლელობისას, შეერთებული შტატების მიერ, ჰუმანიტარული მისიით გამოგზავნილ ორ სამხედრო გემს, რადგან ისინი არ შეესაბამებოდნენ კონვენციით დადგენილ სტანდარტებს, რის შემდეგაც ამერიკის ხელისუფლება იძულებული გახდა

საქართველოს მიმართულებით შედარებით მცირე ზომის ხომალდები გამოეგზავნა).

ამრიგად, კონვენციის განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თურქეთის ხელისუფლების უფლება, მიიღოს გადაწყვეტილება სამხედრო გემების გატარების შესახებ ვრცელდება იმ სიტუაციაზეც, როდესაც თურქეთი ფიქრობს, რომ იგი იმყოფება საომარი ან პოლიტიკური საფრთხის წინაშე. ასეთ შემთხვევაში თურქეთის მთავრობას შეუძლია, თავიანთი პორტებისაკენაც კი, არ გაატაროს იმ სახელმწიფოთა გემები, რომლის პოზიციაც მას სახიფათოდ ეჩვენება.

კონვენციის მეორე განსაკუთრებულობაა სრუტეების გაკლისათვის საჭირო უფლების მიღების ფორმალურობების დადგენა და გასვლის პროცედურა. ისინი ზღუდავენ შავი ზღვის სახელმწიფოების სამხედრო გემების ოპერატიულ შესაძლებლობებს და წარმოადგენენ, საჭიროების შემთხვევაში, რომელიმე რაიონში, რაიმე ფლოტის კონცენტრირების ხელის შემშლელ ფაქტორს. აღნიშნული საკითხი იწვევს რუსეთის მხარის უკმაყოფილებას, რადგანაც მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ხმელთაშუა ზღვაში მყოფ რუსეთის ესკადრას ტექნიკურად შეუძლია მიიღოს დახმარება შავი ზღვის ფლოტისაგან სამი-ოთხი დღის განმავლობაში, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მას ამის უფლებას თურქეთის ხელისუფლება მისცემს.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, დღეისათვის ყურეების მნიშვნელობა სამხედრო თვალსაზრისით სავაჭრო და სატრანსპორტო სფეროსთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. რადგან მას შემდეგ, რაც კასპიური ნავთობი უკანასკნელი ათწლეულების საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თემა გახდა, შეკითხვამ, როგორ მივაწოდოთ ის ინდუსტრიალურ პორტებს, საერთაშორისო საზოგადოების

ყურადღება დაიმსახურა. საზღვაო გადაზიდვები, როგორც მილსადენებით გადაზიდვის ალტერნატივა, ძალზედ მნიშვნელოვანია. ყურეებში გარემოს უსაფრთხოების მიზნით თურქეთის უარის მიუხედავად ამ საკითხის განხილვა კვლავაც გრძელდება. ამრიგად, თურქეთის რესპუბლიკის ყურეები, არა მარტო ინარჩუნებენ თავიანთ გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობას, არამედ მათი საერთაშორისო და კომერციული მნიშვნელობა დღითიდღე ძალიან სწრაფ აღმასვლას განიცდის.

ანატოლიას მსოფლიო კუნძულებს შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს სამი კონტინენტის - აზიის, ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის გავლით აფრიკის გადაკვეთასთან. საუკუნეების მანძილზე დამპყრობელთათვის ის გამოიყენებოდა როგორც დერეფანი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ და პირიქით. ჯვაროსნული ომების დროს ანატოლია იყო წმინდა მიწისაკენ მიმავალი გზა, რომელიც მუსულმანებს, ებრაელებსა და ქრისტიანებს შორის კულტურათაშორის გავლენასა და გამოცდილებებს აფართოებდა. ამ მულტიკულტურულმა ინტერაქციამ დააჩქარა ტრადიციული ფეოდალური სისტემის რღვევა, რომელსაც დასავლეთ ევროპაში მხარს ეკლესია უჭერდა და ევროპელებს სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ახალი სტილი გააცნო. ანატოლიის მიწაზე ცხოვრების სხვადასხვა სტილი და რელიგიის ახლებური გაგება ერთმანეთს ჰარმონიულად შეეწყო. ეს მახასიათებელი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი ოსმალთა სახელმწიფოს შიდა მშვიდობისა (ოტომანთა იმპერიაში 3 ოფიციალური რელიგია იყო – ისლამი, იუდაიზმი და ქრისტიანობა), რომელიც თითქმის 600 წელი გაგრძელდა.

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალთა ტერიტორია ევროპაში თრაკიით შემოისაზღვრება, მათ მმართველებს დიდი სურვილი ჰქონდათ დასავლეთით გაფართოებისა, რასაც წარმატებით

ართმევდნენ კიდევ თავს, სწორედ ამ დაპყრობითი ომების შედეგად ოსმალეთის იმპერია შეიძლება განვიხილოთ როგორც ბალკანეთის იმპერია, სხვადასხვა ასპექტში. XV დან XIX საუკუნის ჩათვლით იმპერია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე უბადლო იყო და ბალკანეთის მოსახლეობის სოციალურ-ისტორიული ევოლუციაზე დიდი გავლენა ჰქონდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი გზით, როგორცაა ენები, მითები, ტრადიციები და რწმენები.

თავად სიტყვა „balkan” თურქულია და “მთიან არეალს” ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ბალკანეთი არასტაბილური რეგიონი იყო, სადაც თურქეთის თანამონაწილეობის შესაძლებლობა ათწლეულების მანძილზე „ცივი ომის” პირობების წყალობით ფრიად შეიზღუდა, სოციალისტური ბლოკის დეზინტეგრაციამ თურქეთის რესპუბლიკა ისტორიული კავშირების გამოსწორებისა და ბალკანეთის რეგიონში უფრო მნიშვნელოვანი ადგილის დამკვიდრებისაკნ წაიყვანა [55-146].

დღეისათვის თურქეთის მოსახლეობის დაახლოებით 10 პროცენტს, ოჯახური კავშირი აქვს ბალკანეთის სხვადასხვა ნაწილის მოსახლეობასთან. ამიტომაც ანკარას ჯერ კიდევ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა აღნიშნულ რეგიონზე მისი ისტორიული, ეთნიკური და რელიგიური კავშირების გათვალისწინებით. ეს გავლენა კარგად განმარტა მარია ტოდოროვამ, რომელიც წერს: „ოსმალური მემკვიდრეობის ძიება ბალკანელებში უშედეგოა, რადგან ბალკანელები თავად ოსმალები არიან” [97-68].

შავი ზღვის – ჩრდილო გაგრძელება თურქეთის გარსშემორტყმული 3 ზღვისა, არის ერთ-ერთი ყველაზე სტრატეგიული საზღვაო აუზი ევრაზიის რეგიონში. ამ ზღვას უძველეს დროში არასტუმართმოყვარეს ანუ „Axenos” ეძახდნენ, მაგრამ მოგვიანებით „Euxine”, ანუ სტუმართმოყვარე ზღვა უწოდეს. შავი ზღვის ისტორიის გაანალიზებისას ეს მეტაფორა ნათლად გამოხატავს გეოგრაფიის მჭიდრო კავშირს პოლიტიკურ და

სოციალურ პირობებთან. მაშინ, როცა შავი ზღვისპირა ქვეყნების მრავალმხრივი ურთიერთობა „ცივი ომის“ პერიოდში „დაპირისპირებულიდან“ „თანაარსებულთ“ და „თანამშრომლურით“ შეიცვალა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, შავი ზღვის გეოსტრატეგიული სტატუსი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

XV – XVI საუკუნეების განმავლობაში შავი ზღვა ითვლებოდა შიგა წყლად, დიდ ტბად და არანაირი არგუმენტი არ არსებობდა მის სტატუსთან დაკავშირებით. XVII საუკუნეში, შავი ზღვის ტერიტორიულ წყლებში რუსეთის შესვლიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ, ამ საკითხის მნიშვნელობამ საერთაშორისო ხასიათი მიიღო.

საუკუნეების განმავლობაში ზღვისა და სრუტეების კონტროლისათვის რეგიონალური დაპირისპირება უფრო და უფრო იზრდებოდა და კულმინაციას მსოფლიო ომის წლებში მიაღწია. „ცივი ომის“ პერიოდში, როდესაც შავი ზღვისპირა ქვეყნები ორ დაპირისპირებულ სამხედრო-პოლიტიკურ ბანაკებში იყვნენ განაწილებულნი, რომელთა შორისაც მხოლოდ თურქეთი გახლდათ პრო-დასავლურად განწყობილი, ანკარას ცხოვრება მტრის გარემოცვით გამოწვეულ დაძაბულობაში უხდებოდა. დაცვაზე ორიენტირებული უცხოელი პოლიტიკოსები თურქეთს დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას არასოდეს აძლევდნენ. აქამდე არც მას და არც მის მეზობელ ზღვისპირა სახელმწიფოს არ ჰქონდა შანსი და საშუალება შავი ზღვის ეკონომიკური ღირებულების წინა პლანზე წამოწევისა. „ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შავი ზღვის გრძელმა სანაპირომ სააშკარაოზე გამოიტანა თურქეთის რესპუბლიკის ხედვების ახალი არეალი და განზომილება, ასეთია მაგალითად ამ აუზის განხილვა აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის, ასევე სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის კორიდორად [76-161]. ამ კონტექსტში თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ წამოაყენა

რამდენიმე გეო-ეკონომიკური პროექტი, როგორცაა მაგალითად, შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა (BSEC) და ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (ECO).

ანატოლია ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიის ჩრდილო გაგრძელებაა, სადაც ასობით წლის განმავლობაში რამდენიმე რელიგიური ომი წარმოიშვა, რომელიც სამი მონოთეისტური რელიგიის მიერ წმინდა მიწის კონტროლს ისახავდა მიზნად. რეგიონის რელიგიური მნიშვნელობა XI საუკუნეში აღინიშნა და აქედან გამომდინარე ჯვაროსნული ომები, რომლებიც მიმართული იყო მუსულმანთა ბატონობის წინააღმდეგ, საუკუნეები გაგრძელდა. XXI საუკუნეში „ცივილიზაციების კონფლიქტთან“ დაკავშირებული არგუმენტი, როგორც საერთაშორისო, პოპულარული თემა, რეგიონის მულტირელიგიურმა ხასიათმა მსოფლიო დიპლომატიურ არენაზე კვლავ წინ წამოწია.

რეგიონის ისტორიული მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მიმდინარე რელიგიური კონფლიქტებით, ის ასევე მოიცავს კომერციულ კომპონენტს, როგორც მტკიცე ეკონომიკური საქმიანობის ცენტრს. ჩამოყალიბდა ახლო აღმოსავლეთის ისტორიული სავაჭრო პორტენციალი. რეგიონი გახდა XX საუკუნის ენერჯო მომარაგების ძირითადი წყარო. ამ რეგიონის ქვეყნები მსოფლიოს უმსხვილესი ენერჯო მიმწოდებლები არიან და ამიტომ ახლო აღმოსავლეთი გლობალურ პოლიტიკურ ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლის შესრულებას განაგრძობს.

რეგიონის პოლიტიკური კონტროლისათვის ბრძოლა დიდი ხანია ინტერესების პერმანენტულ დაპირისპირების სფეროს წარმოადგენს. ოსმალეთის იმპერიის დაცემის შემდეგ რეგიონიდან ოტომანთა სახელმწიფოს გასვლამ, შედეგად ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური სისტემის შეცვლა მოიტანა, რომელიც XX საუკუნის

ადრეულ წლებამდე გლობალურ ძალთა დაპირისპირების ფოკუსს წარმოადგენდა.

ომთაშუა პერიოდში ბრიტანეთმა და საფრანგეთმა რეგიონალური ქვეყნების მართვის მანდატები მიიღეს, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დამთავრებასთან ერთად გეგმაში ახალი პოლიტიკური მოდელის შექმნის საკითხი დადგა, რომელიც ახლო აღმოსავლეთსაც მოიცავდა.

ახლო აღმოსავლეთის ახლადშექმნილი სახელმწიფოები ორ კატეგორიად იყოფოდნენ: პრო-დასავლურად და პრო-სოციალისტურად. მათ შორის იდეოლოგიური დაპირისპირება გახდა ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი თვისება ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკისა 1950-1980 წლებისათვის.

ამასთანავე ნავთობზე დაფუძნებული კრიზისი და უთანხმოებები, ისრაელ-არაბეთის ომებთან ერთად რეგიონის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი არაა ნავთობმწარმოებელი ქვეყანა, მისი, როგორც ტრანსპორტიორი ქვეყნის სტატუსმა, სპეციფიკური დატვირთვა მიიღო, ხოლო გეოგრაფიულმა მდებარეობამ მზარდი ენერჯო მოთხოვნის გამო, დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნების მხრიდან უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. აქედან გამომდინარე თუკი ახლო აღმოსავლეთს განვიხილავთ როგორც ჰარტვლანდ-ს, მაშინ იგი შეიძლება ჩაითვალოს სისტემის სისხლის მიმოქცევის ძირითად, მთავარ ორგანოდ.

რეგიონის პოლიტიკის კიდევ ერთი ფუნდამენტალური საკითხი იყო 1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს შექმნა. ახალი სახელმწიფოს წარმოქმნა მნიშვნელოვანი საკითხი გახდა ადგილობრივი ქვეყნების ურთიერთობაში და მთელი პოლიტიკურ-ისტორიული კონტექსტი ხელახლა განისაზღვრა ისრაელამდე და მისი შემდგომი პერიოდით. ამ მხრივ თურქეთისა და ისრაელის

ურთიერთობა ორმხრივ დიპლომატიურ ურთიერთობაზე უფრო მეტი იყო. ორივე ქვეყანამ, რომლებიც არაბებისაგან საკმაოდ განსხვავებულ იდეებს იზიარებდა, ჩამოაყალიბა ახალი კავშირი, რომელსაც ანალიტიკოსმა ალან მაკოვსკიმ "განსხვავების შეგრძნება" უწოდა. ეს კი ორ ქვეყანას ერთმანეთთან აახლოებდა და აშორებდა მათ ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს.

სწორედ ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 1991 წლის ბოლოს ანკარამ ელჩის დონეზე აამაღლა თავისი დიპლომატიური ურთიერთობა ტელ-ავივში. 1994 წლიდან ხორციელდებოდა სისტემატიური, ერთობლივი სამხედრო წრთვნები, ისრაელის საწარმოები უზრუნველყოფენ თურქეთის რესპუბლიკის არმიის, თვითმფრინავებისა, შეეულმფრენების და ტანკების მოდერნიზაციას. ოცდამეერთე საუკუნის დამდეგისათვის, სიახლოვით თურქეთი ისრაელისათვის მეორე ადგილზე იყო ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ [16–369].

მიუხედავად ტრადიციული მოკავშირეობისა, აუციელებლად უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ურთიერთობები ამ ორ სახელმწიფოს შორის საგრძნობლად გაცივდა. 2009 წლის ოქტომბერის დასაწყისში ანკარამ თავის ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო წრთვნებში მონაწილეობაზე ისრაელს უარი განუცხადა. თურქეთის პრემიერ-მინისტრის რ. ერდოღანის განმარტებით, ეს ნაბიჯი მას გადაადგმევინა საზოგადოებრივმა აზრმა, რომელიც არცთუ კეთილგანწყობილია მათი ტრადიციული მოკავშირის მიმართ ღაზის სექტორში მათი სამხედროების მოქმედებების გამო. თუმცა ზოგიერთი ექსპერტი ერდოღანის ამ გადაწყვეტილებას სხვა მიზეზით ხსნის და ვარაუდობს, რომ თურქეთის პრემიერ-მინისტრის ეს ნაბიჯი, შესაძლოა, მიანიშნებდეს მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცვლილებაზე ახლო აღმოსავლეთში, კერძოდ: „თანამშრომლობის

დასრულებაზე თურქეთისა და ისრაელის სამხედრო ძალებს შორის” [144].

ზემოთ აღნიშნული ნატოს სამხედრო მანევრები 12 ოქტომბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ განუსაზღვრელი ვადით გადაიდო მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და იტალიამ, ისრაელისადმი სოლიდარობის ნიშნად, მასში მონაწილეობაზე უარი თქვეს.

თურქეთის გადაწყვეტილება მოულოდნელად არ უნდა ჩაითვალოს, თუ გავითვალისწინებთ ანკარისა და თელავივის მრავალწლიანი ალიანსის ნენ-ნელა შესუსტებას განვლილი 2007 წლის მანძილზე. პარიზში მოღვაწე ექსპერტის, დოროთე შმიდის შეფასებით: „ერდოღანის ნაბიჯი აჩვენებს, რომ თურქეთის არმია და უმაღლესი ოფიცრები თანდათან კარგავენ თავის ძლიერ გავლენას, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ახდენდნენ ისინი ანკარის საგარეო პოლიტიკურ კურსზე” [138]. შმიდი აღნიშნავს, რომ თურქეთი ამჟამად ანვითარებს ახალ სახელმწიფო ხედვას მთელს თავის სამეზობლოსთან მიმართებით. ამავე დროს მიმდინარეობს ცვლილებების პროცესი ქვეყნის შიგნით ძალაუფლების ორგანიზებაში, რის შედეგადაც, გარკვეულწილ სუსტდება თურქეთის არმიის უნარი, თავს მოახვიოს პოლიტიკური შეხედულებები მთავრობას. „ამ ორი პროცესით, რომლებიც, ყოველ შემთხვევაში, თურქეთის მხრიდან მოჩანს, შეიძლება ნაწილობრივ აიხსნას ბოლოდროინდელი უარყოფითი პროცესი ისრაელთან ურთიერთობაში” [138], დასძენს პარიზში მოღვაწე ექსპერტი.

აღნიშნულ საკითხში დორეთე შმიდს სრულყოფილად არ ეთანხმება, კემბრიჯში მოღვაწე პოლიტოლოგი ჯორჯ ჯოფე, მისი შეფასებით, ჯერ ნათელი არ არის დასრულდება თუ არა ეს პროცესი ისრაელთან თურქეთის ალიანსის ბოლოს მოღებით. ჯოფე დაზის ინციდენტს თვლის ისეთ მოვლენად, რომელმაც დაარწმუნა

ანკარა, რომ თავს უფლებას ვერ მისცემს ისრაელთან მეტისმეტად ახლო ურთიერთობა შეინარჩუნოს და ამის გამო ცდილობს მისგან თანდათანობით დისტანცირებას. „ჯერ არ არის ნათელი, მივა თუ არა საქმე საბოლოო განხეთქილებამდე და ურთიერთობის ტრანსფორმირებამდე. მაგრამ სავსებით ნათელია, რომ გარკვეული ფუნდამენტალური ცვლილება ხდება” [144], ამბობს ჯოფე. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსად დოროთე შმიდისა, მისი აზრითაც, ეს ცვლილება ირეკლავს საშინაო-პოლიტიკურ ცვლილებებს თურქეთში, მთავრობასა და არმიის სარდლობას შორის ურთიერთობების თვალსაზრისით [144].

თურქეთი აზიის დასავლეთ ნაწილია და კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან და ხალხებთან ტერიტორიული და სულიერი კავშირები აქვს. ამ ტერიტორიებთან კონტაქტებისა და კავშირების წარმოშობასთან ერთად „ცივი ომის” პერიოდში, კავკასია და ცენტრალური აზია თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებისათვის ყველაზე მიმზიდველი ტერიტორია აღმოჩნდა [70-322]. კასპიის ზღვის აუზი, რომელიც კერძო და სახელმწიფო კომპანიების ინტერესის სფეროს წარმოადგენდა და მთელი მსოფლიოს მაშტაბით რეგიონის სასიცოცხლო მნიშვნელობას ერთიორად აამაღლებდა, როგორც ენერჯო მოწოდებების, ასევე საერთაშორისო ბაზრის სფეროში.

საშიშროებამ ჩინეთის მხრიდან პოსტ-საბჭოთა რეგიონის გეოსტრატეგიული პოზიცია გაამყარა. მომავალი კონფლიქტის გაცნობიერებამ რუსეთის ფედერაცია და ამერიკის შეერთებული შტატები, ცენტრალური აზიის ქვეყნების კონტროლის მიმართ უფრო მგრძობიარეები გახადა. ამერიკის განსაკუთრებულმა ჩართვამ ახლო აღმოსავლეთის რეგიონთან ერთად პოსტ-საბჭოთა სივრცეში 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, რეგიონში ძალთა ბალანსის ახალი გაგება განაპირობა.

უზბეკეთში სამხედრო ძალების ზრდასთან ერთად ამერიკამ ყირგიზეთში დაიწყო საჰაერო ბაზების მშენებლობა, რომლებიც რეგიონის სამხედრო ძალებისათვის ლოჯისტიკური ცენტრის მოვალეობას შეასრულებს. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყირგიზეთი საკმაოდ დიდ სასაზღვრო ზოლს იყოფს ჩინეთთან. ევრაზიისა და ჩინეთის თურქულ საზოგადოებასთან მისი ისტორიული, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური კავშირების გათვალისწინებით. თურქეთმა, როგორც ჩანს, ახალი პასუხისმგებლობა და დავალებები შეიძინა.

XX საუკუნის ბოლო პერიოდის ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური არენის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ჰიდრო-პოლიტიკა გახდა, რადგანაც გლობალური სტანდარტების მიხედვით ახლო აღმოსავლეთი წყლის რესურსების მხრივ მდიდარ რეგიონს არ წარმოადგენს. თურქეთის რესპუბლიკა კი აკონტროლებს მახლობელი აღმოსავლეთის წყლის აუზებს, სახელდობრ მდინარეებს – ევფრატსა და ტიგროსს, მისი ბატონობა წყლის რესურსებზე გახლავთ ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ხაზს უსვამს ანკარის პრიორიტეტს და თურქეთის გეოპოლიტიკას ახალ განზომილებას სძენს. რეგიონში წყლის სიმცირე არ შემოიფარგლება მხოლოდ ისრაელით, სირიით, იორდანითა და ერაყით, იგი აგრეთვე ეხება მაროკოს, ტუნისს, ალჟირს და არაბეთის ნახევარკუნძულის იმ სახელმწიფოებს, რომლებიც წყლის რესურსების კრიზისის სათავეში დგანან, მას შემდეგ, რაც გრუნტის წყლების მარაგის დაწევამ სახიფათო ზღვარს მიაღწია.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთის გეოპოლიტიკის მთავარი დერძი არ შეცვლილა, იგი თავის პრიორიტეტულ მიზანთან, ევროკავშირში გაერთიანებასთან ერთად, კვლავ დასავლეთისაკენ ანუ ზღვის სახელმწიფოებისაკენ დარჩა მიმართული. მიუხედავად

ამისა, ანკარის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების სისტემაში მცირე ცვლილებები მაინც განიცადა და რეგიონში შექმნილ ახალ ვითარებასთან შესაბამისობაში იქნა მოყვანილი.

90-იანი წლებიდან დღემდე, რამდენჯერმე იყო და შეიძლება ახლაც არის შესაძლებლობა, კიდევ ერთხელ მომხდარიყო ან მოხდეს მკვეთრი გეოპოლიტიკური ძვრა და თურქეთი კვლავ გახდეს მკაცრი ისლამური სახელმწიფო ან უფრო მეტიც, საერთოდ შეაქციოს ზურგი ზღვის სახელმწიფოებს და დაუახლოვდეს ხმელეთს ანუ ჰარტლანდს, რომლის ერთ-ერთ მთავარ ღერძადაც, როგორც მოგეხსენებათ, დღეს საბჭოთა კავშირის მემკვიდრე, რუსეთის ფედერაცია ითვლება [75-139].

მოვლენათა ასეთი განვითარების პერსპექტივა სავსებით შესაძლებელია, თუკი გავითვალისწინებთ თურქეთის სახელმწიფოს ისტორიულ ფესვებს. საბაზო იმპულსი თურქეთის გეოპოლიტიკისა ჩანს თურქული ეთნოგენეზისის უძველეს ისტორიულ ფენაში, რომელიც საფუძვლად უდევს თურქთა ისტორიულ ამაღლებას, რომლითაც შეძლეს მათ გიგანტური მსოფლიო სახელმწიფოს შექმნა, ოსმალეთის იმპერიის სახით.

როგორც თანამედროვე გეოპოლიტიკოსი ა. დუგინი მიუთითებს, ამ დიდი სასულთნოს ბირთვულ ფრაგმენტად რჩება თანამედროვე თურქეთი. ტრამალის მომთაბარე ძველი თურქები იყვნენ მკვეთრად გამოსატული კონტინენტალური, სახმელეთო გადაადგილების ტიპური მატარებელნი. ისინი ეთნოსად ჩამოყალიბდნენ ევრაზიის სივრცეებში. აქვე შეიასიხლხორცეს ექსპანსიის ენერჯია და ძალაუფლებისაკენ სწრაფვა. როგორც სხვა ევრაზიული მომთაბერეები: მონღოლები, ავარები, გოთები ალანები და ა. შ. თურქებიც იყვნენ მომთაბარე იმპერიის კულტურის მატარებელნი, იპყრობდნენ რა უდაბნოს საძოვრებსა და რაიონებს, რომლებიც დასახლებული იყო მშვიდობიანი მოსახლეობით.

მომთაბარე იმპერიათა ისტორია, განუყოფელი ნაწილია მთელი ევრაზიის ისტორიისა. გეოპოლიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჰ. მაკინდერი ამ იმპერიებს უწოდებს „ხმელეთის ყაჩაღებს“ [41-98]. კერძოდ, ეს ინტეგრირებადი იმპულსი, რომელიც მოდის კონტინენტის სიღრმიდან და მაქსიმალურად არის დაცვილებული საზღვაო ზოლიდან, წარმოადგენს ევრაზიის გეოპოლიტიკურ სივრცეს. ამ აზრიდან გამომდინარე თანამედროვე თურქეთს, როგორც ოსმალეთის იმპერიას, ფესვები მიუძღის პირდაპირ ევრაზიული სტიქიისაკენ და ამიტომ არქაისტული ევრაზიის საწყისი თურქთა გეოპოლიტიკურ ჭიკლარად უნდა ჩაითვალოს [41-98].

მეორე დონე ეს საკუთრივ ოსმალთა იმერიის დროს ჩამოყალიბებული თურქთა გეოპოლიტიკაა, სადაც ხდება თვისობრივი ცვლილება, რადგან მოქმედებაში შემოდის ისლამის ფაქტორი, რაც იწვევს თურქების მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე რთული ეთნიკურ-კულტურული სტრუქტურის ჩამოყალიბებას. აქ ჩვენ საქმე გვაქვს გეოპოლიტიკურ სიმბიოზთან, რომელიც ჩამოყალიბდა ურთულეს მრავალსაუკუნოვან გეოპოლიტიკურ სისტემად და მოიცავდა ხმელთაშუა ზღვის და ახლო აღმოსავლეთის შფოთიან სივრცეს.

არაბული ლაშქრობანი, რომლებმაც ისლამის გავრცელებას მისცეს საწყისი, უნდა მივაკუთვნოთ კონტინენტურ, სახმელეთო ლაშქრობებს. ხმელთაშუა ზღვის აუზი გამოირჩეოდა ურთიერთსაწინააღმდეგო გეოპოლიტიკური ტენდენციებით, სადაც ერთმანეთს სახმელეთო და საზღვაო პრინციპები ენაცვლებოდა. მაგალითისათვის შეგვიძლია გავისხენოთ სახმელეთო რომის დაპირისპირება საზღვაო კართაგენტან. ეს დაპირისპირება მოიცავდა ქვეყნებს: სირიას, ეგვიპტეს, მესოპოტამიას, საბერძნეთს, სპარსეთს და ა.შ.

ოსმალთა იმპერიამ შეკრიბა მთელი ეს რთული გეოპოლიტიკური კონგლომერატი* მკაცრი კონტროლის ქვეშ და შეძლო უბრალო სამხედრო ეთიკით მრავალფეროვანი მასა ერთიან გეოპოლიტიკურ სისტემად შეედუღაბებინა. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაამყარეს რა კონტროლი ამ ვეებერთელა სივრცეზე, მაღრიბიდან დაწყებული ბალკანეთამდე და კავკასიამდე, თურქები თანდათან ითვისებდნენ იმ გეოპოლიტიკურ ტენდენციებს, რომლებიც ამ ცივილიზაციებს ახასიათებდა.

თურქეთის საერთაშორისო პოზიციამ ოტომანთა დროიდან დღემდე, იმპერიალურ ძალთა კონფლიქტების პირობებში, რომლებიც მიწისა თუ ბუნებრივი სიმდიდრისათვის იბრძვიან, აქცია ის გეოპოლიტიკურ ქვაკუთხედად, საერთაშორისო ძალთა საუკუნოებრივი ბრძოლის პირობებში. თურქეთის წინაპარი ოსმალების იმპერია ერთხელ უკვე იყო „იმპერიალურ ძალთა კლუბის“ [75-275] წევრი და გასაფართოებლად გამოიყენა მისი გეოგრაფიული აქტივები, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი. მაგრამ დაცემის პერიოდში, სახელმწიფო, რომელიც მართავდა დიდ ტერიტორიას და აკონტროლებდა ჩრდილო აფრიკას, ხმელთაშუაზღვისპირეთს, ახლო აღმოსავლეთს, ბალკანეთს, შავ ზღვასა და ანატოლიას, იტანჯებოდა ტიპური დიდი ქვეყნის სინდრომით. „მესამე რომად“ თავის გამოცხადებით, ოსმალები მიზნად ისახავდნენ ყოფილი რომის იმპერიის საზღვრებამდე მისვლას, მათთვის საუბედუროდ ისინი ვერ გაექცნენ იგივე ბედს, რაც გაიზიარა რომის იმპერიამ და საბოლოოდ მეოცე საუკუნის დასაწყისში, კერძოდ 1923 წელს, ოსმალთა იმპერიამ არსებობა შეწყვიტა.

* კონგლომერატი – „შეგროვებული“, „შემკვრივებული“, სხვადასხვაგვარი ნაწილების ან საგნების მექანიკური, შემთვევითი შეერთება.

თურქეთის გეოპოლიტიკური ისტორიის მესამე ფუნდამენტალური ეტაპი შეიძლება დაგახასიათოთ, როგორც თანამედროვე ნაციონალური, ანდა პოსტიმპერიული. ბრწყინვალე პორტას ძალაუფლება ვრცელდებოდა რა მთელ ხმელთაშუა ზღვის სივრცეზე, დროთა განმავლობაში შემცირდა და მოიცვა ერთი კონკრეტული სახელმწიფოს საზღვრები. აღნიშნულმა ფაქტმა წარმოშვა მრავალი ახალი პრობლემა; როდესაც თურქები წარმოადგენდნენ იმპერიული ადმინისტრაციის ეთნიკურ ბირთვს, ნაციონალური საწყისი ემთხვეოდა გეოპოლიტიკურ, სოციალურ და რელიგიურ მისიას, მაგრამ იმპერიიდან ეროვნულ სახელმწიფოდ გადაქცევის შემდეგ, ნაციონალურ უმცირესობათა პრობლემა, კერძოდ, ბერძნების, სომხების, ბულგარელების, ლაზების და ქურთების წარმოჩნდა ახალ ჭრილში.

ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რომ თანამედროვე თურქეთი არის რკინის ნებისყოფით შედუღაბებული და საფუძვლად უდევს მკაცრი სამხედრო საწყისი, თანდაყოლილი საზოგადოებრივი და ნაციონალური პრინციპებით. მაგრამ, მოცემული ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი ერთობა შეკრული სამხედრო პოლიტიკური სტრუქტურებით, ქვეყანას კარნახობდა უკვე ახალ გეოპოლიტიკურ ხაზს: ახალ თურქეთს აღარ შეეძლო ლიდერობის პრეტენზია განეცხადებინა მუსულმანურ სამყაროში, რადგან იგი რევოლუციის შემდეგ გახდა ნაციონალური, სეკულარული, საერო სახელმწიფო, რომელსაც უკვე მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გამო ძნელად თუ გაუგებდნენ ტიპიური მუსლიმური სახელმწიფოები. ამასთანავე უმრავლესი მუსულმანური ქვეყნები წარმოიქმნა ანტიოსმალური, განმანთავისუფლებელი, ნაციონალური პოლიტიკის ფონზე „დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერის წყალობით“ [33-218].

ოსმალთა იმპერიალისტური ფუნქციის დაკარგვისა და 1923 წლიდან ახალი ნაციონალური სახელმწიფოს შექმნის შემდეგ,

თურქეთის გვერდით აღმოჩნდნენ ძველი და ახალი მტრები: არაბეთის ქვეყნები, რუსეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია და ირანი. ასეთი მიმე სიტუაცია მოითხოვდა ქვეყნის გარეთ ძლიერი მხარდამჭერის პოვნას, ასეთ მოკავშირედ თურქები, მათი წინაპრების მსგავსად,* XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოიაზრებდნენ გერმანიის სახელმწიფოს, მაგრამ II მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მთელი რიგი მიზეზების გამო, მათი სტრატეგიული პარტნიორობა, პირველ რიგში, თავისივე გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საკუთარ თავზე აიღო [85-18].

აღნიშნული თვალსაზრისიდან ნათლად ჩანს, რომ თურქეთი დიდი გეოპოლიტიკური, კონტინენტალური და იმპერიული აზროვნებიდან გადავიდა მცირე და მისთვის პრაქტიკულ, რეგიონალურ გეოპოლიტიკურ აზროვნებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სწორად მიმართული ნაბიჯის შედეგად თურქეთის რესპუბლიკა გახდა რა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სრულუფლებიანი წევრი (1952წ.), ოფიციალურად შეუერთდა ზღვის სახელმწიფოთა ჯგუფს და უარყო ევრაზიული და სახმელეთო ფაქტორები. აღსანიშნავია, რომ ძირითადად რუსი და ევრაზიულობის მხარდამჭერი გეოპოლიტიკოსები და თეორეტიკოსები, დღემდე აკრიტიკებენ თურქეთის ამ გადაწყვეტილებას და თვლიან, რომ ნატოსთან ალიანსი წყვეტს მხოლოდ ტაქტიკურ ამოცანებს, მაგრამ არ გამოდგება მაშტაბურ გეოპოლიტიკურ პერსპექტივად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი აზრით, თურქეთი რომ გახდეს დიდი გეოპოლიტიკის მოთამაშე: უნდა გადაფაროს თავისი ახალი ისტორია, დასახოს ახალი პოლიტიკური პერსპექტივები, იპოვოს

* აქ იგულისხმება გერმანელი გენერლის ლიშან ფონ სანდერსის მისია, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ მოიწვია 1913 წელს, არმიის რეორგანიზაციისა და განვითარების მიზნით.

უფრო საიმედო და ერთგული პარტნიორები, რომელთა გეოპოლიტიკურ პროექტებთან ანკარა უნდა იყოს სოლიდარული [42-213].

რა თქმა უნდა, რუსი მეცნიერების აღნიშნული მოსაზრება თურქეთის რესპუბლიკას ჩამოაცილებს დემოკრატიულ ღირებულებებს, დააშორებს დასავლური ცივილიზაციისაგან და მიუხედავად იმისა, რომ ქვემოთ ათათურქი თავის დროზე მომხრე იყო რუსეთთან ურთიერთობებისა, დღეს მისი ქვეყნის ზომაზე მეტად დაახლოება „ჩრდილოელ დათვთან“, უშუალოდ ქვემოთაღმოსავლურ-დემოკრატიულ პრინციპებზე უარის თქმას გამოიწვევს.

„ცივი ომის“ პერიოდში თურქეთის რესპუბლიკასა და დასავლეთ ევროპას შორის ურთიერთობები იყო დომინირებული. თუკი 70-იან წლებში ანკარის ევროპასთან ურთიერთობებს განსაზღვრავდა მხოლოდ ეკონომიკური და თავდაცვითი თანამშრომლობა 90-იან წლებში ევროპელთათვის დადგა საკითხი ქვეყანაში დემოკრატიის გაძლიერებისა და სრულყოფისათვის. თურქეთი კი, როგორც უკვე ზემოთ მოგახსენეთ, გამომდინარეობდა რა საკუთარი თავის უსაფრთხოების დასაცავად, კვლავ მოქმედებდა „ცივი ომის“ მენტალიტეტის ლოგიკით. ეს ეხება რეპრესიებს ქურთული უმცირესობისა და მემარცხენე, რადიკალური პარტიების მიმართ.

აღნიშნული საკითხებისადმი სხვადასხვანაირმა მიდგომამ სერიოზული დაბრკოლებები წარმოშვა ევროპელებისა და თურქების ურთიერთობებში, რის გამოც დღემდე გაურკვეველია თურქეთის რესპუბლიკის სტატუსი ევროპულ თანამეგობრობაში. ამ ტენდენციამ, როგორც უკვე მოგახსენებთ, კუნძულ კვიპროსისა და ქურთული მოსახლეობისადმი არსებული პრობლემების გამო, თავი იჩინა უკვე 70 იანი წლებიდან: იგი გამწვავდა 90-იან წლებში და სერიოზული

უარყოფითი როლი ითამაშა თურქეთის ევროსტრუქტურებში ინტეგრირების გზაზე.

ამავდროულად ანკარა განიცდიდა უიღბლობას შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებშიც. ევროკავშირისა და თურქეთის ურთიერთობა ერთ-ერთი აქტუალური და მწვავე საკითხია თურქული საზოგადოებისათვის. ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ თურქეთის მცდელობა, მიაღწიოს ევროკავშირის სრულყოფილი წევრის სტატუსს, აიძულებს მას გააკეთოს არჩევანი ევროპეიზაციისაკენ. მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თურქებმა დაიწყეს სწრაფვა გამხდარიყვნენ ევროპული ოჯახის წევრები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჯერ-ჯერობით მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს.

იცავენ რა უფლებებს ევროსაბჭოში გაერთიანებაზე, თურქები ხაზს უსვამენ, სხვა ქვეყნებთან შედარებით თავიანთ ხანგძლივ ურთიერთობებს ევროსაბჭოსთან, მიღწევებს ეკონომიკურ სფეროში, თავიანთ ხანგძლივ წევრობას ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში და აგრეთვე საერთაშორისო საზოგადოებას ახსენებენ ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხეს. ცნობილია, რომ თურქეთის რესპუბლიკა ერთადერთი გახლავთ იმ ორმოცდათორმეტ მუსულმანურ სახელმწიფოთა შორის, რომელიც ოფიციალურად, კონსტიტუციით უპირისპირდება ფუნდამენტალიზმს.

სწორედ ამიტომ ზოგიერთი ამერიკელი სტრატეგი ურჩევს ამერიკის ხელმძღვანელობასა და ევროპის წამყვან სახელმწიფოებს აქტიურად დაიწყონ მოქმედებები თურქეთის ევროკავშირში ინტეგრაციისათვის. ერთ-ერთ ასეთ მხარდამჭერად გვევლინება ზბიგნევ ბჟეზინსკი: „ხელი რომ შევუწყოთ სტაბილურობას სამხრეთ კავკასიაში, აგრეთვე ცენტრალურ აზიაში ამერიკამ არ უნდა დაუშვას თურქეთის გაუცხოება ევროპის მიმართ... თურქეთი, რომელიც იქნება გარიყული ევროპისაგან მეტწილად მოგვევლინება,

როგორც ისლამისტური თურქეთი" [52–203]. 1997 წელს ევროპარლამენტის სესიაზე, როდესაც უარყვეს თურქეთის გაწევრიანება ევროკავშირში, ანკარიდან წარგზავნილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა განცხადება, რომლითაც აგრძნობინა დასავლეთს, რომ თურქეთს არ გაუჭირდება სხვა გზის მოძებნაც, მან განაცხადა, რომ „ევროსაბჭო არ არის ერთადერთი ალტერნატივა თურქეთისათვის და თურქეთს არ სჭირდება ევროსაბჭო" [109-20-26 12. 1997].*

ცნობილმა თურქმა პუბლიცისტმა ორჰან შაჰინლერმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა: „ევროსაბჭოს უარი თურქეთის მიღებაზე ეს სახელოვანი წარუმატებლობაა, რომელიც გვეხმარება ჩვენ შევინარჩუნოთ ეროვნული თვითმყობადობა" [110-26.12.1997].

ასევე მნიშვნელოვანია ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ჩენგიზ აქტარის მორიგი განცხადება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: „თურქეთის აღმოსავლეთისკენ მოძრაობაზე ნერვიულობის ნაცვლად, დასავლეთი იმას უნდა უფრთხოდეს, რომ ნაწყენი თურქეთი რუსეთისაკენ არ წავიდეს“. იგი თვლის, რომ რუსეთი ყველანაირად ეფერება ამ ქვეყანას, რომელიც მისთვის ენერგეტიკული მიწოდებების თვალსაზრისით საკვანძო გამანაწილებელია, სწორედ ამის გამოა, რომ კრემლი განსაკუთრებით უწყობს ხელს რუსეთში თურქული ინვესტიციების გაზრდას [144].

2001 წლის ზაფხულის ბოლოს თურქეთი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პიკს მიუახლოვდა. მთავრობა იძულებული გახდა მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლისათვის რიგი ეკონომიკური რეფორმები გაეტარებინა, მაგრამ ამის შედეგად თურქული ლირა კიდევ უფრო დაეცა და გაუფასურდა. პარალელურად, მკვეთრად

* საგაზეთო სტატია

გაიზარდა ქვეყანაში კრიმინალი, მმართველი ძალის რეიტინგი დაეცა 10 პროცენტამდე, ყოველივე ამას დაემატა სერიოზული საფრთხე საერთაშორისო არენაზე ქვეყნის იზოლაციისა. 2001 წლის მაისში, მსოფლიო სავალუტო ფონდმა თურქეთს დახმარების მიზნით გამოუყო კრედიტი რვა მილიონი დოლარის ოდენობით, ამასთანავე ვაშინგტონმა მკაცრად გააფრთხილა ანკარა, რომ შემდეგ დახმარებაზე ზედმეტი იქნებოდა ლაპარაკი, ვიდრე თურქეთი არ მოაწესრიგებდა შიდა საქმეებს.

თურქი სამხედროები და გენერალიტეტი ტრადიციულად ყველაზე პროამერიკულად განწყობილი ნაწილია თურქეთის საზოგადოებაში, მაგრამ ასეთმა ხისტმა ამერიკულმა პოლიტიკამ ისინიც განხიბლა. თუმცადა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენამ სერიოზული ზეგავლენა იქონია თურქულ ამერიკულ ურთიერთობებზე. ამერიკისათვის თურქეთთან კავშირი გახდა მთავარი საკვანძო მიმართულება, არა მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკური და სამხედრო უზრუნველყოფის კუთხით, არამედ ანტიტერორისტული ომის პროპაგანდის თვალსაზრისით.

11 სექტემბრის შემდეგ ანკარა არა მარტო ერთ-ერთი პირველი მუსულმანური ქვეყანა იყო, რომელმაც ამერიკაზე შეტევა დაგმო, არამედ დაუყონებლივ განაცხადა თანხმობა იმის შესახებ, რომ შეერთებულ შტატებს სამხედრო ავიაციისათვის თავის ავიაბაზებს და საჰაერო სივრცეს უთმობდა [77–216]. ამის შემდეგ თურქეთის ხელმძღვანელობამ ხელი შეუწყო ვაშინგტონს დაერწმუნებინა დაეჭვებული მუსულმანური სამყარო იმაში, რომ ანტიტერორისტული კამპანია მიმართული იყო არა ისლამის წინააღმდეგ, არამედ უშუალოდ ტერორისტების გასანადგურებლად.

2001 წლის 10 ოქტომბერს თურქეთის მთავრობა უფრო შორს წავიდა და ამერიკელებს ნება დართო თავის ტერიტორიაზე განეთავსებინა არამტრულად განწყობილი, მაგრამ მაინც უცხო

სამხედრო ძალები. ამის საპასუხოდ შტატები არა მხოლოდ დაეხმარა თურქებს მსოფლიო სავალუტო ფონდისაგან ახალი სესხის აღებაში, არამედ პირადად განაცხადა მზადყოფნა ჩამოეწერა ანკარისათვის ძველი ვალიდან თანხა, ხუთი მილიონი დოლარის ოდენობით. ამერიკელი პოლიტოლოგები იმ პერიოდისათვის აღრფთოვანებულნი იყვნენ თურქეთის ერთგულებით და წარმოაჩენდნენ მას დანარჩენი მუსულმანური ქვეყნებისათვის მისაბამ მაგალითად.

თურქი ნაციონალებისათვის ასეთი ქება-დიდება გახდა მტკიცებულება იმისა, რომ ევროსაბჭოსგან განსხვავებით, მათ ბოლოს და ბოლოს გაუგეს. ვაშინგტონმა „ქურთთა მუშათა პარტია“ და „ქურთისტანის დამოუკიდებელი პარტია“ დაახასიათა ტერორისტულ ორგანიზაციებად. (როგორც მოგეხსენებათ, დღეისათვის უკვე მას, მიუხედავად მათი ტერორისტობისა, არაოფიციალურად, მაგრამ მაინც აქვს ფარული კავშირი აღნიშნულ ორგანიზაციებთან). ამავდროულად ამერიკა კიდევ ერთ დათმობაზე წავიდა და ღიად განაცხადა თანხმობა, რომ გარკვეულ შემთხვევაში შენარჩუნებული იყოს თურქეთში სიკვდილით დასჯა. პარალელურად იმ პერიოდისათვის შტატების წამყვან წრეებში იშვიათად ახსენდებოდათ თურქების მიერ ქურთული მოსახლეობის უფლებების დაცვა.

ახალმა სტრატეგიულმა პარტნიორობამ ანკარას საშუალება მისცა დაეკავებინა კანონიერი ადგილი ძირითადი მოთამაშისა საერთაშორისო არენაზე და განეხორციელებინა თავისი პოლიტიკური ექსპორტი დანარჩენი მუსულმანური ქვეყნების მთელ სამყაროზე.

როდესაც ვაშინგტონმა მიმართა ნატოს წესდების მე-5 მუხლით, თურქეთი აღმოჩნდა ერთადერთი მუსულმანური ქვეყანა, რომელმაც თავის თავზე აიღო კონკრეტული ვალდებულებანი ამერიკულ ანტიტერორისტულ სამხედრო კამპანიაში [92-418]. ამ პერიოდისათვის

შეერთებული შტატები ეყრდნობოდა თურქეთს, როგორც ფასეულ მოკავშირეს და არა როგორც მეგაღეს. ამერიკელებმა მიზანმიმართულად დაიწყეს ანკარის ხელისუფლების გულისმთვება და მათი კეთილიგანწყობის მოპოვება. ვაშინგტონი თანდათან ამცირებდა თურქეთის რესპუბლიკის დავალიანებებს, ამალვებდა შესაძლებლობებს მიეღოთ მათ დამატებითი კრედიტები მსოფლიო სავალუტო ფონდიდან და საერთაშორისო საზოგადოებას არწმუნებდა, რომ თურქეთს შეეძლო შეესრულებინა დამაკავშირებელი ხიდის როლი დასავლეთსა და ისლამურ სამყაროს შორის.

2001 წლის ბოლოს თურქული ეკონომიკა ამერიკელთა დახმარების შედეგად, დამატებითი სესხების ხარჯზე საგრძნობლად გამოცოცხლდა და დაიწყო თანდათანობით კრიზისიდან გამოსვლა. საერთაშორისო ხელზე ანკარის ხელმძღვანელობა ტკბებოდა ვაშინგტონთან სტრატეგიული პარტნიორობის პერსპექტივით. აღნიშნული პოლიტიკა თურქების აზრით, გააძლიერებდა მათ პირად პოლიტიკურ პოზიციებს ევროსაბჭოსთან ურთიერთობაში, ყოველივე ამას ისიც დაემატა. რომ ხელი მოეწერა შეთანხმებებს, რომელიც ეხებოდა ევროპულ-სტრატეგიულ თავდაცვის პოლიტიკას [96-198]. ყოველივე ამის შედეგად, თურქებმა შეძლეს კვლავ წარმოეჩინათ მათ მიერვე ოკუპირებული და საერთაშორისო საზოგადოების მიერ არ აღიარებული კვიპროსის პრეზიდენტი რაუფ დექთაში და ევროპელებთან ერთად მოლაპარაკებების მაგიდასთან დაესვათ.

პირველი კონკრეტული მტკიცებულება იმისა, რომ თურქეთი ასრულებდა ერთ-ერთ მთავარ როლს ანტიტერორისტულ კამპანიაში, წარმოჩნდა 2001 წლის ნოემბერში, როდესაც თურქეთს სთხოვეს მიეწვინებინა თავისი შეიარაღებული ძალები უსაფრთხოებისა და ურთიერთდახმარების ორგანიზაციაში, აგრეთვე ეკისრებინა ამ

ძაღების მთავარსარდლობა, როდესაც ბრიტანელებს 2002 წლის აპრილში მმართველობის მანდატი ამოეწურებოდათ [98-179].

2002 წლის დასაწყისში რეალობა მაინც თავისას ამტკიცებდა. 15 თებერვალს თურქეთმა ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში სამხედრო რაზმი მიაგლინა, მაგრამ უარი განაცხადა ფინანსური გარანტიების გარეშე შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა საკუთარ თავზე აეღო. ამერიკელმა სამხედროებმა განაცხადეს, რომ იძულებული გახდებოდნენ უარი ეთქვათ დაეფარათ თურქეთის ვალები, ითვალისწინებდნენ რა საშიშროებას, რომ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ვერ შეძლებდა ამ თანხების კონგრესის მიღმა გატარებას. 2002 წლის აპრილში იქმნებოდა შტაბეჭდილება, რომ თურქეთის რესპუბლიკა მაინც აიღებდა მთავარსარდლის უფლებამოსილებებს, მაგრამ არა აპრილის ბოლოდან, არამედ ივნისიდან.

ამერიკის ახალმა გეგმებმა, გაეგრძელებინა ანტიტერორისტული სამხედრო კომპანია ავღანეთის ფარგლებს გარეთ, წარმოსახეს ახალი კონტურები ანკარასთან სტრატეგიული პარტნიორობის თვალსაზრისით. სადაო მომენტად, რომ მიღწეულიყო უდრუბლო სტრატეგიული თანამშრომლობა ანკარასა და ვაშინგტონს შორის, წარმოიქმნა ერაყის სახელმწიფოს საკითხი. თურქეთი, როგორც მოგეხსენებათ, განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა შეტევითი ოპერაციის ჩატარებას და გამოთქვამდა საშიშროებას, რომ ეს ფაქტი გამოიწვევდა მისი ქვეყნის შიგნით უკმაყოფილებას, რადგან შეამცირებდა რეგიონალურ ვაჭრობას, აგრეთვე გაზრდიდა ლტოლვილთა ნაკადს, რომელიც 1991 წლის ერაყის ომის დროს დღეში 15 მილიონი დოლარი უჯდებოდა. აგრეთვე ჩნდებოდა ანკარისათვის ყველაზე მთავარი, ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული, ქურთთა დამოუკიდებლობის მოთხოვნისა და ახალი პრობლემების გამწვავების საშიშროება [95-76].

იმის გამო რომ თურქეთის რესპუბლიკის ეკონომიკა უშუალოდ დამოკიდებული იყო მსოფლიო სავალუტო ფონდზე, ანკარის ოფიციალური პირები მიიჩნევდნენ, რომ რთული იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უარის თქმა, გამოეყენებინა მათი სამხედრო საჰაერო ბაზები, სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასამხობად ერაყში. თურქული ხელმძღვანელობის გათვლების მიხედვით, მხოლოდ ისევ ამერიკასთან მჭიდრო თანამშრომლობა თუ მისცემდა ანკარას შესაძლებლობას, მისივე ინტერესებიდან გამომდინარე, წინ აღსდგომოდა ომის შემდგომ ერაყში, ქურთული სახელმწიფოს ან რაიმე ავტონომიური ერთეულის ჩამოყალიბებას.

იმ პერიოდისათვის ანკარის ხელმძღვანელობა რეალურად გრძნობდა საფრთხეს და ხვდებოდა, რომ მათი ქვეყანა ჯერ კიდევ არ იყო მზად იმისათვის, რომ თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაეწყო, რადგან, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან მიუხედავად თავისი კულტურული და ეთნიკური სიახლოვისა, თურქეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დიდი პოლიტიკური წონა და იფარგლებოდა მხოლოდ კულტურული სფეროთი. ასევეა იგი კავკასიაშიც, სადაც წამყვანი პოზიცია მაინც მოსკოვს უკავია და არა ანკარას. ჩრდილო-აღმოსავლეთით სირიასთან თურქეთმა ლამის ომი გააჩაღა, იმ მიზეზით, რომ დამასკო ემხრობოდა „ქურთისტანის მუშათა პარტიას“ და, როგორც ვიცით, თავშესაფარი აღმოუჩინა მის ლიდერს, აბდულა ოჯალანს. სირიამ ანკარასთან ურთიერთობების გაუმჯობესება მოახერხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც ქურთთა მებაოხე ლიდერი განდევნა თავისი ქვეყნიდან [90-33]. ურთიერთობების დალაგების შემდეგ, 2001 წელს თურქეთმა ჩრდილოეთ სირიისაკენ სარკინიგზო ხაზი გაიყვანა, რის შემდეგაც გამოცოცხლდა ორმხრივი ვაჭრობა, გაჩაღდა თანამშრომლობა მინერალების მოპოვებაში და სოფლის მეურნეობაში, მაგრამ შემდეგში ურთიერთობა კვლავ დაიძაბა, იმ

მიზეზით, რომ სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა უარი განაცხადა ხელი აეღო თურქეთის პროვინცია ჰათაის მოთხოვნაზე [117], რომელიც თურქეთმა ჯერ კიდევ 1938 წელს შეიერთა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად ამერიკელების მოწოდებისა, სხვა მუსულმანური ქვეყნები არ მიისწრაფოდნენ მხარი დაეჭირათ თურქული პოლიტიკური მოდელისათვის. რეალურად ეს არ იყო მოულოდნელი, რადგან ანკარის პოლიტიკური სისტემა, როგორც მოგეხსენებათ, დაფუძნებული იყო მუსტაფა ქემალისეულ იდეოლოგიაზე, რომელიც ახასიათებს მხოლოდ თურქულ საზოგადოებას. ამიტომაც არის, რომ უდიდესი სამუსლიმანო სამყაროდან დღემდე ევროპასთან შეერთებისათვის მხოლოდ თურქეთის რესპუბლიკა მიისწრაფის.

1999 წელს, რაც ანკარა ოფიციალურად გახდა ევროსაბჭოს წევრობის კანდიდატი, ახალ-ახალი რეფორმების გატარება მისი საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი გახდა [101-287]. თურქების უმრავლესობისათვის არა მხოლოდ დიდი ხნის ოცნებაა მისი ქვეყანა ევროპის სრულუფლებიანი წევრი გახდეს, არამედ, მათი აზრით, ერთადერთი გამოსავალია თურქეთის სახელმწიფოსა და მისი ეკონომიკისათვის.

2001 წლის ზაფხულზე მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მოსახლეობა ეჭვის თვალით უყურებდა მთავრობის მიერ დაწყებული პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობას და ყველაზე მეტად ინტერესდებოდნენ იმით, რომ საბოლოო ჯამში რამდენად რადიკალური იქნებოდნენ ისინი 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, რეფორმების აუცილებლობამ, ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილი მიზეზების გამო, თავისი მნიშვნელობა დაკარგა და გარე დახმარებების მეშვეობით ძველმა სისტემამ კვლავ შეიძინა სიცოცხლისუნარიანობა.

ამ პერიოდთან მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ შესაძლოა კონსერვატორები მართლები იყვნენ, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ მცირედი ცვლილებებია საჭირო. 2002 წლის დასაწყისში უკიდურესი ნაციონალისტები და კონსერვატიული მთავრობის წევრები უკვე თავაზობდნენ მეჯლისს ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორობის გაძლიერებას, ევროსაბჭოსთან ალტერნატივის სანაცვლოდ. ისინი აცხადებდნენ, რომ ევროსაბჭო რეალურად არ იყო მზად თავის რიგებში მიეღო თურქეთი, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც მოითხოვდა ანკარისაგან ჩაეტარებინა ქვეყნისათვის მტკივნეული შიდა რეფორმები და დაეთმო კუნძული კვიპროსი.

მეორეს მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებთან პარტნიორობა, მათი აზრით, არ მოითხოვდა ასეთ მიმე მსხვერპლს და ამის გარეშეც შეეძლო გარდაეჭმნა თურქეთი ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ. ასე მიიღო ანკარამ მისი ხელმძღვანელობის აზრით, ახალი სტრატეგიული მნიშვნელობის საერთაშორისო სტატუსი. თუმცა ეს პოზიტიური ცვლილებები პრაქტიკაში უმნიშვნელოდ აისახა და რეალურად გამოჩნდა იმისათვის, რომ ქვეყანას მოეხდინა თავისი უდაოდ დიდი პოტენციალის რეალიზება და გამხდარიყო სხვა ქვეყნებისათვის სამაგალითო სახელმწიფო, მისი პოლიტიკური სისტემა, იმ პერიოდისათვის კიდევ უფრო ღრმა რეკონსტრუქციას საჭიროებდა.

რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას ცენტრალური აზიისა და ამიერკავკასიის თურქულენოვან სახელმწიფოებთან, ანკარას პრაქტიკულად უკონფლიქტო ურთიერთობები აქვს აღნიშნულ ქვეყნებთან. თურქეთში თვლიან, რომ გეოპოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ და მისცა შანსი ანკარას, განემტკიცებინა თავისი გავლენა ამ მიმართულებით. ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ რეგიონებში, არსებულ სახელმწიფოებში

თურქული ეკონომიკური განვითარების მოდელი მიმზიდველი გახდა [84-121], თუმცა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დღეისათვის ეს მისწრაფება თანდათან მოდიდან გამოდის.

ზოგიერთი ამერიკელი პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ თურქეთის აღმოსავლური ორიენტაცია დასავლეთის მიერ აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული. ამ პოლიტიკის შინაარსი მდებარეობს შემდეგში: დასავლეთმა კვლავ უნდა დააყენოს და ხელი შეუწყოს პანთურქისტული, გავლენის გავრცელებას თურქული მოდემის ხალხებზე, რომლებიც ცხოვრობენ დაწყებული ჩინეთის პროვინცია სინძიანიდან, დამთავრებული ბალკანეთის ნახევარკუნძულით [149]. აღნიშნულით თურქეთი ატარებდა შემტევ პოლიტიკას ცენტრალურ აზიაში, რომელიც, მართალია, ლიმიტირებულად, მაგრამ მაინც ფინანსდებოდა ქვეყნის შიდა რესურსებით [54-49]. აღნიშნული საქმიანობით ანკარა პირდაპირ დაპირისპირებაში შედიოდა რუსეთის ფედერაციასთან და მის ინტერესებთან შუა აზიაზე ზეგავლენის შენარჩუნების საკითხში.

ახალი თურქული გეოპოლიტიკა მეტნაკლებად მიმართულია საკუთარი გავლენის გაძლიერებაზე სამხრეთით „ახლო აღმოსავლეთზე და ხმელთაშუა ზღვის რეგიონზე“ და აღმოსავლეთით „კავკასიასა და ცენტრალურ აზიაზე“. უნდა აღვნიშნოს, რომ თურქეთის რესპუბლიკა თანდათანობით ემსგავსება ისეთ მოთამაშეს, რომელსაც აქვს საკუთარი, პირადი ინტერესები, რომლებიც განსხვავდება ტრადიციული მოკავშირეების ინტერესებისაგან, იგულისხმება ამერიკის შეერთებული შტატები და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ევროპული ქვეყნები. ასეთ ვითარებაში თანდათან უფრო ნათლად ჩდება ფაქტორები, რომლებიც მეტყველებენ თურქული პოლიტიკისა და მუსულმანური პოლიტიკის იდენტურობაზე [77-35].

§ – 4. ახალი თურქული გეოპოლიტიკის რუსული ვექტორი

თანამედროვე თურქეთის გეოპოლიტიკის განხილვისას აუცილებელია ვისაუბროთ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებზე. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში თურქეთის რესპუბლიკის წინაპარი ოსმალეთის იმპერია და ძველი რუსეთის სახელმწიფო ხშირად იჭრებოდნენ ერთმანეთის გეოპოლიტიკურ სივრცეში, რაც თავისთავად სახელმწიფოთაშორის სასიკვდილო, საბრძოლო დაპირისპირებებით სრულდებოდა.

რუსეთს ყოველთვის აინტერესებდა წინსვლა თბილი ზღვებისაკენ, მაგრამ როდესაც მან უკვე გაიაზრა თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები, იქ უკვე იმყოფებოდნენ თურქები, რომლებიც აკონტროლებდნენ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს, შესაბამისად იმის პატრონები გამოდიოდნენ, რისკენაც მიისწრაფოდა რუსეთი. სწორედ ეს გახლდათ მთავარი მიზეზი იმისა, რომ ამ სახელმწიფოებს შორის ხშირად იმართებოდა ომები, რომელშიც ხან ერთ მხარეს უწევდა უკანდახევა, ხან მეორეს. აღნიშნული მდგომარეობა გამოდგა ხანგძლივი გეოპოლიტიკური ბრძოლა, ასე რომ თურქებიცა და რუსებიც მიეჩვივნენ ერთმანეთის სახელმწიფოებში მტრის ხატის დანახვას.

მიუხედავად ამისა იყვნენ რიგი რუსი ფილოსოფოსები და თეორეტიკოსები, ვინც განიხილავდნენ რუსეთის პოლიტიკას და თურქებს არ თვლიდნენ აბსოლუტურ მტრებად. კერძოდ, ცნობილი რუსი ფილოსოფოსი კ. ლეონტიევი, რომელიც გახლდათ რუსეთის კონსული თურქეთში მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველთვის მომხრე იყო რუსეთისა და თურქეთის იმპერიების სოლიდარობისა და მოკავშირეობისა. იგი თვლიდა, რომ აღნიშნულ სახელმწიფოებს

ურთიერთობაში ყოველთვის ხელს უშლიდა მესამე ძალა, დიდი ბრიტანეთის სახით. (სხვათაშორის კრემლის ინტერესების გამომხატველი ექსპერტების აზრით დღეს ამ როლს, დემოკრატიას ამოფარებული ამერიკის შეერთებული შტატები თამაშობს). იგი ამბობდა, „დასავლეთს სურს მოახდინოს განხეთქილება ორი ტრადიციული ერის, ორ ტრადიციულ იმპერიას შორის, ეს იმპერიები კი უფრო ახლოა ერთმანეთისთვის, ვიდრე დასავლეთის ქვეყნები თავისი ჩრდილოევროპული კულტურით“ [42-82]. სწორედ ამიტომ კ. ლეონტიევი თავაზობდა ორივე მხარეს ალიანსის შეკვრას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მათ დაცემას წინასწარმეტყველებდა, რაც, როგორც მოგეხსენებათ, მეოცე საუკუნის დასაწყისში ორივე იმპერიას აუხდა.

ახალმა თურქულმა ნაციონალურმა სახელმწიფომ თავისი ხელმძღვანელის, მუსტაფა ქემალ ათათურქის მეშვეობით შეძლო და დაუმეგობრდა საბჭოთა კავშირს, რომლისგანაც რამდენიმეჯერ სერიოზული დახმარება მიიღო იარაღისა და ფულის სახით, რაც წარმატებით იქნა გამოყენებული, ქვეყნიდან უცხოელ ინტერვენტთა დამარცხებისა და განდევნისათვის. ათათურქი სიცოცხლის ბოლომდე მომხრე იყო რუსეთთან დადებითი ურთიერთობისა, რადგან თვლიდა, რომ ევრაზიულ სახელმწიფოებს განვითარებისა და გაძლიერებისათვის აუცილებლად მჭიდრო ურთიერთკავშირი ესაჭიროებოდათ [75-399].

მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ურთიერთობა თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კვლავ გართულდა, რადგანაც თურქებმა თავდაპირველად, ფარულად, მაგრამ მაინც „დერძის სახელმწიფოების“ მხარე დაიკავეს, რაც გახდა მიზეზი ი. სტალინის განაწყენებისა და რომ არა ამერიკის შეერთებული შტატები და საერთაშორისო თანამეგობრობა, აუცილებლად დაიწყებოდა მორიგი ომი რუსებსა და თურქებს შორის. სწორედ ამ

დაპირისპირების შედეგად მოხდა ისე, რომ თურქეთმა გეზი დასავლეთისაკენ აიღო და გახდა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის წევრი, რასაც საქართველოს დღევანდელი საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

მეოცე საუკუნის ბოლოსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში რუსეთისა და თურქეთის დაახლოება საერთაშორისო პოლიტიკურ სცენაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან და საინტერესო რეალიას წარმოადგენს. ამ პროცესმა სტარტი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირისა და ახალი თურქეთის შექმნისთანავე აიღო, მაგრამ სტალინის დროს, როგორც აღვნიშნეთ, ურთიერთობები საკმაოდ გაცივდა და დაიძაბა, „ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 90-იანი წლებიდან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გადრმავებამ, სტარტი თავიდან აიღო, რაც დღემდე გრძელდება და თანდათან სულ უფრო მეტ სიღრმეს და აქტუალობას იძენს [61-38].

პირველ ეტაპზე დაახლოების პროცესი თურქეთის რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის სავაჭრო ურთიერთობებში გამოვლინდა. დაბალი საექსპორტო ღირებულების წყალობით თურქეთმა შეძლო თავისი სავაჭრო ნიშა დაეკავებინა საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად ეკონომიურად დასუსტებულ რუსულ, ტერიტორიულ სივრცეში.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის უკვე რუსეთი თურქეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ეკონომიკური პარტნიორია. მიმდინარე ეტაპზე თურქეთ-რუსეთს შორის სავაჭრო ტვირთბრუნვა წელიწადში დაახლოებით 9-10 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს და თურქეთის მხარე აღნიშნული მაჩვენებელის კიდევ უფრო გაზრდას გეგმავს [159].

რაც შეეხება თურქთა ერთ-ერთი მთავარი შემოსავლის წყაროს ტურიზმს, მხოლოდ გასულ წელს თურქეთის რესპუბლიკას დაახლოებით სამი მილიონი რუსი ტურისტი სტუმრობდა.

განვითარებული სავაჭრო ურთიერთობებიდან ორი ქვეყანა საკმაოდ მაღე უფრო სერიოზული პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე თანამშრომლობაზე გადავიდა. 1997 წელს ხელი მოეწერა ე. წ. „ცისფერი ნაკადის“ პროექტს. ხელმოწერიდან 4 წლის შემდეგაც თურქეთმა რუსეთიდან ბუნებრივი აირი, უკვე შავი ზღვის გავლით პირდაპირი ხაზით მიიღო. პროექტის სიძვირისა და საექვო ეკონომიკური მიზანშეწონილობის მიუხედავად, რუსეთი მაინც აქტიურად შეუდგა მის განხორციელებას, რადგან პირველ რიგში იგი პოლიტიკური და სტრატეგიული მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ „ცისფერი ნაკადის“ სწრაფმა წინსვლამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობა და მისი რეალიზაცია რამდენიმე წლით გადადო.

ზემოთ აღნიშნული „ცისფერი ნაკადი“ თურქეთ-რუსეთს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხში დღესაც ურთიერთობების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია. 2004 წლიდან ამ პროექტით ანკარას უკვე მიეწოდება 4 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი აირი, აღსანიშნავია, რომ იგი მანამდე „ცისფერი ნაკადით“ მხოლოდ 1.1 მლრდ კუბურ მეტრ აირს იღებდა [90-88].

მხარეები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობის გაღრმავებას. ამ მხრივ 2003 წელს ქ. მოსკოვში თურქეთ-რუსეთის უმაღლესი დონის ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შეკრებისას მიღწეულ იქნა შეთანხმება საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში თანამშრომლობის გაღრმავებისთვის ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის კონსულტაციების გაგრძელების შესახებ.

ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თურქეთისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეებმა ალი თუიგანმა და ალექსანდრე სალტანოვმა. მინისტრების მოადგილეების შეხვედრისას განხილულ იქნა ერაყში შექმნილი სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში არსებული კონფლიქტების მოგვარებისა და სხვა რეგიონალური საკითხების გადაჭრის გზები. აღნიშნულ შეხვედრაზე ასევე განიხილეს საერთაშორისო და რეგიონალური პრობლემები. მხარეები შეთანხმდნენ, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაიოლებისათვის კვლავ გაგრძელდება მუშაობა სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზის სრულყოფისათვის. ჯგუფის მუშაობის ფარგლებში შედგა ამიერკავკასიის ქვეჯგუფის შეხვედრაც, რომელზეც განიხილეს რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებისა და არსებული კონფლიქტების მოგვარების საკითხები.

2003 წლისათვის თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებში აღსანიშნავია რუსეთის ფედერაციის პლესეცკის კოსმოდრომიდან 27 სექტემბერს რუსული რაკეტით ორბიტაზე თურქული თანამგზავრის „ბილსათ-1“-ის გაყვანა, რომლის დანიშნულებაც ბუნებრივი კატასტროფების შედეგად გამოწვეული ზარალის აღრიცხვა და ქალაქმშენებლობის დაპროექტებისათვის საჭირო აეროსურათების მოწოდებაა.

პოლიტიკური ურთიერთობების გაღრმავება სამხედრო სტრატეგიულ საკითხებზეც აისახა. 2006 წლის მარტში თვალშისაცემი გახდა რუსეთისა და თურქეთის ინტერესთა თანხვედრა შავი ზღვის აკვატორიასთან დაკავშირებით. თურქეთმა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსს, შავი ზღვის აკვატორიაში, ანტიტერორისტული საზღვაო ოპერაციის, „Operation Active Endeavor“ („ოპერაცია აქტიური ღონისძიება“) ჩატარების უფლება არ მისცა. თურქულმა მხარემ განაცხადა, რომ შავი ზღვის ქვეყნების საზღვაო ფლოტებს მსგავსი ფორმატის ოპერაციების განხორციელება

საკუთარი ძალებითაც შეეძლოთ [63–157]. აღნიშნულ პოზიციას როგორც მოსალოდნელი იყო, აქტიურად დაუჭირა მხარი რუსეთის ფედერაციამ.

უკვე მოგვიანებით, 2006 წლის დეკემბერში, რუსეთი ოფიციალურად შეუერთდა თურქეთის მიერ ინიცირებულ პროექტს სახელწოდებით „Bleck Sea Harmony” („შავი ზღვის ჰარმონია“). აღნიშნული ინიციატივა „Operation Ative Endeavor“-ის ფორმატის ანალოგია იყო, თუმცა იმ განსხვავებით, რომ „Bleck Sea Harmony“-ს მონაწილეები არა ზოგადად ნატოს-ს წევრი სახელმწიფოები და მათი პარტნიორები, არამედ მხოლოდ შავი ზღვის აკვატორიის ქვეყნები იყვნენ [63-184], სადაც წამყვანი როლი უკვე სწორედ თურქეთსა და გარკვეულწილად რუსეთს ჰქონდათ.

რუსეთ-თურქეთის მორიგი პოლიტიკური სიახლოვის მოწმენი კიდევ ერთხელ გავხდით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროსაც, მიუხედავდ იმისა რომ ომის დაწყებიდანვე თურქეთის რესპუბლიკა გვეხმარებოდა, როგორც ჰუმანიტარული დახმარებებით, ისე პოლიტიკური განცხადებებითაც, მაგრამ პარალელურად 2008 წლის 11 აგვისტოს თურქეთის პრემიერ-მინისტრმა საზოგადოებას ახალი ინიციატივა გააცნო, რომელიც „კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმის” სახით მოგვევლინა [143]. ინიციატივის ძირითად ამოცანას რეგიონში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. როგორც ერდოღანმა აღნიშნა, ეს ინიციატივა უკვე შეთანხმებული იყო რუსეთის ფედერაციის პირველ პირებთან. „პლატფორმა” უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მისაღწევად მხოლოდ კავკასიის რეგიონის ქვეყნების გაერთიანებას გულისხმობდა, რაც მიანიშნებდა რეგიონიდან სხვა გარე მოთამაშეების გამოთიშვას. ამ მოთამაშეებში კი პირველ რიგში

თურქეთის ძველი სამხედრო პარტნიორი და საქართველოს სტრატეგიული მოკავშირე აშშ და ევროკავშირი მოიაზრებიან.

ერდოღანის ეს დოკუმენტი პირველი თურქული ინიციატივა არ არის, რომელიც რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის შეიქმნა. „კავკასიის სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმას“ წინ თურქეთის ყოფილი პრეზიდენტის, სულეიმან დემირელის მიერ 2000 წელს გაქდერებული „კავკასიის სტაბილურობის პაქტი“ უსწრებდა. ამ ორი რადიკალურად განსხვავებული დოკუმენტის ზედაპირული ანალიზიც კი ნათლად გვიჩვენებს თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის მნიშვნელოვან ცვლილებებს, თუმცა ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია ამას ანკარა პარტნიორებთან შეთანხმებით აკეთებს, თუ პირადი ინიციატივით.

რუსული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები დიდი ინტერესით აკვირდებიან თავისი ისტორიული მტრის პოლიტიკურ ნაბიჯებს და თვითონაც მაქსიმალურად ცდილობენ დააინტერესონ, როგორც თანამშრომლობაში, ასევე ხელი შეუწყონ რიმლანდიდან ჰარტლანდისკენ შემობრუნებაში და საბოლოოდ თავის მხარეზე გადაიბირონ იგი. ცნობილი რუსი გეოპოლიტიკოსი და პუტინის ახლო მეგობარი ალექსანდრ დუგინი საჯაროდ უხდის ბოდიშებს თურქ ხალხს, რომ 90-იან წლებში გამოცემულ წიგნში „გეოპოლიტიკის საფუძვლები“, ისინი რუსეთის მტრად გამოჰყავს.

ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ სულეიმან დემირელის ინიციატივა ეუთოს ეგიდით უნდა განხორციელდებულყო. ის კავკასიის რეგიონის სტაბილურობისა და უსაფრთხოების საქმეში ყველა დაინტერესებულ მხარეს ღიად ეპატიჟებოდა [91–419]. ერთ-ერთ მთავარ მოთამაშეებად კი, პირველ რიგში შეერთებული შტატები და ევროკავშირი მოიაზრებოდნენ. „სტაბილურობის პაქტს“ საჯაროდ სწორედ შეეთებული შტატები ღობირებდა. საგარაუდოდ, სწორედ აღნიშნული „პაქტის“ მიმართ

რუსეთის ნეგატიური დამოკიდებულებაც ამერიკის მონაწილეობის გამო არსებობდა.

რაც შეეხება ერდოღანის „პლატფორმას“, რვა წლის შემდეგ კავკასიაში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზების თურქული ხედვა რადიკალურად შეცვლილია [143]. სავარაუდოდ, ამ კონცეფციის მთავარი მიზანი, რეგიონში თურქეთისა და რუსეთის ჰეგემონიის როლის არაპირდაპირი დეკლარირებაა. რადგან დემირელის ინიციატივისაგან განსხვავებით ერდოღანის პროექტში წამყვან ძალად არ მოიაზრება დასავლეთის არც ერთი ლიდერი და არალიდერი სახელმწიფო, ან მათი თაოსნობით შექმნილი რაიმე ორგანიზაცია. „პლატფორმის“ თანახმად, კავკასიის ბედი რეგიონის ხუთმა სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს: თურქეთმა, რუსეთმა, საქართველომ, აზერბაიჯანმა და სომხეთმა. გასაგებია, რომ ბოლო სამი ქვეყნის პოზიცია პირველი ორის სიძლიერის ფონზე, დიდ როლს ვერ ითამაშებს და ასეთი ფორმატის საქმიანობა ძირითადად თურქეთისა და რუსეთის ნებით იქნება ნაკარნახევი და, შესაბამისად, რეგიონის მომავალი იმაზე უნდა იყოს დამოკიდებული, თუ რაზე მოილაპარაკებს ერთმანეთში ეს ორი სახელმწიფო.

კავკასიის რეგიონში დომინირება ორივე ქვეყნის ტრადიციულ გეოსტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს. ამ საკითხში ეს სახელმწიფოები, ისტორიულად, ერთმანეთს ხშირად უპირისპირდებოდნენ, თუმცა მათ შორის გარიგებებსაც ჰქონდა ადგილი [42–269]. ახალი რეალიების ანალიზი აჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში სწორედ გარიგებასთან გვაქვს საქმე. თუმცა დღეს ეს ორი სახელმწიფო ახალ კავკასიურ თამაშში განსხვავებული მდგომარეობით ერთვება.

რუსეთი მიმდინარე პერიოდისათვის იბრძვის კავკასიის რეგიონში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებისათვის. ამავე დროს იგი ცდილობს გაუმკლავდეს ისეთ მნიშვნელოვან

პრობლემებს, როგორცაა: ფინანსური კრიზისი, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, მძიმე დემოგრაფიული ვითარება, რთული განმანთავისუფლებელი და კლანური ბრძოლების შეკავება ჩრდილოეთ კავკასიაში, ძალისმიერი საგარეო პოლიტიკის გამო რთული ურთიერთობა მეზობლებთან და მსოფლიო საერთაშორისო საზოგადოებასთან, პრობლემები სამხედრო სფეროში, სეპარატიზმის მხარდაჭერა და მის მიერვე გაჩენელი „შავი ხვრელების“ თვითაღიარებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს (სამხრეთ ოსეთის) ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ფედერაციის ეკონომიკის სისტემას კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აყენებს.

რაც შეეხება თურქეთს, მან უსაფრთხოების მთავარი პრობლემა, საბჭოთა და რუსული მუქარის საფრთხიდან გამომდინარე, თავის დროზე ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებითა და 1952 წელს ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებით მოაგვარა. დღეს უკვე მას ანალოგიური საფრთხე აღარ ემუქრება. საშიშროება ეთნიკური სეპარატიზმის მხრიდანაც პრაქტიკულად დაძლეულია. ერთადერთ პრობლემას მისთვის ამ კუთხით ქურთისტანის საკითხი წარმოადგენს, თუმცა ამ პრობლემის შესახებ ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ მისი სერიოზულობის მიუხედავად ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის განსაკუთრებულ საფრთხეს იგი დღეს უკვე აღარ წარმოადგენს.

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე თურქეთმა სერიოზულ წარმატებას მიაღწია ეკონომიკური აღმავლობის გზაზე. დღეს მსოფლიო ფინანსური კრიზისის პერიოდში რესპუბლიკის მთავარ ამოცანას ეკონომიკის სტაბილურობის და განვითარების დინამიკის შენარჩუნება წარმოადგენს.

შავ ზღვაზე და კავკასიის რეგიონში თურქეთისა და რუსეთის ტრადიციული დაპირისპირების მიუხედავად, დღეს სწორედ აქ იკვეთება მათი ინტერესების ერთგვარი დაახლოება [63–106]. ამ

შემთხვევაში იმის გადაჭრით მტკიცება, რომ ეს დაახლოება ტაქტიკურ, ან სტრატეგიულ ხასიათს ატარებს, ჯერ კიდევ ძალიან ნაადრევია. ამას განაპირობებს ის, თუ როგორ განვითარდება სიტუაცია მსოფლიოში, რეგიონსა და თავად ჩვენს მიერ აღნიშნულ ქვეყნებში. ჯერჯერობით კი რუსეთის ფედერაციის მიზანია შავი ზღვის აკვატორიასა და კავკასიის რეგიონიდან სხვა მოთამაშეების გამოთიშვა, ხოლო თურქეთი, როგორც ჩანს, ან ეთანხმება რუსეთის ამ პოლიტიკას, ან კიდევ ამ ფაქტის ამერიკის შეერთებულ შტატებისა და ევროპის დასაშანტაჟებლად და მისი საკუთარი ქვეყნის ინტერესების გამოყენებისათვის ამზადებს.

მიუხედავად ყველაფრისა, პოლიტიკაში მაინც არსებობს ალბათობა იმისა, რომ რუსეთი და თურქეთი დასავლეთის მიმართულებით სინქრონული პოლიტიკის გატარებაზე შეთანხმდნენ. როცა თურქეთს დღეს უკვე საბჭოთა საფრთხე აღარ ემუქრება, ხოლო მისი ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი გაურკვეველი ვადით არის გადადებული, სავსებით შესაძლებელია ამ ორი სახელმწიფოს სტრატეგიული დაახლოება.

ამასთანავე, შესაძლებელია, რომ ანკარა შეეცდება ევროპას მისი მნიშვნელობის შესახებ კიდევ ერთხელ შეახსენოს. ევროპის გაზომიარაგების დივერსიფიკაციის თვალსაზრისით თურქეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვეყანაა. აქედან გამომდინარე მისი ევროკავშირში გაწევრიანება ევროპისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხს უნდა წარმოადგენდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში არ არის გამორიცხული, რომ თურქეთის რესპუბლიკამ და რუსეთის ფედერაციამ, გაზომიარაგების თემაზე დაყრდნობით, ევროპის მიმართულებით ერთიანი თამაში აწარმოონ და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწიონ [159].

ამ მოსაზრების გასამყარებლად შეიძლება გამოვიყენოთ თურქეთის რესპუბლიკის ყოყმანი „ნაბუკოს“ პროექტთან

მიმართებაში, რომელიც მან პოლიტიკური ვაჭრობის საგნად აქცია. ცხადია, ანკარის ყოველ ასეთ პოზიციას რუსეთის ფედერაციაში დიდი სიხარულითა და ენთუზიაზმით ხვდებიან.

თუმცა დღეისათვის თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. დავითოღლუ, როდესაც მას ეკითხებიან, თუ სად ხედავს თურქეთის მომავალს 10 წლის შემდეგ, თამამად პასუხობს: „მე ვხედავ ქვეყანას, რომელმაც შეძლო ეკონომიკური ინტეგრაციის დაწყება და თავის მეზობლებთან მყარი ურთიერთობების დამყარება. ქვეყანას, რომელმაც შეძლო გამხდარიყო ევროკავშირის წევრი. მე ვხედავ ქვეყანას, რომელიც ქმედით როლს თამაშობს ნატოს ფარგლებში, ასევე საკვანძო მოთამაშეა არა მხოლოდ უსაფრთხოების საკითხებში, არამედ ეკონომიკურ ორგანიზაციებში, ისეთებში, როგორცაა „დიდი ოცეული“. ვფიქრობ, 2023 წლისათვის ამ მიზნების მიღწევა თავისუფლად შეიძლება. ამ დროს თურქეთის რესპუბლიკა თავისი არსებობის ასი წლისთავს აღნიშნავს და ეს 14 წლის შემდეგ იქნება” [113].

აღსანიშნავია, რომ თურქეთსა და რუსეთს შორის დისონანსის პოტენციალიც საკმაოდ დიდი არსებობს, რადგან კავკასიის ურთულეს რეგიონში ორივე სახელმწიფო კვლავ ტრადიციულ მეტოქეებად რჩებიან [155]. რუსეთის ფედერაციაში უარყოფითად აღიქმება მისი გვერდის ავლით განხორციელებული ყველა პროექტი, მათ შორის უკვე შემდგარი ენერგეტიკული პროექტები, განსაკუთრებით კი ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენი და ბაქო–თბილისი–ერზერუმის გაზსადენი. რუსეთი, თუ ამის შესაძლებლობა ექნება, ყოველთვის შეეცდება, მსგავსი ტიპის პროექტებს ხელი შეუშალოს, რადგან ეს კრემლს პირდაპირ უშლის ხელს მისივე გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელებაში, ანკარას კი პირიქით სწორედ აღნიშნული პროექტების განხორციელება

მოუპოვებს ძლიერ ბერკეტებს, როგორც რეგიონში, ისე ევროპასთან მიმართებაში [37-330].

სავარაუდოდ, ორი ქვეყნის ურთიერთობებზე, როგორც ჯერ კიდევ 90-იან წლების დასაწყისში, კვლავ უარყოფით გავლენას ახდენს თურანიზმი ანუ იგივე პანთურქიზმი. დღეს ეს რეალობა განსაკუთრებულად მტკივნეულია რუსეთისათვის თურქეთში მცხოვრები ჩრდილო-კავკასიური დიასპორის აქტიური პოლიტიკური ფაქტორისა და ცენტრალურაზიაში მცხოვრები თურქულენოვანი ხალხის გამო.

წინააღმდეგობის პოტენციალის შემცველია ეკონომიკური ფაქტორიც. მაგალითისათვის, დაბალი საექსპორტო ღირებულების წყალობით თურქული პროდუქტი უკვე წლებია კონკურენციას უწევს რუსულ პროდუქტს ისეთ ბაზრებზე, როგორცაა უკრაინა და თავად რუსეთი. თუმცა, როგორც ეკონომიკური ექსპერტები აღნიშნავენ, რუსეთი ფინანსური კრიზისისა და გეოსტრატეგიული მიზნების გამო, იძულებულია, თვალი დახუჭოს და შემაგებებელი ქმედებები არ განახორციელოს, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ფინანსური კრიზისის დროს რუსეთის ფედერაციას ესაჭიროება სტაბილური მომწოდებელი; ჩინეთის ეკონომიკურ აქტივობას რუსეთის ფედერაციაში ისევ თურქეთის აქტივობას ამჯობინებენ [140].

ამავე დროს, რუსეთისა და თურქეთის დაახლოებისათვის ნაყოფიერ ნიადაგს შესაძლოა, ამ ქვეყნებში არსებული მზარდი ანტიამერიკული საზოგადოებრივი განწყობაც ქმნიდეს, ისევე როგორც ის სირთულეები, რომლებიც მათ გააჩნიათ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

„ანტი-ამერიკანიზმი“ თურქულ საზოგადოებაში 2005 წლის „ბი-ბი-სის“ გამოკითხვით პიკს აღწევდა. ეს ტენდენცია ამერიკის მიერ

ქურთების მიმართ ლოიალური, მხარდამჭერი პოლიტიკისა და კუნძულ კვიპროსის საკითხთან დაკავშირებული პოზიციის გამო, დღესაც შენარჩუნებულია [82-186]. რაც შეეხება მმართველ წრეებს, მათ შორისაც პოლიტიკური ურთიერთობები დღეს ისეთი უღრუბლო აღარ არის, როგორც ეს ადრე იყო. ამ რეალობებმა, როგორც მოგეხსენებათ, მკაფიო გამოხატულება ჰპოვა, მაშინ როცა თურქულმა მხარემ ამერიკელ და მის მოკავშირე სამხედროებს ერაყში შესასვლელად საბრძოლო დერეფანი არ მისცა.

რუსული საზოგადოების ანტიამერიკანიზმი კი დღეს ალბათ კიდევ უფრო ძლიერია, ვიდრე ეს „ცივი ომის“ დროს იყო. რაც შეეხება სახელმწიფო დონის ურთიერთობებს, რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, სხვადასხვა ღირებულებების გამო, ურთიერთობების პრობლემური ხასიათი საყოველთაოდ ცნობილია [53-16].

უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთ-თურქეთის დაახლოების პროცესზე უარყოფით გავლენას იქონიებს გლობალური ფინანსური კრიზისი. არ არის გამორიცხული, კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში ორივე სახელმწიფოს დასჭირდეს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისა და წამყვანი დასავლური სახელმწიფოების სერიოზული დახმარება. ეს კი ორივე სახელმწიფოს აიძულებს, ამერიკისა და ევროკავშირის ინტერესების გათვალისწინებით, თავიანთ პოლიტიკაში კორექტივები შეიტანონ. (აღსანიშნავია, რომ დღევანდელ პერიოდში, მართალია, მეტნაკლებად, მაგრამ მაინც, ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია ფინანსური კრიზისით, შექდლოს ამა თუ იმ ქვეყნის დაშანტაჟება)

თავის მხრივ, ევროკავშირს მოუწევს იზრუნოს თურქეთის მომავალი პოლიტიკური ორიენტაციის ბედზე. უმჯობესი იქნება თუ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების სურვილს სათანადო

ყურადღება დაეთმობა. თურქეთის დასავლეთთან ინტეგრაციის გაღრმავების პროცესში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეერთებულ შტატებსაც მოუწევს, რადგან ის უნდა იყოს მთავარი ძალა, რომელიც დღეს დაარწმუნებს ევროპას, რომ თურქეთის სტრატეგიული მოკავშირეობა აუცილებელი გახლავთ დასავლური, დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის.

ამრიგად, დასავლეთისათვის პროგრესული ძალებისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ წავიდა ის დრო, როდესაც თურქეთისათვის ევროკავშირი „ერთადერთ სასურველ საქმროდ იყო მიჩნეული“ [101-241]. მიმდინარე პერიოდში ანკარა გახლავთ ენერგეტიკულად დამშეულ ევროპასა და ენერგორესურსებით მდიდარ ცენტრალურ აზიას, ახლო აღმოსავლეთსა და რუსეთს შორის. ეს ქვეყნები კარგი მყიდველები არიან და ისინი თურქეთის სამრეწველო პროდუქციას დიდი რაოდენობით იძენენ, რაც მთავარი პირობაა, ისინი დღეს უკვე მზად არიან სარფიანი ეკონომიკური თანამშრომლობისათვის.

თურქეთის რესპუბლიკას ევროკავშირი დღეისათვის სულ უფრო და უფრო ნაკლებად სჭირდება, რადგან მას უკვე აქვს საბაჟო კავშირი ევროპელებთან და ბევრმა თურქულმა კომპანიამ ასე თუ ისე მიიღო ის გასაღების ბაზარი, რაც მას ევროკავშირის წევრობიდან სჭირდებოდა. დღეისათვის მილიონობით თურქმა გლეხმა იცის, რომ ევროკავშირის სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა მათ უქმად ყოფნის საშუალებას არ მისცემს, ისევე, როგორც ერთ დროს განებივრებულ ფრანგ ფერმერებს.

ოფიციალურად თურქეთის რესპუბლიკის ყველა ძლიერი პარტია და პოლიტიკური ძალა მხარს უჭერს ქვეყნის ევროკავშირში შესვლის იდეას. ისინი არ უხევევენ დიდი ხნის წინ მუსტაფა ქემალის მიერ დატოვებულ ანდერძს და თვლიან, რომ თურქეთი ევროპის გაგრძელებაა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანკარაში

სხვა ალტერნატივებსაც განიხილავენ და რუსეთიდან საპარსეთის ყურემდე გეოპოლიტიკურ ნახევარწრეში არსებულ ახალ კლიენტებთანაც ურთიერთობენ [51-83].

ყოველივე ზომოთქმულის მიუხედავად, ბრიუსელი კვლავ განაგრძობს თურქეთის, როგორც მუდმივი ჯილდოს გარეშე დარჩენილი მთხოვნელის აღქმას. ევროკრატებს უნდა ახსოვდეთ, რომ ქორწინებისათვის ორის თანხმობაა საჭირო, ხოლო გაყრისთვის ერთის სურვილიც საკმარისია [168]. თუკი ანკარა უარს განაცხადებს ნახევარსაუკუნოვან არშიყობაზე, მაშინ უკვე საბოლოოდ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსიც წაგებული დარჩება.

მაშასადამე, თურქეთის რესპუბლიკის ევროკავშირის მიღმა დარჩენის შემთხვევაში, ვითარება შესაძლოა, საკმაოდ არასახარბიელო სცენარებით განვითარდეს, საერთაშორისო საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის რეგიონში მყოფი სამი პატარა სახელმწიფოსათვის, რომელთაგან მთელი რიგი მიზეზების გამო, ყველაზე რთულ დღეში ჩვენი ქვეყანა, საქართველო აღმოჩნდება [112].

როგორც აღვნიშნეთ, ასეთ შემთხვევაში თურქეთი და რუსეთი შეეცდებიან შეერთებული შტატების კავკასიის რეგიონიდან გამოდევნას. თუ მათ ეს მოახერხეს, მაშინ, სამწუხაროდ, არსებობს მოვლენების განვითარების შემდეგი ვარიანტები: ადვილი შესაძლებელია, რომ მას შემდეგ, რაც ისინი კავკასიაში სხვა დიდი მოთამაშეების გარეშე მარტო დარჩებიან და ამ როლს თვითონ შეითვისებენ, შეიძლება მაშინვე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რათა საბოლოოდ გაარკვიონ კავკასიურ არენაზე გამარჯვებულის ვინაობა; შეიძლება ყველაფერი კონსესუსამდე მივიდეს და მოხდეს რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების საბოლოოდ მოგვარება, მოლაპარაკებების შედეგად კავკასიაში გავლენის სფეროების მკაფიო გადანაწილება და ახალი „გამყოფი ხაზების”

გავლება. მითუმეტეს გასათვალისწინებელია, რომ ამ უკანასკნელი ვარიანტის ისტორიული ანალოგი არსებობს.

გასული საუკუნის დასაწყისში, იმ პერიოდისათვის ახლად შექმნილმა საბჭოთა კავშირმა და ოსმალეთის სახელმწიფომ შეძლეს, მოენახათ საერთო ენა და სამრეთ კავკასია გადაენაწილებინათ. ეს ყველაფერი განსაკუთრებით კარგად ჩანს ყარსის ხელშეკრულებაში,^{*} რომელიც ოფიციალურად გახლდათ სამშვიდობო ხელშეკრულება თურქეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა მთავრობებს შორის, რეალურად კი ეს შეთანხმება თურქებმა არა მეზობელ რესპუბლიკებთან, არამედ უშუალოდ კრემლთან დადეს. აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1921 წლის 13 ოქტომბერს [29-406]. ხოლო რატიფიცირებულ იქნა 1922 წლის 11 სექტემბერს ერევანში. აღნიშნული შეთანხმებით თურქეთმა აჭარის ნაწილი, ქალაქი ბათუმი და ქ. გიუმრი საბჭოთა კავშირს გადასცა, ხოლო ნაცვლად ამისა, ვ. ლენინის დამსახურებით, მის მფლობელობაში გადავიდა ძირძველი ქართული მიწები ყარსის, ართვინისა და არტაანის სახით. ამასთანავე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ თურქეთის განმანთავისუფლებელი ომის დროს, მუსტაფა ქემალი და მისი თანამებრძოლები საბჭოთა კავშირისაგან სერიოზულ დახმარებებს ღებულობდნენ.

ამრიგად, ნებისმიერ შემთხვევაში, კავკასიის რეგიონში ასეთი ტენდენციების გაბატონება არ უნდა შედიოდეს ევროკავშირისა და ზოგადად დასავლეთის, ზღვის სახელმწიფოების ინტერესებში. აქედან გამომდინარე, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება პრინციპულ საკითხს იძენს. ევროპამ უნდა იფიქროს, რა უფრო ხელსაყრელია მისთვის, თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება (ყველა სიძნელეების გათვალისწინებით, რაც მას აბრკოლებს) თუ

* ყარსის სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა ყარსში 1921 წლის 13 ოქტომბერს ხოლო რატიფიცირებული იქნა 1922 წლის 11 სექტემბერს ერევანში.

რუსულ-თურქილი ენერგეტიკული ალიანსი? ვფიქრობთ, ამ ვითარებაში თურქეთის წევრობა ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში, დასავლეთისთვის მყარ გარანტიად აღბათ ვერ ჩაითვლება, ვინაიდან დაპირისპირების ფრონტმა, როგორც ამას ევროპაშიც აღიარებენ პოტენციური ბრძოლის ველებიდან ოცდამეერთე საუკუნისათვის მილსადენებზე გადაინაცვლა [140].

§ – 5. თურქული გეოპოლიტიკის სამხრეთ კავკასიური მიმართულება

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახლავთ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ლიდერის როლის მოპოვება და თავისი გავლენის გაზრდა. როდესაც აღნიშნული რეგიონის სამმა სახელმწიფომ (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) მოიპოვა თავისუფლება, ანკარამ ქვეყნის ახალი საგარეო-პოლიტიკური დოქტრინის თანახმად, დაუყონებლივ აღიარა მათი დამოუკიდებლობა, რითაც ღიად დაუჭირა მხარი დასავლეთის, კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების ისთებლიშმენტისა* და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ხელშეკრულების ე. წ. „გაფართოების კონცეფციას“ [155]. ამასთანავე, აუცილებელია ხაზი გაესვას, რომ უკანასკნელის მიერ ხსენებული ქვეყნების სუვერენიტეტის აღიარების პროცესში ადგილი არ ჰქონია არავითარ დისკრიმინაციულ პოლიტიკას, მათ შორის თვით სომხეთთან მიმართებაში.

„ცივი ომის“ დასრულებამდე თურქეთის რესპუბლიკა კარგად ართმევდა თავს ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის დავალებას საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, ბიპოლარული სამყაროს დაპირისპირების პერიოდში იგი წარმატებით ასრულებდა შეკავების რგოლის ძირითადი ბასტიონის ფუნქციას და არაფერია საკვირველი იმაში, რომ მან და დასავლეთის სტრატეგებმა სამხრეთ კავკასიისა თუ ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების სუვერენიტეტის აღიარებით, პრაქტიკულად გააფართოვეს თავიანთი გეოპოლიტიკური ზეგავლენის სფერო, ხოლო „ველიკოდერჟავულ“ რუსეთს კი მაქსიმალურად შეუმცირეს ექსპანსიური ზრახვების განხორციელების

* ისთებლემენტო – (ინგლ) აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში საზოგადოების მმართველი, პრივილეგირებული ჯგუფები: ხელისუფლებისა და მმართველობის მთელი სისტემა.

არეალი, არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიის, არამედ ცენტრალური აზიისა და ბალკანეთის გეოპოლიტიკურ სივრცეშიც.

საწყის ეტაპზე, 1991-1994 წლებში, ოფიციალური ანკარა ძაღლონეს არ იშურებდა, რათა შეექმნა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით, მაქსიმალურად ხელსაყრელი ნიადაგი. მან საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთანავე დაამყარა მათთან დიპლომატიური ურთიერთობები და ოფიციალური წარმომადგენლობები გახსნა ამ ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, დღემდე სომხეთთან არსებულ ცივ ურთიერთობებს მრავალი ანალიტიკოსი აფასებს, როგორც თურქეთის საგარეო-პოლიტიკური კურსის ფიასკოს [139].

აღნიშნული ნაბიჯების შემდეგ, თურქეთის ხელმძღვანელობის მიერ დღის წესრიგში დაისვა რეგიონალური ინტეგრაციისა და თანამშრომლობისაკენ მიმართული მრავალი ინიციატივა, მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს პრეზიდენტ თურგუთ ოზალის იდეა „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის“ (BSEC) ფორმირების შესახებ.

ამ ორგანიზაციის შექმნის შემდეგ, კიდევ ერთი დიდი მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ თურქეთის რესპუბლიკის IX პრეზიდენტის, სულეიმან დემირელის მიერ, ჩვენს მიერ უკვე ზემოთ ნახსენები, რეგიონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით „კავკასიის სტაბილურობის პაქტის“ განხორციელების იდეა, რომელიც კვლავაც, ჯერ კიდევ ინარჩუნებს საკმაოდ აქტუალურ ხასიათს.

თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო და პოლიტიკური ელიტის მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან მიმართებაში გადაგზავლ ესოდენ მნიშვნელოვან ნაბიჯებს, წმინდა სავაჭრო-ეკონომიკური

შინაარსის ღონისძიებები მოჰყვა, კერძოდ, ავიაკომპანია „თურქეთის ავიანაზებმა“ სტამბოლისა და ანკარის მეშვეობით დააკავშირა თბილისი და ბაქო დასავლეთ-ევროპული სივრცის ქვეყნებთან და აქტიურად შეუდგა ეკონომიკურ საქმიანობას ზოგადად აღნიშნული რეგიონის ქვეყნებში.

ამის შემდეგ თურქეთის ხელისუფლების ეკონომიკური დატვირთვის მქონე მორიგ ინიციატივას, რომელიც აგრეთვე მიმართული იყო ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისაკენ, წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიისა და ბალკანეთის რეგიონში „თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს“ (TIKA) დაარსება, რომლის მეშვეობითაც თურქეთმა ფაქტიურად გზა გაუხსნა თურქ ბიზნესმენებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს პოსტ-საბჭოურ სივრცეში მცირე და მსხვილი ინვესტიციების განსახორციელებლად.

TIKA-ს წარმომადგენლობა შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა ამა თუ იმ ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკიდან, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ, მეტად მტკივნეული პროცესის დაძლევაში, ამასთანავე მან საფუძველი ჩაუყარა მრავალი ეკონომიკური ხასიათის პროექტების განხორციელებას. (მაგ.: იმერეთის მხარის სოციალ-ეკონომიკური აღორძინება, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ლტოლვილებისათვის ასი საცხოვრებელი სახლის აშენება, ცენტრალური აზიისა და ბალკანეთის ქვეყნებში ძველი ისტორიული ძეგლების აღდგენა და ა.შ.).

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ხაზი არ გაესვას იმ არსებით გარემოებას, რომ 1991-1994 წლებში თურქეთი პრაქტიკულად მარტო აღმოჩნდა ხსენებულ რეგიონში მიტოვებული თავისი ტრადიციული მოკავშირეების ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის მიერ, რომელთაც იმ დროისათვის ფაქტიურად არ ჰქონდათ მკვეთრად

განსაზღვრული სამხრეთ კავკასიური პოლიტიკა, რაც, რაღა თქმა უნდა, უფრო აძნელებდა დასახული ამოცანებისა და მიზნების სრულფასოვან განხორციელებას. ევროატლანტიკური ქვეყნების მსგავსი უსუსურობით, როგორც მოგეხსენებათ, ბრწყინვალედ ისარგებლა საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციამ, რომელიც ამ დროის მანძილზე შეუდგა ე. წ. „რესოვეტიზაციის“ ეტაპობრივი გეგმის განხორციელებას, რაც, საბოლოო ჯამში, კიდევ „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ ფორმირებით დასრულდა.

დიდ ყურადღებას იმსახურებს 1993 წლის აგვისტოს თვეში რუსეთის ფედერაციის მიერ ახალი მილიტარისტული დოქტრინისა და ე. წ. „ახლო საზღვარგარეთის“ კონცეფციის გამოცხადების ფაქტი, რომელმაც პრაქტიკულად გამოაღვიძა დასავლეთი. რუსეთის ამ გეოპოლიტიკური ნაბიჯის შედეგად, მრავალი პრიორიტეტი იქნა გადახალისებული ევროკავშირის ქვეყნების საგარეო-პოლიტიკურ დამოკიდებულებაში სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებთან მიმართებაში. ევროპასთან ერთად შეიცვალა აღნიშნული პრობლემატიკისადმი თვით ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ელიტის მიდგომაც.

დასავლეთმა და ალიანსმა დროის მცირე მონაკვეთში გაითავისა, რომ „ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო“ (NACC) აღმოჩნდა არაქმედითუნარიანი აღნიშნულ ქვეყნებთან ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ევროპული გეოპოლიტიკური სკოლებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლები 1994 წელს დადგნენ „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (Partnership for Peace) კონცეფციის პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობის წინაშე და „ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს შემადგენლობაში“ შემავალმა ქვეყნებმა დაიწყეს PFP-ს ხელშეკრულების ხელმოწერის

პროცედურა NATO-სთან ერთად [141]. ამას კი, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში აღმოცენებული კონფლიქტების (სამაჩაბლო, აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი) ერთიან პოტენციურად საშიშ კერაში კონსოლიდაცია-გაერთიანება მოჰყვა, რის შემდეგადაც თანამედროვე ევროპა დადგა მათი დარეგულირების აუცილებლობის წინაშე.

პარალელურად, თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა 1994 წლიდან იწყებს აქტიურ მუშაობას აღნიშნულ რეგიონებთან უფრო მეტად დაახლოებისა და დაკავშირებისათვის. ამ მიზნით მაქსიმალურად მოკლე დროში შემუშავებულ იქნა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებთან მიმდინარე თანამშრომლობის განვითარება-გაფართოებისაკენ მიმართული მკვეთრად განსაზღვრული საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების სისტემა, რომელიც, თავის მხრივ, დღემდე ემყარება სამ ძირითად პრინციპს: 1. პოლიტიკური დიალოგის გაფართოება; 2. ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება; 3. დიალოგი უსაფრთხოების საკითხებში [135].

პირველი პრინციპის მიხედვით აღნიშნულ პერიოდში ანკარის მიერ ამ რეგიონთან მიმართებაში წარმოებული საგარეო-პოლიტიკური ვექტორი უმთავრესად ემყარებოდა უმაღლესი დონის ორმხრივი ვიზიტებისა და კონსულტაციების პრინციპს, მაგრამ ხსენებული ვიზიტების ფარგლებში შეუძლებელი იყო ამა თუ იმ კონკრეტული რეგიონული საკითხების დეტალების თაობაზე შეთანხმებების მიღწევა და საქმე მთავრდებოდა მხოლოდ ოფიციალური, მყარი დეკლარაციული ხასიათის განცხადებების გაკეთებითა და გადაწყვეტილებების მიღებით. აქედან გამომდინარე, თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დღის წესრიგში დაისვა მეზობელი რეგიონის ქვეყნებთან ყოველწლიური პოლიტიკური კონსულტაციების გამართვის აუცილებლობის საკითხი.

დღეისათვის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან თურქეთის რესპუბლიკას ჩატარებული აქვს პოლიტიკური კონსულტაციების საკმაო რაუნდები.

მეორე პრინციპი, რომელსაც ჩვენთან მიმართებაში თურქეთის მიერ წარმოებული საგარეო-პოლიტიკური ვექტორი ემყარება, გახლავთ, როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება. აღნიშნული მიზნის წარმატებით განსახორციელებლად თურქეთის ხელისუფლების მიერ წამოყენებულ იქნა ორმხრივი – მთავრობათაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების კომისიისა და გაფართოებული ბიზნეს-საბჭოს დაარსების ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც მხარეების მიერ პერმანენტულად განიხილება წმინდა ეკონომიკური საკითხები. და ბოლოს, მესამე მნიშვნელოვანი პრინციპი – ეს არის თანამშრომლობის განვითარება უსაფრთხოების სფეროში. როგორც ცნობილია, განსაკუთრებით ბოლოდროინდელი მოვლენების ფონზე, საერთაშორისო ტერორიზმისა და სეპარატიზმის საფრთხე რეგიონის ზოგად პოლიტიკურ ლანდშაფტზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს და პოტენციური საფრთხის წინაშე აყენებს ჩვენი ქვეყნების სტაბილურობას. ამ მიზნით, საქართველოსა და თურქეთის საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით, პერიოდულად იმართება შეხვედრები, რა დროსაც მხარეები ახდენენ მოსალოდნელი საფრთხისა თუ პრობლემების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და გაცვლას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მსგავსი ხასიათისა და შინაარსობრივი დატვირთვის სამიტი თურქეთის რესპუბლიკის, საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების მონაწილეობით გაიმართა თურქეთის შავიზღვისპირეთის ქალაქ ტრაპიზონში 2001 წლის 30 აპრილს, ზემოთხსენებული დონისძიების ფარგლებში, ჩვენი ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების მიერ ხელმოწერილ იქნა

შეთანხმება „აზერბაიჯანის რესპუბლიკას, საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და სხვა მნიშვნელოვანი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ” [143].

რაც შეეხება უშუალოდ თურქეთისა და საქართველოს თანამედროვე ურთიერთობებს, საჭიროა ითქვას, რომ ჯერ კიდევ 1923 წელს, მუსტაფა ქემალ ათათურქი თავის ხალხს ყოველთვის მოუწოდებდა საქართველოსთან კეთილმეზობლობის აუცილებლობაზე. მიმდინარე ეტაპზე კი, თურქეთის რესპუბლიკა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და უკრაინასთან ერთად წარმოადგენს საქართველოს მთავარ მოკავშირე და პარტნიორ ქვეყანას, რაც აისახება როგორც სამხედრო და პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ სფეროებში დახმარებით.

1992 წლის 30 ივლისს საქართველოსა და თურქეთს შორის დაიდო მეგობრობისა და კეთილმეზობლობის პირველი სრულმაშტაბიანი ხელშეკრულება.: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის დარგში ურთიერთთანამშრომლობაზე [2-1]. ხელშეკრულება ჩვიდმეტი მუხლისაგან შედგება და ჩვენი ხალხების საერთო-კულტურულ განვითარებასა და სხვადასხვა დარგებში ფართო თანამშრომლობას ითვალისწინებს. ამ ხელშეკრულების საფუძველზე 1993 წელს თბილისში გაიხსნა კოლეჯი. სასწავლებელს წილად ხვდა პატივი, ეტარებინა თურქეთის რესპუბლიკის იმჟამინდელი პრეზიდენტის სულეიმან დემირელის სახელი. 1995 წელს, კერძო კოლეჯთან დაწყებითი სკოლაც შეიქმნა. შემდგომში აღნიშნული სკოლები გაიხსნა საქართველოს სხვა ქალაქებშიც. დღეისათვის კი უკვე საქართველოში ფუნქციონირებს თურქთა მიერ გახსნილი უმაღლესი სასწავლებელი, რომელსაც მსოფლიოში „თბილისის შავი ზღვის უნივერსიტეტის” სახელწოდებით იცნობენ.

თურქეთსა და ჩვენს ქვეყანას შორის საგამანათლებლო-სამეცნიერო კონტაქტების, მრავალსაუკუნოვანი ქართულ-აღმოსავლური ურთიერთობების შემდგომი გაფართოების თვალსაზრისით, ასევე უაღრესად მნიშვნელოვანი იყო 1994 წელს ხელმოწერილი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება „საქართველოში აღმოსავლური ენების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

1996 წლის 4 აპრილს თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას სამხედრო წვრთნის, ტექნიკისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთანამშრომლობის შესახებ [4-1]. აღნიშნული ხელშეკრულების შემდეგ სამხედრო სფეროში თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები მრავალი ასპექტით ვითარდება, რაც გამოიხატება მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებაში, კადრების მომზადებაში, ასევე სხვა სამხედრო პროგრამების განხორციელებაში. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საქართველოს გაერთიანებული სამხედრო აკადემიის რეფორმა, კოსოვოში თურქეთის სამშვიდობო ბატალიონში ქართული ოცეულის მონაწილეობა, ასევე მნიშვნელოვანია თურქეთის გრანტის პროგრამა საქართველოსათვის სამხედრო სფეროში და მისი მხარდაჭერა ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის გზაზე და სხვა [11-16].

თურქეთ-საქართველოს ურთიერთობებში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ენერგოპროექტების განხორციელებას. სწორედ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის საკითხები წარმოადგენდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის აბდულაჰ გიულის ვიზიტის ძირითად მიზანს საქართველოში. ამასთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყარსი-ახალქალაქის რინიგზის მშენებლობის საკითხს, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს აზიისა და ევროპის ბაზრებს.

2004 წლის თებერვალში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის თედო ჯაფარიძის ანკარაში ვიზიტის დროს მხარეებმა განიხილეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პარალელური მილსადენის მშენებლობის საკითხი, რომელიც უზრუნველყოფს რუსული ნავთობის ევროპისაკენ ტრანსპორტირებას.

საქართველოში 2003 წლის ნოემბრის თვეში განვითარებული მოვლენების ფონზე, თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა, თანამშრომლა ახალ ხელისუფლებასთან და იმედიანად განაცხადა, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობები კვლავ დარჩება კეთილმეზობლური და წარიმართება სტრატეგიული პარტნიორობის პრინციპით. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ის ფინანსური დახმარებაც, რომელიც თურქეთმა გაუწია საქართველოს „ვარდების რევოლუციის“ შედეგად, ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებისათვის.

ზემოთ აღნიშნულთან ერთად საგულისხმოა, რომ თურქეთი კვლავ გახლდათ პირველი სახელმწიფო, რომელმაც მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, 2008 წლის აგვისტოში პირველმა გაუწია საქართველოს რუსეთთან ომის მსვლელობის დროს ჰუმანიტარული დახმარება და მეომარ მხარეებს ომის შეწყვეტისაკენ მოუწოდა.

თანამედროვე თურქეთის გეოპოლიტიკაზე საუბრისას დღეს უკვე არ შეიძლება არ შევეხოთ აღნიშნული ქვეყნისა და სომხეთის ურთიერთობების წარსულსა და მომავალ პესპექტივებს. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან სომხურ-თურქული ურთიერთობების განხილვამ ძალიან ფართო ხასიათი მიიღო, პირველი სერიოზული ნაბიჯი თურქეთ-სომხეთის პოზიციათა დაახლოების მცდელობისა დაიწყო 2003 წლის ივნისში, მადრიდში გამართულ ნატო-ს მინისტრთა შეხვედრისას, როდესაც თურქეთის იმდროინდელმა

საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. გიულიმ ახლო მომავალში სომხეთთან საზღვრის გახსნის შესაძლებლობაზე ისაუბრა. მიუხედავად ამისა მაშინდელი თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, იმ პერიოდისათვის მკაცრად უსვამდა ხაზს ორ ქვეყანას შორის არსებულ პოლიტიკური ხასიათის პრობლემების მოგვარების აუცილებლობას, რაც პირველ რიგში დაკავშირებული გახლდათ გენოციდის აღიარების საკითხთან და მთიანი ყარაბახის პრობლემის მოგვარებასთან.

სომეხთა ერთ-ერთი მასობრივი ხოცვა-ჟლეტა ოსმალეთში დაიწყო 1908 წელს „ახალგაზრდა თურქთა“ მიერ რევოლუციური გადატრიალების შემდეგ [29-340]. ქვეყნის სათავეში მოსული ტრიუმფირატის: ჯემალ ფაშას, თალათ ფაშას და ენვერ ფაშას თაოსნობით.

ავანტიურისტმა მმართველებმა 1914 წელს ერზრუმში სომხებთან მოსალაპარაკებლად გაგზავნეს წარმომადგენლები, რათა რუსეთ-თურქეთის შეჯახების შემთხვევაში სომხების პოზიცია გაერკვიათ. როდესაც ყველა შეთავაზებაზე კატეგორიული უარი მიიღეს, მაშინ „ახალგაზრდა თურქთა“ დელეგატებმა საჯაროდ განაცხადეს: „აშკარაა, რომ კავკასიაში სომხები რუსებს ემხრობიან და თურქეთის ინტერესებს ეწინააღმდეგებიან, ოსმალეთის წარუმატებლობის შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა თქვენ, სომხებს დაგაწევბათ“ [136].

დელეგაციის წევრთა განცხადება სრულ სიმართლეს შეიცავდა. დასავლეთ სომხეთიდან ბევრი იქაური მკვიდრი, მათ შორის დაშნაკები, რუსეთის მხარეს გადადიოდნენ, რომ თურქეთის წინააღმდეგ მის ჯარში ებრძოლათ. აღნიშნულ მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით ოსმალეთის იმპერიის ხელმძღვანელობამ გამოსცა ბრძანებულება, რომელშიც ერთგან ნათქვამი იყო: „აშკარაა, რომ როგორი შედეგიდაც უნდა დასრულდეს

ეს ომი, სამშვიდობო მოლაპარაკებებზე ისევ წამოიჭრება სომხური საკითხი, რომელიც, უკვე ნახევარი საუკუნეა, საერთაშორისო საკითხად იქცა და თურქეთის გულს ღახვარივით ესობა” [136]. ამიტომ „ახალგაზრდა თურქების” მთავრობამ გადაწყვიტა, სომხური საკითხის ხელახალი აღმოცენება თავიდან აეცილებინა. სომხური საკითხის არიდება კი მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა – თურქეთში სომხები აღარ უნდა დარჩენილიყვნენ. ბრძანების თანახმად, ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სომეხთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტისა და დეპორტაციების ახალმა ტალღამ 1915 წელს იფეთქა და პერიოდულად გრძელდებოდა 1922 წლამდე.

დღეისათვის თურქი ისტორიკოსები და მათი ევროპელი კოლეგების ნაწილი, მათ შორის აღიარებული მეცნიერები ნორმან სთოუნი, ბერნარ ლიუსი, ჟილ ვაინშტაინი უარყოფენ სომეხთა განადგურების მიზანმიმართულ ხასიათს, რაც გენოციდის აღიარების აუცილებელი პირობაა. ისინი თავიანთ აზრს ამტკიცებენ იმით, რომ ამ შინაარსის დოკუმენტები დღეს ფაქტობრივად არ არსებობს, მაგრამ 1978 წლიდან გერმანიაში დევნილის სტატუსით მცხოვრები თურქი ისტორიკოსი თანერ აქჩამი, რომელიც ამ საკითხში ორჰან ფამუქისა და რამდენიმე წლის წინ მოკლული სომეხი ჟურნალისტის, გრანტ დინკის თანამოაზრეა, წერს, რომ მსგავსი დოკუმენტების ძიება ერთი შეცდომითაა გამოწვეული: სომეხი და დასავლელი ისტორიკოსები არ იცნობენ ოსმალეთის ტრადიციულ დამოკიდებულებას წერილობითი დოკუმენტების მიმართ. ეს ტრადიცია მნიშვნელოვანი სახელმწიფო ბრძანებულებების სიტყვიერ ხასიათს გულისხმობს [48-231]. თავის გახმაურებულ წიგნში „თურქული ეროვნული ცნობიერება და სომხური საკითხი” აქჩამი საინტერესო და ღრმა ანალიზს გვთავაზობს, თუ რატომ ადევს ტაბუ სომხურ საკითხს დღევანდელ თურქეთში. ეს მიზეზებია: ისტორიული ცნობიერების და მესხიერების არქონა; ეროვნულ ცნობიერებაში

მომხდარი წყევტა, რისი მიზეზიც რესპუბლიკური პერიოდის თაობების მიერ ყოველივე ოსმალურის ზიზღში, 600 წლიანი ისტორიის ისლამურობისათვის ხაზის გადასმაში, წარსულის დავიწყების სურვილში იმალება; თურქი ერი დემოგრაფიულადაც „ახალგაზრდაა“. თურქეთის რესპუბლიკური პერიოდი მართლაც წინააღმდეგობრივია; ერთი მხრივ, ოსმალური წარსულის სიძულვილი იკვეთება მეორე მხრივ ოსმალური პერიოდის დანაშაულებათა უარყოფის ან დავიწყების სურვილი [62–198]. მართალია, თურქეთის ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა რამდენიმე ხნის წინ კამპანია „სომხებო შეგვინდეთ“ წამოიწყო, მაგრამ თურქეთის მოსახლეობის ძირითადმა ბირთვმა სომხეთა ხოცვა-ჟლეტაზე არაფერი იცის, ხოლო რაც შეეხება, ქვეყნის ხელმძღვანელობას, 2008 წელს რ. ერდოღანმა განაცხადა, „ეს დანაშაული ჩვენ არ ჩაგვიდენია და პატიება არავისთვის გვაქვს სათხოვნი“ [136].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წელს ანკარამ აღიარა სამივე ამიერკავკასიის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა, თუმცა საქართველოსა და აზარბაიჯანისაგან განსხვავებით, უარი თქვა ერევანთან დიპლომატიური კავშირის დამყარებაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება მოტივირებული იყო იმით, რომ 1990 წელს მიღებულ სომხეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში წერია: „სომხეთი ხელს შეუწყობს 1915 წელს ოსმალეთის იმპერიაში და დასავლეთ სომხეთში, სომეხი ხალხის გენოციდის საერთაშორისო აღიარებას“ [164].

მიუხედავად სომხეთთან დიპლომატიურ ურთიერთობებზე უარის თქმისა, თურქეთმა ორი ქვეყნის 325-კილომეტრიანი საზღვრის გამშვები პუნქტების ჩაკეტვა არ იჩქარა. ერთ-ერთი გამშვები პუნქტი გიუმრისთან მდებარეობს, მეორე გამშვები პუნქტი ერევნის სამხრეთით 40 კილომეტრშია. 1992-93 წლებში სომხეთისათვის

ყველაზე საშინელი ზამთრის დროს, სწორედ ამ გამშვები პუნქტიდან შედიოდა ქვეყანაში ხორბალი. იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ირანთან დამაკავშირებელი ხიდი, აღმოსავლეთით საზღვარი ჩაკეტილი იყო, ხოლო სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის მთელ პერიმეტრზე სისხლისმღვრელი ომი ბობოქრობდა. იმ წლებში სამოქალაქო ომსა და აფხაზეთის კონფლიქტში ჩართული საქართველოც არ იყო საიმედო ფანჯარა გარე სამყაროსთან კავშირისათვის.

თურქეთმა სომხეთთან საზღვრის ჩაკეტვა 1993 წელს გადაწყვიტა, როცა სომხურმა ძალებმა მთიანი ყარაბაღის მოსაზღვრე ქელბაჯარის რაიონი დაიკავეს. გაითვალისწინა რა ენობრივი, რელიგიური, ეთნიკური და სტრატეგიული ინტერესები აზერბაიჯანთან, თურქეთმა დაიწყო სომხეთის ბლოკადა, რომელიც უკვე 16 წელია გრძელდება.

1998 წლის აპრილში შეერთებული შტატების ჩარევის შედეგად სომხეთმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს უწყებათაშორის დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, თურქეთმა სომხეთის საჰაერო ბლოკადა შეწყვიტა. ზუსტად 14 წელიწადში 2009 წლის 22 აპრილს ორ ქვეყანას შორის ხელი მოეწერა „საგზაო რუკას“, რომლის საჯარო დოკუმენტშიც წერია მხოლოდ ის, რომ „სომხეთმა და თურქეთმა შევიცარიის შუამავლობით, ინტენსიურად იმუშავეს ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციისთვის და ამ ურთიერთობების კეთილმეზობლურ და ურთიერთპატივისცემის ჩარჩოებში გადაყვანისთვის. ეს ხელს შეუწყობს მშვიდობის, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დამყარებას მთელ რეგიონში... ამ კონტექსტში მხარეების მიერ განსაზღვრულია „საგზაო რუკა“. უკვე შეთანხმებული საკითხები უზრუნველყოფს ორმხრივი პროცესის გაგრძელების პერსპექტივას” [139].

აღნიშნული დოკუმენტის შესახებ სომხეთში 23 აპრილს შეიტყვეს, ზუსტად მეორე დღეს, 24 აპრილს, მთელი სასომხეთი და მსოფლიოში მცხოვრები სომხები, 1915-18 წლებში ოსმალეთში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შედეგად დაღუპული 1,5 მილიონი სომეხის ხსოვნის დღეს აღნიშნავენ.

მრავალი წლის განმავლობაში ამერიკის პრეზიდენტები ყოველ 24 აპრილს სიტყვით მიმართავენ თავიანთი ქვეყნის სომხურ ლობს და მე-20 საუკუნის დასაწყისში მოხდარ ტრაგედიას უსამძიმრებენ, რა დროსაც ყოველთვის იყენებდნენ ფრაზას „მასობრივი ხოცვა-ჟლეტა“ [16-371].

დღეისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, ჰილარი კლინტონი უშუალოდ არის ჩარეული თურქეთსა და სომხეთს შორის უთანხმოების მოგვარების საკითხში. შეერთებული შტატების აზრით, აღნიშნული ქვეყნების დაახლოება ხელს შეუწყობს კავკასიაში მშვიდობის დამყარებას, ახალი დერეფნების გახსნას დასავლეთში ნავთობისა და გაზის ექსპორტირებისათვის, შეზღუდავს რუსეთის ბატონობას სომხეთში და აღმოფხვრის ვაშინგტონსა და ანკარას შორის ერთ-ერთი კამათის საბაბს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ შერიგებას დასავლელებისაგან განსხვავებით რუსი ექსპერტები და პოლიტიკოსები სხვა მხრიდან ხედავენ და განიხილავენ. სწორედ ამიტომ კრემლიც დადებითად არის განწყობილი ისტორიული მტრების შერიგებისადმი და ცდილობს, თვითონაც აქტიურად ჩაერთოს ამ პროექტში, რომ შემდეგ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს იგი.

საბოლოოდ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის დახმარებითა და ძალისხმევით 2009 წლის 10 ოქტომბერს, სადამოს, ციურიხის უნივერსიტეტში თურქეთ-სომხეთს შორის, ამავე წლის აპრილში გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გაფორმდა პროტოკოლები, რომლებიც მიზნად ისახავს ორ ქვეყანას შორის

დიპლომატიური ურთიერთობისა და საზღვრის გახსნის ნორმალიზაციას.

მხარეებმა ხელი მოაწერეს პროტოკოლებს: „სომხეთისა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის ორმხრივი ურთიერთობების განვითარების შესახებ” და „სომხეთისა და თურქეთის რესპუბლიკებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შესახებ”. დოკუმენტებს ხელი მოაწერეს ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა აჰმეთ დაგუდოღლუმ და ედუარდ ნალბანდიანმა. ისინი შეთანხმდნენ, რომ პროტოკოლების ძალაში შესვლიდან ორ თვეში ქვეყნებს შორის არსებულ საზღვარს გახსნიან.

მიუხედავად პროტოკოლების გაფორმებისა, მთავარი ჯერ წინ არის, რადგან აღნიშნული ხელშეკრულებების რატიფიცირება პარლამენტებმა უნდა მოახდინონ, სადაც თავისთავად წამოიჭრება ურთიერთობებში არსებული პრობლემები: სომხეთის გენოციდის საკითხი და სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის გამო გადაუჭრელი კონფლიქტი. თურქეთის პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთი განცხადებით, მისი მთავრობა შეთანხმებას გზას მისცემს, თუ სომხეთი აზერბაიჯანის ტერიტორიიდან თავისი ჯარის ნაწილს მაინც გაიყვანს [126].

თურქულ-სომხურ ურთიერთობებში პროგრესი მხარეებს სხვადასხვაგვარად ესმით. თუ სომხეთისათვის პროგრესი ნიშნავს საზღვრის გახსნას, თურქეთისათვის იგი შეიძლება იყოს ოფიციალური და არაოფიციალური საჯარო შეხვედრები სომხურ მხარესთან. ისინი, ვინც პრეზიდენტ სარქისიანის პოლიტიკას აკრიტიკებენ, ამბობენ, რომ აუცილებელია, განისაზღვროს კონკრეტული ვადები, ანუ, საზღვარი დაკეტა თურქეთმა და შესაბამისად, მანვე უნდა გახსნას იგი კონკრეტულ ვადებში.

თურქეთ-სომხეთს შორის „ყინულის დნობის” პროცესს ფრთხილად აკვირდება და ძალიან ღელავს თურქეთის „უმცროსი

ძმა” და სტრატეგიული პარტნიორი აზერბაიჯანი. მას ყოველთვის ჰქონდა იმედი, რომ ანკარის მხარდაჭერით: სომხეთის ბლოკადითა და ზეწოლის სხვა მეთოდებით, ერევნის მხრიდან მთიანი ყარაბაღის საკითხში დათმობებს მიაღწევდა. ბაქოში დღეს უკვე ისმის რადიკალური განცხადებები, რომ თურქეთი თავის „უმცროს ძმას“ აზერბაიჯანს დალატობს. საინტერესოა საქართველოს ფაქტორიც. მოკლევადიან პერსპექტივაში, თურქეთ-სომხეთის საზღვრის გახსნის შედეგად იზარალებს მხოლოდ საქართველო [122], რადგან ტრანზიტული ტვირთების დიდი ნაწილი უკვე სომხეთზე გაივლის, ხოლო ერევანს, რომელიც მხოლოდ საქართველოს სატრანსპორტო მაგისტრალზე იყო დამოკიდებული და საკმაოდ დიდ თანხას იხდიდა საქართველოს ბიუჯეტში, ახლა სხვა მარშრუტზე ექნება.

მიუხედავად ყველაფრისა, თურქეთსა და სომხეთს შორის თუ მოხერხდა საბოლოოდ და სრულყოფილად დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, მოსალოდნელია, რომ ეს რიგითი რეგიონალური მოვლენა გადაიზარდოს გლობალურ გეოპოლიტიკურ პროცესებში [115].

ქართველი ექსპერტი კავკასიის საკითხებში, მ. არეშიძე აღნიშნავს, რომ თურქულ-სომხური შერიგება ამერიკის შეერთებული შტატების პროექტია და იგი პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის ახალი ხედვაა კავკასიის საკითხებში; „ამერიკამ თავი დაანება საქართველოზე მთავარი ორიენტირების გაკეთებას მთელი რიგი მოვლენების გამო და ცდილობს, გლობალური პოლიტიკური თამაშის წევრად მთლიანი რეგიონი გამოიყვანოს” [114]. ობამას ადმინისტრაცია რუსეთთან ღია დაპირისპირებაზე უარს აცხადებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც გააგრძელებს გეოპოლიტიკურ თამაშს და შეეცდება გავლენის სფეროები წაართვას მას [139]. თუ სომხეთი პრორუსულიდან პროდასავლურად გადაიქცევა, ეს იქნება

რიმლანდის კიდევ ერთი გამარჯვება ჰარტლანდზე და რუსეთის ფედერაცია მთლიანად დაკარგავს გავლენას სამხრეთ კავკასიაში.

ჯერჯერობით რაიმე გამოკვეთილ სურათზე საბოლოოდ საუბარი ნაადრევია, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების რატიფიცირებას სერიოზული გამოცდა ელის. თურქეთის მეჯლისში აცხადებენ, რომ რატიფიცირებას იმ შემთხვევაში მოახდენენ, თუ მასში ყარაბაღთან დაკავშირებით აზერბაიჯანის ინტერესები იქნება გათვალისწინებული, სომხეთის საზოგადოება და დიასპორაც კატეგორიული წინააღმდეგია დაახლოებისა, მათთვის მთავარ პრობლემად ისევ და ისევ გენოციდის არადიარების საკითხი რჩება.

რაც შეეხება საერთაშორისო ვითარებას ამ საკითხის ირგვლივ ამას ლობირებს ამერიკა-ევროპაც და რუსეთის ფედერაციაც, სწორედ აქ იკვრება ძალიან საინტერესო კვანძი: ვინ უფრო ძლიერი აღმოჩნდება? ვინ უფრო წარმატებული იქნება ამ „ჭიდაობაში“; რუსეთი შეძლებს და გადაიყვანს თურქეთს, თუ დასავლეთი შეძლებს და სომხეთს საბოლოოდ გამოგლიჯავს რუსეთს კლანჭებიდან? [114]. რეალურად ამის პასუხს მხოლოდ დრო გვაჩვენებს, ხოლო რამდენად შეეხება ეს პროცესი საქართველოსა და მის ურთიერთობას თურქეთის რესპუბლიკასთან, ესეც მხოლოდ მომავალში განვითარებულ მოვლენებზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება აზერბაიჯანს, იგი ანკარის ეთნიკურად ძალიან ახლო, იდეალური ეკონომიკური და სამხედრო მოკავშირეა, მაგრამ ბოლო ხანს მათი სტრატეგიული პარტნიორობა უპრეცედენტოდ დაზარალდა, რასაც შეიძლება შორს მიმავალი შედეგები მოჰყვეს. იმ მომენტიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, როდესაც თურქეთის მმართველმა „სამართლიანობისა და განვითარების პარტია“ განაცხადა, რომ აზერბაიჯანის მოსისხლე მტერთან სომხეთთან

ურთიერთობის ნორმალიზებას გეგმავს, ანკარასა და ბაქოს შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაცივდა.

ბაქო განსაკუთრებით ადაშფოთა თურქეთ-სომხეთის მიერ დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე შეთანხმების ხელისმოწერამ. აზერბაიჯანის საზოგადოებამ და ქვეყნის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ თურქეთის ცალმხრივი პოლიტიკა დაგმეს.

ბევრ საერთაშორისო ექსპერტს მიაჩნია, რომ ანკარამ კიდევ ერთი მეგობრულად განწყობილი მეზობლის შექმნის მცდელობისას, აშკარად გადააჭარბა და აზერბაიჯანთან სტრატეგიული ურთიერთობები დანგრევის პირას მიიყვანა [115].

ცხადია, სამხრეთ კავკასიაში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა, ასევე თურქულ-სომხურმა დაახლოებამ ანკარა-ბაქოს სტრატეგიულ პარტნიორობას წყალი შეუყენა. ეს პარტნიორობა მომავალი აღმოსავლურ-დასავლური ენერგეტიკური დერეფნის ფუნდამენტი, რეგიონში უსაფრთხოების, პოლიტიკური და გეოსტრატეგიული ბალანსის საფუძველი, ასევე დემოკრატიული თურქეთისა და მასთან ერთად მთელი დასავლეთის კასპიის რეგიონში შესვლის შესაძლებლობა არის. ამ უსაფრთხოების სტრატეგიული პარტნიორობის გარეშე თურქეთ-ევროკავშირი-ამერიკის შეერთებული შტატების დერძის არსებობა და მისი გაგრძელება შუა აზიის რეგიონში საჭოჭმანო გახდება. თურქულ-სომხური ურთიერთობების ნორმალიზაციის მომხრე ანკარის, ბრიუსელისა და ვაშინგტონის ოფიციალური პირების მიერ დაშვებულ ამ გეოპოლიტიკურ შეცდომას აზერბაიჯანის ინტერესების გათვალისწინებისა და ყარაბაღის საკითხის გადაწყვეტის უპერსპექტივო, ბუმერანგის ეფექტი მოყვება [126].

მიუხედავად ყოველივესა, ჯერჯერობით, დღემდე ზუსტი განსაზღვრება რომ მიეცეს თურქეთისა და სამხრეთ კავკასიის

ქვეყნების თანამშრომლობის დინამიკას აღსანიშნავია, რომ აწეობს თუ არ აწეობს, ზოგიერთი სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ გეგმებს, რეალურად დღესდღეობით თუ მომავალში რამე არ შეიცვალა, თურქეთი, საქართველო და აზერბაიჯანი უკვე დაკავშირებულები არიან ერთმანეთთან გაზისა და ნავთობის მილსადენებით და ერთობლიობაში ქმნიან უმნიშვნელოვანეს ენერგოკორიდორს კასპიის ზღვიდან ევროპამდე.

ამ სამ ქვეყანას შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს რკინიგზა, რომელიც რეგიონის შიგნით თბილისისა და ახალქალაქის გავლით, ბაქოს ყარსთან დააკავშირებს. ამ პროექტის იდეა თურქეთის რესპუბლიკას 1993 წლიდან ჰქონდა. თუმცა რეალობაში მისი განხორციელება მხოლოდ ბოლო რამდენიმე წელია დაიწყო. პროექტის ოფიციალური გახსნა 2007 წლის ნოემბერში შედგა, ხოლო რკინიგზის ამუშავება 2010-11 წლებისათვის იგეგმება.

ამ პროექტს გარდა რეგიონალური შიდა დატვირთვისა, უფრო მაშტაბური მნიშვნელობაც აქვს. ერთი მხრივ, 2012 წლისათვის იგეგმება ბოსფორის სრუტის გავლით რკინიგზის ხაზის მშენებლობა, რაც ნიშნავს, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ხაზი ევროპასაც დაუკავშირდება, ხოლო მეორეს მხრივ ამ პროექტში ჩართვის სურვილი, აზერბაიჯანული წყაროების განცხადებით, ჩინეთმა და ყაზახეთმა გამოთქვა. მიიჩნევა, რომ მსგავსი მაშტაბის განხორციელების შემთხვევაში პროექტი კონკურენციას გაუწევს რუსეთზე გამავალ ტრანსციმბირულ მაგისტრალს, რაც თავისთავად, კრემლის დღევანდელ გეოპოლიტიკასთან პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის.

ევროპისა და ჩინეთის მზარდი ინტერესების ფონზე ზოგადად ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონების და კონკრეტულად ამ რეგიონებში არსებული ენერგო რესურსების მიმართ, აღნიშნული

პროექტის მნიშვნელობა იმატებს. სწორედ ამიტომ, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი უკვე მოიხსენიება, როგორც აბრეშუმის გზის აღდგენის მცდელობა.

ამრიგად, საბოლოოდ არა მარტო რეგიონისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის იქნება მნიშვნელოვანი დღევანდელ გეოპოლიტიკურ პასიანსში თურქეთის რესპუბლიკის საბოლოო როლი. იმ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ თურქეთის რესპუბლიკამ არ მოახდინა სერიოზული გეოპოლიტიკური ძვრა „ჰარტლანდის“ ანუ ევრაზიულობის სასარგებლოდ, რაც დამღუპველი იქნება, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული პოლიტიკისა და ღირებულებებისათვის, ისე თვითონ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობისათვის. ხოლო თუ მოვლენები ასე არ განვითარდა და ანკარამ თავისი გეოპოლიტიკური კურსი და ძველი მოკავშირეები შეინარჩუნა, მაშინ ეს გახლავთ უკვე აბსოლუტურად ახალი შესაძლებლობებისა და პერსპექტიული ინიციატივების პერიოდი, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობისათვის, ისე რეგიონის ისეთი პატარა ქვეყნი,სათვის, როგორც საქართველოა.

დასკვნა

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელიც მყარი სტაბილურობით არ გამოირჩევა, ყოველი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანია საკუთარი ადგილის, როლისა და ფუნქციის პოვნა. საბჭოთა კავშირის დაშლა გასული საუკუნის ბოლოს, თანამედროვე რუსეთის პოლიტიკოსთა მიერ მეოცე საუკუნის გეოპოლიტიკურ კატასტროფად შეფასებული, ნიშნავდა არა მარტო მსოფლიო პოლიტიკური რუკის კარდინალურ შეცვლას, არამედ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს შორის ინტერესთა კონფლიქტის ახალი ეტაპის დასაწყისს, როგორც გლობალური ასევე რეგიონალური მაშტაბითაც.

გეოპოლიტიკური პროცესები სწორედ ამ ნიშნით ვითარდება კავკასიისა და მცირე აზია-ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. საერთოდ, მსოფლიო ბიპოლარული დაპირისპირების გაქრობამ, რომელსაც სისტემური ხასიათი ჰქონდა, ხელი შეუწყო მანამდე ამა თუ იმ სამხედრო პოლიტიკურ ბლოკში გაერთიანებული ქვეყნების სწრაფვის გაძლიერებას მეტი დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის გატარებისაკენ.

წინამდებარე გამოკვლევის ანალიზის ობიექტის – თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკა სწორედ ამგვარი კუთხით ექვემდებარება შესწავლის აუცილებლობას. სათანადო მასალებისა და მრავალფეროვანი ისტორიულ-პოლიტიკური ლიტერატურის საფუძვლიანად შესწავლამ შესაძლებლობა მოგვცა წარმოგვედგინა თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკური წარმოდგენებისა და კონცეფციების ანალიზის მეტნაკლებად სრული სახე.

მეოცე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში მომხდარ დიდ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენათა რიგში გამორჩეული ადგილი უჭირავს თურქეთის ნაციონალური სახელმწიფოს შექმნას, რაც

უწინარესად მუსტაფა ქემალ ათათურქის სახელთანაა დაკავშირებული. მრავალსაუკუნოვანი ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულმა ახალმა თურქულმა სახელმწიფომ გაუძლო მის წინაშე წამოჭრილ საფრთხეებს, ყოფილი იმპერიის სხვადასხვა ერების მხრიდან, თუ გარეშე სახელმწიფოებისაგან მომდინარე განადგურების მცდელობებს და საკუთარი დამოუკიდელი ისტორიის ათვლა დაიწყო.

